

81'
6-70

ზეკლინანდ და
სოსიანი

ზოგადი
ენათმეცნიერების
კურსი

8116-40

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ.
ხელნაწერთა ინსტიტუტი

ფერდინანდ დე სოსიური

ზოგადი
ენათმეცნიერების კურსი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი ..
ბიბლიოთეკა
№ 52832



52832

ს-704
ფერდინანდ დე სოსიურის
„ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“
გამოქვეყნებული მარტ ბაღისა და ალბერ სემეს მიერ ალბერტ რიდლინგერთან
თანამშრომლობით

Ferdinand de Saussure
Cours de Linguistique générale
Publié par Charles Bailly at Albert Séchehaye avec la collaboration de Albert Riedlinger

მთარგმნელი
ცისანა ბიბილეიშვილი

რედაქტორი
ბაქარ გიგინეიშვილი

დი ზაინი და დაკაბადონება
გიორგი ტაბლიაშვილი

© 1916, 1972, 1985, 1995 Editions Payot & Rivages
საავტორო უფლება ქართულ გამოცემაზე © 2002
გამომცემლობა „დიოგენე“

პირველი ქართული გამოცემა 2002

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99928-953-1-4

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 97
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71,
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge



სენა

ბატონ ბაქარ გიგინეიშვილს განზრახული ჰქონდა ენათმეცნიერებით
დაინტერესებული ახალგაზრდობისთვის შეექმნა ცნობილ ენათმეცნიერთა
თხზულებების ქართულენოვანი სერია და ამ მიზნის განხორციელება 80-
იანი წლების ბოლოს, ფერდინანდ დე სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების
კურსით“ დაიწყო. დედნად შევარჩიეთ ტულიო დე მაუროს მიერ გამო-
ცემული კრიტიკული ტექსტი, რომელიც, თავის მხრივ, რ. ენგლერის, რ.
გოდელის და სხვ. გამოცემებსაც ითვალისწინებს. ნაშრომის დანიშნუ-
ლების გათვალისწინებით ვთარგმნეთ მხოლოდ შემდგენლების, შ. ბაღისა
და ა. სემეს კომენტარები, თუმცა, ვვარაუდობდით, რომ შემდეგი გამო-
ცემისთვის, არანაკლებ საინტერესო, გამომცემლისეული კომენტარებიც
დაგვეერთო. ბატონმა ბაქარმა თარგმანის რედაქტირება კი დაასრულა,
მაგრამ მეტი აღარ დასცალდა.

ბატონი ბაქარი მომთხოვნი და პრინციპული ადამიანი გახლდათ.
ამიტომ, მასთან თანამშრომლობამ ბევრი რამ შეგვიძინა, რისთვისაც მისი
დიდად მადლობელი ვართ.

მთარგმნელი

800
6-704

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა	9
მეორე გამოცემის წინასიტყვაობა	12
მესამე გამოცემის წინასიტყვაობა	12

შესავალი	
თავი I — ენათმეცნიერების ისტორიის მოკლე მიმოხილვა	13
თავი II — ენათმეცნიერების საგანი და ამოცანები; მისი მიმართება მომიჯნავე მეცნიერებებთან	18
თავი III — ენათმეცნიერების საგანი	
§1. ენა; ენის განსაზღვრა	20
§2. ენის ადგილი სამეტყველო ქმედების მოვლენათა შორის	23
§3. ენის ადგილი ადამიანური ყოფის მოვლენათა შორის. სემიოლოგია	27
თავი IV — ენისა და მეტყველების ლინგვისტიკა	29
თავი V — ენის შინაგანი და გარეგანი ელემენტები	31
თავი VI — ენის გამოსახვა დამწერლობის საშუალებებით	
§1. დამწერლობის შესწავლის აუცილებლობა	34
§2. დამწერლობის უპირატესობა ზეპირმეტყველებასთან შედარებით და ამ უპირატესობის მიზეზები	34
§3. დამწერლობის სისტემები	36
§4. დამწერლობასა და წარმოთქმას შორის არსებული განსხვავებების მიზეზები	37
§5. დამწერლობისა და წარმოთქმის განსხვავების შედეგები	38
თავი VII — ფონოლოგია	
§1. ფონოლოგიის განსაზღვრა	42
§2. ფონოლოგიური დამწერლობა	43
§3. წერილობითი წყაროების ჩვენებათა კრიტიკა	44

დანართი	
ფონოლოგიის პრინციპები	
თავი I — ფონოლოგიური ტიპები	
§1. ფონემის განსაზღვრა	47
§2. სამეტყველო აპარატი და მისი ფუნქციონირება	50
§3. ბგერათა კლასიფიკაცია პირისმიერი არტიკულაციის მიხედვით	52

თავი II — ფონემა მეტყველების ჯაჭვში	
§1. ბგერათა მეტყველების ჯაჭვში შესწავლის აუცილებლობა	58
§2. იმპლოზია და ექსპლოზია	60
§3. ექსპლოზიისა და იმპლოზიის სხვადასხვა კომბინაცია სამეტყველო ჯაჭვში	63

§4. მარცვალგასაყარი და ვოკალური ნერტილი	65
§5. დამარცვლის თეორიის კრიტიკა	67
§6. იმპლოზიისა და ექსპლოზიის გრძლივობა	68
§7. მეოთხე ხარისხის ლიაობის ფონემები.	
დიფთონგები და მათი დამწერლობა	69
გამომცემელთა შენიშვნა	71

ნაწილი I ზოგადი პრინციპები

თავი I — ენობრივი ნიშნის ბუნება	
§1. ნიშანი, ალსანიშნი, აღმნიშვნელი	73
§2. პირველი პრინციპი: ნიშნის პირობითობა	75
§3. მეორე პრინციპი: აღმნიშვნელის ხაზოვანი ბუნება	77
თავი II — ნიშნის უცვლელობა და ცვალებადობა	
§1. ნიშნის უცვლელობა	78
§2. ნიშნის ცვალებადობა	81
თავი III — სტატიკური ლინგვისტიკა და ევოლუციური ლინგვისტიკა	
§1. შინაგანი ორმაგობა ყველა მეცნიერებისა, რომლებიც ღირებულების ცნებით ოპერირებენ	85
§2. შინაგანი ორმაგობა და ენათმეცნიერების ისტორია	87
§3. ენათმეცნიერების შინაგანი ორმაგობა მაგალითებზე	89
§4. განსხვავება სინქრონიასა და დიაქრონიას შორის შედარებათა მაგალითზე	93
§5. სინქრონული და დიაქრონული ლინგვისტიკის მეთოდებისა და პრინციპების შეპირისპირება	96
§6. სინქრონული კანონი და დიაქრონული კანონი	97
§7. არსებობს თუ არა პანქრონული თვალსაზრისი?	101
§8. სინქრონიისა და დიაქრონიის აღრევის შედეგები	102
§9. დასკვნა	104

ნაწილი II სინქრონული ლინგვისტიკა

თავი I — ზოგადი ცნობები	107
თავი II — კონკრეტული ენობრივი არსობანი	
§1. არსობანი და ერთეულები. ამ ცნებათა განსაზღვრა	109
§2. არსობისა და ერთეულის გამიჯვნის მეთოდი	110
§3. გამიჯვნის პრაქტიკული სირთულე	111
§4. დასკვნა	112
თავი III — იგივეობანი, რეალობანი, ღირებულებანი	114
თავი IV — ლინგვისტური ღირებულება	
§1. ენა, როგორც ბგერითს მატერიაში ორგანიზებული აზრი	118
§2. ენობრივი ღირებულება, განხილული კონცეპტუალური მხრიდან	120
§3. ლინგვისტური ღირებულება, განხილული	

მატერიალური მხრიდან.	124
§4. ნიშანი, განხილული მთლიანობაში	126
თავი V — სინტაგმატური და ასოციაციური მიმართებანი	
§1. განსაზღვრა	129
§2. სინტაგმატური მიმართებანი	130
§3. ასოციაციური მიმართებანი	131
თავი VI — ენობრივი მექანიზმი	
§1. სინტაგმატური ურთიერთდამოკიდებულებანი	134
§2. სინტაგმატური და ასოციაციური ჯგუფების ერთდროული მოქმედება	135
§3. ნიშნის აბსოლუტური და შედარებითი ნებისმიერობა	137
თავი VII — გრამატიკა და მისი ნაწილები	
§1. განსაზღვრა; ტრადიციული დაყოფა	141
§2. გრამატიკის რაციონალური დაყოფა	143
თავი VIII — აბსტრაქტულ არსობათა როლი გრამატიკაში	144

ნაწილი III დიაქრონული ლინგვისტიკა

თავი I — ზოგადი ცნობები	147
თავი II — ფონეტიკური ცვლილებები	
§1. ფონეტიკურ ცვლილებათა აბსოლუტური რეგულარობა	150
§2. ფონეტიკურ ცვლილებათა პირობები	150
§3. მეთოდის არსი	152
§4. ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზები	153
§5. ფონეტიკურ ცვლილებათა მოქმედება განუსაზღვრელია	158
თავი III — ფონეტიკის ევოლუციის გრამატიკული შედეგები	
§1. გრამატიკული კავშირის განყვეტა	160
§2. სიტყვათა შედგენილობის წაშლა	161
§3. ფონეტიკური დუბლეტები არ არსებობს	162
§4. მონაცვლეობა	163
§5. მონაცვლეობის კანონები	165
§6. მონაცვლეობა და გრამატიკული კავშირი	167
თავი IV — ანალოგია	
§1. განსაზღვრა და მაგალითები	168
§2. ანალოგიის მოვლენები ცვლილებებს არ წარმოადგენენ	170
§3. ანალოგია, როგორც შემოქმედების პრინციპი ენაში	172
თავი V — ანალოგია და ევოლუცია	
§1. როგორ შედის ენაში ანალოგიური ინოვაცია	176
§2. ანალოგიური ინოვაციები, როგორც ინტერპრეტაციის ცვლილებათა ნიშნები	177
§3. ანალოგია, როგორც განახლებისა და კონსერვაციის პრინციპი	179
თავი VI — ხალხური ეტიმოლოგია	181
თავი VII — აგლუტინაცია	
§1. აგლუტინაციის განსაზღვრა	184
§2. აგლუტინაცია და ანალოგია	185

III და IV ნაწილების დამატება	
ა. სუბიექტური ანალიზი და ობიექტური ანალიზი	190
ბ. სუბიექტური ანალიზი და დაბალი დონის ერთეულთა განსაზღვრა	192
გ. ეტიმოლოგია	195
ნაწილი IV გეოგრაფიული ლინგვისტიკა	
თავი I — ენათა სხვაობის შესახებ	197
თავი II — ენათა გეოგრაფიულ ნაირგვარობასთან დაკავშირებული სირთულეები.	
§1. რამდენიმე ენის თანაარსებობა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე	200
§2. სალიტერატურო ენა და ადგილობრივი მეტყველება	201
თავი III — ენათა გეოგრაფიული ნაირგვარობის მიზეზები	
§1. ძირითადი მიზეზი — დრო	204
§2. დროის გავლენა ენაზე ერთიანი ტერიტორიის ფარგლებში	206
§3. დიალექტებს ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნიათ	208
§4. ენებს ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნიათ	211
თავი IV — ლინგვისტური ტალღების გავრცელება	
§1. ურთიერთობის ძალა და „საკუთარი სამრეკლოს სული“	213
§2. ორი ურთიერთმოქმედი ძალის ერთ პრინციპზე დაყვანა	215
§3. ენობრივი დიფერენციაცია გამიჯნულ ტერიტორიაზე	216
ნაწილი V რეტროსპექტული ლინგვისტიკის საკითხები დასკვნები	
თავი I — დიაქრონიული ენათმეცნიერების ორი პერსპექტივა	219
თავი II — ადრეული ენა და ფუძეენა	222
თავი III — რეკონსტრუქციები	
§1. რეკონსტრუქციის ხასიათი და მიზანი	225
§2. რეკონსტრუქციის სარწმუნოების ხარისხი	227
თავი IV — ენის დამოწმება ანთროპოლოგიასა და წინარეისტორიაში	
§1. ენა და რასა	229
§2. ეთნიკურობა	230
§3. ლინგვისტური პალეონტოლოგია	230
§4. ენობრივი ტიპი და სოციალური ჯგუფის აზროვნება	233
თავი V — ენათა ოჯახები და ენობრივი ტიპები	235

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ფერდინანდ დე სოსიურს არაერთხელ დაუჩივლია იმ ლინგვისტიკის პრინციპებისა და მეთოდების უკმარისობაზე, რომლის წიაღშიც მისი ნიჭი ვითარდებოდა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაჟინებით ეძებდა იმ წარმართველ კანონებს, რომლებიც ამ ქაოსში აზრის ორიენტაციისთვის გამოადგებოდა. როცა 1906 წ. ჟოზეფ ვერტჰეიმერის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა ჟენევის უნივერსიტეტის კათედრას, შესაძლებლობა მიეცა საჯაროდ გამოეთქვა წლების მანძილზე მომნიჭებული საკუთარი აზრები. მან სამჯერ წაიკითხა ზოგადი ენათმეცნიერების კურსი: 1906-1907, 1908-1909, 1910-1911 წლებში. პროგრამის თანახმად, ამ ლექციების ნახევარი ინდოევროპულ ენებს, მათ აღწერასა და ისტორიას ეძღვნებოდა. ამიტომ, იძულებული იყო საკუთარი თემატიკის ძირითადი ნაწილები საგრძნობლად შეეკვეცა.

ყველა, ვისაც ბედნიერება ხვდა ამ ნაყოფიერ ლექციებს დასწრებოდა, სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ისინი ცალკე ნაშრომის სახით არ გამოქვეყნებულა. ჩვენი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ვიმედოვნებდით, რომ ქ-ნ დე სოსიურის მიერ ჩვენთვის გადმოცემულ ხელნაწერთა შორის ამ დიდებული ლექციების სრულ თუ არა, ყოველ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელ ჩანაწერებს მაინც მივაკვლევდით. ვვარაუდობდით, რომ ფერდინანდ დე სოსიურის პირადი ჩანაწერების რედაქტირებისა და მსმენელთა კონსპექტებით შევსების შემდეგ შევძლებდით მათ გამოცემას. მაგრამ, იმედი გაგვიცრუდა: ჩვენ ვერაფერს, ან თითქმის ვერაფერს მივაკვლიეთ, რაც მისი მონაფეების ჩანაწერებს მიესადაგებოდა. დე სოსიური, როგორც წესი, ანადგურებდა ნაჩქარევად შედგენილ ლექციის მონახაზს. საწერი მაგიდის უჯრაში მხოლოდ ძველ ჩანაწერებს წავანწყდით, რომლებიც, ცხადია, მნიშვნელობას მოკლებული არაა, მაგრამ დამოუკიდებლად გამოუსადეგარია და არც წაკითხული სამი კურსის მასალას შეესაბამება.

კიდევ უფრო სამწუხარო იყო, რომ თავის დროზე, პროფესიულმა მოვალეობებმა საშუალება არ მოგვცა თავად დავსწრებოდით ამ ლექციებს, რომლებიც ფერდინანდ დე სოსიურის შემოქმედებაში ისეთივე ბრწყინვალე ეტაპია, როგორც ან უკვე შორეული, მისი ნაშრომის „მემუარი ინდოევროპული ენების ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ“ გამოქვეყნების ხანა.

იძულებული ვაგხდით ამ სამი სალექციო კურსის მსმენელთა ჩანაწერებით დავკმაყოფილებულიყავით. საკმაოდ სრული კონსპექტები მოგვანოდეს პირველი ორი კურსის მსმენელებმა: ლეი კაიმ, ლეოპოლდ გოტიემ, პოლ რეგარმა და ალბერ რიდლინგერმა; მესამე და უმთავრესი კურსის მსმენელებმა: ქ-ნმა ალბერ სემემ, ბატონმა ჟორჟ დეგალიემ და ფრანსის ჟოზეფმა. ერთ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული ჩანაწერები მოგვანოდა ბ-მა ლუი ბრიუტაშმა. დიდ მადლობას მოვასხენებთ ყოველ მათგანს. დიდ მადლობას მოვასხენებთ, აგრეთვე, ცნობილ

რომანისტს, ჟიულ რონჟას, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა პუბლიკაციამდე გაცნობოდა ხელნაწერს და ყურადსაღები შენიშვნები მოგვანოდა.

როგორ უნდა გამოგვექვეყნებინა ეს მასალა? უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო კრიტიკული ანალიზის ჩატარება: უნდა შეგვეჯერებინა ყოველი ლექციისა თუ მისი დეტალის ვერსიები, ჩავწვდომოდით აზრს, რომლის მხოლოდ ანარეკლიდა შემოგვრჩენოდა, თანაც, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი. პირველ ღრ კურსთან დაკავშირებით ვითანამშრომლეთ ა. რიდლინგერთან, რომელიც ერთი იმ მონაფეთაგანი იყო, რომელიც უდიდესი ინტერესით მიჰყვებოდა თავისი მასწავლებლის აზრთა მსვლელობას. ამ თვალსაზრისით, მისმა ნაშრომმა უდიდესი სამსახური გაგვინია. მესამე კურსის ვერსიები შეადარა და გულმოდგინედ დაამუშავა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა — ა. სეშემ.

დიდი სირთულეები შეგვიქმნა ზეპირმეტყველების ენამ, რომელიც ხშირად მნიგნობრულს ენინაღმდეგება. თანაც, ფ. დე სოსიური სიახლის მოყვარულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. მისი აზროვნება ყოველი მიმართულებით იშლებოდა, თან საკუთარ თავს არასოდეს ღალატობდა. შეუძლებელი იყო ყოველივე ეს დედნის ფორმით გამოგვექვეყნებინა; თავისუფალი თხრობისთვის დამახასიათებელი გამოვლენები, მონაცვლეობა, განსხვავებული ფორმულირებები პუბლიკაციას არაერთგვაროვან სახეს შესძენდა. რომელიმე ერთი კურსით შემოფარგვლა — რომლით? — ნიგნს გააღარიბებდა, იმ სიმდიდრეს ჩამოაცლიდა, რომელიც უხვად იყო გაბნეული დანარჩენ ორში; ცალკე აღებული მესამე, საბოლოო კურსიც კი ვერ შექმნიდა სრულყოფილ ნარმოდგენას ფ. დე სოსიურის თეორიებსა და მეთოდებზე.

გვირჩიეს, შინაარსობრივად ყველაზე ორიგინალური ფრაგმენტები შემორჩენილი სახით გამოგვექვეყნებინა. თავიდან ეს აზრი მოგვენონა, მაგრამ მალე დაფრნმუნდით, რომ მისი განხორციელება დაამახინჯებდა ჩვენი მასწავლებლის მოსაზრებებს. ფრაგმენტული სახით წარმოადგენდა იმას, რასაც ჭეშმარიტი ღირებულება მხოლოდ მთლიანობაში ჰქონდა.

ვფიქრობთ, საკმაოდ გაბედული, მაგრამ გონივრული გადაწყვეტილება მივიღეთ: გადავწყვიტეთ, III კურსის საფუძველზე მოგვეხდინა რეკონსტრუქცია, სინთეზი, გამოგვექვეყნებინა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა ფ. დე სოსიურის პირადი ჩანაწერების ჩათვლით. ეს ძალზე რთული იყო, რადგან საქმე ისეთი ნაშრომის აღდგენას ეხებოდა, რომელიც სავესებით ობიექტური უნდა ყოფილიყო; უნდა ჩავწვდომოდით ყოველი საკითხის აზრის სიღრმეს, დაგვენახა მისი საბოლოო სახე ერთიან სისტემაში, ჩამოგვეშორებინა ნაკითხული ლექციისათვის დამახასიათებელი ვარიაციები და მერყეობა, მოგვეძებნა მისი ბუნებრივი ადგილი, ავტორისეული ხედვის შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოგვედგინა ყველა შემადგენელი ნაწილი, მაშინაც კი, როცა ეს ხედვა ამოსაცნობი იყო.

ცალკეული ვერსიების გაერთიანებისა და რეკონსტრუქციის საფუძველზე შეიქმნა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მორიდებით გამოგვაქვს სამეცნიერო წრეებისა და ლინგვისტიკის მეგობართა სამსჯავროზე.

ჩვენი ძირითადი მიზანი იყო აღგვედგინა ორგანული მთლიანობა, ისე, რომ არ უგულვებელგვეყო არაფერი, რაც ხელს შეუწყობდა ერთიანი მთელის შთაბეჭდილების შექმნას. თუმცა, შესაძლოა სწორედ ამის გამო, ორმხრივი კრიტიკაც დავიმსახუროთ.

შეიძლება გვისაყვედურონ, რომ ეს „მთლიანობა“ არასრულია. მაგრამ, ჩვენს მასწავლებელს ხომ არასოდეს ჰქონია ლინგვისტიკის ყველა სფეროს ერთნაირად განხილვისა და გაშუქების პრეტენზია. ფაქტიურად, მას ეს არც შეეძლო და სხვა საზრუნავიც ჰქონდა. ხელმძღვანელობდა რა მის მიერვე შემუშავებული ძირითადი პრინციპებით, რომლებითაც გაჯერებულია მისი ნაშრომი, და რომლებიც მყარ და ნაირგვარ საფუძველს ქმნიან, იგი, ძირითადად, სიღრმისეულად მუშაობდა და ზედაპირზე მხოლოდ მაშინ ამოდიოდა, როცა ამ პრინციპების გამოყენების განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობები ეძლეოდა, ან როცა ისინი საპირისპირო თეორიებს ეჯახებოდნენ.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგი დისციპლინა, მაგ. სემანტიკა გაკვრითაა განხილული. ვფიქრობთ, ეს ლაკუნები ზიანს არ აყენებენ ზოგად აგებულებას. განსაკუთრებით იგრძნობა „მეტყველების ლინგვისტიკის“ არარსებობა. III კურსის მსმენელთათვის დანაპირები ეს ნაწილი უთუოდ საპატიო ადგილს დაიკავებდა მომავალ ლექციებზე. ძალიან კარგად ვიცი, რამ შეუშალა ხელი ამ დანაპირების შესრულებას. ჩვენ მხოლოდ შევეკრიბეთ და ბუნებრივი ადგილი მივუჩინეთ ამ ოდნავ გამოკვეთილ პროგრამას; მეტის გაკეთება ჩვენ არ შეგვეძლო.

მეორე მხრივ, შეიძლება გვისაყვედურონ, რომ ნიგნში შევიტანეთ ზოგი, ჯერ კიდევ ფ. დე სოსიურამდე კარგად ცნობილი ფაქტი. შეუძლებელია ესოდენ ვრცელი საკითხის განხილვისას ყველაფერი ერთნაირად ახალი იყოს. მაგრამ, თუ ზოგი უკვე ცნობილი დებულება აუცილებელია მთელის გასაგებად, ნუთუ მათ მოტანას გვისაყვედურებენ? მაგ. თავი ფინოლოგიური ცვლილებების შესახებ შეიცავს სხვათა მიერ უკვე გამოთქმულ და შესაძლოა უფრო გადაჭრით გამოთქმულ მოსაზრებებს; გარდა იმისა, რომ ეს თავი მრავალ ორიგინალურ და ფასეულ დეტალს შეიცავს, თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა, რაოდენ დააზარალებდა მისი ამოღება იმ პრინციპების წვდომას, რომლებზედაც ფ. დე სოსიურმა თავისი სტატიკური ლინგვისტიკის სისტემა ააგო.

კარგად გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა სამეცნიერო კრიტიკისა და თავად ავტორის წინაშე, რომელიც, შესაძლოა, ამ გვერდების გამოქვეყნებაზე არც დაგვთანხმებოდა.

ჩვენ მთლიანად ვკისრულობთ ამ პასუხისმგებლობას და გვსურს იგი მხოლოდ ჩვენ დაგვეკისროს. შესძლებენ კი ჩვენი კრიტიკოსები განასხვავონ მასწავლებელი და მისი ინტერპრეტატორები? მადლობელი დავრჩებით, თუ თავიანთ დარტყმას მხოლოდ ჩვენ მოგვაყენებენ — უსამართლობა იქნებოდა ეს დარტყმა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის ხსოვნას რომ მიაყენონ.

შ. ბალი, ალბ. სეშემ

II გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე II გამოცემა I გამოცემასთან შედარებით არსებით ცვლილებებს არ შეიცავს. გამომცემლებმა მხოლოდ ჩაასწორეს ზოგი საკითხის დეტალები, რომლებიც რედაქციას უფრო ნათელსა და ზუსტს ხდიან.

მ. ბალი, ალბ. სეშე

III გამოცემის წინასიტყვაობა

რამდენიმე უმნიშვნელო ჩასწორების გარდა, წინამდებარე გამოცემა მთლიანად იმეორებს წინას.

მ. ბალი, ალბ. სეშე

შესავალი

თავი I

ენათმეცნიერების ისტორიის მოკლე მიმოხილვა

მეცნიერებამ ენის შესახებ სამი თანმიმდევრული ფაზა განვლო, სანამ თავის ერთადერთ და ჭეშმარიტ საგანს მიაგნებდა.

თავდაპირველად, ე.წ. „გრამატიკა“ შეადგინეს. ბერძენთაგან წამოწყებული ეს საქმე, რომელიც უმთავრესად ფრანგებმა განაგრძეს, ლოგიკაზე იყო დაფუძნებული, მოკლებული იყო ყოველგვარ მეცნიერულ ცოდნას და თავად ენა არ აინტერესებდა. მისი მიზანი მხოლოდ სწორი და უმართებულო ფორმების გამმიჯვნელი წესების დადგენაში მდგომარეობდა. ეს ნორმატიული დისციპლინა შორს იყო წმინდა დაკვირვებისაგან და ვინრო თვალსაწიერი გააჩნდა.

შემდეგ წარმოიშვა ფილოლოგია. ალექსანდრიაში უკვე არსებობდა „ფილოლოგიური სკოლა“, მაგრამ ეს ტერმინი, ძირითადად, ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფის მიერ 1777 წლიდან შექმნილ იმ მეცნიერულ მიმართულებას უკავშირდებოდა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას. ეს ფილოლოგიის ერთადერთი საგანი როდია. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ტექსტის დადგენას, განმარტებასა და კომენტარებს. ყოველივე ამას ფილოლოგია ლიტერატურის ისტორიის, ყოფისა და ადათების შესწავლამდე მიჰყავს. იგი ყველაფრის მიმართ საკუთარ მეთოდს, წყაროების კრიტიკას იყენებს. ლინგვისტურ საკითხებს მხოლოდ იმ მიზნით ეხება, რომ შეადაროს სხვადასხვა ეპოქის ტექსტები, განსაზღვროს ამა თუ იმ ავტორისათვის დამახასიათებელი ენა, გაშიფროს და ახსნას არქაულ თუ ნაკლებად ცნობილ ენებზე შედგენილი წარწერები. უეჭველია, რომ ასეთმა გამოკვლევებმა ჩაუყარეს საფუძველი ისტორიულ ენათმეცნიერებას. რიჩლის ნაშრომებს პლავტუსის შესახებ უკვე შეიძლება ენათმეცნიერული ენოდოს; მაგრამ, ამ სფეროში ფილოლოგიურ კრიტიკას ერთი ნაკლი აქვს: იგი მიჯაჭვულია წერილობით ენაზე და ცოცხალი ენა კი ავიწყდება, ამასთანავე, მთლიანად ეფლობა ბერძნულ თუ ლათინურ ანტიკურობაში.

მესამე პერიოდი ენების ურთიერთშედარების შესაძლებლობის აღმოჩენას უკავშირდება. ასე წარმოიშვა შედარებითი ფილოლოგია ანუ „შედარებითი გრამატიკა“. 1816 წ. ფრანც ბოპმა ნაშრომში „სანსკრიტის უღლების სისტემის შესახებ“ ის მიმართებანი გამოიკვლია, რომლებიც სანსკრიტს გერმანიკულ, ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებთან აკავშირებდა. ბოპი არ იყო პირველი, ვინც ეს მიმართებები შენიშნა და გამოთქვა ვარაუდი ამ ენათა ერთი ოჯახიდან წარმომავლობის შესახებ. მასზე ადრე ეს დაადგინა

ინგლისელმა ორიენტალისტმა ვ. ჯონსმა (+1794), მაგრამ ცალკეული მტკიცებები არასაკმარისი იყო იმისათვის, რომ მას 1816 წ. ყველასათვის გასაგები გაეხადა ამ ქვეშარიტების არსი და მნიშვნელობა. ბოპის დამსახურება სანსკრიტისა და ევრაზიის ზოგიერთი ენის ნათესაობის დადგენაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის გაგებაში, რომ შესაძლებელია ისეთი დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობა, რომლის კვლევის ობიექტი მონათესავე ენათა შორითიერთმიმართებანი იქნება. ერთი ენის გაშუქება მეორე ენის საშუალებით, ერთი ენის ფორმების ახსნა მეორე ენის ფორმებით, აი რა იყო ახალი.

საეჭვოა ბოპს თავისი მეცნიერება შეექმნა, სანსკრიტი რომ არ ყოფილიყო აღმოჩენილი, ყოველ შემთხვევაში, ასე მოკლე დროში. ბერძნულისა და ლათინურის გვერდით მესამე დამონებების სახით მოვლენილი სანსკრიტი მას უფრო ფართო და სერიოზული დაკვირვების საშუალებას აძლევდა. ეს უპირატესობა იმ მოულოდნელმა გარემოებამაც გააღრმავა, რომ სანსკრიტს განსაკუთრებით ხელსაყრელი თვისებები აღმოაჩნდა ამ შედარებისთვის შუქის მოსაფენად.

მაგალითად, თუ გავითვალისწინებთ ლათინური genus და ბერძნული γένος ფორმათა ბრუნვების პარადიგმას (ლათინური ფორმები — genus, generis, genere, genera, generum და ა.შ., ბერძნული — γένος, γένεος, γένει, γέnea, γενέω და ა.შ.), ცალკე თუ ერთმანეთთან მიმართებაში აღებული ეს მწკრივები თავისთავად, რაიმე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევიან. მაგრამ, როგორც კი მათ სანსკრიტის შესაბამის სერიას (śanas, śanasas, śanasi, śanassu, śanasām და ა.შ.) დაეუმატებთ, საქმე სხვაგვარად შემობრუნდება. თვალის ერთი გადავლება კი მარა ლათინურსა და ბერძნულ პარადიგმებს შორის არსებული მიმართების შესამჩნევად. თუ დავუშვებთ, რომ śanas პირველადი ფორმაა (რაც ახსნაში გვეხმარება), დავასკვნით, რომ ბერძნულ ფორმებში, მაგ. γένε(ς)ოს და ა.შ. ყველა შემთხვევაში ორ ხმოვანს შორის მოქცეული s დაიკარგებოდა. შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ანალოგიურ პირობებში, ლათინურ ენაში s r-ში გადადიოდა. გრამატიკის თვალსაზრისით სანსკრიტის პარადიგმა ინდოევროპული ძირის ცნებას აზუსტებს, რამდენადაც ეს ელემენტი სანსკრიტში სრულიად განსაზღვრულსა და მედეგ ერთეულს (śanas-) შეესაბამება. სანსკრიტში წარმოდგენილი ეს ვითარება ლათინურისა და ბერძნულისთვის მხოლოდ სანყის ეტაპზე იყო დამახასიათებელი. ამრიგად, ამ შემთხვევებში სანსკრიტის ჩვენება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მან შემოგვინახა ყველა ინდოევროპული s. სხვა შემთხვევაში მან ნაკლებად დაიცვა საერთო პროტოტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სანსკრიტმა თავდაყირა დააყენა მთელი ხმოვანთა სისტემა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ შენარჩუნებული პირველადი ელემენტები დიდად უწყობენ ხელს კვლევას. შემთხვევის წყალობით სანსკრიტი ისეთ ენად მოგვევლინა, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, შესანიშნავად შეუძლია ახსნას სხვა ენათა მოვლენები.

ბოპს იმთავითვე მხარში ამოუდგნენ ცნობილი ენათმეცნიერები —

გერმანისტული მეცნიერებების ფუძემდებელი იაკობ გრიმი (მისი „გერმანული ენის გრამატიკა“ 1819-37 წწ დაისტამბა), ა. ფ. პოტი, რომლის ეტიმოლოგიურმა ძიებებმა ყურადსაღები მასალა მოუპოვა ენათმეცნიერებას; ადალბერტ კუნი, რომლის შრომებიც ერთდროულად შედარებით ენათმეცნიერებასა და შედარებით მითოლოგიას ეხება; ინდოლოგები — ბენფეი და აუფრეხტი და სხვანი.

ამ სკოლის უკანასკნელ წარმომადგენელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მაქს მიულერი, გეორგ კურციუსი და ავგუსტ შლაიხერი. თითოეულმა მათგანმა თავისებური, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შედარებით ენათმეცნიერებაში. მაქს მიულერი კომპარატივისტიკის პოპულარიზაციას ენეოდა თავის შესანიშნავ ლექციებში („ლექციები ენის შესახებ“, 1861, ინგლ. ენაზე). აღსანიშნავია, რომ მას მოჭარბებული კეთილსინდისიერება არ ახასიათებდა. ცნობილი ფილოლოგი კურციუსი, რომელიც უმთავრესად „ბერძნული ენის ეტიმოლოგიური პრინციპებით“ (1879) არის ცნობილი, ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შედარებითი გრამატიკისა და კლასიკური ფილოლოგიის მორიგებას ცდილობდა. საქმე ისაა, რომ კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენლები უნდობლად ეკიდებოდნენ ახალშექმნილ მეცნიერებას და ეს მეცნიერებაც უნდობლობითვე პასუხობდა მათ. შლაიხერი პირველი შეეცადა განეზოგადებინა ცალკეულ გამოკვლევათა შედეგები. მისი „ინდო-გერმანიკული ენების შედარებითი გრამატიკის კომპენდიუმი“ (1861) ბოპის მიერ დაფუძნებული მეცნიერების ერთგვარ სისტემატიზაციას წარმოადგენს. ეს წიგნი წლების მანძილზე დიდ სამსახურს უწევდა მეცნიერებს და ყველაზე უკეთ წარმოგვიდგენდა იმ კომპარატივისტული სკოლის სახეს, რომელიც ინდოევროპული ენათმეცნიერების პირველ საფეხურს წარმოადგენდა.

თუმცა ამ სკოლამ ახალი და ნაყოფიერი საკვლევი ნიადაგი აღმოაჩინა, ქვეშარიტი ლინგვისტური მეცნიერების შექმნა მაინც ვერ შესძლო. ის არც ცდილა გამოევილინა თავისი საკვლევი საგნის ბუნება, ურომლისოდაც მეცნიერებს საკუთარი მეთოდის შემუშავება არ შეუძლიათ.

შედარებითი გრამატიკის მთავარი შეცდომა, რომელიც ჩანასახშივე შეიცავდა ყველა სხვა შეცდომებს, ის იყო, რომ მხოლოდ ინდოევროპული ენებით შემოფარგლული კვლევისას შედარებითი გრამატიკის წინაშე არასოდეს წამოიჭრებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ რას შეესატყვისებოდა მათ მიერ წარმოებული შეპირისპირებანი, რას ნიშნავდა მათ მიერ აღმოჩენილი მიმართებები. იმის ნაცვლად, რომ ისტორიული ხასიათისა ყოფილიყო, შედარებითი გრამატიკა ოდენ კომპარატივული მეცნიერება იყო. ცხადია, შედარება ყოველგვარი ისტორიული რეკონსტრუქციის აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი, თავისთავად, დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ამგვარად, კომპარტივისტებს ხელიდან უსხლტებოდათ დასკვნები, რადგან ისინი ორი ენის განვითარებას ისევე განიხილავდნენ, როგორც ბუნებისმეტყველი განიხილავს ორი მცენარის ზრდას. მაგალითად, შლაიხერი, რომელიც მუდამ ინდოევროპული ენიდან ამოსვლისკენ მოუწოდებდა და გარკვეული თვალსაზრისით ისტორიზმის მომხრეც იყო, უყოყმანოდ აცხა-

დებდა, ბერძნული ე და ი ვოკალიზმის ორი „საფეხური“ . სანსკრიტის ხმო-
ვანთა მონაცვლეობის სისტემა წარმოშობს შეხედულებას ამგვარი საფე-
ხურების შესახებ. დაუშვარა, რომ განვითარება ამ საფეხურის შესაბამისად,
ყოველ ენაში განცალკევებულად და ერთმანეთის პარალელურად ხდება,
ისევე, როგორც ერთი სახეობის მცენარეები ერთმანეთისგან დამოუკიდებ-
ლად გადიან განვითარების ერთსა და იმავე ფაზებს, შლაიხერი ბერძნულ ო-
ში e-ს გაძლიერებულ საფეხურს ხედავდა, ხოლო სანსკრიტის -ā ში, ā-ს
გაძლიერებულ საფეხურს. სინამდვილეში, ყველაფერი დაიყვანება
ინდოევროპული ენების ბგერათა მონაცვლეობაზე, რომელიც ბერძნულსა და
სანსკრიტში სხვადასხვაგვარად აისახება. ამასთანავე, აუცილებელი არაა,
რომ ამ მოვლენამ ორსავე ენაში ერთნაირი გრამატიკული შედეგები მოგვცეს
(იხ. გვ. 165).

ეს წმინდა კომპარატივისტული მეთოდი იწვევდა მთელ რიგ მცდარ
კონცეფციებს, რომელთაც რეალურად არაფერი შეესაბამებოდა და უცხონი
არიან იმ სიტუაციისათვის, რომელშიაც ხორციელდება ნებისმიერი
სამეცყველო ქმედება. კომპარატივისტები ენას განსაკუთრებულ სფეროდ,
ბუნების მეოთხე საუფლოდ განიხილავდნენ. ამითაა შეპირობებული
მსჯელობის ისეთი ხერხები, რომლებიც ნებისმიერ სხვა მეცნიერებაში გაო-
ცებას გამოიწვევდა. დღეს შეუძლებელია წაიკითხოთ იმ დროს დაწერილი
რვა-ათი სტრიქონი და არ გაგაოცოთ აზროვნების უცნაურობამ და ამ
უცნაურობის გასამართლებლად მოხმობილმა ტერმინებმა.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ შეცდომების გაცნობა
ინტერესმოკლებული არაა. მეცნიერების შეცდომები მის საწყის ეტაპზე იმ
შეცდომათა გადიდებული სურათია, რომლებსაც ცალკეული პიროვნებები
მეცნიერული კვლევის დაწყებისას უშვებენ. და ჩვენც, თხრობის პროცესში
მიგითითებთ ზოგ ასეთ შეცდომას.

მხოლოდ 1870 წ. დაინტერესდნენ ენათა არსებობის პირობებით.
შენიშნეს, რომ შესატყვისობები, რომლებიც ენებს ახასიათებს, ენობრივი
ფენომენის ერთგვარი ასპექტია და რომ შედარება მხოლოდ და მხოლოდ
საშუალებაა, ფაქტების აღდგენის მეთოდი.

ენათმეცნიერება, რომელიც სათანადო ადგილს მიუჩენს კომპარა-
ტივისტიკას, რომანული და გერმანიკული ენების შესწავლის საფუძველზე
წარმოიშვა. ფ. დიცის გამოკვლევებმა რომანისტიკაში, — მისი „რომანული
ენების გრამატიკა“ 1836-38 წწ თარიღდება, — განსაკუთრებით შეუწყო ხელი
ენათმეცნიერების მიახლოებას მის ნამდვილ საგანთან. რომანისტიკები,
ინდოევროპული ენის მკვლევართაგან განსხვავებით, პრივილეგირებულ
მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან ისინი იცნობდნენ რომანულის
პროტოტიპს — ლათინურ ენას. ამასთანავე, უხვი დოკუმენტური წყაროები
მათ საშუალებას აძლევდა დეტალურად შეესწავლათ ცალკეული ენების
განვითარება. ეს ორი გარემოება ვარაუდების სფეროს ავიწროებდა და
კვლევას კონკრეტულ ხასიათს აძლევდა. ანალოგიურ მდგომარეობაში
აღმოჩნდნენ გერმანისტიკებიც. თუმცა პროტოგერმანიკული ენა უცნობი იყო,
უთვალავი დოკუმენტური წყაროს საშუალებით შეიძლებოდა საუკუნეების

მანძილზე თვალი გაგვედევნებინა მისგან განვითარებული ენებისთვის.
ამიტომაც, რეალობასთან უფრო ახლოს მდგომი გერმანისტიკები პირველ
ინდოევროპელთაგან განსხვავებულ კონცეფციამდე მივიდნენ.

პირველი ბიძგი ეკუთვნის ამერიკელ ვ. უიტნის, „ენის სიცოცხლის“
ავტორს (1875). მალე შეიქმნა ნეოგრამატიკოსების ახალი სკოლა, რომელსაც
გერმანელები კ. ბრუგმანი, პ. ოსტოფი, გერმანისტიკები — ვ. ბრაუნე, ე.
ზივერსი, პ. პაული, სლავისტი ლესკინი და სხვანი მეთაურობდნენ. მათი
დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ შედარების შედეგები ისტორიულ
პერსპექტივაში გადაიტანეს და ამის ნყალობით, მოვლენები მათი ბუნებრივი
რიგით განალაგეს. ამის შედეგად, ენა განხილულ იქნა არა როგორც
თვითგანვითარებადი ორგანიზმი, არამედ როგორც ენობრივი ჯგუფების
კოლექტიური გონის პროდუქტი. იმასაც მიხვდნენ, თუ რაოდენ მცდარი და
არასაკმარისი იყო ფილოლოგიისა და შედარებითი გრამატიკის იდეები. ამ
სკოლის დიდი დამსახურების მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ მან სრულად
მოჰფინა შუქი პრობლემას. ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი
პრობლემები დღესაც გადაუჭრელია.

- 52832 - 95226



**ენათმეცნიერების საგანი და ამოცანები; მისი მიმართება
მომიჯნავე მეცნიერებაებთან**

ენათმეცნიერების საგანი უპირველეს ყოვლისა ადამიანის სამეტყველო ქმედების მანიფესტაციაა, იქნება იგი პირველყოფილი თუ ცივილიზებული ხალხების ენა, არქაული, კლასიკური თუ დეკადანსის ეპოქისა. იგი ყოველი პერიოდისათვის არა მხოლოდ მართებულ და „დახვეწილ“ მეტყველებას, არამედ გამოხატვის ყველა ფორმას მოიცავს. ამას გარდა, რამდენადაც სამეტყველო ქმედება ხშირად უშუალო დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი არაა, ენათმეცნიერმა წერილობით ძეგლებს, როგორც ერთადერთ წყაროს, უნდა მიმართოს. ისინი გააცნობენ მას წარსულისა და ტერიტორიულად დამორებული ენების მეტყველებას.

ენათმეცნიერების ამოცანა:

ა. აღწეროს და ისტორიულად შეისწავლოს ყველა ხელმისაწვდომი ენა, რაც საშუალებას მისცემს დაადგინოს ენათა ოჯახების ისტორია და შესაძლებლობის ფარგლებში ადადგინოს მათი წინარე ენები.

ბ. გამოიკვლიოს ყველა ენაში უნივერსალურად და მუდმივად მოქმედი ფაქტორები და დაადგინოს ის ზოგადი კანონები, რომლებზედაც დაიყვანება ამ ენათა ისტორიის ცალკეული მოვლენები.

გ. განსაზღვროს თავისი კვლევის ობიექტი და მისი საზღვრები.

ენათმეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს სხვა მეცნიერებებთან, რომლებიც მას ხან დაესესხებიან, ხანაც პირიქით, მიანვდიან ხოლმე მასალას. მათ შორის არსებული მიჯნა ყოველთვის მკაფიო არაა. მაგალითად, ენათმეცნიერება მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ეთნოგრაფიისა და წინარე-ისტორიისაგან, რომელთათვისაც ენა მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტია. ენა უნდა გაიმიჯნოს ანთროპოლოგიისგანაც, რომელიც ადამიანს, როგორც ზოოლოგიურ სახეობას შეისწავლის, ენა კი სოციალური მოვლენაა. არის თუ არა ენა სოციოლოგიის საგანი? რა ურთიერთმიმართებაა ენათმეცნიერებასა და სოციალურ ფსიქოლოგიას შორის? ენაში არსებითად, ყველაფერი ფსიქოლოგიურია, მისი მატერიალური და მექანიკური გამოვლინებებიც, როგორიცაა მაგალითად, ბგერათა ცვლილებები. თუკი ენა ასეთ ძვირფას მასალას აწვდის სოციალურ ფსიქოლოგიას, ისინი ერთ მთლიანობას ხომ არ წარმოადგენენ? აქ მხოლოდ გაკვრით შევხებით ამ საკითხებს, დანვრილებით მათ ქვემოთ მივუბრუნდებით.

ძნელი დასადგენი არაა ენათმეცნიერებასა და ფიზიოლოგიას შორის არსებული მიმართება. ეს მიმართება ცალმხრივია, რამდენადაც ენების შესწავლა მოითხოვს ცნობებს ბგერათა ფიზიოლოგიის შესახებ, ენათმეცნი-

ერება კი თავის მხრივ არაფერს არ აწვდის ფიზიოლოგიას. ყოველ შემთხვევაში, ამ ორი დისციპლინის აღრევა დაუშვებელია. ენის არსი, როგორც ვნახავთ, ენობრივი ნიშნის ბგერით ხასიათთან არაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ფილოლოგიას, როგორც ვიცით, შეხების წერტილებისა და ურთიერთსამსახურის მიუხედავად, იგი მკვეთრად განსხვავდება ენათმეცნიერებისაგან.

რაში მდგომარეობს ენათმეცნიერების პრაქტიკული ღირებულება? აქ ამაზე მსჯელობის ადგილი არაა, მაგრამ აშკარაა, რომ ლინგვისტური საკითხები აინტერესებს ყველას, ვისაც საქმე აქვს ტექსტებთან, იქნება იგი ფილოლოგი, ისტორიკოსი თუ სხვა. კიდევ უფრო აშკარაა ენათმეცნიერების მნიშვნელობა ზოგადი კულტურისათვის: ენა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია როგორც ინდივიდთა, ისე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. დაუშვებელია, რომ მისი შესწავლა მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტის საქმედ იქცეს. მართლაც, ენით ყველა დაინტერესებულია. ამ საყოველთაო ინტერესის მიუხედავად, შედეგი პარადოქსულია: არ არსებობს მეცნიერების სხვა დარგი, რომელშიც უფრო მეტი აბსურდული იდეები, ცრურწმენები და ფიქციები წარმოქმნილიყოს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს ცთომილებანი გარკვეული ინტერესის მქონეა და ენათმეცნიერის ამოცანაა, უპირველეს ყოვლისა, გამოავლინოს და შეძლებისდაგვარად, საბოლოოდ აღმოფხვრას ისინი.

თავი III

ენათმეცნიერების საგანი

§1 ენა; ენის განსაზღვრა

რა არის ენათმეცნიერების ერთიანი და კონკრეტული საგანი? ეს განსაკუთრებით რთული კითხვაა და ქვემოთ დავინახავთ რატომ. აქ შევეცდებით მხოლოდ ჩავწვდეთ ამ სირთულეს.

მეცნიერების სხვა დარგებს აქვთ წინასწარ მოცემული საგანი და შეუძლიათ სხვადასხვა კუთხით მიუდგნენ მას. ჩვენს სფეროში კი მსგავსი არაფერია. ფრანგული სიტყვა *nu*-ს („შიშველი“) წარმოთქმისას ზედაპირული დამკვირვებელი შეეცდება მასში კონკრეტული ლინგვისტური ობიექტი დაინახოს. უფრო ყურადღებით დაკვირვება მასში თანმიმდევრულად აღმოაჩენს სამ-ოთხ აბსოლუტურად განსხვავებულ რასმეს, იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით განიხილავს მას: როგორც ბგერას, აზრის გამოხატვას თუ როგორც ლათინური *nūdum*-ის შესატყვისის და ა.შ. ობიექტი წინასწარ როდი განსაზღვრავს თვალსაზრისს, პირიქით, თვით თვალსაზრისი ქმნის ობიექტს. თანაც, არაფერი მიგვითითებს იმაზე, რომელი მათგანია უფრო პირველადი თუ სრულყოფილი.

მაგრამ, როგორც არ უნდა მივიღოთ, ლინგვისტურ ფენომენს მაინც ურთიერთშესაბამისი და ურთიერთგანმსაზღვრელი ორი მხარე ექნება. მაგ.:

1. წარმოთქმული მარცვლები ყურით აღქმული აკუსტიკური შთაბეჭდილებებია, მაგრამ ბგერები ვოკალური ორგანოების გარეშე არ არსებობენ; ამრიგად, *n* არ იარსებებს ამ ორი ასპექტის (ავთენტურისა და არტიკულაციურის) შესატყვისობის გარეშე. არც ენის ბგერაზე დაყვანა შეიძლება, არც ბგერის მოწყვეტა სამეტყველო არტიკულაციისაგან. შესაბამისად, აკუსტიკური შთაბეჭდილების აბსტრაქტებით შეუძლებელია განვსაზღვროთ სამეტყველო ორგანოების მოძრაობები (იხ. გვ. 47).

2. დავუშვათ, ბგერა მარტივი რამ არის. ქმნის კი იგი სამეტყველო ქმედებას? არა, იგი მხოლოდ აზროვნების იარაღია და თავისთავად არ არსებობს. აქ წარმოიქმნება ახალი, სახიფათო შესატყვისობა: ბგერა, როგორც რთული აკუსტიკურ-ვოკალური ერთიანობა მნიშვნელობასთან ერთად რთულ მთლიანობას აყალიბებს. გარდა ამისა,

3. სამეტყველო ქმედებას ინდივიდუალური და სოციალური მხარეები გააჩნია, რომლებიც ერთმანეთის გარეშე ვერ გაიგება. და კიდევ,

4. ყოველ მოცემულ მომენტში, სამეტყველო ქმედება ერთდროულად გულისხმობს, როგორც დადგენილ სისტემას, ისე ევოლუციასაც. ყოველ ჯერზე იგი თანამედროვე წარმონაქმნიცაა და წარსულის პროდუქტიც. ერთი

შეხედვით, ძალზე მარტივია სისტემის გამოყოფა მისი ისტორიისგან, იმისა რაც არის, იმისაგან რაც იყო. სინამდვილეში კი, კავშირი მათ შორის ისე მჭიდროა, რომ ძალზე ძნელია მათი გამიჯვნა. ხომ არ გამარტივებოდა საკითხი, ლინგვისტური ფენომენი წარმოშობის პროცესში რომ გაგვეხილა? მაგალითად, ბავშვის მეტყველების შესწავლით რომ დავგვეწყო. არა, რადგან მცდარია აზრი, თითქოს სამეტყველო ქმედებასთან მიმართებით წარმოშობის პრობლემა განსხვავებული იყოს მუდმივი შეპირობებულობის პრობლემისაგან. ამრიგად, კვლავ ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ.

რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, ენათმეცნიერების ერთიან საგანს მთელი სისრულით ვერსად დავინახავთ: ან ყოველ პრობლემას ერთი მხრიდან მივუდგებით და ზემოაღნიშნულ ორმხრივ ბუნებას ვეღარ აღვიქვამთ, ანდა თუ ენას ერთდროულად მრავალი მხრიდან შევისწავლით, ენათმეცნიერების საგანი ერთმანეთთან დაუკავშირებელ ნაირსახოვან გროვად წარმოგვიდგება. ასეთი მიდგომა კარს უღებს მრავალ მეცნიერებას — ფსიქოლოგიას, ანთროპოლოგიას, ნორმატიულ გრამატიკას, ფილოლოგიასა და სხვ. — რომლებსაც ჩვენ მკვეთრად გავმიჯნავთ ენათმეცნიერებისაგან, მაგრამ რომლებსაც მეთოდოლოგიური შეცდომის წყალობით შეიძლება გაუჩნდეთ პრეტენზია, სამეტყველო ქმედება თავიანთი კვლევის ერთ-ერთ ობიექტად აქციონ.

ჩვენი აზრით, ამ სირთულეებიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია: თავიდანვე ენის პოზიციაზე უნდა დავდგეთ და მივიჩნიოთ იგი სამეტყველო ქმედების ყოველგვარი გამოვლინების ნორმად. მართლაც, ყოველგვარი ორმხრივი მოვლენებიდან მხოლოდ ენა იძლევა დამოუკიდებელი განსაზღვრის და საიმედო საყრდენის მოცემის საშუალებას.

რას წარმოადგენს ენა? ჩვენი აზრით, იგი არ ემთხვევა სამეტყველო ქმედებას საერთოდ. იგი მისი განსაზღვრული, თუმცა უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამავე დროს, ენა სოციალური პროდუქტი და იმ აუცილებელ პირობითობათა ერთობლიობაა, რომლებიც მიღებულია საზოგადოებრივი ორგანიზმის მიერ ცალკეულ ინდივიდებში განსახორციელებლად. მთლიანობაში აღებული, სამეტყველო ქმედება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. მიმდინარეობს რა ერთდროულად სხვადასხვა სფეროში — ფიზიკურსა, ფიზიოლოგიურსა და ფსიქიკურში — იგი ამასთანავე ინდივიდუალურ და სოციალურ სფეროებსაც ეკუთვნის. სამეტყველო ქმედება არ ექვემდებარება ადამიანური ყოფის მოვლენების არავითარ კლასიფიკაციას, რადგან მისთვის მთლიანობის მინიჭება შეუძლებელია. მისგან განსხვავებით, ენა მთლიანობა და კლასიფიკაციის საფუძველია. სამეტყველო ქმედების მოვლენათა შორის მისთვის პირველი ადგილის მიჩენით, ჩვენ ბუნებრივი რიგი შემოგვაქვს ამ ერთობლიობაში, რომელიც არავითარ სხვა კლასიფიკაციას არ ექვემდებარება.

კლასიფიკაციის ამ პრინციპის შესახებ შეიძლება გვითხრან, რომ სამეტყველო ქმედება ბუნებისგან ჩვენთვის მონიჭებულ მონაცემებს ემყარება, მაშინ როცა ენა არის შეთვისებული და პირობითი რამ. მაშასადამე, ენა ბუნებრივ ინსტინქტს ექვემდებარება და არ განსაზღვრავს მას.

აი, რა შეგვიძლია ვუპასუხოთ:

უპირველეს ყოვლისა, დამტკიცებული არაა, რომ სამეტყველო ქმედება არის ფუნქცია ლაპარაკის მომენტში, ე.ი. რომ ჩვენი სამეტყველო ორგანოები ისევეა წინასწარ გამიზნული სასაუბროდ, როგორც ფეხები გადასადგილებლად. ენათმეცნიერები ამ საკითხზე ვერ შეთანხმებულან. უიტნის აზრით, რომელიც ენას სოციალურ ინსტიტუტებთან ათანხმებებს, სამეტყველო ორგანოებს ჩვენ უბრალოდ, მოხერხებულობის გამო ვიყენებთ მეტყველების ინსტრუმენტად. ადამიანებს ასეთივე წარმატებით შეეძლოთ მიემართათ შესტებისთვის და აკუსტიკურის ნაცვლად ვიზუალური ხატებით ესარგებლათ. ეს დებულება ძალზე კატეგორიულად უღერს. ენა არ არის სხვა სოციალურ მოვლენათა ყოველმხრივ მსგავსი მოვლენა (იხ. გვ. 80, 82). უიტნი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ჩვენი სამეტყველო ორგანოების არჩევანი შემთხვევითია, რომ იგი ჩვენ ბუნებამ მოგვახვია თავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითად საკითხში ამერიკელი ენათმეცნიერი სწორი უნდა იყოს: ენა პირობითობაა, არჩეული ნიშნის ბუნება კი ინდიფერენტული, ე.ი. სამეტყველო ორგანოების საკითხი მეტყველების პრობლემის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანია.

გარკვეული განსაზღვრა იმისა, რასაც დანაწევრებულ მეტყველებას ვუნოდებთ, ამ თვალსაზრისს გვიდასტურებს. ლათინურად *articulus* ნიშნავს „წვერს, ნაწილს, დანაყოფს“. სამეტყველო ქმედებაში არტიკულაცია შეიძლება აღნიშნავდეს ან გაბმული მეტყველების ჯაჭვის დაყოფას მარცვლებად, ან კიდევ მის დაყოფას მნიშვნელობის მქონე ერთეულებად. სწორედ ამ მნიშვნელობით ამბობენ გერმანულად *gegliederte Sprache*. ამ მეორე განსაზღვრის თანახმად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ადამიანისთვის ბუნებრივია არა მეტყველება, არამედ განსხვავებულ ცნებათა შესაბამისი, მნიშვნელობის განმასხვავებელ ნიშანთა სისტემის შექმნის უნარი.


ბროკამ აღმოაჩინა, რომ მეტყველების უნარი ლოკალიზებულია დიდი ტვინის მარცხენა ჰემისფეროს მარჯვენა ხვეულში. ამაზე დამყარებით სურდათ სამეტყველო ქმედებისთვის ბუნებრივი ხასიათი მიენერათ. მაგრამ, ცნობილია, რომ ეს ლოკალიზაცია ეკუთვნის ყველაფერს, წერის ჩათვლით, რაც მეტყველებას განეკუთვნება. ასეთი კონსტატაციების კავშირი ლოკალიზაციის ცენტრებთან აფაზიის სხვადასხვა ფორმასთან ერთად გვიჩვენებს: 1. რომ ზეპირი მეტყველების სხვადასხვა ხასიათის დარღვევა მჭიდროდ უკავშირდება წერილობით მეტყველებას. 2. აფაზიისა თუ აგრაფიის ნებისმიერ შემთხვევაში ცნობიერებაში სამეტყველო ქმედების მონესრიგებული ნიშნების გამოწვევის უნარი უფრო ირღვევა, ვიდრე ამა თუ იმ ბგერის წარმოქმნისა და გამოსახვის უნარი. ეს გვაფიქრებინებს, რომ სხვადასხვა ორგანოების ფუნქციების გარდა, არსებობს უფრო ზოგადი უნარი, რომელიც განაგებს ნიშნებს და რომელიც უმთავრესად, ენობრივ უნარს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კვლავ ზემოგამოთქმულ დასკვნამდე მივიღვართ.

მეტყველების შესწავლის პროცესში ენისათვის პრიორიტეტის მინიჭების მიზნით შეიძლება ის არგუმენტებიც მოვიშველიოთ, რომ სიტყვების წარმოქმნის ბუნებრივი თუ არაბუნებრივი უნარი მხოლოდ და მხოლოდ


კოლექტივის მიერ შექმნილი და მონოდებული იარაღის საშუალებით ხორციელდება. ე.ი. არაფერია განსაცვიფრებელი იმაში, რომ სწორედ ენა განაპირობებდეს მეტყველების ერთიანობას.

§2. ენის ადგილი სამეტყველო ქმედების მოვლენათა შორს

სამეტყველო ქმედებაში ენის შესაბამისი სფეროს გამოსაყოფად საჭიროა განვიხილოთ ინდივიდუალური მეტყველების აქტი, რაც ზოგადად, მეტყველების პროცესის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. ასეთი პროცესი სულ ცოტა, ორ ინდივიდს მაინც გულისხმობს. ეს აუცილებელი მინიმუმია მეტყველების სრული პროცესისათვის. დავუშვათ A და B პიროვნება ერთმანეთს ესაუბრება.



მეტყველების პროცესის ამოსავალი ნერტილი ერთი მათგანის, მაგ. A-ს ტვინშია, სადაც ცნობიერების მოვლენა, რომელსაც ჩვენ ცნებას ვუნოდებთ, ენობრივ ნიშნებსა თუ მათ გამომხატველ აკუსტიკურ ხატებს უკავშირდება. დავუშვათ, რომ მოცემული ცნება გონებაში შესაბამის აკუსტიკურ ხატებს წარმოქმნის. ეს წმინდა ფსიქიკური მოვლენაა, რომელსაც ფიზიოლოგიური პროცესი მოსდევს: თავის ტვინი სამეტყველო აპარატს ამ ხატის შესატყვის იმპულსს გადასცემს. შემდეგ, ბგერითი ტალღები A-ს პირიდან B-ს ყურამდე ვრცელდება: ეს წმინდა ფიზიკური პროცესია. ამის შემდეგ, კომუნიკაციის აქტი გრძელდება B-ში, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით: აკუსტიკური ხატის ფიზიოლოგიური გადაცემა ყურიდან თავის ტვინისაკენ. თავის ტვინში ხდება მისი ფსიქიკური ასოციაცია შესაბამის ცნებასთან. თუ ახლა B დაიწყებს ლაპარაკს, დაიწყება ახალი პროცესი — მისი თავის ტვინიდან A-ს თავის ტვინამდე — რომელიც ზუსტად პირველის ანალოგიური გზით და იმავე თანმიმდევრობით გაივლის ფაზებს. ეს ფაზები ასე გამოიხატება:



ჩვენს ანალიზს სისრულის პრეტენზია არა აქვს. შეიძლება გამოგვეყო კიდევ წმინდა აკუსტიკური შეგრძნება, მისი იდენტიფიკაცია ლატენტურ აკუსტიკურ ხატთან, მოტორული ხატები, განსხვავებით ბგერადობისაგან და ა.შ. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემა საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ ფიზიკური ელემენტები (ბგერითი ტალღები) ფიზიოლოგიურისა (ლაპარაკი, ბგერადობა და სმენა) და ფსიქიკურისაგან (სიტყვიერი სახეები და ცნებები). მთავარია, სიტყვიერი ხატები თვით ბგერაში არ აირიოს. იგი იმდენადვეა ფსიქიკური, რამდენადაც მასთან დაკავშირებული ცნება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეტყველების აქტი შეიძლება შემდეგნაირად დავყოთ:

ა. გარეგან ნაწილად (პირიდან ყურისკენ მიმავალ ბგერათა ვიბრაცია) და შინაგან ნაწილად, რომელიც ყოველივე დანარჩენს მოიცავს.

ბ. ფსიქიკურ და არაფსიქიკურ ნაწილებად, რომელთაგან მეორე მოიცავს როგორც მეტყველების ფიზიოლოგიურ ნაწილს, ისე ადამიანის მიღმა მიმდინარე ფიზიკურ მოვლენებს.

გ. აქტიურ და პასიურ ნაწილებად. აქტიურია ყველაფერი, რაც მომდინარეობს ერთ-ერთი მოსაუბრის ასოციაციური ცენტრიდან მეორის ყურამდე. პასიური კი ის, რაც მისი ყურიდან მისსავე ასოციაციურ ცენტრამდე მიდის.

და ბოლოს, თავის ტვინში ლოკალიზებულ ფსიქიკურ ნაწილში შეიძლება ეგზეკუციურად მივიჩნიოთ ყოველივე, რაც აქტიურია (ც→ხ) და რეცეპციულად ყოველივე ის, რაც პასიურია (ხ→ც).

ამას უნდა დავუმატოთ ასოციაციისა და კოორდინაციის უნარიც, რომელიც თავს იჩენს, როგორც კი საქმე იზოლირებულ ნიშნებს ადარ შეეხება. ეს უნარი უდიდეს როლს თამაშობს ენის, როგორც სისტემის ორგანიზაციაში (იხ. გვ. 129).

ამ როლის ბოლომდე გასაგებად საჭიროა დავცილდეთ ინდივიდუალურ სამეტყველო აქტს, რომელიც ენის ჩანასახშია და გადავიდეთ სოციალურ მოვლენაზე.

ენის საშუალებით დაკავშირებულ ინდივიდებს შორის დამყარდება რალაც გაშუალებული: ერთსა და იმავე ცნებებთან დაკავშირებით ყველანი,

სავსებით თუ არა დაახლოებით მაინც, ერთნაირ ნიშნებს წარმოქმნიან.

რაში მდგომარეობს ამ სოციალური კრისტალიზაციის საფუძველი? მეტყველების აქტის რომელ ნაწილებს ეხება იგი? სავარაუდოა, რომ ამ პროცესში ყველა ნაწილი ერთნაირად აქტიურად არ მონაწილეობს.

ფიზიკური ნაწილი შეიძლება ამთავითვე გამოვრიცხოთ. როცა ჩვენთვის უცხო ენაზე საუბარი გვესმის, ჩვენ აღვიქვამთ ბგერებს, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ვიგებთ ნათქვამს, სოციალური ფაქტის მიღმა ვრჩებით.

ერთგვარად, ფსიქიკური ნაწილიც სრული დატვირთვით არ მონაწილეობს მეტყველების აქტში. ეგზეკუციური მხარე ამჯერად არაა ჩარეული „კრისტალიზაციაში“, რადგან შესრულება არასოდეს ხდება კოლექტიურად. იგი მუდამ ინდივიდუალურია და მას ინდივიდი განაგებს. ჩვენ მას მეტყველებას (parole) ვუწოდებთ.

რეცეპტორული და კოორდინაციული უნარის საშუალებით მოლაპარაკე ინდივიდში ერთდროულად ყველასათვის გასაგები ანაბეჭდები ყალიბდება. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს სოციალური პროდუქტი იმისათვის, რომ ენა გამოიკვეთოს ყოველი დანარჩენისგან, რასაც ადგილი აქვს სამეტყველო აქტში? თუ ჩვენ შეგვიძლია მოვიცვათ ყოველ ინდივიდში დაგროვილი სიტყვიერი ხატების ერთობლიობა, მაშინ იმ საზოგადოებრივ კავშირთან მივალთ, რომელიც ენას შეადგენს. ენა არის შესაბამისი საზოგადოებრივი კოლექტივის ყოველი წევრის ცნობიერებაში მეტყველების პრაქტიკით დაგროვილი განძი. ან უფრო ზუსტად, ინდივიდთა ჯგუფის ცნობიერებაში პოტენციურად არსებული გრამატიკული სისტემაა. არც ერთ მათგანში ენა სრული სახით არაა წარმოდგენილი, სრული სახით იგი მხოლოდ კოლექტივშია.

ენისა და მეტყველების გამიჯვნით ერთმანეთისგან განვაცალკევებთ: 1. სოციალურსა და ინდივიდუალურს, 2. არსებობის დამატებითის, მეტნაკლებად შემთხვევითისაგან.

ენა მეტყველების ფუნქცია კი არ არის, არამედ პროდუქტია, ინდივიდის მიერ პასიურად რეგისტრირებული. იგი არასოდეს გულისხმობს განზრახვას და რეფლექსიაც მასში მხოლოდ კლასიფიკაციის დროს იჩენს თავს (გვ. 129).

მეტყველება პირიქით, ინდივიდუალური აქტია, რომელშიაც უნდა განვასხვავოთ: 1. კომბინაციები, რომლებითაც მოსაუბრე ენის კოდს იყენებს თავისი აზრის გამოსახატავად. 2. ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც მას ამ კომბინაციათა გამოვლენის საშუალებას აძლევს.

ჩვენ განვსაზღვრეთ საგნები და არა სიტყვები. ჩვენს მიერ დადგენილი განსაზღვრებები არ ზარალდებიან იმ ორაზროვანი ტერმინების გამო, რომლებიც სხვადასხვა ენაში ერთმანეთს შეესატყვისებიან. ასე მაგალითად, გერმანული Sprache შეესაბამება ფრანგულ langue-სა და language-ს; Rede დაახლოებით parole-ს შეესატყვისება, მაგრამ discourse-ის მნიშვნელობასაც იტევს. ლათინური sermo უფრო language-ია („სამეტყველო ქმედება“) და არა parole („მეტყველება“), ხოლო lingua ნიშნავს „ენას“. არც ერთი სიტყვა ზუსტად არ შეესაბამება ზემოთ მოტანილ რომელსამე ცნებას. ამიტომაც, სიტყვისათვის შემოთავაზებულ არავითარ განსაზღვრას აზრი არა აქვს. საგნების

განსაზღვრისას სიტყვიდან ამოსვლა უმართებულოა.

ენის მახასიათებლები შემდეგია:

1. სამეტყველო ქმედების ნაირგვარ ფაქტთა სიმრავლეში ენა სავსებით განსაზღვრული რამ არის. შეიძლება მისი ლოკალიზაცია მეტყველების წრედის გარკვეულ ნაწილში, კერძოდ იქ, სადაც აკუსტიკური ხატი ცნებას უკავშირდება. იგი წარმოადგენს სამეტყველო ქმედების სოციალურ მხარეს, რომელიც გარეგანდინდივიდისთვის და რომლის არც შექმნა და არც შეცვლა მას არ შეუძლია. ენა არსებობს მხოლოდ კოლექტივის წევრების გარკვეული შეთანხმების საფუძველზე. მეორე მხრივ, ინდივიდმა ენა რომ გამოიყენოს, ჯერ უნდა შეისწავლოს იგი. ბავშვი ენას თანდათანობით ითვისებს. ენა იმდენად დანაწევრებულია, რომ მეტყველების უნარს მოკლებული ადამიანიც კი ინარჩუნებს მას, რადგან იგებს მოსმენილ ენობრივ ნიშნებს.

2. მეტყველებისაგან განსხვავებული ენა წარმოადგენს ობიექტს, რომელიც დამოუკიდებლად შეიძლება იქნას შესწავლილი. ჩვენ მკვდარ ენებზე აღარ ვმეტყველებთ, მაგრამ შეგვიძლია შევისწავლოთ მათი ლინგვისტური ორგანიზმი. ენათმეცნიერება არათუ თავისუფლად აუვლის გვერდს მეტყველების ელემენტებს, არამედ მეტიც, იგი მხოლოდ ამ ელემენტების გარეშე არის შესაძლებელი.

3. თუ მეტყველება სხვადასხვაგვარია, ენა, ისე როგორც ჩვენ განსაზღვრეთ, თავისი ბუნებით ჰომოგენურია: ესაა ნიშანთა სისტემა, რომელშიაც არსებითი მხოლოდ აზრისა და აკუსტიკური ხატის კავშირია და ამასთანავე, ნიშნის ორივე კომპონენტი თანაბრად ფსიქიკურია.

4. ენა, თავისი ბუნებით, მეტყველებაზე ნაკლებ კონკრეტული ხასიათის როდია. ეს კი დიდად უწყობს ხელს მის კვლევას. თუმცა, ლინგვისტურ ნიშნებს ფსიქიკური ხასიათი აქვთ, ისინი აბსტრაქციებს არ წარმოადგენენ. კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე განმტკიცებული ასოციაციები, რომელთა ერთობლიობა ენას შეადგენს, წარმოადგენენ რეალობებს, რომლებსაც ადგილი აქვთ მიჩნეული თავის ტვინში. თუ მეტყველების პროცესის დეტალური ფოტოგრაფირება შეუძლებელია, ენობრივი ნიშნები, ასე ვთქვათ, ხელშესახებია, დამწერლობას შეუძლია დააფიქსიროს ისინი. რაც არ უნდა მოკლე იყოს სიტყვა, მისი წარმოთქმა კუნთების უამრავ მოძრაობას უკავშირდება, რაც ძნელი შესაცნობი და წარმოსადგენია. ენაში კი არაფერი არსებობს გარდა აკუსტიკური ხატისა, რომელიც შეიძლება გადმოიცეს გარკვეული, მუდმივი ვიზუალური ხატის საშუალებით. მართლაც, მეტყველებისთვის საჭირო მოძრაობათაგან აბსტრაქტირების გზით ყოველი აკუსტიკური ხატი, როგორც შემდგომ დავინახავთ, წარმოადგენს ელემენტთა თუ ფონმათა შეზღუდული რაოდენობების ჯამს, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელია აისახოს დამწერლობის ნიშნების შესაბამისი ოდენობით. ენასთან დაკავშირებული მოვლენების ფიქსაციის ეს შესაძლებლობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ლექსიკონსა და გრამატიკას შეუძლიათ ზუსტად ასახონ ენა. ენა აკუსტიკურ ხატთა საუნჯეა, დამწერლობა კი ამ გამოსახულებათა ხელშესახებ ფორმას უზრუნველყოფს.

გვ. ენის ადგილი ადამიანური ყოფის მოვლანათა შორის. სემიოლოგია

ენის ამ მახასიათებლებმა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლების აღმოჩენის საშუალება მოგვცეს. სამეტყველო ქმედების მოვლანათა ერთობლიობაში გამოკვეთილი ენა სამეტყველო ქმედებისგან განსხვავებით კლასიფიცირებადია ადამიანური ყოფის მოვლენათა შორის.

როგორც ვნახეთ, ენა სოციალური მოვლენაა, თუმცა იგი სხვა სოციალური ინსტიტუტებისგან, როგორცაა პოლიტიკური, იურიდიული და ა.შ. განსხვავდება მთელი რიგი თვისებებით. ენის სპეციფიკის გასარკვევად საჭიროა სხვა, ახალი რიგის ფაქტებს მოვუხმოთ.

ენა ცნებების გამომხატველ ნიშანთა სისტემაა. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება შევადაროთ დამწერლობას, ყრუ-მუნჯთა ანბანს, სიმბოლურ რიტუალებს, ზრდილობის ფორმულებს, სამხედრო სიგნალებსა და ა.შ., ოღონდ, ენა ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სისტემათა შორის.

დასაშვებია მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნიშანთა სისტემას სოციალური ცხოვრების ნიაღში. იგი სოციალური ფსიქოლოგიის, და აქედან გამომდინარე — ზოგადი ფსიქოლოგიის ნაწილსაც უნდა შეადგენდეს. ჩვენ მას „სემიოლოგიას“ ვუნოდებთ (ბერძნული *σημειον* — „ნიშანი“). იგი გაგვაცნობს რას წარმოადგენენ ნიშნები და რა კანონი მართავს მათ. ვინაიდან, ჯერჯერობით არ არსებობს მეცნიერების ასეთი დარგი, წინდაწინ არ შეიძლება ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნება იგი. მაგრამ, მას სრული უფლება აქვს იარსებოს და მისი ადგილი წინასწარვე განსაზღვრულია. ენათმეცნიერება მხოლოდ ნაწილია ამ ზოგადი მეცნიერებისა. სემიოლოგიის მიერ აღმოჩენილი კანონები გამოსადეგი იქნება ენათმეცნიერებაში და ამგვარად, ეს უკანასკნელი დაუკავშირდება ადამიანური ყოფის სხვა მოვლენების საკმაოდ კარგად განსაზღვრულ სფეროს.

სემიოლოგიის ზუსტი ადგილის განსაზღვრა ფსიქოლოგიის საქმეა. ენათმეცნიერებამ უნდა განსაზღვროს თუ რა აქცევს ენას განსაკუთრებულ სისტემად სემიოლოგიურ მოვლენათა ერთობლიობაში. ამ საკითხს ქვემოთ კვლავ მივუბრუნდებით. აქ მხოლოდ ერთს რასმე აღვნიშნავთ: ენათმეცნიერებისათვის ადგილის მიჩენა მეცნიერების სხვა დარგებს შორის იმიტომ შეუძელით, რომ სემიოლოგიას დაუკავშირეთ იგი.

რატომაა, რომ სემიოლოგია ჯერ კიდევ არაა აღიარებული საკვლევო ობიექტის მქონე დამოუკიდებელ მეცნიერებად? იმიტომ, რომ ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ: ერთი მხრივ, მხოლოდ ენას შეუძლია გაგვაცნოს სემიოლოგიის პრობლემა, მაგრამ, ამ პრობლემის სათანადოდ დასაყენებლად საჭიროა შესწავლილ იქნას თვით ენა თავის თავში, მას კი აქამდე უდგებოდნენ სხვა რისგანმე ამოსვლით, სხვა თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, არსებობს ფართო საზოგადოების სხვა, ზედაპირული შეხედულება. იგი ენაში მხოლოდ ნომენკლატურას (გვ.73) ხედავს, რაც გამოორიცხავს მისი ჭეშმარიტი ბუნების ყოველგვარ კვლევას.

არსებობს ფსიქოლოგიური თვალსაზრისიც, რომელიც ნიშნის მექა-

ნიზმს შეისწავლის ინდივიდში. ეს ყველაზე იოლი მეთოდია, მაგრამ იგი ინდივიდუალური მეტყველების აქტს არ სცილდება და ვერ აღწევს იმ ნიშნამდე, რომელიც თავისი ბუნებით სოციალურია.

მაშინაც კი, როცა ნიშნის სოციალური თვალსაზრისით შესწავლის საჭიროება შენიშნეს, ყურადღება გაამახვილეს ენის მხოლოდ იმ თვისებებზე, რომლებიც მას სხვა, ჩვენი ნებელობაზე მეტ-ნაკლებად დამოკიდებულ სოციალურ ინსტიტუტებთან აკავშირებს. ამრიგად, თუ უგულვებლევყოფთ იმ მახასიათებლებს, რომლებიც ზოგადად სემიოლოგიას, და კერძოდ, ენას მიეკუთვნება, მიზანი განზე დაგვრჩება. ნიშნის ძირითადი, ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად თვალსაჩინო თვისება ხომ ისაა, რომ იგი რამდენადმე თავს აღწევს როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ნებელობას.

ამრიგად, ეს თვისება ყველაზე მკაფიოდ მხოლოდ ენაში ვლინდება, მაგრამ იგი მულავნდება ნაკლებად შესწავლილ სფეროებში და ამიტომაც სემიოლოგიური მეცნიერების აუცილებლობა თუ განსაკუთრებული საჭიროება სათანადოდ არ გამოიკვეთება. ჩვენი თვის ლინგვისტური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, სემიოლოგიური პრობლემაა და ჩვენი მსჯელობაც ამ მნიშვნელოვანი ფაქტიდან იძენს აზრს. ენის ჭეშმარიტი ბუნების შესაცნობად უპირველესად უნდა ჩავწვდეთ, თუ რა აქვს მას საერთო იმავე რიგის სხვა სისტემებთან. ლინგვისტური ფაქტორები კი, რომლებიც ერთი შეხედვით ძალზე არსებითად გვესახებიან (მაგ. სამეტყველო აპარატის მოქმედება), მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ, რამდენადაც ისინი მხოლოდ გამოყოფენ ენას სემიოლოგიური სისტემების მთელი ერთობლიობისაგან.

აქედან გამომდინარე, ჩვენ არა მხოლოდ ენის პრობლემას ავხსნით, არამედ, ჩვენი აზრით, თუ რიტუალებს, ადათებსა და ა.შ. ნიშნებად მივიჩნევთ, მოვლენებიც ახალ შექმენარმოგვიდგებიან და აშკარად დავინახავთ მათი სემიოლოგიაში დაჯგუფებისა და ამ მეცნიერების კანონებით მათი ახსნის საჭიროებას.

თავი IV

ენისა და მეტყველების ლინგვისტიკა

ენის შესახებ მეცნიერებისათვის ჭეშმარიტი ადგილის მიჩენით სამეტყველო ქმედების შემსწავლელ მეცნიერებათა შორის, ენათმეცნიერების ადგილსაც განვსაზღვრავთ. სამეტყველო ქმედების შემადგენელი დანარჩენი ელემენტები თავისთავად ექვემდებარებიან ამ მეცნიერებას და სწორედ ამ დაქვემდებარების წყალობით, ენათმეცნიერების ყოველი დარგი თავის ბუნებრივ ადგილს პოულობს.

განვიხილოთ მეტყველებისთვის აუცილებელი ბგერების წარმოქმნა: თუ სამეტყველო ორგანოები ისევე გარეგანია ენისთვის, როგორც მორხეს ანბანისთვის მისი სიმბოლოების გადამცემი ელექტროაპარატები, ბგერადობა, ე.ი. აკუსტიკური ხატების რეალიზაცია სისტემასთან კავშირში არაა. ამ მხრივ, ენა შეიძლება შევადაროთ სიმფონიას, რომლის რეალობაც შესრულების მანერაზე არაა დამოკიდებული. შემსრულებელი მუსიკოსების მიერ დაშვებული შეცდომები ამ რეალობაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ.

ბგერადობისა და ენის ასეთი გამოიჯენის საპირისპიროდ შეიძლება მივუთითოთ ფონეტიკურ ტრანსფორმაციებზე, ანუ მეტყველებაში მიმდინარე ბგერათა ცვლილებებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ თვით ენის ბედზე. გვაქვს თუ არა უფლება ვამტკიცოთ ენის ამ მოვლენებისგან დამოუკიდებლად არსებობა? დიახ, გვაქვს, რადგან ეს უკანასკნელები მხოლოდ სიტყვების მატერიალურ სუბსტანციას ეხება. ეს მოვლენები, თუნდაც ეხებოდნენ ენასაც, როგორც ნიშანთა სისტემას, — ეხებიან არა უშუალოდ, იმ ცვლილებების გავლით, რომლებიც ზემოხსენებულ ნიშნების ინტერპრეტაციით ხდება. ამ მოვლენას კი არაფერი აქვს საერთო ფონეტიკასთან (იხ. გვ. 90). საინტერესოა ცვლილებათა მიზეზების დაძებნა, რაშიც ხელს შეგვიწყობს ბგერათა შესწავლა. მაგრამ, ენის არსი ამაში არაა. ენათმეცნიერებისთვის საკვებით საკმარისია მოახდინოს ბგერათა გარდაქმნების კონსტატაცია და გამოავლინოს მათი შედეგები.

რაც ჩვენ ბგერადობასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, დამახასიათებელია მეტყველების სხვა ელემენტებისთვისაც. მეტყველის მოქმედება უნდა შეისწავლოს იმ დისციპლინათა ერთობლიობამ, რომელთა ადგილიც ენათმეცნიერებაში მხოლოდ ენასთან კავშირით განისაზღვრება.

სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, ძირითადი ნაწილის საკვლევი ობიექტია ენა, ანუ ისეთი რამ, რომელიც თავისი აზრით სოციალურია და ინდივიდისგან დამოუკიდებელი. ეს მეცნიერება წმინდა ფსიქიკური ბუნებისაა; მეორე, მეორეხარისხოვანი ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე, ე.ი. მეტყველება ბგერადობის ჩათვლით. იგი ფსიქო-ფიზიკური ბუნებისაა.

უეჭველია, ეს ორი საგანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთის არსებობას გულისხმობს: ენა აუცილებელია იმისთვის, რომ მეტყველება გასაგები და ეფექტური იყოს. მეტყველება კი აუცილებელია ენის ჩამოსაყალიბებლად. ისტორიულად, მეტყველება მუდამ უსწრებს ენას. როგორ შეიძლება ცნების სიტყვიერ ხატთან დაკავშირება, თუ ეს კავშირი სამეტყველო აქტში ჯერ არ აღნიშნულა? მეორე მხრივ, მშობლიურ ენას მხოლოდ სხვათა მოსმენით ვითვისებთ. მხოლოდ უთვალავი ცდის შედეგად დაილექება იგი ჩვენს გონებაში. და ბოლოს, მეტყველება განაპირობებს ენის ცვლილებას. ჩვენი ლინგვისტური ჩვევები იცვლება სხვათა მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებების ზეგავლენით. ასე რომ, ენასა და მეტყველებას შორის ურთიერთდამოკიდებულება დგინდება. ენა მეტყველების ფარალიცაა და პროდუქტიც. ყოველივე ეს მათ ხელს არ უშლის ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ რასამეს წარმოადგენდნენ.

ენა კოლექტივში არსებობს, როგორც ერთობლიობა იმ ანაბეჭდებისა, რომელიც თითოეულ ადამიანს აქვს თავში. მსგავსად ლექსიკონისა, რომლის იდენტური ეკზემპლარებით სხვადასხვა ინდივიდი სარგებლობს (იხ. გვ. 25), ე.ი. ესაა თითოეულ მათგანში არსებული რამ, ყველასათვის საერთო და მფლობელის ნებელობის მიღმა მყოფი. ენის არსებობის ეს მოდელი შეიძლება შემდეგი ფორმულით წარმოვადგინოთ:

$$1+1+1 \dots I \text{ (კოლექტიური ნიმუში)}$$

რა სახით ვლინდება ამავე კოლექტივში მეტყველება? მეტყველება არის ჯამი ყველაფრისა, რასაც ხალხი ამბობს. იგი მოიცავს: ა. ინდივიდუალურ კომბინაციებს, დამოკიდებულთ მოლაპარაკეთა ნებელობაზე, ბ. ამ კომბინაციათა რეალიზაციისათვის აუცილებელ და მოსაუბრის სურვილით განპირობებულ ბგერადობის აქტებს.

მამასადამე, მეტყველებაში არაფერია კოლექტიური. მისი გამოვლენა ინდივიდუალური და მომენტალურია. იგი მხოლოდ კერძო შემთხვევათა ჯამია და შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$(1+1'+1''+1'''\dots)$$

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით უაზრო იქნებოდა ერთნაირი დამოკიდებულება ენისა და მეტყველების მიმართ. სამეტყველო ქმედება მთლიანობაში შეუცნობადია, რადგან ის არაერთგვაროვანია, შემოთავაზებული განსხვავება და სუბორდინაცია კი შუქს ჰფენს ყოველივეს.

ასეთია პირველი დიქტომა, რომელსაც სამეტყველო ქმედების ჩამოყალიბებისას ვაწყდებით. ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ და გავყვეთ არჩეულ გზას მეორისგან დამოუკიდებლად. ერთდროულად ორი გზით სიარული დაუშვებელია.

უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ორსავე ამ დისციპლინას შევუნარჩუნოთ სახელი „ლინგვისტიკა“ და მეტყველების ლინგვისტიკაზე ვილაპარაკოთ. ოღონდ, იგი არ უნდა ავურიოთ საკუთრივ ლინგვისტიკაში, რომლის ერთადერთ ობიექტსაც ენა წარმოადგენს.

ჩვენ შევისწავლით მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელს, და თუმცა გზადაგზა მეტყველების ლინგვისტიკის მონაცემებითაც მოგვიხდება სარგებლობა, შევეცდებით არასოდეს წავშალოთ ამ ორი სფეროს გამმიჯნველი ზღვარი.

თავი V

ენის შინაგანი და გარეგანი ელემენტები

ჩვენს მიერ შემოთავაზებული განსაზღვრა ენისა გულისხმობს, რომ ჩვენ ენას ჩამოვაცლით ყოველივეს, რაც უცხოა მისი ორგანიზმისათვის, მისი სისტემისათვის. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც აღინიშნება ტერმინით „გარეგანი ლინგვისტიკა“, თუმცა იგი იმ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, რომლებიც აუცილებელია სამეტყველო ქმედების შესასწავლად.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ლინგვისტიკისა და ეთნოლოგიის შეხების წერტილები, ყოველგვარი კავშირები ენისა, რასისა თუ ცივილიზაციის ისტორიასთან. ეს ისტორიები ერთმანეთში გადახლართული და ურთიერთდაკავშირებულია. ეს რამდენადმე, საკუთრივ ენობრივ მოვლენათა (გვ. 20) შორის არსებულ მიმართებებს მოგვაგონებს. ერის წეს-ჩვეულებები მის ენაში აირეკლებიან, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვან წილად, სწორედ ენა აყალიბებს ერს.

უნდა მოვიხსენიოთ მიმართებანი ენასა და პოლიტიკურ ისტორიას შორის. ისეთმა მნიშვნელოვანმა დაპყრობებმა, როგორც იყო, მაგალითად, რომის დაპყრობანი, უდიდესი მნიშვნელობა იქონია რიგ ლინგვისტურ საკითხებზე. კოლონიზაციას, რაც დაპყრობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ენა სხვა გარემოში გადააქვს, ეს კი გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ამ ენაში. დასასაბუთებლად შეიძლება მთელ რიგ ფაქტებს მოვუხსნოთ: დანიასთან პოლიტიკურად შერთებულმა ნორვეგიამ დანიური ენა მიიღო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ნორვეგიელები ცდილობენ თავი დააღწიონ ამ ენობრივ გავლენას. სახელმწიფოთა შინაგანი პოლიტიკაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ენების სიცოცხლისათვის: ერთი მთავრობა, მაგალითად, შვეიცარიისა, რამდენიმე ენის თანაარსებობას უშვებს; სხვა, მაგალითად, საფრანგეთისა, ენობრივი ერთიანობისაკენ მიისწრაფის. კულტურის მაღალი დონე ხელს უწყობს გარკვეული სპეციალური ენების (იურიდიული ენა, სამეცნიერო ტერმინოლოგია და ა.შ.) განვითარებას.

ყოველივე ამას მესამე პუნქტამდე მივყავართ: მიმართებები ენასა და ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორცაა ეკლესია, სკოლა და ა.შ., რომლებიც თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდებიან სალიტერატურო ენის განვითარებას; ეს თავისთავად, იმდენად ზოგადი მოვლენაა, რომ პოლიტიკური ისტორიისგან ვერ გაიმიჯნება. სალიტერატურო ენა ყოველმხრივ სცილდება ლიტერატურის მიერ დადებულ ზღვრებს: საკმარისია გავიხსენოთ სალონების, სამეფო კარისა და აკადემიათა გავლენა. მეორე მხრივ, იქმნება წინააღმდეგობა ენასა და ადგილობრივ დიალექტს შორის (გვ. 201); ამრიგად, ენათმეც-

ნიერმა უნდა განიხილოს წიგნის ენისა და სასაუბრო ენის ურთიერთმიმართუ-
ბანიც, რადგან ნებისმიერი სალიტერატურო ენის, როგორც კულტურის
პროდუქტის განვითარება, მისი არსებობის სფეროს გამიჯნავს ბუნებრივი
სფეროსაგან — სასაუბრო ენისაგან.

ბოლოს, გარეგან ლინგვისტიკას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც შეეხე-
ბა ენათა გეოგრაფიულ გავრცელებას და მათ დაყოფას დიალექტებად. ამ
საკითხში, განსხვავება შინაგან და გარეგან ლინგვისტიკას შორის ყველაზე
პარადოქსული გვეჩვენება, რადგან გეოგრაფიული ფაქტორი მჭიდროდ უკავ-
შირდება ნებისმიერი ენის არსებობას. სინამდვილეში კი, იგი ენის შინაგან
ორგანიზმს არ ეხება.

ამტკიცებენ, რომ ზემოხსენებული საკითხების გამიჯვნა საკუთრივ
ენის შესწავლისაგან შეუძლებელია. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებით იმ-
ძლავრა მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებს ამ „რეალიების“ ცოდნა მოსთხო-
ვეს. ისმის კითხვა — ენის „გრამატიკული ორგანიზმი“ ისევე ხომ არაა დამო-
კიდებული ენობრივ ცვლილებათა გარეგან ფაქტორებზე, როგორც ცვლილე-
ბანი მცენარის ორგანიზმში, რომლებიც მიმდინარეობენ გარეგანი ფაქტორე-
ბის — ნიადაგის, ჰაერის — ცვლილებების ზეგავლენით. როგორც ჩანს, წარმო-
მავლობის საკითხის დაუსმელად ძნელი ასახსნელია ენაში უხვად არსებული
ტექნიკური ტერმინები და ნასესხობანი. განა შესაძლებელია ამა თუ იმ ენის
ბუნებრივი, ორგანული განვითარება გამოვყოთ მისი განვითარების ხელოვ-
ნური ფორმებისგან (როგორიცაა, მაგ. სალიტერატურო ენა), რომლებსაც
გარეგანი ფაქტორები განაპირობებენ? ადგილობრივი დიალექტების
პარალელურად საერთო ენაც ხომ მუდმივად ვითარდება?

ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩინა „გარელინგვისტურ“ მოვლენათა შესწავლა,
მაგრამ შეცდომა იქნება ვამტკიცოთ, თითქოს მათ გარეშე შეუძლებელია შინაგანი
ლინგვისტური ორგანიზმის შეცნობა. მაგალითად, ავიღოთ უცხოურ სიტყვათა
სესხება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ენის ცხოვრების მუდ-
მივი ელემენტი არაა. ზოგ, მივარდნილ ხეობაში არსებობს კილოკავები, რომლებ-
საც, შეიძლება ითქვას, არასოდეს მიუღიათ გარედან არც ერთი ხელოვნური ტერ-
მინი. ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს კილოკავები სამეტყველო ქმედების
ნორმალური პირობების მიღმა იმყოფებიან. რომ ისინი სამეტყველო ქმედებაზე
სათანადო შთაბეჭდილებას ვერ შეგვიქმნიან და „წმინდად დაცულნი“, „ტერატო-
ლოგიურ“ მიდგომას საჭიროებენ. მთავარი ისაა, რომ როგორც კი ნასესხები სიტ-
ყვა მოცემული სისტემის ფარგლებში განიხილება, იგი უცხოდ არ ჩაითვლება. იგი
მასთან დაკავშირებულ სიტყვებთან ისეთსავე მიმართებებსა და ოპოზიციაში იმ-
ყოფება, როგორც ამ ენის ძირეულ სიტყვებთან. სერთოდ, არავითარ აუცილებ-
ლობას არ წარმოადგენს ვიცოდეთ, რა ვითარებაში განვითარდა ენა. მაგალითად,
არც კია ცნობილი რომელი ხალხი მეტყველებდა ზანდუსა (ავესტას ტექსტების ენა)
და ძველ სლავურზე. მაგრამ, ეს უცოდინრობა ხელს არ გვიშლის შევისწავლოთ ამ
ენების შინაგანი სახე და გამოვიკვლიოთ მათში მიმდინარე გარდაქმნები. ყოველ
შემთხვევაში, საჭიროა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ორივე განსხვავებული თვალ-

საზრისი და რაც უფრო მკაცრად დავიცავთ ამ პრინციპს, მით უკეთესი იქნება.

ამის საუკეთესო საბუთია ის ფაქტი, რომ თითოეული მათგანი საკუ-
თარ მეთოდს ქმნის. გარეგან ლინგვისტიკას შეუძლია ერთმანეთზე დაახვა-
ვოს დეტალები, რადგან იგი არაა შებოჭილი ენობრივი სისტემის მარწმუხე-
ბით. მაგალითად, ყოველი ავტორი საკუთარი შეხედულებების მიხედვით
დააჯგუფებს ფაქტებს ენის სათანადო ტერიტორიის მიღმა გავრცელების
შესახებ. თუ გამოვიკვლევთ ფაქტორებს, რომლებმაც დიალექტების გვერ-
დით სალიტერატურო ენის წარმოშობა განაპირობა, შეიძლება მათი უბრა-
ლო ჩამოთვლითაც დავკმაყოფილდეთ. ფაქტებს სისტემურად მხოლოდ იმი-
ტომ ვალაგებთ, რომ უკეთ გავაშუქოთ საკითხი.

შინაგანი ლინგვისტიკისთვის საქმე სხვაგვარადაა: აქ ნებისმიერი გან-
ლაგება გამორიცხულია. ენა სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ კანონ-
ებს ემორჩილება. მისი ჭადრაკთან შედარება ადვილად გამოგვაყოფინებს
გარეგანს შინაგანისაგან. ის ფაქტი, რომ ჭადრაკის თამაში ევროპაში
სპარსეთიდან შემოვიდა, გარეგანია, ხოლო შინაგანია ის, რაც სისტემასა და
თამაშის წესებს ეხება. თუ ხის ფიგურებს სპილოს ძვლის ფიგურებით შევ-
ცვლით, ცვლილებას სისტემისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. მა-
გრამ თუ გავზრდით, ან შევამცირებთ მათს რაოდენობას, ეს ცვლილება მნიშ-
ვნელოვან გავლენას მოახდენს თამაშის „გრამატიკაზე“. ასეთი განსხვავე-
ბების გამიჯვნა გარკვეულ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ, ყველა შემთხ-
ვევაში უნდა დავადგინოთ მოვლენის არსი, რისთვისაც შემდეგი წესით უნდა
ვიხელმძღვანელოთ: შინაგანია ყოველივე ის, რაც მეტ-ნაკლებად სახეს უცვ-
ლის სისტემას.

ენის გამოსახვა დამწერლობის საშუალებებით

§1. დამწერლობის შესახებ აუცილებლობა

ჩვენი კვლევის კონკრეტულ საგანს წარმოადგენს სოციალური პროდუქტი, ასახული ყოველი ჩვენგანის თავის ტვინში, ე.ი. ეს პროდუქტი ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით განსხვავდება: კონკრეტულად ჩვენ მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენები. ენათმეცნიერმა რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდეს, რათა მათზე დაკვირვებისა და მათი შედარების გზით გამოყოფს მათგან ის, რაც უნივერსალურია მათში.

ენებს, მეტწილად, წერილობითი ფორმით ვიცნობთ. ჩვენს მშობლიურ ენაშიც კი, მაშუალებელი რგოლის როლს წერილობითი წყარო ასრულებს. როცა საქმე ეხება ჩვენგან დაშორებულ ენას, კიდევ უფრო მეტად გვიხდება წერილობითი წყაროებისთვის მიმართვა. მკვდარი ენების შემთხვევაში კი დამწერლობა, საერთოდ, ერთადერთი წყაროა ინფორმაციისა. უშუალო მონაცემებით სარგებლობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, დიდი ხნის წინ რომ გაგვეკეთებინა ის, რაც პარიზსა თუ ვენაში კეთდება — შეკრებილიყო ყველა სახის ენის ფონოგრაფიული ნიმუში. და მაინც, ამგვარად შემონახული ტექსტების სხვათათვის გასაცნობად დაგვჭირდებოდა დამწერლობის გამოყენება.

ამრიგად, თუმცა თვით დამწერლობა უცხოა ენის შინაგანი სისტემისათვის, მაინც შეუძლებელია იმ პროცესიდან მოწყვეტა, რომლის საშუალებითაც ხდება უშუალოდ ენის ფიქსირება. აუცილებელია ვიცნობდეთ მის ღირსებებს, ნაკლსა თუ მისგან მომდინარე საფრთხეს.

§2. დამწერლობის უპირატესობა ზეპირმოთქმულ ენასთან შედარებით და ამ უპირატესობის მიზეზები

ენა და დამწერლობა ნიშანთა ორი განსხვავებული სისტემაა. დამწერლობის ერთადერთი მიზანი ენის გამოსახვაა. ლინგვისტიკის ობიექტი არის არა გრაფიკული სიტყვისა და წარმოთქმული სიტყვის ერთობლიობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბგერითი სიტყვა. მაგრამ, სიტყვის გრაფიკული გამოსახულება ისე მჭიდროდ უკავშირდება შესაბამის წარმოთქმულ სიტყვას, რომ ბოლოს და ბოლოს ის წამყვან როლსაც იძენს. ჟღერადი ნიშნის გამოსახვას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც აღსანიშნს, ან უფრო მეტიც. ეს იგივეა, რომ ადამიანის გასაცნობად უპირატესობა მივიანიჭოთ მის სურათს და არა მის სახეს.

ასეთი მკვდარი აზრი დიდი ხანია არსებობს და ენის შესახებ

ფეხმოკიდებული შეხედულებებისთვის საკმაოდ ხელსაყრელიცაა. ამრიგად, ჩვეულებრივ თვლიან, რომ თუ დამწერლობა არ არსებობს, ენა უფრო სწრაფად იცვლება: ეს სავსებით მცდარი აზრია. მართალია, გარკვეულ პირობებში, დამწერლობას შეუძლია შეანელოს ენის განვითარება, მაგრამ დამწერლობის უქონლობა სულაც არ უშლის ხელს ენის კონსერვაციას. ლიტვურ ენაზე, რომელიც დღესაც გამოიყენება აღმოსავლეთ პრუსიასა და რუსეთის გარკვეულ ნაწილში, წერილობითი ძეგლები მხოლოდ 1540 წლიდან გვხვდება. ამ გვიანდელ ეპოქაშიც კი, იგი ზოგადად ინდოევროპული ენის გაცილებით სწორ სურათს გვთავაზობს, ვიდრე ლათინური ენა ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნისა. მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ენა დამწერლობისაგან დამოუკიდებელია.

ზოგი, მდგრადი ლინგვისტური მოვლენა ყოველგვარი წერილობითი ფიქსაციის გარეშეც შემოინახება. ძველ ზემოგერმანულ ენაში წერდნენ *töten*, *fuolen* და *stözen*, XII ს-ის მიწურულში კი ჩნდება გრაფიკული გამოსახულება *töten*, *fielen*, მაგრამ *stözen* ზმნამ ძველი ფორმა შეინარჩუნა. რამ განაპირობა ეს სხვაობა? ყველგან, სადაც ცვლილება მოხდა მომდევნო მარცვალში იყო *y*; წინარეგერმანულში იყო **daupyan*, **fölyan* და **stautan*. დამწერლობის ჩამოყალიბების დაახლოებით 800 წლისთვის ეს *y* იმდენად შესუსტდა, რომ სამი საუკუნის მანძილზე დამწერლობაში აღარ აისახებოდა. მიუხედავად ამისა, მან მსუბუქი კვალი დატოვა წარმოთქმაში და აი, 1180 წლისთვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, მან სასწაულებრივად იჩინა თავი „უმლაუტის“ სახით. ამრიგად, წარმოთქმის ეს ნიუანსი ზუსტად შემოინახა წერილობითი ფიქსაციის დაუხმარებლად.

ენას დამწერლობისაგან დამოუკიდებელი, არანაკლებ მდგრადი ზეპირი ტრადიცია გააჩნია, მაგრამ წერილობითი ფორმის გავლენა ხელს უშლის ამის დანახვას. ჯერ კიდევ ალორძინების ხანის ჰუმანისტებმა, შემდეგ კი პირველმა ლინგვისტებმა წაიკრეს ფეხი ამაზე. თვით ბოპიც კი არ ასხვავებდა მკაფიოდ ასოსა და ბგერას. მისი ნაშრომების გაცნობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ენა და ანბანი განუყოფელია. მისი უშუალო მიმდევრებიც მასავით დაიბნენ. ნაპრალოვანი *ქ-ს th-ით* გამოხატვამ გრიმს იგი არა მხოლოდ ორმაგ ბგერად, არამედ ფშვინვიერ ხშულადაც კი მიაჩნევინა. ამან განსაზღვრა ის ადგილი, რომელიც გრიმმა ამ ბგერას მიანიჭა თავის თანხმომავთა გადანაცვლების ე.წ. *Lautverschiebung*-ის კანონში (იხ. გვ. 150). დღესაც ბევრი განათლებული ადამიანი ურევს ენასა და მის ორთოგრაფიას. განა გასტონ დეშანი არ ამბობდა ბერთოლეოზე, რომ „მან ფრანგული ენა დაღუპვას გადაარჩინა!“, რადგან იგი წინ აღუდგა ორთოგრაფიულ რეფორმას?

რით აიხსნება დამწერლობის უპირატესობა?

1. უპირველეს ყოვლისა, სიტყვების გრაფიკული გამოსახულება გვაოცებს თავისი მდგრადობითა და უცვლელით და დროთა განმავლობაში ენის ერთიანობის უზრუნველსაყოფად უფრო გამოსადეგია, ვიდრე ბგერა. ეს კავშირი, თუნდაც ზედაპირული და საექვო ერთიანობის მანიშნებელი იყოს, მაინც უფრო ადვილი აღსაქმელია, ვიდრე ბუნებრივი, ერთადერთი

ჭემბარიტი — ბგერის კავშირი.

2. ინდივიდუალური უმრავლესობისთვის მხედველობითი შთაბეჭდილება უფრო აშკარა და ხანგრძლივია, ვიდრე აკუსტიკური. ისინი მხედველობით შთაბეჭდილებას ანიჭებენ უპირატესობას და გრაფიკული გამოსახულება საბოლოოდ ჩრდილავს ბგერას.

3. სალიტერატურო ენა კიდევ უფრო ზრდის დამწერლობის დაუმსახურებელ მნიშვნელობას. არსებობს ლექსიკონები, გრამატიკის კურსები. ნიგნის მიხედვით და ნიგნის საშუალებით ასწავლიან სკოლაში. თითქოსდა, სალიტერატურო ენა კოდირებულია. თვით ეს კოდი წარმოადგენს დანერგილ კანონების კრებულს, რომელიც მკაცრ უზუსს — ორთოგრაფიას ემორჩილება. ყოველივე ეს ანიჭებს დამწერლობას პირველხარისხოვან მნიშვნელობას. ბოლოს, ავინყდებათ, რომ ჯერ ლაპარაკს სწავლობენ, შემდეგ კი წერას და ბუნებრივი ურთიერთმიმართება თავდაყირა დგება.

4. ბოლოს, როცა ენასა და ორთოგრაფიას შორის განსხვავებაა, მათ შორის არსებული წინააღმდეგობის გადაჭრა მხოლოდ ენათმეცნიერებს შეუძლიათ. რადგან ენათმეცნიერებს ამ საკითხში არავითარი უფლებები არ გააჩნიათ, უპირატესობა, თითქმის მუდამ, წერილობითი ფორმის მხარეზეა, ვინაიდან მასზე დაყრდნობა გაცილებით მოსახერხებელია. ამრიგად, დამწერლობა დაუმსახურებელ უპირატესობას ინარჩუნებს.

§3 დამწერლობის სისტემა

დამწერლობის ორი სისტემა არსებობს:

1. იდეოგრაფიული სისტემა, რომელშიაც სიტყვა ერთადერთი ნიშნით გამოისახება და რომელიც დამოკიდებული არაა მასში შემავალ ბგერებზე. ეს ნიშანი წარმოადგენს მთელ სიტყვას და, შესაბამისად, მის მიერ გამოხატულ ცნებას. ასეთი სისტემის კლასიკური მაგალითია ჩინური დამწერლობა.

2. „ფონეტიკური“ სისტემა. იგი სიტყვის შემადგენელ ბგერათა თანამიმდევრობას ასახავს. ფონეტიკური დამწერლობა ან მარცვლოვანია, ან ანბანური, ე.ი. იგი მეტყველების დაუშლელ ელემენტებს ემყარება.

სხვათა შორის, იდეოგრაფიული დამწერლობა შერეულ სახესაც ღებულობს ხოლმე: ზოგი იდეოგრამა თავის პირველად მნიშვნელობას კარგავს და ცალკეულ ბგერებს გამოსახავს.

როგორც ითქვა, დანერგილი სიტყვა ცდილობს ჩვენი ცნობიერებიდან გამოდევნოს წარმოთქმული სიტყვა. ეს ტენდენცია ორივე სახის დამწერლობას ახასიათებს, თუმცა იდეოგრაფიულში უფრო ძლიერია. ჩინელისთვის იდეოგრამაცა და წარმოთქმული სიტყვაც ცნების ნიშანს წარმოადგენს. მისთვის დამწერლობა მეორე ენაა და თუ ორ სიტყვას ერთნაირი ბგერითი გამოსახულება აქვს, აზრის გამოსახატავად ზოგჯერ დანერგილი სიტყვის მოშველიება უხდება. ამ ჩანაცვლებას, იმის გამო, რომ მას შეიძლება აბსოლუტური ხასიათი ჰქონდეს, ისეთი სავალალო შედეგები არ მოსდევს, როგორც ჩვენს დამწერლობაში. ჩინური ენის სხვადასხვა დიალექტის სიტყვე-

ბი, რომლებიც ერთი და იმავე ცნების შესატყვისია, ერთნაირად კარგად გამოიხატებიან ერთი და იმავე გრაფიკული ნიშნით.

ჩვენ შემოვიფარგლებით დამწერლობის ფონეტიკური სისტემების განხილვით, კერძოდ იმ სისტემით, რომელიც დღემდე გამოიყენება და რომლის პროტოტიპიც ბერძნული ანბანია.

როცა ამ ტიპის ანბანი იკიდებს ფეხს, იგი საკმაოდ რაციონალურად ასახავს ენის მდგომარეობას, თუკი, ცხადია, ეს ანბანი ნასესხები და არათანმიმდევრული ხასიათის არაა. ლოგიკის თვალსაზრისით, ბერძნული ანბანი უზადაოა, როგორც ამას ქვემოთ, 48-ე კვერდზე დავინახავთ. მაგრამ, ეს პარამონია დამწერლობასა და წარმოთქმას შორის დიდხანს არ გრძელდება. რატომ? ამის მიზეზი ახლა განვიხილოთ.

§4. დამწერლობასა და წარმოთქმას შორის არსებული განსხვავებების მიზეზები

ასეთი მიზეზი მრავალია. ჩვენ მხოლოდ უმთავრეს მიზეზებს შევეხებით. ჯერ ერთი, ენა მუდმივ განვითარებას განიცდის, დამწერლობა კი მიდრეკილია უძრავობისკენ. აქედან გამომდინარე, ბოლოს და ბოლოს დამწერლობა აღარ შეესაბამება იმას, რაც მან უნდა გადმოსცეს. დამწერლობა, რომელიც გარკვეული ეპოქისთვის თანამიმდევრულია, ერთი საუკუნის შემდეგ შეიძლება აბსურდული აღმოჩნდეს. ერთხანს გრაფიკულ გამოსახულებებსაც ცვლიან, წარმოთქმის ცვლილებებს რომ შეუსაბამონ. შემდეგ მას თავს ანებებენ. ასე დაემართა, მაგალითად, ფრანგულ ენაში *oi*-ს.

	წარმოთქვამდნენ:	წერდნენ:
XI ს.	1. rei, lei	rei, lei
XIII ს.	2. roi, loi	roi, loi
XIV ს.	3. roè, loè	roi, loi
XIX ს.	4. rwa, lwa	roi, loi

როგორც ვხედავთ, XI-XII სს-ებში ჯერ კიდევ ანგარიშს უწევდნენ წარმოთქმაში მომხდარ ცვლილებებს: ენის ისტორიის ყოველ ეტაპს გარკვეული ტიპის ორთოგრაფია შეესაბამება, მაგრამ XIV ს-დან დამწერლობა ერთ ეტაპზე გაიყინა, ენა კი ვითარდებოდა. ამ სხვაობის გაჩენიდან მოკიდებული სულ უფრო და უფრო იზრდებოდა განსხვავება ენასა და ორთოგრაფიას შორის. ბოლოს ეს შეუსაბამობა აისახა დამწერლობის სისტემებზე: გრაფიკულმა გამოსახულებამ მისი შემადგენელი ელემენტებისთვის შეუსაბამო მნიშვნელობა მიიღო.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, რატომ ვწერთ *mais* („მაგრამ“) და *fait* („ფაქტი“) და წარმოთქვამთ როგორც *mè* და *fè*? რატომაა, რომ ფრანგულში *c* ხშირად გამოითქმის როგორც *s*? იმიტომ, რომ შემოვიწახეთ დამწერლობა, რომელსაც გამართლება აღარ მოეძებნება.

ეს მიზეზი ყოველ ეპოქაში მოქმედებს. თანამედროვე ფრანგული ენის რბილი *l* იოტაში გადავიდა. ჩვენ ვამბობთ *évever* („გალვიძება“), *mouyer* („დასველება“) ისევე, როგორც *essuyer* („გამშრალება“), *nettoyer* („განწმენდა“),

მაგრამ ვნერთ *éveiller, mouiller*.

წარმოთქმასა და დამწერლობას შორის არსებული განსხვავებების მეორე მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: როცა ერთი ხალხი მეორისგან სესხულობს ანბანს, ხშირად, ამ გრაფიკული სისტემის მნიშვნელობანი ცუდად მიესადაგება მის ახალ ფუნქციას. იძულებულნი ხდებიან სხვადასხვა ხრიკებს მიმართონ: ერთი ბგერის გამოსახატავად ორ ასოს იყენებენ. მაგ. გერმანიკული ენის *ch* (ნაპრალოვანი, დენტალური, ყრუ): ლათინურ ანბანს მისი აღმნიშვნელი ნიშანი არ გააჩნია და მას *th*-ით გამოხატავენ. მეოვიზნების მეფე ხილპერიკი ამაოდ შეეცადა ლათინური ასოებისთვის ამ ბგერის აღმნიშვნელი სპეციალური ნიშანი დაემატებინა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და *th* მაინც დამკვიდრდა ენაში. შუა საუკუნეების ინგლისურში იყო ორი *e*: დახურული (*sed* „თესლი“) და ღია (*led* „ტარება“). რადგან ანბანში ამ ორი ბგერისთვის განსხვავებული ნიშნები არ არსებობდა, წერდნენ *seed* და *lead*. ფრანგულში შიშინა *z*-ს გადმოსაცემად ორმაგ ნიშანს *ch*-ს იყენებენ და ა.შ.

არსებობს ეტიმოლოგიური ხასიათის მოსაზრებაც. გარკვეულ ეპოქაში, მაგ. აღორძინების ხანაში მას უპირატესობა ენიჭებოდა. ხშირად, ყალბი ეტიმოლოგიის გავლენით დგინდებოდა ორთოგრაფია. ასე იქნა შემოტანილი *d* ფრანგულ სიტყვაში *poid* („წონა“). მას ლათინური *pondu*-საგან მომდინარედ მიიჩნევდნენ, მაშინ როდესაც იგი *pensum*-ისგან არის მიღებული. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, სწორი ეტიმოლოგიური პრინციპი გამოიყენება თუ არა: თვით ეტიმოლოგიური დამწერლობის პრინციპია მცდარი.

სხვა შემთხვევებში მიზეზი გაურკვეველია; ორთოგრაფიის ზოგ უცნაურობას არავითარი ეტიმოლოგიური გამართლება არ მოეძებნება. რატომღაც, რომ გერმანულში *tun*-ის ნაცვლად წერენ *thun* („კეთება“)? ამტკიცებენ, თითქოს *h* თანხმოვან *t*-ს ფშვინვიერ თვისებას გადმოსცემს. მაგრამ, მაშინ იგი უნდა შეგვეტანა ყველა შემთხვევაში, როცა ასეთ ასპირაციასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში კი, გვხვდება მთელი რიგი სიტყვები, რომლებსაც ის არასოდეს ჰქონიათ (*Tugend* „კეთილისმყოფელი“, *Tisch* „მაგიდა“ და ა.შ.).

§5. დამწერლობის და წარმოთქმის განსხვავების შედეგები

დამწერლობის არათანმიმდევრობის აღნუსხვა ხანგრძლივი საქმეა. ერთ-ერთ ყველაზე სამწუხარო განსხვავებას წარმოადგენს ერთი ბგერისთვის რამდენიმე ნიშნის არსებობა. მაგ. ფრანგულში *z*-სთვის გვაქვს *j*, *g*, *ge* (*joli*, *geler*, *geai*); *z*-სთვის გვაქვს *z* და *s*; *s*-სთვის *c*, *ç* და *t* (*nation*), *ss* (*chasser*), *sc* (*acquiescer*), *sç* (*acquiesçant*), *x* (*dix*); *k*-სთვის: *c*, *qu*, *k*, *ch*, *cc*, *cqu* (*acquérir*), და პირიქით, რამდენიმე ბგერა ერთი ნიშნითაც გამოიხატება ხოლმე, მაგ. *t* და *s* — *t*-თი, *g* და *ç* — *g*-თი და ა.შ.

აღსანიშნავია „არაპირდაპირი დამწერლობებიც“. გერმანულ სიტყვებში *Zettel* („ფურცელი“), *Teller* („თევზი“) და ა.შ., თუმცა ორმაგი თანხმოვნები არა გვაქვს, მაინც ვნერთ *tt* და *ll* მხოლოდ და მხოლოდ იმის

აღსანიშნავად, რომ წინა ხმოვანი ღია ან დახურულია. ანალოგიური აბერაციით ინგლისურში წინამავალი ხმოვნის დასაგრძელებლად ემატება მუნჯი ბოლოკიდური *e*, შდრ. *made* (წარმოითქმება *mæd* „გააკეთა“) და *mad* (წარმოითქმება *mæd* „გიჟი“). ეს *e* მეორე მარცვლის შთაბეჭდილებას ქმნის.

მოყვანილი არარაციონალური დანერილობანი ენაში რალაცას მაინც შეესაბამებია. არსებობს ისეთებიც, არავითარი ახსნა რომ არ დაეძებნება. თანამედროვე ფრანგულ ენას ორმაგი თანხმოვნები არ ახასიათებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მომავალი დროის ისეთ ძველ ფორმებს, როგორებიცაა *mourrai* („მოვკვდები“), *courrai* („ვირბენ“). მიუხედავად ამისა, ჩვენი ორთოგრაფია საესეა გაუმართლებელი ორმაგი თანხმოვნებით (*bourru*, *sottise*, *souffrir* და ა.შ.).

ხდება ხოლმე, რომ ორთოგრაფია ჯერ ფიქსირებული არაა, თავის წესებს ადგენს და მერყევია. ორთოგრაფიის ასეთი მერყეობა ასახავს სხვადასხვა ეპოქის მცდელობებს განსხვავებულად აღნიშნონ ბგერები.

მაგალითად, ძველი ზემოგერმანული *ertha*, *erdha*, *erda* ან *thrī*, *dhri*, *drī*-ში *th*, *dh*, *d* ერთსა და იმავე ბგერით ელემენტს წარმოადგენს. კერძოდ რომელს? ამის გარკვევა დამწერლობის საშუალებით შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ფორმის ორგვარი დანერილობის შემთხვევაში ძნელი დასადგენია, ნამდვილად ორ განსხვავებულ წარმოთქმასთან გვაქვს საქმე თუ არა. მეზობელ დიალექტებზე არსებულ ზოგ დოკუმენტში ვხვდებით *asca*-ს, ზოგშიც *ascha*-ს; თუ ეს ერთნაირი ბგერებია, მაშინ საქმე გვაქვს მერყევ ორთოგრაფიასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში განსხვავება ფონოლოგიური და დიალექტური ხასიათისაა, როგორც ამას ადგილი აქვს ზერძულ ფორმებში: *paizō*, *paizdō*, *paiddō*. ან კიდევ, საქმე გვაქვს ორ, დროში თანმიმდევრულ ეპოქასთან. ინგლისურ ენაში ჯერ ვხვდებით *hwat*, *hweel* და ა.შ., შემდეგ *what*, *wheel* და ა.შ. რომელ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ორთოგრაფიულ თუ ფონეტიკურ ცვლილებასთან?

ზემოთ მოყვანილი შემთხვევები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დამწერლობა ენას მზერისაგან ნიღბავს. იგი მისი სამკაულია და არა სამოსი. ამის ნათელი მაგალითია ფრანგული სიტყვა *oiseau* („ფრინველი“), რომლის არც ერთი ბგერა *wazo*-ს შესაბამისი ნიშნით არ აღინიშნება, — ენის ქეშმარიტი ხატისგან ამ სიტყვაში აღარაფერი შემორჩა.

მეორე დასკვნა: რაც უფრო ცუდად გადმოსცემს დამწერლობა თავის ობიექტს, მით უფრო ძლიერია ტენდენცია დამწერლობაზე დამყარებისა. გრამატიკოსები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ყურადღება მიაქციონ ენის წერილობით ფორმას. ფსიქოლოგიურად ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, თუმცა მას სავალალო შედეგები მოსდევს. ტერმინი „წარმოთქმა“ აკანონებს და თავდაყირა აყენებს კანონიერ და რეალურ მიმართებას დამწერლობასა და ენას შორის. როცა ამბობენ ესა თუ ის ასო ასე უნდა წარმოითქვასო, ხილულ გამოსახულებას ორიგინალად თვლიან. იმისათვის, რომ *oi* წარმოითქვას როგორც *wa* იგი დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს. სინამდვილეში *wa* ინერება როგორც *oi*. ამ უცნაურობის ასახსნელად ამბობენ, რომ ამ

შემთხვევაში *o*-სა და *i*-ს განსაკუთრებულ წარმოთქმასთან გვაქვს საქმე. ესეც მცდარი ახსნაა, რადგან აქედან გამომდინარე, ენა დამწერლობაზე დამოკიდებული გამოდის, *oi*-ს *wa*-დ წარმოთქმით ვარდევით დამწერლობის კანონებს, თითქოსდა გრაფიკული ნიშანი ნორმას წარმოადგენდეს.

ასეთი ფიქციები გრამატიკულ წესებშიაც გვხვდება. მაგ. განვიხილოთ *h*-ის შემთხვევა ფრანგულ ენაში. ფრანგულში არსებობს ხმოვნით დაწყებული სიტყვები, რომლებიც *ch*-ით არ იწყებოდნენ, მაგრამ თავიანთი ლათინური ფორმის გავლენით მათ ეს *h* შეიძინეს. მაგ. *homme*-მა (ძველი ფორმით *ome*) ლათინური *homo*-ს („ადამიანი“) გავლენით შეიძინა *h*. არსებობს სხვა, გერმანიკული წარმოშობის სიტყვები, რომლებშიაც *h* ნამდვილად წარმოითქმებოდა: *hache* („ცული“), *hareng* („ჩაშაყი“), *honte* („სირცხვილი“) და ა.შ. სანამ თავკიდური *h* წარმოითქმებოდა, ეს სიტყვები თავკიდური თანხმოვნების კომბინაციის კანონს ექვემდებარებოდნენ. შესიტყვებებში *deu haches*, *le hareng* პირველი კომპონენტები წარმოითქმებოდნენ, მაშინ როდესაც, წესის თანახმად, ხმოვნით დაწყებულ სიტყვებში ამბობენ *deu-z-hommes*, *l'omme*. იმ დროისათვის წესი იმის შესახებ, რომ ფშვინვიერი *h*-ის წინ ადგილი არა აქვს შერწყმასა (ლიეზონს) და ელიზიას, სამართლიანი იყო. ეს წესი გაუქმდა. ფშვინვიერი *h* აღარ არსებობს, თუ ფშვინვიერად არ მივიჩნევთ იმას, რაც ბგერას არ წარმოადგენს, მაგრამ რომლის წინაც მაინც არ ხდება დაკავშირება და ელიზია. ამრიგად, საქმე გვაქვს ჩაკეტილ წრესთან და *h* დამწერლობის მიერ შექმნილი ფიქციაა.

სიტყვის წარმოთქმა მისი ორთოგრაფიით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი ისტორიით. დროის გარკვეულ მონაკვეთში სიტყვის ფორმა წარმოადგენს ევოლუციის გარკვეულ ეტაპს, რომელსაც იგი იძულებულია დაემორჩილოს და რომელსაც ზუსტი კანონები წარმართავენ. ყოველი ეტაპი შეიძლება წინა ეტაპით იყოს განპირობებული. ერთადერთი ყურადსაღები საკითხი, რომელსაც ხშირად ივიწყებენ, სიტყვის წარმოშობა, მისი ეტიმოლოგიაა.

ქალაქ *Auch*-ის ფონეტიკური ტრანსკრიფციაა *oʃ*. ეს ერთადერთი შემთხვევაა, სადაც ჩვენი ორთოგრაფიით *ch* სიტყვის ბოლოს *ʃ*-ს გადმოსცემს. განმარტება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ, ბოლოკიდური *ch* *ʃ*-დ მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოითქმისო. მთავარია დავადგინოთ ლათინური *Auscii* როგორ გადაიქცა *oʃ*-ად. ორთოგრაფია აქ არაფერ შუაშია.

როგორ უნდა წარმოვთქვათ სიტყვა *gageure* („სანადლეო“) *ʃ*-თი თუ *ʃ*-თი? ერთნი ამბობენ *gəʒʊr*, რადგან *heure* („საათი“) წარმოითქმება როგორც *ʊr*. სხვებს მართებულად *gəzʊr* მიაჩნიათ, რადგან *ge* შეესაბამება *ʒ*-ს, მაგ. სიტყვაში *gémle* („ციხე“). უაზრო დავაა! საქმე ეტიმოლოგიაშია: *gageure* მომდინარეობს სიტყვიდან *gager* („ჩადება“), ისევე, როგორც *tourmure*–*tourner*–დან („ბრუნვა“). ისინი სიტყვათწარმოების ერთსა და იმავე ტიპს მიეკუთვნებიან. სწორია მხოლოდ *gəzʊr*. ფორმა *gəʒʊr* დამწერლობის ორაზროვნებითაა გამოწვეული.

ასოს ტირანია უფრო შორსაც მიდის: მოლაპარაკეთა შორის გავრცე-

ლებული, იგი გავლენას ახდენს ენაზე და ცვლის მას. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ განვითარებულ ენებში, რომლებშიც წერილობითი დოკუმენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ვიზუალური გამოსახულება განაპირობებს არასწორ წარმოთქმას. ასეთ პათოლოგიურ შემთხვევებს ხშირად ცხედებით ფრანგულში. ამრიგად, გვარს *Lefèvre* (ლათ. *faber*-იდან „მჭედელი“) ორგვარი დანერილობა ჰქონდა: ერთი — ხალხური და მარტივი, *Lefèvre*, მეორე — მეცნიერული და ეტიმოლოგიური — *Lefèbvre*. ძველ დამწერლობაში *v*-ს *u*-ში აღრევის წყალობით *Lefèbvre* იკითხებოდა როგორც *Lefébure*, ასო *b*-თი, რომელიც ამ სიტყვაში არასოდეს ყოფილა, და გაუგებრობის გამო გაჩენილი *u*-თი. ამისდა მიუხედავად, ახლა ეს ფორმა სწორედ ასე წარმოითქმება.

შეიძლება ასეთმა დეფორმაციებმა იმრავლოს და სულ უფრო და უფრო ხშირად გამოთქვან ზედმეტი ასოები. პარიზში *sept femmes*-ში უკვე გამოთქვამენ *t*-ს. დამსტეტიერი ვარაუდობს, რომ დადგება დრო, როცა *vingt*-ის ორ უკანასკნელ ასოსაც წარმოთქვამენო, რაც ჭეშმარიტი ორთოგრაფიული სიმახინჯეა.

ეს ბგერითი დეფორმაციები მხოლოდ ენას ეკუთვნის, მაგრამ მისი ბუნებრივი ფუნქციონირებიდან არ გამომდინარეობს. ისინი გარეენობრივი ფაქტორით არიან განპირობებულნი. ენათმეცნიერებამ ეს მოვლენები სპეციალურ განაკვეთში, ტერატოლოგიაში უნდა შეისწავლოს.

თავი VII

ფონოლოგია

§1 ფონოლოგიის განსაზღვრა

როცა ვცდილობთ აზრის ძალისხმევით გავემიჯნოთ დამწერლობის მიერ შექმნილ მტყვევლების აღქმად ხატს, შეიძლება უფორმო მასის წინაშე აღმოვჩნდეთ, რომელსაც არ იცი როგორ მოექცე. ეს მოგვაგონებს ადამიანს, ცურვის სწავლას რომ ცდილობს, ტივტივა სარტყელი კი წაართვეს.

საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად შევცვალოთ ხელოვნური ბუნებრივით. ეს კი ენის ბგერების შესწავლის გარეშე შეუძლებელია. გრაფიკულ ნიშნებს მონყვეტილი ბგერები ბუნდოვნად და გაურკვეველად გვეჩვენება. ამიტომაც, თუნდაც არაზუსტი იყოს, მაინც გრაფიკულ საყრდენს ამჯობინებენ. პირველი ლინგვისტები, რომლებიც არ იცნობდნენ ბგერათა ფიზიოლოგიას, ერთთავად ამ ხაფანგში ებმებოდნენ ხოლმე. ასოსაგან მონყვეტა მათთვის ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლას ნიშნავდა. ჩვენთვის კი ეს ქეშმარიტებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია, თვით ბგერების შესწავლაში ვპოულობთ ჩვენ აუცილებელ საყრდენს. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე ლინგვისტებმა ეს შეიგნეს. მათ თვითონ მოჰკიდეს ხელი სხვათა (ფიზიოლოგების, სიმღერის თეორეტიკოსებისა და ა.შ.) მიერ წამოწყებულ კვლევას და ენათმეცნიერება გაამდიდრეს დამხმარე მეცნიერებით, რომელმაც იგი დაწერილი სიტყვისგან გაათავისუფლა.

ბგერების ფიზიოლოგიას (გერმ. Laut- ან Sprachphysiologie) ხშირად „ფონეტიკას“ (გერმ. Phonetik, ინგლ. Phonetics) უწოდებენ. ეს ტერმინი არაზუსტად მიგვაჩნია. ჩვენ მას ვცვლით ტერმინით „ფონოლოგია“, რადგან ფონეტიკა იმთავითვე აღნიშნავდა და კვლავაც უნდა აღნიშნავდეს მოძღვრებას ბგერათა ევოლუციის შესახებ. ორი, სრულიად განსხვავებული დისციპლინა ერთი სახელწოდების ქვეშ არ უნდა გავაერთიანოთ. ფონეტიკა ისტორიული მეცნიერებაა, მოვლენებსა და გარდაქმნებს დროში განიხილავს. ფონოლოგია დროისაგან დამოუკიდებელია, რადგან არტიკულაციის მექანიზმი უცვლელია.

ეს ორი დისციპლინა არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ მათი დაპირისპირებაც კი შეუძლებელია. ფონეტიკა ენის შესახებ მეცნიერების ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია, ფონოლოგია კი, — ვიმეორებ — ენათმეცნიერების დამხმარე მეცნიერებაა და მხოლოდ მეტყველებას ეხება (იხ. გვ. 29). ცხადია, ძნელი წარმოსადგენია რა დანიშნულება ექნებოდა სამეტყველო ორგანოების მოძრაობას, ენა რომ არ არსებობდეს. მაგრამ, სამეტყველო ორგანოების მოძრაობა აკი შეადგენს ენას და თითოეული აკუსტიკური

შთაბეჭდილების წარმოშობისთვის აუცილებელი ყოველი არტიკულაციური მოძრაობის ახსნითაც კი ვერ მოვფენთ შუქს ენობრივ პრობლემებს. ენა არის სისტემა, დამყარებული აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა ფსიქიკურ დაპირისპირებაზე. იგი ხალიჩას მოგვაგონებს, რომელიც ნაირფერი ძაფების ვიზუალური შეპირისპირებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშია.

ფონოლოგიურ სისტემას გვ. 47-ზე განვიხილავთ, აქ მხოლოდ იმაზე ვისაუბრებთ, თუ რა დახმარებას უწევს ეს მეცნიერება ლინგვისტებს დამწერლობით შექმნილი ილუზიებისგან გაათავისუფლებაში.

§2. ფონოლოგიური დამწერლობა

ენათმეცნიერი, უპირველეს ყოვლისა, ბგერების გამოხატვის ისეთი საშუალებით აღჭურვას მოითხოვს, რომელიც ყოველგვარ ორაზროვნებას გამორიცხავს. ამ მიზნით, უამრავი გრაფიკული სისტემა იქნა შემოთავაზებული.

რა პრინციპებს უნდა ემყარებოდეს ქეშმარიტი ფონოლოგიური დამწერლობა? იგი ერთი ნიშნით უნდა გამოხატავდეს მტყვევლების ჯაჭვის შემადგენელ ყოველ ელემენტს. ამ მოთხოვნას ზოგჯერ უგულვებელყოფდნენ: ასე მაგალითად, ინგლისელი ფონოლოგები, რომლებსაც ანალიზზე მეტად კლასიფიკაციის პრობლემები აღელვებთ, გარკვეული ბგერების აღსანიშნავად ორ-სამ ასოსაც იყენებენ. გარდა ამისა, მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ექსპლოზიური და იმპლოზიური ბგერები (იხ. გვ. 58).

საჭიროა თუ არა არსებული ორთოგრაფიის შეცვლა ფონოლოგიური ანბანით? ამ საინტერესო საკითხს აქ მხოლოდ გაკვრით შევხებით. ჩვენი აზრით, ფონოლოგიური დამწერლობა მხოლოდ ლინგვისტთა საჭიროებისათვის უნდა დარჩეს. ჯერ ერთი, როგორ უნდა მივაღებინოთ ერთგვაროვანი სისტემა ინგლისელებს, გერმანელებს, ფრანგებსა და ა.შ.! გარდა ამისა, ყველა ენისათვის ვარგისი ანბანი დიაკრიტიკული ნიშნებით გადაიტვირთება. რომ არაფერი ვთქვათ ასეთი ტექსტის თუნდაც ერთი გვერდის სავალალო იერზე, ამკარაა, რომ სიზუსტეს გამოდევნებული ასეთი დამწერლობა გააბუნდოვნებს თავის საგანს და დააბნევს მკითხველს. მისი მცირედი უპირატესობანი ამ უხერხულობას ვერ აანაზღაურებს. ფონოლოგიური სიზუსტე მეცნიერების მიღმა დიდად სასურველი არაა.

არსებობს ნაკითხვის პრობლემაც. საქმე ისაა, რომ ჩვენ ორგვარად ვკითხულობთ: ახალ ან უცხო სიტყვას ასო-ასო ვმარცვლავთ, ჩვეული თუ ნაცნობი სიტყვა კი შემადგენელი ასოებისგან დამოუკიდებლად, თვალის ერთი გადავლებით აღიქმება. ამ სიტყვის ხატი ჩვენთვის იდეოგრაფიულ ღირებულებას იძენს. აქ ტრადიციულ ორთოგრაფიას შეუძლია თავისი კანონიერი უფლებები წამოაყენოს: სასარგებლოა განვასხვავოთ tant („იმდენი“) და temps („დრო“), et („და“), est („არის“) და ait („ჰქონდა“), du არტიკლი და dû („სათანადო“), il devait („მას მართებდა“) და ils devaient („მათ მართებდათ“) და ა.შ. სასურველია მხოლოდ, რომ დამკვიდრებული ორთოგრაფია უხეში აბსურდებისგან განათავისუფლდეს. თუ ენების

შესწავლის საქმეში ფონოლოგიურ ანბანს სამსახურის განევა შეუძლია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისმა გამოყენებამ საყოველთაო ხასიათი უნდა მიიღოს.

§3. ნაწილობრივი წყაროების ჩვენებათა კრიტიკა

უმართებულთა აზრი, რომ თუ დამწერლობის მცდარ ხასიათს ვაღიარებთ, პირველყოფილისა ორთოგრაფია უნდა შეეცვალოს. ფონოლოგიის მიერ ჩვენთვის განეული ქვეშარტი სამსახური იმაში მდგომარეობს, რომ მისი წყალობით საშუალება გვეძლევა ფრთხილად მოვეყიდოთ იმ წერილობით ფორმას, რომლის გზითაც ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ენამდე მივალნიოთ. წერილობითი წყაროების ყოველი მონაცემი ღირებულებას იძენს მხოლოდ სწორი ინტერპრეტაციის შემდეგ. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა დავადგინოთ შესასწავლი ენის ფონოლოგიური სისტემა, ე.ი. მის მიერ გამოყენებულ ბგერათა ცხრილი. მართლაც, ყოველი ენა მკაფიოდ დიფერენცირებულ ფონემათა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას იყენებს. ამგვარი სისტემა წარმოადგენს ენათმეცნიერებისთვის საინტერესო ერთადერთ რეალობას. გრაფიკული ნიშნები მისი გამოსახულებებია, რომელთა სიზუსტეც დასადგენია. დადგენის სირთულე განსხვავებულია ენებისა და გარემოებათა მიხედვით.

როცა საქმე ძველ ენასთან გვაქვს, იძულებულნი ვართ არაპირდაპირი მონაცემებით დავკმაყოფილდეთ. რა საშუალებების გამოყენება შეგვიძლია ამ შემთხვევაში ფონოლოგიური სისტემის დასადგენად?

1. უპირველეს ყოვლისა, გარეგანი ჩვენებანი და იმ თანამედროვეთა მონაბა, ვინც თავისი დროის ბგერები და წარმოთქმა აღწერა. ამრიგად, XVI-XVII სს ფრანგმა გრამატიკოსებმა, განსაკუთრებით მათ, ვინც უცხოელებს ფრანგულ წარმოთქმას აცნობდა, ბევრი საინტერესო შენიშვნა დაგვიტოვეს. მაგრამ, ინფორმაციის ეს წყარო ნაკლებ სარწმუნოა, რადგან ამ ავტორებს არავითარი ფონოლოგიური მეთოდი არ გააჩნდათ. მათი აღწერილობები სავსეა შემთხვევითი ტერმინებით და მეცნიერული სიზუსტის გარეშე შესრულებული. ისინი თავის მხრივ საჭიროებენ განმარტებას. ბგერათა სახელწოდებები ხშირად გაუგებარია: ბერძენი გრამატიკოსები მჟღერ თანხმოვნებს (როგორებიცაა *b*, *d*, *g*) „საშუალო“ (*mesai*) თანხმოვნებს უწოდებდნენ, ყრუებს (*p*, *t*, *k*) კი *psilāt* („მელოტს“), რაც ლათინელებმა *tenues*-ად („წვრილი“) თარგმნეს.

2. უფრო სარწმუნო ცნობებს გვანდის ამ პირველი ტიპის მონაცემების კომბინაცია შინაგან მაჩვენებლებთან, რომლებსაც ორი რუბრიკით წარმოვადგენთ:

ა. რეგულარულ ფონეტიკურ ცვლილებებზე დაკვირვებით მიღებული ჩვენებანი. ამა თუ იმ ასოს ღირებულების განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ჩვენებას, თუ რომელ ბგერას აღნიშნავდა ის ადრეულ ეპოქაში. მისი დღევანდელი ღირებულება იმ ევოლუციის შედეგია, რომელიც წამსვე

უკუაგდებს ზოგ ვარაუდს. მაგალითად, არ ვიცით ზუსტად სანსკრიტის ასოს *ḥ*-ს ღირებულება, მაგრამ რადგან ამ ნიშნით გადმოცემული ბგერა ინდოევროპული პალატალური *k*-დან მომდინარეობს, ვარაუდების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზღუდება.

თუ ამოსავალი წერტილის გარდა, ცნობილია იმავე ენის ანალოგიურ ბგერათა პარალელური ევოლუცია იმავე ეპოქაში, შეიძლება ანალოგიით გავაკეთოთ დასკვნები და სათანადო პროპორციაც გამოვიყვანოთ.

პრობლემა ძალზე მარტივდება, თუ დასადგენია შუალედური წარმოთქმა, რომლის საწყისი და საბოლოო წერტილებიც ცნობილია. ფრანგული *au* (მაგ. სიტყვაში *sauter* „ხტომა“) შუა საუკუნეებში, უეჭველია, დიფთონგი უნდა ყოფილიყო, რადგან მას შუალედური მდგომარეობა უკავია ადრეულ *ai*-სა და თანამედროვე ფრანგულ *o*-ს შორის. ხოლო თუ სხვადასხვა გზით შევიტყობთ, რომ მოცემულ მომენტში ჯერ კიდევ არსებობდა დიფთონგი *au*, მაშინ ეჭვი არაა, რომ იგი წინა პერიოდშიც იარსებებდა. ზუსტად არ ვიცით რას წარმოადგენს *z* ძველ გერმანულ სიტყვაში *wazer* („წყალი“); მაგრამ საორიენტაციო წერტილებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, უფრო ძველი *water*, ხოლო მეორე მხრივ — თანამედროვე ფორმა *wasser*. ეს შუალედური ფორმა უნდა იყოს *t*-სა და *s*-ს შორის. ჩვენ შეგვიძლია უკუვაგდოთ ყოველგვარი ჰიპოთეზა, რომელიც მხოლოდ *t*-სთან ან *s*-სთან სიახლოვეს ემყარება. მაგალითად, დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ ეს ასო პალატალურ ბგერას გამოხატავდა, რადგან ორი დენტალური არტიკულაციიდან მხოლოდ ერთი შეიძლება ვივარაუდოთ.

ბ. თანამედროვე ჩვენებანი. ასეთი ჩვენებანი სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს.

დავინწყოთ ნაირგვარობით: გარკვეულ ეპოქაში ძველ ზემოგერმანულში წერდნენ: *wazer* („წყალი“), *zehan* („ათი“), *ezan* („ჭამა“), მაგრამ არასოდეს — *wacer*, *cehan* და ა.შ. თუ მეორე მხრივ, გვხვდება *esan* და *essan*, *waser* და *wasser* და ა.შ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს *z*-ს *s*-ს მსგავს, მაგრამ იმ დროისათვის *c*-თი გამოხატული ბგერისგან საკმაოდ განსხვავებულ ბგერას გამოხატავდა. თუ შემდგომ ისეთ ფორმებს მივაკვლევთ, როგორცაა *wacer* და სხვა, საშუალება გვექნება ვამტკიცოთ, რომ წინათ აშკარად განსხვავებული ეს ორი ფონემა მეტ-ნაკლებად ერთმანეთში აირია.

წარმოთქმის შესასწავლად მეტად ფასეულ მასალას წარმოადგენს პოეტური ტექსტები. ლექსთწყობის სისტემა მარცვალთა რაოდენობას, მარცვალთა სიგრძეს, ერთგვარ ბგერათა გამეორებას (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა) უკავშირდება. პოეტური ტექსტები მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის ფონოლოგიის შესაბამის საკითხებზე. ბერძნულში ზოგი გრძელი ბგერა გრაფიკულადაც განსხვავებულია (მაგ. *ᾶ*, რომელიც *α*-თი აღნიშნება), ზოგი კი არა. ასე, რომ *a*, *i* და *u*-ს სიგრძეზე ცნობები პოეტებთან უნდა მოვიძიოთ. ძველ ფრანგულში რითმა გვამცნობს რომელ ეპოქამდე განსხვავდებოდნენ ბოლოკიდური თანხმოვნები სიტყვებში *gras* და *faz* (ლათინური *faciō* „ვაკეთებ“) და რა დროიდან დაუახლოვდნენ და შეერწყნენ

ისინი ერთმანეთს. რითმა და ასონანსი გვამცნობს აგრეთვე, რომ ძველ ფრანგულში ლათინური a-სგან მომდინარე ყველა e-ს (მაგ. père „მამა“ ← patrem, tel „ასეთი“ ← talem, mer „ზღვა“ ← mare) სხვა e-ებისგან განსხვავებული ბგერადობა ჰქონდა. ეს სიტყვები არასოდეს ერთიმეობა და არც ასონირდებოდა ისევე სიტყვებთან, როგორებიცაა elle („ის“, illa-დან), vert („მწვანე“ veridem-დან), belle („ლამაზი“ bella-დან) და ა.შ.

დასასრულს მოვიხსენიოთ უცხო ენიდან ნასესხები სიტყვების დამწერლობა, სიტყვათა თამაში, კალამბურები და ა.შ. მაგალითად, გუთურში kawtsji გვაცნობს ძველი ლათინური cautio-ს წარმოქმას. ფრანგული roi-ს („მეფე“) ნაცვლად rwè-ს წარმოქმას XIII ს-ის მინურულში დადასტურებულია ნიროპის ფრანგული ენის ისტორიული გრამატიკის I ტომში, გვ. 178: რეგოლუციურ ტრიბუნალზე ერთ ქალს ჰკითხეს, თქვა თუ არა მან მოწმეებთან, რომ ესაჭიროებოდა მეფე. ქალმა მიუგო, რომ მას არაფერი უთქვამს ისეთ მეფეზე (roi) როგორც იყო კაპეტი ან ვინმე სხვა. მას უბრალოდ, ესაჭიროებოდა rouet maître — „საქსოვი დაზვა“.

ინფორმაციის ეს წყაროები, გარკვეული სახით, საშუალებას გვაძლევს გავცნოთ ამა თუ იმ ეპოქის ფონოლოგიურ სისტემასა და კრიტიკულად გამოვიყენოთ წერილობითი წყაროების მონაცემები.

ცოცხალი ენის შემთხვევაში ერთადერთი რაციონალური მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: ა) საჭიროა დავადგინოთ ბგერათა სისტემა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოგვიდგება უშუალო დაკვირვებისას; ბ) შევუპირისპიროთ იგი ნიშანთა სისტემას, რომელიც ემსახურება ბგერათა ასახვას (თუმცა არაზუსტს). ბევრი გრამატიკოსი ძველი, ზემოთ გაკრიტიკებული მეთოდის მომხრეა. ეს მეთოდი ცდილობს გვიჩვენოს, თუ როგორ წარმოითქმის ყოველი ასო აღსანერ ენაში. მაგრამ, ამ გზით შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ მოცემული ენის ფონოლოგიურ სისტემაზე.

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ამ სფეროში დიდი წარმატებები მიღწეული და რომ ფონოლოგებმა დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენი შეხედულებების შეცვლას დამწერლობისა და ორთოგრაფიის საკითხებზე.

დანართი

ფონოლოგიის პრინციპები

თავი I

ფონოლოგიური ტიპები

§1. ფონემის განსაზღვრა

ამ ნაწილისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ფ. დე სოსიურის მიერ მარცვლის თეორიის შესახებ ნაკითხული სამი ლექციის სტენოგრამა. ამ ლექციებში იგი განიხილავს I თავის ძირითად პრინციპებსაც. მისი შენიშვნების უმრავლესობა ფონოლოგიას ეხება. ისინი უპუქს ჰფენენ და ავსებენ I და II ლექციების მრავალ საკითხს (გამომცემლები).

მრავალი ფონოლოგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ და მხოლოდ ბგერადობის აქტს, ე.ი. ბგერათა წარმოებას სხვადასხვა სამეტყველო ორგანოებით (ხორხით, პირის ღრუთი და ა.შ.), ე.ი. ფიზიოლოგიის მხარეს და ნაკლებად აინტერესებს აკუსტიკური მხარე. ასეთი მიდგომა სამართლიანი არაა. სმენითი შთაბეჭდილება ისევე უშუალოდ გვეძლევა, როგორც სამეტყველო ორგანოთა მოძრაობა. გარდა ამისა, სწორედ სმენითი შთაბეჭდილება წარმოადგენს ნებისმიერი თეორიის ბუნებრივ საფუძველს.

აკუსტიკური მონაცემები შეუცნობელი ფორმით არსებობს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფონოლოგიურ ერთეულთა შესწავლას ვინწყებთ. სმენით ვარკვევთ ხ-სთან გვაქვს საქმე თუ t-სთან. რომ შეგვეძლოს კინემატოგრაფის საშუალებით აღვადგინოთ პირისა და ხახის ნებისმიერი მოძრაობა, რომლებიც წარმოქმნიან ბგერით ჯაჭვს, ამ საარტიკულაციო მოძრაობებში შინაგანი დანაწევრების აღმოჩენას მაინც ვერ შევძლებდით: არ ვიცით სად იწყება ერთი ბგერა და სად მთავრდება მეორე. აკუსტიკური შთაბეჭდილების გარეშე როგორ უნდა ვამტკიცოთ, მაგალითად, რომ fāI-ში სამი ერთეულია და არა ორი ან ოთხი? მოსმენილ გაბმულ მეტყველებაში კი შეიძლება უშუალოდ შევიცნოთ საკუთარი თავის იდენტური რჩება თუ არა ბგერა. რამდენადაც ერთგვაროვნების შთაბეჭდილება იხანება, ბგერა თავისი თავის იდენტურია. მნიშვნელოვანია არა მისი სიგრძე, როგორც ტაქტის მერვედი ან მეთექვსმეტედი ნაწილებისა, არამედ შთაბეჭდილების ხარისხი. აკუსტიკური ჯაჭვი ნაწილდება არა თანაბარ, არამედ ერთგვაროვან ტაქტებად, რომლებსაც შთაბეჭდილების ერთიანობა ახასიათებს და სწორედ ამაში მდგომარეობს ფონოლოგიური გამოკვლევის ბუნებრივი ათვისის ნერტილი.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თავდაპირველი ბერძნული ანბანი. ყოველი მარტივი ბგერა მასში ერთი გრაფიკული ნიშნითაა წარმოდგენილი და პირუკუ, ყოველ ნიშანს მუდამ ერთი და იგივე ერთი მარტივი ბგერა შეესაბამება. ეს გენიალური აღმოჩენა ლათინელებმაც მიიღეს მემკვიდრეობით. სიტყვა *hárbaros*-ის („ველური“) დაწერილობაში BAPBAPOC ყოველი ასო ერთგვაროვან ტაქტს შეესაბამება. ზემოთ მოცემულ ნახაზზე ჰორიზონტალური ხაზი ბგერათა ჯაჭვის წარმოადგენს, ვერტიკალური ხაზები კი ერთი ბგერიდან მეორეში გადასვლას. თავდაპირველად, ბერძნულ ანბანში არ გვექონდა ისეთი რთული დაწერილობა, როგორიცაა *χ*-ს აღნიშვნელი ფრანგული *ch*, არც ერთი ბგერის ორგვარი გამოსახულება, როგორიცაა *c* და *s*-ის ხმარება *s*-ს აღსანიშნავად. არ ვხვდებით არც მარტივ ნიშანს ორმაგი ბგერის გადმოსაცემად, მაგ. *x*-ის ხმარებას *ks*-ს აღსანიშნავად. კარგი ფონოლოგიური დამწერლობისთვის აუცილებელი და საკმარისი ეს პრინციპები ბერძნებმა თითქმის სრულად განახორციელეს.¹

სხვა ხალხებმა ეს პრინციპი ვერ შენიშნეს და მათი ანბანი მეტყველების ჯაჭვის აკუსტიკურ ფაზებად ვერ ანაწილებს.² მაგ. კვიპროსელები ისეთ უფრო რთულ ერთეულებზე შეჩერდნენ, როგორებიცაა *pa*, *ti*, *ko* და ა.შ. ასეთ დამწერლობას მარცვლოვანს უწოდებენ. აღნიშნა მთლად ზუსტი არაა, რადგან მარცვლი სხვა ტიპისაც შეიძლება იყოს, როგორიცაა მაგ. *pak*, *tra* და ა.შ. რაც შეეხება სემიტებს, ისინი მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავენ. ისეთ სიტყვას, როგორიცაა *hárbaros* ისინი დაწერდნენ *BRBRS*.

მეტყველების ჯაჭვში ბგერების გამოყოფა, ამრიგად, მხოლოდ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ემყარება, მაგრამ სხვაგვარი ვითარება გვაქვს მათი აღწერის დროს, რომელიც მხოლოდ საარტიკულაციო აქტის საფუძველზეა შესაძლებელი, რადგან თვით აკუსტიკური ერთეულების ჯაჭვი ანალიზს არ ექვემდებარება.³

¹ მართალია, ისინი *kh*, *th*, *ph*-ის აღსანიშნავად წერდნენ *X*, *θ*, *Φ*-ს. ΦΕΡΩ აღნიშნავს *phérō*-ს, მაგრამ ეს გვიანდელი ინოვაციაა. არქაულ წარწერებში ხვდებით KHAIPΣ -ს და არა XAPIΣ -ს. იმავე წარწერებში *K*-ს აღსანიშნავად გვხვდება „კაპაც“ და „კოპაც“, თუმცა, ისინი განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენენ: საქმე ეხებოდა წარმოთქმის ორ განსხვავებულ ნიუანსს. *K* ხან პალატალური იყო, ხან ველარული. დროთა განმავლობაში „კოპა“ გაქრა. ბოლოს, უფრო რთული შემთხვევა: ძველ ბერძნულსა და ლათინურ წარწერებში ორი თანხმოვანი ხშირად ერთი ასოთი აღინიშნება. მაგ. ლათინური *fuisse* იწერებოდა როგორც *FUISE*. ეს პრინციპის დარღვევაა, რადგან ორმაგი *s* გრძელდება ორი ტაქტის მანძილზე, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთგვაროვანი არ არიან და განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნიან. მაგრამ, ასეთი შეცდომა საპატიოა, რადგან ეს ორი ბგერა ერთმანეთს არ ერწყმის და რაღაც აქვთ საერთო (იხ. გვ. 60).

² აქ მჟღავნდება ავტორის მიერ არცოდნა ქართული დამწერლობისა, რომელიც ფონოლოგიური პრინციპის სრულყოფის განსხვავებულ ნიმუშს წარმოადგენს (ბ.გ.).

³ ეს მოსაზრება ფონეტიკის განვითარების დღევანდელი დონისთვის აღარაა მართებული (ბ.გ.).

იძულებული ვართ თვით მეტყველების ჯაჭვს მივმართოთ. შეიმჩნევა, რომ ერთსა და იმავე ბგერას ერთი და იგივე არტიკულაცია შეესაბამება: *b* (აკუსტიკური ტაქტი) = *b'* (საარტიკულაციო ტაქტი). პირველადი ერთეულები, რომლებსაც მეტყველების ჯაჭვის დანაწევრებით ვღებულობთ, შედგება *b* და *b'*-სგან. მათ ფონემებს უწოდებენ. ფონემა წარმოადგენს აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა და საარტიკულაციო მოძრაობების, მოსმენილი და წარმოთქმული ერთეულების ჯამს, რომელთაგან ერთი განპირობებულია მეორეთი: ამრიგად, ეს უკვე რთული ერთეულია, რომელსაც ორივე ჯაჭვში აქვს საყრდენი.

მეტყველების ჯაჭვის ანალიზის საშუალებით მიღებული ელემენტები ამ ჯაჭვის რგოლებს, დაუყოფელ მომენტებს წარმოადგენენ, რომელთა განხილვა მათ მიერ დაკავებული დროის გარეშე შეუძლებელია. ასე მაგ. *ta* ტიპის შენაერთი ყოველთვის წარმოგვიდგება როგორც ერთი მომენტი + მეორე მომენტი, გარკვეული სიგრძის მონაკვეთი + მეორე მონაკვეთი. ცალკე აღებული, დაუშლელი მონაკვეთი *t* კი პირიქით, განიხილება *in abstracto*, დროის მიღმა. შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად *t*-ზე, როგორც *T*-ს ტიპზე (ტიპებს მთავრული ასოებით აღვნიშნავთ), *i*-ზე, როგორც *I*-ს ტიპზე და მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნებზე გავამახვილოთ ყურადღება, უგულვებელყოთ ის, რაც დამოკიდებულია დროში თანმიმდევრობაზე. ამრიგად, მუსიკალურ ბგერათა შესამებად დო რე მი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ, როგორც კონკრეტული თანმიმდევრობა დროში; მაგრამ, თუ ავიღებთ მის ერთ რომელსავე ელემენტს, შეიძლება იგი *in abstracto* განვიხილოთ.

სხვადასხვა ენის შესაბამისი მეტყველების ჯაჭვების სათანადო რაოდენობის გაანალიზების შემდეგ შეიძლება გამოვავლინოთ და მოვანუს-რიგოთ მათში გამოყენებული ელემენტები; ირკვევა, რომ თუკი უგულვებელყოფთ უმნიშვნელო აკუსტიკურ ნიუანსებს, მიღებული ტიპების რაოდენობა უსასრულო არ იქნება. მათ სიას და დეტალურ აღწერას შეიძლება შევხვდეთ სპეციალურ ნაშრომებში.¹ ჩვენ კი შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ რა მუდმივსა და ძალზე მარტივ პრინციპებს ემყარება ამ ტიპის ნებისმიერი კლასიფიკაცია.

მაგრამ, მანამდე ორიოდე სიტყვა უნდა მოვასენოთ საარტიკულაციო აპარატზე, სამეტყველო ორგანოების შესაძლებლობებსა და მათ როლზე ბგერის წარმოქმნაში.

¹ იხ. Sievers, *Crundzüge der Phonetik*, 5^e éd. 1902; Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*, 2^e éd. 1913; Roudet, *Éléments de phonétique générale*, 1910.

§2. სამეტყველო აპარატი და მისი ფუნქციონირება¹

სამეტყველო აპარატის აღწერისას შემოვიფარგლებით სქემატური ნახაზით, სადაც A აღნიშნავს ცხვირის ღრუს, B — პირის ღრუს, C — ხორხს და ორ სახმო სიმს შორის მდებარე ყიას (E).

პირში უნდა განვასხვავოთ ბაგეები და a, ენა ბ და ყ (ბ აღნიშნავს ენის წვერს, ყ კი თვით ენას), ზედა კბილები d, სასა, რომელზედაც გამოიყოფა შიდა, ძვლოვანი და ინერტული ნაწილი f-ი და უკანა, რბილი და მოძრავი ნაწილი, ანუ რბილი სასა i და ბოლოს ნაქი ბ.


ბერძნული ასოები აღნიშნავენ არტიკულაციაში მონაწილე ორგანოებს, ლათინური კი — პასიურებს.

ყია E, რომელიც ორი პარალელური კუნთის, ანუ სახმო სიმებისგან წარმოიქმნება იხსნება მათი განხშევით და იხურება მათი დახშევით. სახმო სიმების სრული ხშვა მხედველობაში არ მიიღება. რაც შეეხება განხშვას, იგი ხან ფართოა, ხან ვიწრო. პირველ შემთხვევაში ჰაერი თავისუფლად გაედინება და სახმო სიმები არ ვიბრირებენ. მეორე შემთხვევაში კი ჰაერის გასვლა იწვევს უღერად ვიბრაციებს. ბგერათა ნორმალურ წარმოქმნაში სხვა არჩევანი არ არსებობს.

ცხვირის ღრუ სრულიად უძრავი ორგანოა. მასში ჰაერის მიწოდება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ დ ნაქის ანევით. ამრიგად, იგი უბრალოდ, გასასვლელს წარმოადგენს, რომელიც ღია ან დახურული.

რაც შეეხება პირის ღრუს, იგი სხვადასხვა სახის არტიკულაციების ფართო ასპარეზია: არხის სიგრძე შეიძლება გაიზარდოს ბაგეების დახმარებით, შეიძლება გაიბეროს ან შეიკუმშოს ლოყები; ბაგეებისა და ენის ნაირგვარი მოძრაობით დაეინროვდეს ან სულაც დაიხუროს პირის ღრუ.

¹ფ. დე სოსიურის მოკლე აღწერილობა შევსებულ იქნა იესპერსენის *Lehrbuch der Phonetik*-ით, საიდანაც დავისესხეთ ქვემოთ მოცემული ფონემათა დადგენის პრინციპი. აქ კი საქმე ეხება ფორმის საკითხებს, და ზუსტებას და მკითხველი დარწმუნდება, რომ ეს ცვლილებები არაფერში ეწინააღმდეგება ფ. დე სოსიურის თვალსაზრისს (გამომცემლები).



ყველა ამ ორგანოს როლი ბგერის წარმოქმნაში მათი მოძრაობის პირდაპირპროპორციულია. ხორხისა და ცხვირის ღრუს ფუნქციები ერთფეროვანია, პირის ღრუსი კი — მრავალგვარი.

ფილტვებიდან ამოდეგნილი ჰაერი ყიას გაივლის, სადაც სახმო სიმების ერთმანეთთან მიახლოებით წარმოიქმნება ე.წ. სახმო ტონი. მაგრამ, სახისმიერ არტიკულაციას არ შეუძლია წარმოქმნას ისეთი ფონოლოგიური ნაირსახეობანი, რომლებიც ენის ბგერების განსხვავებისა და დაჯგუფების საშუალებას მოგვცემდა. ამ მხრივ, ხმის ტონი ერთგვაროვანია. თუ მას უშუალოდ ყიიდან გამოსვლის მომენტში აღვიქვამთ, ის ბუნებით, დაახლოებით, მუდმივი მოგვეჩვენება.

ცხვირის ღრუ მასში გამდინარე ბგერითი რხევების რეზონატორია, ე.ი. არც ის წარმოქმნის ბგერებს.

პირის ღრუ კი პირიქით, მასში გამავალი ბგერითი რხევების გენერატორისა და რეზონატორის ფუნქციებს ათავსებს. თუ ყია ფართოდაა გაღებული, მასში სახმო სიმები არ ვიბრირებენ და ბგერა პირის ღრუში წარმოიქმნება (ფიზიკოსებმა გადაწყვიტონ, ბგერაა ეს თუ, უბრალოდ, ხმაური). თუ პირიქით, სახმო სიმების მიახლოება იწვევს მათ რხევას, პირის ღრუ ძირითადად, სახმო ტონის მოდიფიკატორად გვევლინება.

ამრიგად, ბგერის წარმოქმნაში შემდეგი ფაქტორები მონაწილეობენ: ექსპირაცია, არტიკულაცია პირის ღრუში, სახმო სიმების ვიბრაცია, და ცხვირისმიერი რეზონანსი.

ბგერის წარმოქმნელ ფაქტორთა უბრალო ჩამოთვლა არაა საკმარისი ფონემათა დიფერენციალური ელემენტების განსასაზღვრად. მათი კლასიფიკაციისათვის უნდა ვიცოდეთ არა იმდენად ის, თუ როგორ იწარმოებიან ისინი, არამედ ის, თუ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან. ამასთანავე, კლასიფიკაციაში უარყოფით ფაქტორს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დადებითს. მაგალითად, ექსპირაცია დადებითი ფაქტორია, მაგრამ რამდენადაც ის ნებისმიერ ბგერადობის აქტში მონაწილეობს, მას განმასხვავებელი ღირებულება არ გააჩნია. ცხვირისმიერი რეზონანსის უქონლობა უარყოფითი ფაქტორია, მაგრამ მისი არსებობა-არარსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ფონემათა დასახასიათებლად. საქმე ისაა, რომ ა) ექსპირაცია და ბ) პირის ღრუსმიერი არტიკულაცია მუდმივად აუცილებელი და საკმარისი ფაქტორებია ბგერის წარმოსაქმნელად, ხოლო გ) სახმო სიმების ვიბრაცია და დ) ცხვირისმიერი რეზონანსი შეიძლება ახლდეს ან არ ახლდეს ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ა, გ და დ ერთგვაროვანნი არიან, ხოლო ბ უამრავ ნაირსახეობას მოიცავს.

არც ის უნდა დაგვაინწყდეს, რომ ფონემის განსასაზღვრად საკმარისია განისაზღვროს შესაბამისი ბგერადობის აქტი და რომ, მეორე მხრივ, ბგერადობის ყველა აქტის იდენტიფიკაციით შეიძლება ნებისმიერი ფონემა განისაზღვროს.

ამასთანავე, ბგერის წარმოქმნაში მონაწილე ფაქტორთა ჩვენს მიერ ჩატარებული კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ ეს აქტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სამი უკანასკნელი (ბ, გ, დ) ფაქტორის მოშველიებით. მაშასადამე, ყოველი ფონემისთვის უნდა დადგინდეს: როგორია მისი პირისმიერი არტიკულაცია, შეიცავს იგი ხმოვნის ტონს (----) თუ არა ([]), შეიცავს იგი არაცხვირისმიერ რეზონანსს (.....) თუ არა ([]), თუ ამ სამი მაჩვენებლიდან ერთ-ერთი დაუდგენელია, ბგერის იდენტიფიკაცია არასრულია. თუ სამივე მაჩვენებელი ცნობილია, მათი სხვადასხვაგვარი კომბინაცია განსაზღვრავს ბგერადობის აქტის ყველა ძირითად ტიპს.

ამრიგად, შესაძლებელ ნაირსახეობათა შემდეგ სქემას მივიღებთ:

	I	II	III	IV
ბ	ექსპირაცია	ექსპირაცია	ექსპირაცია	ექსპირაცია
ბ	პირისმიერი	პირისმიერი	პირისმიერი	პირისმიერი
ბ	არტიკულაცია	არტიკულაცია	არტიკულაცია	არტიკულაცია
გ	[]	~~~~	[]	~~~~
დ	[]	[]

სვეტში თავმოყრილია ყრუ ბგერები, II-ში მჟღერი ორალური ბგერები, III-ში — ყრუ ცხვირისმიერები, IV-ში მჟღერი ცხვირისმიერი ბგერები. დასაზღვევია: პირისმიერი არტიკულაციის ბუნება; საჭიროა განისაზღვროს მისი შესაძლებელი ნაირსახეობანი.

გვ. 3. გვართა კლასიფიკაცია პირისმიერი არტიკულაციის მიხედვით

ჩვეულებრივ, ბგერებს მათი წარმოების ადგილის მიხედვით აჯგუფებენ. ჩვენი კრიტერიუმი განსხვავებულია. სადაც არ უნდა ხდებოდეს არტიკულაცია, იგი მუდამ წარმოადგენს გარკვეულ ლიაობას, ანუ ლიაობის გარკვეულ ხარისხს ორ უკიდურეს საზღვარს — სრულ ხშვასა და მაქსიმალურ განხშვას შორის. ამ ნიშანზე დაყრდნობით, თუ მინიმალური ლიაობიდან მაქსიმალურისკენ გადავინაცვლებთ, ბგერები დალაგდებიან შეიძ კატეგორიად, რომლებსაც აღვნიშნავთ რიცხვებით: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6. წარმოქმნის ადგილის შესაბამისად, თითოეულ კატეგორიაში ფონემათა სხვადასხვა ტიპებს გამოვყოფთ.

გამოვიყენებთ საყოველთაოდ მიღებულ ტერმინოლოგიას, თუმცა, რიგ შემთხვევებში იგი არასრულყოფილი და არაზუსტია. ისეთი ტერმინები, როგორცაა უკანანისმიერები, სასისმიერები, კბილისმიერები, წარწარები და ა.შ. მეტ-ნაკლებად არალოგიკურია. თუ სასას რამდენიმე ზონად დავყოფთ, ენისმიერი არტიკულაციის გათვალისწინებით ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება მივუთითოთ ზონა, რომელშიაც ხვდება ენის მაქსიმალური მიახლოების წერტილი. აქედან გამომდინარე, გვ.50-ზე მოცემული ასოების გამოყენებით

ყოველ არტიკულაციას წარმოვადგენთ ფორმულით, რომელშიაც ლიაობის აღნიშვნელი ციფრი მოთავსდება ბერძნული ასოთი აღნიშნულ აქტიურ ორგანოსა (მარცხნივ) და ლათინური ასოთი აღნიშნულ პასიურ ორგანოს (მარჯვნივ) შორის. ამრიგად, β e ნიშნავს, რომ ლიაობის ხარისხი ნულოვანია და ენის წვერი β ებჯინება ზედა კბილების წუნებს e.

და ბოლოს, ყოველი არტიკულაციის შიგნით ფონემათა ტიპები ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ აქეთ ან არა აქეთ ხმის ტონი ან ცხვირისმიერი რეზონანსი, რომელთა ქონა-უქონლობა ფონემათა დიფერენციაციის საშუალებაა.

ჩვენ დავაჯგუფებთ ბგერებს ამ პრინციპების შესაბამისად, რამდენადაც საქმე ეხება რაციონალური კლასიფიკაციის მარტივ სქემას. მათი პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, ამ სქემაში არ უნდა ვეძიოთ რთული თუ სპეციალური ხასიათის მქონე ფონემები, როგორცაა მაგალითად, ფშვინვიერები (ph, dh და სხვა), აფრიკატები (ts, dz, pf და სხვა), პალატალიზებული თანხმოვნები, სუსტი ხმოვნები (ა ანუ მუნჯი e და სხვა), არც მარტივი ფონემები, რომლებიც მოკლებულნი არიან პრაქტიკულ მნიშვნელობას და განსხვავებად არ გვევლინებიან.

A. — ნულოვანი ლიაობა: ხშულები. ეს ჯგუფი მოიცავს ყველა ფონემას, რომელიც ინარმოვბა პირის ღრუს სრული, ჰერმეტიული, მაგრამ მეყსეული ხშვით. აზრი არა აქვს იმის დადგენას, როდის ინარმოვბა ბგერა, პირის ღრუს დახურვისა თუ გახსნის მომენტში. რეალურად, ბგერა ორივე მომენტში შეიძლება წარმოიქმნას (იხ. გვ. 60). არტიკულაციის ადგილის მიხედვით განასხვავებენ ხშულის სამ ძირითად ტიპს: ბაგისმიერებს (p, b, m), კბილისმიერებს (t, d, n) და უკანანისმიერებს (k, g, ŋ).

პირველნი ორივე ბაგის საშუალებით ინარმოვბიან, მეორეთა არტიკულაციის დროს ენის წვერი სასის წინა ნაწილს ებჯინება, მესამე ჯგუფის წარმოებისას კი ენის ზურგი სასის უკანა მხარეს ეხება.

მრავალ ენაში, კერძოდ, ინდოევროპულში მკაფიოდ განასხვავებენ ორ უკანანისმიერ არტიკულაციას: 1. პალატურს f — h წერტილებში და 2. ველარულს — i წერტილში. სხვა ენებში კი, მაგ. ფრანგულში ეს განსხვავება არავითარ როლს არ ასრულებს და უკანა k (court „მოკლე“) და წინა k (qui „რომელიც“) ყურით ერთნაირად აღიქმება.

მოვიყვანთ ამ განსხვავებულ ფონემათა ფორმულებს:

ბაგისმიერნი			კბილისმიერნი			უკანანისმიერნი		
p	b	(m)	t	d	(n)	k	g	(ŋ)
α Oa	α Oa	α Oa	β Oe	β Oe	β Oe	γ Oh	γ Oh	γ Oh
[]	~~~~	~~~~	[]	~~~~	~~~~	[]	~~~~	~~~~
[]	[]	[]	[]	[]	[]

(ცვირისმიერი m, n, ñ მჟღერი, ნაზალიზებული ხშულებია. როცა amba- („ჩრდილი“) წარმოთქვამთ, რბილი სასა აინვეს, რათა m-დან ხ-ზე გადასვლისას გადაკეტოს ცვირის ღრუ.

თეორიულად, ყოველ ტიპში არის კიდევ ერთი ცვირისმიერი, რომელიც სახმო სიმების რხევის გარეშე წარმოიქმნება, ანუ ყრუ ბგერაა. ასე მაგალითად, სკანდინავურ ენებში ყრუ ბგერების შემდეგ თავს იჩენს ყრუ m. ასეთი მაგალითების დაძებნა ფრანგულ ენაშიც შეიძლებოდა, მაგრამ ამ ენაზე მეტყველნი ფრანგული ცვირისმიერების სიყრუეში დიფერენციალურ ელემენტს არ ხედავენ.

ცხრილში ცვირისმიერი ბგერები ფრჩხილებშია მოცემული. ეს იმიტომ, რომ თუმცა მათ წარმოქმნა პირის ღრუს სრულ დახურვას მოითხოვს, ღია გასასვლელი ცვირის ღრუში მათ ღიაობის საკმაოდ მაღალ ხარისხს ანიჭებს (იხ. C ჯგუფი).

B. — ღიაობის პირველი ხარისხი: ნაპრალოვნები ანუ სპირანტები. მათ ახასიათებთ პირის ღრუს არასრული დახურვა, რაც ხელს არ უშლის ჰაერის გასვლას. ტერმინი „სპირანტი“ ზოგადი ხასიათისაა. ტერმინი „ფრიკატივი“ თუმცა არაფერს გვეუბნება ღიაობის ხარისხზე, მოგვაგონებს ხახუნს, რომელიც გამოწვეულია ჰაერნაკადის გამოსვლით (ლათ. fricāre).

აქისე როგორც პირველ ჯგუფში, სამი ტიპით ვერ შემოვიფარგლებით. საკუთრივ ბაგისმიერნი (რომლებიც ხშულ p და ხ-ს შესაბამებია) ძალზე იშვიათად გამოიყენებიან. ჩვენ მათ მხედველობაში არ მივიღებთ. ჩვეულებრივ, მათ ენაცვლება კბილბაგისმიერები, რომლებიც ქვედა ბაგის კბილებთან მიახლოებით წარმოიქმნებიან (ფრანგულში f და v); იმის მიხედვით, თუ როგორ ფორმას იღებს ენის წვერი მიახლოების მომენტში, კბილისმიერი ბგერები იყოფა განსხვავებულ ჯგუფებად. ჩვენ მათ დეტალურად არ განვიხილავთ და β, β' და β''-თი აღვნიშნავთ. ბგერებში, რომლებიც სასას უკავშირდებიან, ყური ძირითადად განასხვავებს უფრო წინა (პალატალურ) და უფრო უკანა (ველარულ) არტიკულაციას.¹

ბაგე- კბილისმიერნი		კბილისმიერნი					
f	v	β	d	s	z	ξ	ξ
αid	αid	βid	βid	β'id	β'id	β''id	β''id
[]	~~~~	[]	~~~~	[]	~~~~	[]	~~~~
[]	[]	[]	[]	[]	[]	[]	[]

¹ გამარტივების მეთოდის მომხრე ფ. დე სოსიური საჭიროდ არ თვლიდა იმავე ნიშნით განსხვავებინა A კლასის ბგერებიც, მიუხედავად იმ არსებითი მნიშვნელობისა, რაც K₁ და K₂ სერიებს აქვთ ინდოევროპულ ენებში. ეს გამოტოვება სრულიად თვითნებურია (გამომცემლები).

პალატალურები		ველარალები	
χ'	γ'	χ	γ
γit	γit	γit	γit
[]	~~~~	[]	~~~~
	[]	[]	[]

β=ინგლისურ th სიტყვაში thing
 d= ინგლისურ th სიტყვაში then
 s = ფრანგულ s სიტყვაში si
 z = ფრანგულ s სიტყვაში rose
 ξ = ფრანგულ ch სიტყვაში chant
 ξ = ფრანგულ g სიტყვაში génie
 χ' = გერმანულ ch სიტყვაში ich
 γ' = ჩრდ. გერმან. g სიტყვაში liegen
 χ = გერმანულ ch სიტყვაში Bach
 γ = ჩრდ. გერმ. g სიტყვაში Tage

არსებობს თუ არა n, m, ñ-ის და ა.შ. შესატყვისი ნაპრალოვნები? ე.ი. ცვირისმიერი v, z და ა.შ.? ეს სავეებით დასაშვებია. ცვირისმიერი v ისმის ფრანგულ inventer-ში („გამოგონება“), თუმცა საერთოდ, ნაპრალოვანი ცვირისმიერები ენაში ამოცნობად ბგერათა რიცხვს არ განეკუთვნებიან.

C.-ღიაობის II ხარისხი: ცვირისმიერები (იხ. გვ. 54).

D.-ღიაობის III ხარისხი: წარწარები

ამ ტიპის ბგერებს ორი ტიპის არტიკულაცია ახასიათებს:

1. ლატერალური არტიკულაცია: ენა სასის წინა ნაწილს ებჯინება, მაგრამ მარჯვნივ და მარცხნივ ღია გამოსასვლელს ტოვებს. ჩვენს ფორმულებში ეს მდგომარეობა ! -თი არის წარმოდგენილი. არტიკულაციის ადგილის მიხედვით განასხვავებენ კბილისმიერ I-სა და სასისმიერ, ანუ „შერბილებულ“ I'-ს, აგრეთვე ველარულ, ანუ „მაგარ“ I-ს. ეს ფონემები თითქმის ყველა ენაში მჟღერია, ისევე, როგორც b, z და სხვა. ამავე დროს, ყრუ ლატერალური ბგერებიც არაა გამორიცხული. ისინი არსებობენ ფრანგულ ენაში, სადაც ყრუ ბგერის მომდევნო I სახმო ტონის გარეშე წარმოითქმის (მაგ. pluie „წვიმა“, შდრ. bleu „ცისფერი“), მაგრამ ჩვენ ამ განსხვავებას ვერ აღვიქვამთ.

არ ღირს ლაპარაკი ცვირისმიერ I-ზე, რომელიც ძალზე იშვიათია და ძნელი გასარჩევია, თუმცა არსებობს, განსაკუთრებით კი ცვირისმიერი ბგერების შემდეგ (მაგ. ფრანგული branlant „მერყევი“).

2. მთრთოლი არტიკულაცია: ენა ნაკლებად უახლოვდება სასას, ვიდრე ეს I-ის წარმოთქმისას ხდება. ამასთანავე ის ვიბრირებს, თუმცა რხევათა რაოდენობა განუსაზღვრელია (ფორმულებში ნიშანი V) რის გამოც ღიაობის ხარისხი დაახლოებით ისეთივეა, როგორც ლატერალური ბგერების წარმოთქმისას. ასეთი ვიბრაცია ორი გზით მიიღება: ნუნებზე მიბჯენილი ენის წვერით, ე.ი. წინიდან (ფრანგული ენის ე.წ. მთრთოლი r) ან კიდევ ენის უკანა ნაწილით (ველარული r). ყრუ და ცვირისმიერ ვიბრანტებზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც ლატერალური ბგერების შესახებ აღვნიშნეთ.

i	ʌ	t	r	
βʌe	γʌf-h	γʌi	βʌe	γʌδʌ
~~~~	~~~~	~~~~	~~~~	~~~~
[]	[]	[]	[]	[]

ლიაობის მესამე ხარისხის შემდეგ სხვა სფეროში, თანხმოვნებიდან ხმოვნებზე გადავდივართ. აქამდე ეს განსხვავება არ გავითვალისწინებია, რადგან ბგერადობის მექანიზმი უცვლელი რჩებოდა. ხმოვნის ფორმულა ნებისმიერი მუდერი თანხმოვნის ფორმულას შეიძლება შევადაროთ. პირის ღრუსმიერი არტიკულაციის თვალსაზრისით მათ შორის არავითარი განსხვავება არაა. განსხვავებულია მხოლოდ აკუსტიკური ეფექტი. ლიაობის გარკვეული ხარისხის გადაჭარბების შემდეგ პირის ღრუ, ძირითადად, რეზონატორის ფუნქციას ასრულებს. ძირითადი ხდება სახმო ტონი, ჩქამი კი პირის ღრუში იჩქმალება. რაც უფრო მეტად იხურება პირი, მით უფრო სუსტდება სახმო ტონი. რაც უფრო მეტად იღება იგი, მით უფრო მცირდება ჩქამი. აი, რატომ დომინირებს ხმოვნებში ხმა ავტომატურად.

**E. — ლიაობის IV ხარისხი: i, u, ü**

სხვა თანხმოვნებთან შედარებით ეს ბგერები ნაკლებ ღიაა, რითაც ძალზე უახლოვდებიან თანხმოვნებს. აქედან გამომდინარეობს ის შედეგები, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით და რომლებიც ამართლებენ ამ ფონემების სახელს — „ნახევარხმოვნები“.

i ნარმოთქმის წინ წამოწეული ბაგეებით (ნიშანი —) და წინა არტიკულაციით; u — მომრგვალებული ბაგეებით (ნიშანი =) და უკანა არტიკულაციით, ü — ბაგეებით u-ს მსგავს პოზიციაში, არტიკულაციით კი i-ს მსგავსად.

როგორც ყველა ხმოვანს, i, u, ü-საც შეიძლება ჰქონდეთ ცხვირისმიერი ფორმები. თუმცა, ეს ფორმები იშვიათია და შეგვიძლია ისინი მხედველობაში არ მივიღოთ. აღსანიშნავია, რომ ბგერები, რომლებიც ფრანგულ ორთოგრაფიაში in და un გრაფემათა კომპლექსებით გადმოიცემა, ამ ჯგუფს არ განეკუთვნებიან და მათ ქვემოთ განვიხილავთ.

არსებობს თუ არა ყრუ i, ე.ი. i რომელიც სახმო ტონის გარეშე წარმოითქმება? იგივე კითხვა წამოიჭრება u და ü-ს, აგრეთვე ნებისმიერ ხმოვანთან დაკავშირებით. ეს ფონემები, რომლებიც ყრუ თანხმოვნებს უნდა შეესატყვისებოდნენ, არსებობენ, მაგრამ ისინი არ უნდა აგვერიოს ჩურჩულა ხმოვნებში, რომლებიც მოდუნებული სახმო ხერელის პირობებში იწარმოება. ყრუ ხმოვნები შეიძლება მივამსგავსოთ მათ წინ წარმოთქმულ ფშვინვიერ h-ს. ამრიგად, hi-ში ჯერ გვესმის i ვიბრაციის გარეშე, შემდეგ კი ჩვეულებრივი i.

i	u	ü
-γʌf	○γʌi	○γʌf
~~~~	~~~~	~~~~
[]	[]	[]

F. — ლიაობის V ხარისხი: e, o, ö რომელთა არტიკულაციაც, გარკვეული აზრით, i, u, ü-ს არტიკულაციას შეესაბამება. ცხვირისმიერი ხმოვნები ხშირია (ē, ō, ö მაგ. ფრანგული pin („ფიჭვი“), pont („ხიდი“), brun („ყავისფერი“). ყრუ ფორმები: ფშვინვიერი h he-ში, ho-ში, hū-ში.

NB. ზოგი ენა აქ ლიაობის რამდენიმე ხარისხს განასხვავებს. ასე მაგალითად, ფრანგულში არის სულ ცოტა ორი სერია: ერთი ე.წ. „დახურული“ é, ô, ö (მაგ. dé „სათითე“, dos „ზურგი“, deux „ორი“), მეორე ღია é, o, ö (მაგ. mer „ზღვა“, mort „სიკვდილი“ meurt „კვდება“).

e	o	ö	ē,	ō,	ö
-γʌf	○γʌi	○γʌf	-γʌf	○γʌi	○γʌf
~~~~	~~~~	~~~~	~~~~	~~~~	~~~~
[]	[]	[]	.....	.....	.....

a	ā
γ 6 h	γ 6 h
~~~~	~~~~
[]

G. — ლიაობის VI ხარისხი: — a, მაქსიმალური ლიაობა. გააჩნია ცხვირისმიერი ფორმა მცირეოდენი დაეინროებით ā (მაგ. grand „დიდი“) და ყრუ ფორმა h (სიტყვაში ha „ჰა“).

ფონემა მატყველავის ჯაჭვი

§1. ბგერათა მატყველავის ჯაჭვი შესწავლის აუცილებლობა

ენის ბგერათა დანვრელებითი ანალიზი წარმოდგენილია სპეციალურ ნაშრომებში, განსაკუთრებით კი — ინგლისელ ფონეტიკოსთა გამოკვლევებში.

საკმარისია თუ არა ეს იმისათვის, რომ ფონოლოგიამ თავის დანიშნულებას უპასუხოს — იყოს ლინგვისტიკის დამხმარე მეცნიერება? დაგროვილი დეტალების სიუხვეს თავისთავად ღირებულება არ გააჩნია, ღირებულია მხოლოდ სინთეზი. ენათმეცნიერისთვის აუცილებელი არაა ჩამოყალიბებული ფონოლოგი იყოს.¹ მას ენის შესწავლისთვის აუცილებელი მონაცემების გარკვეული რაოდენობა ესაჭიროება.

ფონოლოგიის მეთოდი განსაკუთრებით უკმარია შემდეგ შემთხვევებში: მხედველობის მიღმა რჩება ის, რომ ენაში არის არა მხოლოდ ბგერები, არამედ წარმოთქმულ ბგერათა ნაკადიც. მთელი ყურადღება ეთმობა იზოლირებულ ბგერებს. ჩვენ კი თავდაპირველად გვეძლევა არა ცალკეული ბგერა. მარცვალის უფრო უშუალოდ გვაქვს მოცემული, ვიდრე მისი შემადგენელი ბგერები. როგორც ვნახეთ, ზოგი ძველი დამწერლობა სწორედ მარცვლებს აღნიშნავდა, ანბანური სისტემა მოგვიანებით იქნა შემოღებული.

გარდა ამისა, მარტივი ბგერითი ერთეული არასოდეს წარმოადგენდა სირთულეს ენათმეცნიერისთვის. თუ მაგალითად, გარკვეულ ეპოქაში მოცემული ყოველი a o-ში გადავიდა, აქედან არაფერი არ გამომდინარეობს; შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს ეს ფაქტი და არ ვეცადოთ ფონოლოგიურად ავხსნათ იგი. ბგერათა შესახებ მეცნიერების ჭეშმარიტი ღირებულება ელინდება მაშინ, როცა ვაწყდებით ორ ან რამდენიმე ელემენტს შორის შინაგან დამოკიდებულებას, როცა ერთი ვარიაცია მეორე ელემენტის ვარიაციით განისაზღვრება. თვით იმ ფაქტიდან, რომ საქმე გვაქვს ორ ელემენტთან, გამომდინარეობს გარკვეული მიმართება და გარკვეული კანონზომიერება, რაც სავსებით განსხვავდება უბრალო კონსტატაციისგან. მაშასადამე, თუ საკუთარი ძირითადი პრინციპების ძიების გზაზე ფონოლოგია უპირატესობას იზოლირებულ ბგერებს ანიჭებს, ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება. საკმარისია

¹ როგორც ზემოთ ვნახეთ, ფ. დე სოსიურთან ტერმინები „ფონოლოგი“, „ფონოლოგია“ გაიგება როგორც „ფონეტიკა“, „ფონეტიკა“ დღევანდელი აზრით, ე.ი. როგორც ბგერათა ფიზიოლოგიის შემსწავლელი მეცნიერი და მეცნიერება და არა თანამედროვე ფონოლოგიის მნიშვნელობით (ბ.გ.)

იგი ორფონემიან ერთეულს წააწყდეს, რომ უსუსური ხდება. ამგვარად, ძველი ზემოგერმანულის ფორმებმა *hagl, balg, wagn, lang, donr, dorn* მოგვიანებით მოგვცა *hagal, balg, wagan, lang, donnar, dorn*. ამრიგად, ბგერათა ხასიათისა და ბგერათშესამებაში მათი თანმიმდევრობის შესაბამისად, განსხვავებულ შედეგებს ვღებულობთ. თუ ერთ შემთხვევაში ორ თანხმოვანს შორის ჩნდება ხმოვანი, სხვა შემთხვევაში ბგერათშესამება უცვლელი რჩება. როგორღა ჩამოვაყალიბოთ კანონი? რა განაპირობებს ამ განსხვავებას? უთუოდ ამ სიტყვების თანხმოვანთა ჯგუფები (gl, lg, gn და ა.შ.). აშკარაა, რომ ყველა ამ ჯგუფში შედის ხშული ფონემა, რომელსაც წინ უსწრებს, ხან კი მოსდევს წარწერა ცხვირისმიერი ფონემა. რა გამომდინარეობს აქედან? სანამ ჩვენ განვიხილავთ გ და n-ს, როგორც ერთგვაროვან ერთეულებს, ჩვენთვის გაუგებარი დარჩება თუ რატომ იწვევს გ-n ბგერათმიმდევრობა n-გ კომპლექსისგან განსხვავებულ ეფექტს.

ამრიგად, ბგერათა ტიპების ფონოლოგიასთან ერთად საჭიროა მეცნიერება, რომლისათვისაც ამოსავალი იქნებოდა წყვილული ჯგუფები და ფონემათა მიმდევრობა დროში. ეს კი განსხვავებული რამაა. იზოლირებული ბგერების შესწავლისას საკმარისია დავადგინოთ სამეტყველო ორგანოთა პოზიცია. ფონემის აკუსტიკური ხარისხი მხედველობაში არ მიიღება, იგი ყურით დგინდება. რაც შეეხება არტიკულაციას, მისი წარმოება ჩვენი სურვილის მიხედვით შეიძლება, მაგრამ როცა საქმე ორ, კომბინირებულ ბგერასთან გვაქვს, საკითხი რთულდება. იძულებული ვართ მხედველობაში მივიღოთ მოსალოდნელ და მიღებულ შედეგებს შორის შესაძლო განსხვავების ალბათობა. ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია წარმოვთქვათ ის, რაც გვსურს. ფონოლოგიური ტიპების ურთიერთდაკავშირების თავისუფლება შეზღუდულია საარტიკულაციო მოძრაობათა დაკავშირების შესაძლებლობებით. იმის გასარკვევად, თუ რა ხდება ბგერათშესამების შიგნით, ისეთი ფონოლოგია უნდა შეიქმნას, რომელშიაც ეს ბგერათშესამებანი ალგებრული განტოლების სახით განიხილება. წყვილოვანი ბგერათშესამება შეიცავს მექანიკურ და აკუსტიკურ ელემენტთა გარკვეულ ურთიერთგანპირობებულ რაოდენობას. ერთი მათგანის ვარიაცია აუცილებლად აისახება სხვებზეც. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოთვლილ იქნეს ეს ასახვა.

თუ ბგერადობის მოვლენაში გვაქვს რაღაც უნივერსალური, რაც ფონემათა არტიკულაციური ნაირსახეობის „ზემოთ“ დგას, ეს უეჭველად სწორედ ის მონესრიგებული მექანიზმია, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. აქედან აშკარაა, რა მნიშვნელობა აქვს ბგერათშესამებას ზოგადი ენათმეცნიერებისთვის. მაშინ როცა ჩვეულებრივ, ბგერათა არტიკულაციის წესების, ენის შემთხვევითი და ცვალებადი ელემენტების მოწოდებით იფარგლებიან, ეს ახალი, კომბინატორული ფონოლოგია მოხაზავს ურთიერთდამოკიდებულ ფონემათა შესაძლებლობების არეს და აფიქსირებს მუდმივ მიმართებებს მათ შორის. ასე, მაგ. *hagl, balg* და ა.შ. (იხ. გვ. 59) შემთხვევა ინდოევროპულ სონანტთა კერძო საკითხს წამოჭრის. ეს სწორედ ის სფეროა,

სადაც ვერაფრით გვერდს ვერ ავუვლით ფონოლოგიას ზემოთ განხილული აზრით, რადგანაც დამარცვლა იმ ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს, რომელსაც აქ ემყარება ყოველივე თავიდან ბოლომდე. ეს არაა ერთადერთი პრობლემა, რომელიც ამ მეთოდით უნდა გადაიჭრას, მაგრამ ცხადია, რომ ფონემათა შეხამების კანონთა ზუსტად გამოვლენის გარეშე შეუძლებელია სონანტთა პრობლემის განსჯა.

§2. იმპლოზია და ექსპლოზია

ჩვენ ამოვიღვართ შემდეგი ფუნდამენტური დაკვირვებიდან: როცა წარმოთქვამენ *appa* ტიპის ბგერათშეხამებას, იგრძნობა განსხვავება ორ *p*-ს შორის, რომელთაგან ერთი ხშვას, მეორე კი განხშვას შეესატყვისება. ამასთანავე, ეს ორი შთაბეჭდილება იმდენად მსგავსია, რომ ზოგჯერ ორ *p*-ს ერთი *p*-თი გამოსახავენ (იხ. გვ. 50-ის შენიშვნა). და მაინც, ეს განსხვავება საშუალებას გვაძლევს პირველი და მეორე *p* აქნა-ში სპეციალური ნიშნებით (> <) განვასხვავოთ და დავახასიათოთ ისინი, როცა ერთმანეთს მისდევენ მეტყველების ჯაჭვში (იხ. *apta atpa*). იგივე განსხვავება არა მხოლოდ შეიმჩნევა, არამედ ფუნქციურებთანაც (*alfa*), ცხვირისმიერებთანაც (*ammā*), წარწერებთანაც (*alla*) და საერთოდ, ყველა ფონემასთან გვხვდება, ხმოვნების ჩათვლით (*aŋŋa*). გამოწკიცის შეადგენს *a*.

დახშვას უწოდებენ იმპლოზიას, განხშვას კი — ექსპლოზიას. *p* შეიძლება იმპლოზიურიც იყოს (*p̄*) და ექსპლოზიურიც (*p̄*). ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ „დამხურავ“ და „გამღებ“ ბგერებზე.

ისეთ ჯგუფებში, როგორცაა *appa* იმპლოზიისა და ექსპლოზიის გარდა გამოყოფენ დაყოვნების მომენტსაც, სადაც ხშვა *ad libitum* გრძელდება. თუ საქმე გვაქვს ლიაობის უფრო მეტი ხარისხის მქონე ფონემასთან, როგორცაა *l* ბგერათშეხამებაში *alla*, ბგერის წარმოქმნა სამეტყველო ორგანოთა უძრაობის დროსაც კი გრძელდება. საერთოდ, ყოველ სამეტყველო ჯაჭვში მუდამ გვაქვს შუალედური ფაზები, რომელსაც ყოველ ან არტიკულაციურ უმოძრაობას ვუწოდებთ. ისინი შეიძლება იმპლოზიურ არტიკულაციებთან გავაიგივოთ, რამდენადაც მათი ეფექტი ანალოგიური ხასიათისაა. ამიტომ, ქვემოთ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ იმპლოზიებსა და ექსპლოზიებს.¹

¹ ეს თეორიის ერთი იმ პუნქტთაგანია, რომელსაც ყველაზე მეტი წინააღმდეგობის გამოწვევა შეუძლია. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველგვარი ყოვნის არტიკულაცია, მაგ.-ს ყოვნის არტიკულაცია ორი ძალის შედეგია: 1. ჰაერი აწევა ზღუდეებს, რომლებიც წინ ელოდება მას. 2. ზღუდეების წინააღმდეგობა, რომლებიც კიდევ უფრო მტკიცედ იხშევიან წონასწორობის შესანარჩუნებლად. ამრიგად, დაყოვნება გაგრძელებული იმპლოზიაა. თუ იმპლოზიას იმავე ადგილას ყოველი მოსდევს, წარმოიქმნება თვისობრივად უწყვეტი ეფექტი. ამის გამო, ლოგიკას მოკლებული იქნება არტიკულაციის ეს ორი სახეობა მექანიკურ-აკუსტიკურ მთლიანობაში გავაერთიანოთ. ექსპლოზია, პირიქით, ორივე მათგანს ეწინააღმდეგება: თავისი არსით იგი განხშავს, იხ. §6. (გამომცემლები).

ასეთი ხერხი, რომელიც დაუშვებელია სპეციალურ ფონოლოგიურ ნაშრომში, გამართლებულია იქ, სადაც განიხილება მხოლოდ ყველაზე ძირითადი თვისებები მარცვალდანაწევრების მოვლენისა, დაყვანილნი მაქსიმალურად გამარტივებულ სქემამდე. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ყველა იმ სირთულის გადაწყვეტა, რომელიც სამეტყველო ჯაჭვის დანაწევრებასთან დაკავშირებით წამოიჭრება. შევეცდებით მხოლოდ, რაციონალური საფუძველი დავუდოთ ამ პრობლემის შესწავლას.

კიდევ ერთი შენიშვნა: ბგერების წარმოსათქმელად საჭირო ჩამკეტი და გამღები მოძრაობები ბგერების სხვადასხვა ხარისხის ლიაობაში არ უნდა აგვერიოს. ნებისმიერი ფონემა ექსპლოზიურიც შეიძლება იყოს და იმპლოზიურიც. მაგრამ, ცხადია, ლიაობის ხარისხის ზრდასთან ერთად მცირდება განსხვავება ამ ორი სახის მოძრაობას შორის. მაგ. *i*, *u*, *ü*-ში განსხვავება ჯერ კიდევ კარგად შესამჩნევია. *aiia*-ში შეგვიძლია გავარჩიოთ იმპლოზიური და ექსპლოზიური *i*. ასევე *aŋŋa* და *aŋŋa*-შიც იმპლოზიური ბგერა მომდევნო ექსპლოზიურისგან იმდენად განსხვავდება, რომ დამწერლობაში, ჩვეულებისდა მიუხედავად, ეს განსხვავება ზოგჯერ აღინიშნება ხოლმე: ინგლისური *w*, გერმანული *j* და ფრანგული *y* (*yeux* „თვალები“) გამოსახავენ ექსპლოზიურ ბგერებს (*ŋ, i*), საპირისპიროდ *i* და *u*-სი, რომლებიც გამოიყენებიან *ŋ* და *i*-ს აღსანიშნავად. მაგრამ, უფრო მაღალი ხარისხის ლიაობისათვის (*e* და *o*) თეორიულად იმპლოზია და ექსპლოზია (იხ. *aŋŋa*, *aŋŋa*) პრაქტიკულად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან. ბოლოს, როგორც ზემოთ დავინახეთ, უმაღლესი ხარისხის ლიაობასთან, *a* ხმოვანთან არც იმპლოზია გვაქვს და არც ექსპლოზია, რადგან მოცემული ფონემის ლიაობა ამ ტიპის ყოველგვარ განსხვავებას შლის.

ამდენად, თუ ყველა ფონემას (*a*-ს გარდა) გავაორებთ, მაშინ დაუშლელ ბგერათშეხამებათა ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

<<pp	და ა.შ.
<<ff	და ა.შ.
<<mm	და ა.შ.
<<rr	და ა.შ.
<<iy	და ა.შ.
<<ee	და ა.შ.
a	

ჩვენ არა თუ უგულვებელყოფთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გრაფიკულ განსხვავებებს (*y*, *w*), არამედ მტკიცედ ვინარჩუნებთ მათ. ამ თვალსაზრისის დასაბუთება იხ. §7-ში.

ამრიგად, პირველად ვცოდებით აბსტრაქციის სფეროს. პირველად ჩნდება კონკრეტული, დაუშლელი ელემენტები, რომლებსაც თავიანთი

ადგილი და დროის გარკვეული მონაკვეთი აქვთ მეტყველების ჯაჭვში. შეიძლება ითქვას, რომ p აბსტრაქციაა, იგი აერთიანებს საერთო თვისებებს \bar{p} და \bar{p} ელემენტებისა. მხოლოდ ეს უკანასკნელი არსებობენ სინამდვილეში, ისევე, როგორც B P M ერთიანდებიან უფრო მაღალ აბსტრაქტულ მთლიანობაში, რომელსაც ბაგისმიერებს ვუნოდებთ. p-ს შესახებ შეიძლება ისევე ვიმსჯელოთ, როგორც ზოოლოგიურ სახეობაზე. არსებობს მამრობითი და მდედრობითი სქესის კონკრეტული წარმომადგენლები, მაგრამ არ არსებობს თვით სახეობა. აქამდე განვასხვავებდით და ვაჯგუფებდით აბსტრაქციებს. ახლა საჭიროა უფრო შორს წასვლა, კონკრეტულ ელემენტამდე მიღწევა. ფონოლოგიის დიდი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ამ აბსტრაქციებს მიიჩნევდა რეალურ ერთეულებად, საკუთრივ ერთეულის ზუსტი განსაზღვრის გარეშე. ბერძნული ანბანი ასხვავებდა ამ ორ აბსტრაქტულ ელემენტს, ხოლო ანალიზი, რომელიც ამ განსხვავებას უდევს საფუძვლად, როგორც ითქვა, შესანიშნავია. მაგრამ მაინც, ეს ანალიზი იყო არასრული, შეჩერებული გარკვეულ ზღვარზე.

მართლაც, რას წარმოადგენს p უფრო ზუსტი დახასიათების გარეშე, თუ მას დროის მონაკვეთში განვიხილავთ, როგორც სამეტყველო ჯაჭვის რგოლს. იგი არც \bar{p} იქნება და არც \bar{p} , მითუმეტეს არც \bar{p} რამდენადაც ეს ბგერათშენაშეაბედა აშკარად დაშლადია. თუ მას დროისა და სამეტყველო ჯაჭვის გარეშე განვიხილავთ, მაშინ გამოდის, რომ ასეთი რამ არ არსებობს და გამოუსადეგარია. რას წარმოადგენს თავისთავად ისეთი ჯგუფი, როგორიცაა I+g? ორ აბსტრაქციასაც კი არ შეუძლია წარმოქმნას დროის მომენტი. სხვა რამეა, როცა საუბარია $\bar{1k}, \bar{1k}, \bar{1k}, \bar{1k}$ -ზე, როცა ამგვარად ხდება მეტყველების ნამდვილი ელემენტების გაერთიანება. საკმარისია ორი ელემენტის გაერთიანება, რომ ჩიხში მოვამწყვდიოთ ტრადიციული ფონოლოგია. ამრიგად, მუდამდებდა შეუძლებლობა მხოლოდ აბსტრაქტული ფონოლოგიური ერთეულებით ოპერირებისა, რასაც ადგილი აქვს ტრადიციულ ფონოლოგიაში.

გამოითქვა აზრი, თითქოს ნებისმიერი მარტივი ფონემა, რომელსაც სამეტყველო ჯაჭვში განვიხილავთ, მაგ. p pa-სა და apa-ში თანმიმდევრულად შეიცავს თავის თავში იმპლოზიასაც და ექსპლოზიასაც ($\bar{a}p\bar{a}$). ცხადია, სამეტყველო ორგანოების ნებისმიერ გახსნას წინ უნდა უძლოდეს მათი დახშვა. ავიღოთ მეორე მაგალითი: $\bar{r}p$ -ს გამოთქმისას r-ს დახშვის შემდეგ ნაქით უნდა გამოითქვას ექსპლოზიური r იმ მომენტში, როდესაც ბაგეები ერთმანეთს მიუახლოვდებიან p-ს წარმოსათქმელად. ამ შენიშვნაზე საპასუხოდ საჭიროა კარგად ჩამოვყალიბოთ ჩვენი აზრი. ქვემოთ განხილულ ბგერადობის აქტში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ყურით აღქმადი დიფერენციალური ელემენტები, რომლებსაც მეტყველების ჯაჭვში აკუსტიკურ ერთეულთა გამიჯვნა შეუძლიათ. სწორედ მხოლოდ ეს აკუსტიკურ-მოტორული ერთეულები უნდა მივიღოთ მხედველობაში.

ამრიგად, ექსპლოზიური r-ს არტიკულაცია, რომელიც p-ს არტიკულაციას ახლავს თან, ჩვენთვის რეალურად არარსებულია, რადგან ყურით არ გაირჩევა, ყოველ შემთხვევაში, ფონემათა ჯაჭვში მხედველობაში არ მიიღება. ეს მეტად არსებითი პუნქტია, რომელშიც კარგად უნდა გავერკვეთ, რათა შემდგომი ნაწილის გაგებაც შევძლოთ.

§3. ექსპლოზიისა და იმპლოზიის სხვადასხვა კომბინაცია სამეტყველო ჯაჭვში

ახლა განვიხილოთ, რას მივიღებთ ექსპლოზიისა და იმპლოზიის კომბინირებულ, თეორიულად შესაძლო ოთხ შემთხვევაში: $1^0 <>$, $2^0 >$, $3^0 <<$, $4^0 >>$.

1. ექსპლოზიური-იმპლოზიური ჯგუფი ($<>$). მეტყველების ჯაჭვის გაუნყვეტლად მუდამ შეიძლება ერთმანეთთან დავაკავშიროთ ღრი. ფონემა, რომელთაგან ერთი ექსპლოზიურია, მეორე იმპლოზიური, მაგ. kr, kī, ym, და ა.შ. (მღრ. სანსკრიტის kṛta-, ფრანგულის kīte "quitter"-დან „დატოვება“, ინდოევროპული ymto - და ა.შ.). მართალია, ზოგი კომბინაცია, როგორიცაა მაგ. kt და სხვა, პრაქტიკულად ნაკლებ რეალიზებადია, მაგრამ ექსპლოზიური k-ს წარმოთქმის შემდეგ სამეტყველო ორგანოები ისეთ პოზიციაში აღმოჩნდება, რომ ნებისმიერ წერტილში შეეძლება დახურვა. ბგერადობის ეს ორი ფაზა შეიძლება ერთმანეთისთვის ხელის შეუშლელად მიყვეს ერთმანეთს.

2. იმპლოზიური-ექსპლოზიური ჯგუფი ($>$). ზემოთყვანილი პირობებისა და შენიშვნების საფუძველზე შეგვიძლია შევადაროთ ორი ფონემა, რომელთაგან ერთი იმპლოზიურია, მეორე კი ექსპლოზიური. მაგ. im, kt და ა.შ. (მაგ. ბერძნული haīma, ფრანგული actif „აქტიური“ და ა.შ.) ცხადია, ურთიერთშემცვლელი საარტიკულაციო მომენტები ერთმანეთს ისე ბუნებრივად არ მისდევენ, როგორც წინა შემთხვევაში. საწყის იმპლოზიასა და საწყის ექსპლოზიას შორის ის განსხვავებაა, რომ ექსპლოზია, რომელსაც პირის ნეიტრალური მდგომარეობისკენ მივყავართ, სამეტყველო ორგანოებს არაფრისთვის ამზადებს, მაშინ, როდესაც იმპლოზია წარმოქმნის სამეტყველო ორგანოთა გარკვეულ მდგომარეობას. ეს მდგომარეობა ნებისმიერი ექსპლოზიისთვის საწყის წერტილად არ გამოდგება. ამიტომ, ყოველთვის აუცილებელია სამეტყველო ორგანოთა გარკვეული შემგუბელები მოძრაობა, რათა მათ მიიღონ ისეთი მდგომარეობა, რომელიც საჭიროა მომდევნო ფონემის არტიკულაციისთვის. ამრიგად, $\bar{z}p$ ჯგუფის s-ს წარმოთქმისას საჭიროა ბაგეები ექსპლოზიური p-სთვის წინასწარ მოიკუმოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ მოძრაობას მხოლოდ ფარული ბგერები მოსდევს, რომლებსაც ჩვენ არ ვითვალისწინებთ და რომლებიც მეტყველების პროცესს ხელს არ უშლიან.

3. ექსპლოზიური ჯგუფი ($<<$). შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორ

თანმიმდევრულ ექსპლოზიას, მაგრამ თუ მეორე მათგანი ანალოგიური ან ნაკლები ლიაობის მქონე ფონემას ეკუთვნის, მაშინ მთლიანობის იმ აკუსტიკურ შეგრძნებას ვერ მივიღებთ, როგორც საპირისპირო შემთხვევაში გვექნებოდა და რომელიც ორივე ზემოგანხილულ შემთხვევაში შეიმჩნეოდა.

pk შეიძლება წარმოეთქვათ როგორც $\overset{p}{\underset{k}{k}}$ a, მაგრამ ეს ბგერები უწყვეტ ჯაჭვს არ წარმოქმნიან, რადგან P და K ტიპებს ლიაობის ერთნაირი ხარისხი აქვთ. ასეთ ნაკლებად ბუნებრივ წარმოთქმას მივიღებთ, თუ სიტყვაში $\overset{p}{\underset{k}{k}}$ a პირველი a-ს შემდეგ შევჩერდებით.¹ პირიქით, $\overset{p}{\underset{k}{k}}$ უწყვეტობის შთაბეჭდილებას ქმნის (მაგ. ფრანგული prix „ფასი“); არც $\overset{r}{\underset{y}{y}}$ შეადგენს რაიმე სირთულეს (მაგ. ფრანგული rien „არაფერი“). რატომ? იმიტომ, რომ პირველი ექსპლოზიის წარმოქმნის მომენტში სამეტყველო ორგანოებს უკვე მიღებული აქვთ ექსპლოზიის შესრულებისათვის აუცილებელი მდგომარეობა და თან ხელს არ უშლიან პირველი ექსპლოზიის აკუსტიკურ ეფექტს; მაგ.: სიტყვაში prix p-ს წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები უკვე r-ს წარმოსათქმელად საჭირო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ $\overset{r}{\underset{p}{p}}$ -ს უწყვეტად წარმოთქმა შეუძლებელია არა იმიტომ, რომ სამეტყველო ორგანოებს არ შეუძლიათ ექსპლოზიური $\overset{r}{\underset{p}{p}}$ -ს არტიკულაციის მომენტში $\overset{r}{\underset{p}{p}}$ -ს შესაბამისი მდგომარეობის მექანიკურად მიღება, არამედ იმიტომ, რომ $\overset{r}{\underset{p}{p}}$ -ს არტიკულაცია $\overset{r}{\underset{p}{p}}$ -ს ნაკლები ხარისხის ლიაობის ფონზე ვერ აღიქმება. ამრიგად, თუ გვსურს წარმოეთქვათ $\overset{r}{\underset{p}{p}}$, იგი ორჯერადად, მეტყველების ჯაჭვის მოწყვეტით უნდა შევასრულოთ.

უწყვეტი ექსპლოზიური ჯგუფი შეიძლება ორზე მეტ ელემენტს შეიცავდეს, თუკი გადასვლა მცირე ლიაობიდან უფრო მაღალი ხარისხის ლიაობაზე ხდება (მაგ. $\overset{k}{\underset{r}{r}}$ wa). თუ გამოვირიცხავთ ზოგ კერძო შემთხვევას,

¹ მართალია, ამ ტიპის ზოგი ბგერათშეხამება რიგ ენებში ბუნებრივი მოვლენაა (მაგ. თავიჯდური kt ბერძნულში, kteinō), მაგრამ ეს ადვილად წარმოსათქმელი ბგერები აკუსტიკურ მთლიანობას მაინც ვერ ქმნიან.

² აქ ავტორი შეგნებულად ამარტივებს რეალურ ვითარებას და ითვალისწინებს ფონემის მხოლოდ ლიაობის ხარისხს. მხედველობაში არ იღებს არც არტიკულაციის ადგილს და არც ფონემის არტიკულაციის თავისებურებებს (ყრუა იგი თუ მჟღერი, ვიბრანტია თუ ლატერალური და ა.შ.). მხოლოდ ლიაობაზე დამყარებული დასკვნები ყველა რეალური შემთხვევისთვის არ გამოდგება. ამრიგად, ისეთ ჯგუფში, როგორიცაა trya, პირველი სამი ელემენტი მეტყველების ჯაჭვის გაუწყვეტლად $\overset{t}{\underset{r}{r}}$ a ძნელი წარმოსათქმელია (თუ $\overset{t}{\underset{r}{r}}$ პალატალიზებულ $\overset{t}{\underset{r}{r}}$ -ში არ აირევა). მაგრამ, ამასთანავე ეს სამი ელემენტი try უნაკლო ექსპლოზიურ ჯაჭვს ქმნის (იხ. გვ. 71 meurtier „მკვლეელი“ და სხვასთან დაკავშირებით). განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს trwa-ს შემთხვევა. კიდევ დავასახელებთ ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა pmla და ა.შ., სადაც ძალზე ძნელია იმპლოზიურად წარმოითქვას ცხვირისმიერი $\overset{p}{\underset{m}{m}}$ la. ასეთი გადახრები ნორმიდან განსაკუთრებით ხშირია ექსპლოზიისას, რომელიც თავისი ბუნებით მომენტალური აქტია და შეყოვნებას ვერ იტანს (გამომცემლები).

რომლებზედაც, ჩვენ არ შევჩერდებით², შეიძლება ითქვას, რომ ექსპლოზიათა შესაძლებელი რაოდენობა მონაკვეთში, ბუნებრივია, შეზღუდულია ლიაობათა ხარისხების იმ რაოდენობით, რომლებიც პრაქტიკულ განსხვავებას ექვემდებარება.

4. იმპლოზიური ჯგუფი (>>) საპირისპირო კანონს ექვემდებარება. თუ პირველი ფონემა უფრო ღიაა, ვიდრე მისი მომდევნო, იქმნება უწყვეტობის შთაბეჭდილება (მაგ. ir, rī). როცა ეს პირობა არ სრულდება, ე.ი. მომდევნო ფონემას უფრო მაღალი ან ისეთივე ლიაობის ხარისხი აქვს, როგორც წინამდევალს, წარმოთქმა შესაძლებელია, მაგრამ უწყვეტობის შთაბეჭდილება ქრება: ასე მაგ.: sr-ს $\overset{s}{\underset{r}{r}}$ ta-ში ისეთივე თვისებები აქვს, როგორც pka-ში (იხ. გვ. 64). ეს მოვლენები სრულ პარალელს ავლენენ იმასთან, რაც ჩვენ ექსპლოზიური ჯგუფის შემთხვევაში განვიხილეთ. შეხამებაში $\overset{r}{\underset{r}{r}}$, $\overset{r}{\underset{r}{r}}$ -ს დაბალი ხარისხის ლიაობა r-ს ექსპლოზიისგან ათავისუფლებს. $\overset{r}{\underset{r}{r}}$ ჯგუფში, რომლის შემადგენელი ფონემები სხვადასხვა ადგილას იწარმოება, m არ ათავისუფლებს r-ს ექსპლოზიისგან, მაგრამ საკუთარი, უფრო დახურული არტიკულაციით სავსებით ფარავს მის ექსპლოზიას. საპირისპირო შემთხვევაში, შეხამებაში m r სწრაფი, მექანიკურად აუცილებელი ექსპლოზია წყვეტს მეტყველების ჯაჭვს.

როგორც ვხედავთ, იმპლოზიური ჯგუფი ექსპლოზიურის დარად ორზე მეტ ელემენტს შეიძლება მოიცავდეს, თუკი ადგილი აქვს მაღალი ხარისხის ლიაობიდან შედარებით დაბალი ხარისხის ლიაობაზე გადასვლას (მაგ. arst).

ნუ მივიღებთ მხედველობაში წყვეტას ჯგუფის შიგნით და განვიხილოთ ნორმალური, უწყვეტი ჯაჭვი ბგერებისა, რომლებსაც შეიძლება „ფიზიოლოგიური“ ვუნოდოთ. ასეთია, მაგ. ფრანგულში particulièrement („განსაკუთრებით“) $\overset{p}{\underset{t}{t}}$ artikulyerā. იგი ხასიათდება გრადუირებული, ექსპლოზიური და იმპლოზიური მონაკვეთების მონაცვლეობით, პირის ორგანოთა თუ ხშვათა და განხშვათა ცვლის შესაბამისად.

მეტყველების ნორმალური ჯაჭვის ამგვარი დახასიათების შემდეგ გადავდივართ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის კონსტატაციებზე.

§4. მარცვალგასაყარი და ვოკალური წარტილი

მეტყველების ჯაჭვში იმპლოზიიდან ექსპლოზიაზე გადასვლისას (<I>) ელემენტობით განსაკუთრებულ ეფექტს, რომელიც მარცვალგასაყარის ნიშანია, მაგ. $\overset{i}{\underset{k}{k}}$ სიტყვაში particulièrement. მექანიკური მდგომარეობისა და აკუსტიკური ეფექტის ეს რეგულარული დამთხვევა შემადგენელი ელემენტებისაგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს იმპლოზიურ-ექსპლოზიურ ჯგუფს ფონოლოგიურ მოვლენათა წყებაში. შედეგად წარმოიქმნება ახალი გვარეობითი ცნება, რომელიც იმდენ ნაირსახეობას მოიცავს, რამდენი შესაძლებელი კომბინაციაც არსებობს იმპლოზიისა ექსპლოზიისათან.

მარცვალგასაყარი შესაძლებელია ზოგჯერ ერთი და იმავე ფონემური რიგის ორ განსხვავებულ წერტილში მოხდეს, იმპლოზიიდან ექსპლოზიაზე გადასვლის მეტ-ნაკლები სიჩქარის მიხედვით. ასე მაგალითად, ბგერათშეხამებაში *ardra* ჯაჭვი არ წყდება დამოუკიდებელი იმისგან *ardra*-დ დავყოფთ მას თუ *ardra*-დ, რადგან იმპლოზიური მონაკვეთი *ard* ისევე მარჯვედაა აგებული გრადაციულად, როგორც ექსპლოზიური *dr*. იგივე ითქმის ბგერათშეხამებაზე *ulye* სიტყვაში *particulièrement* (*ül'ye* ან *ül'yē*).

უნდა აღინიშნოს, რომ დუმილის მდგომარეობიდან პირველ იმპლოზიაზე გადასვლისას (>), მაგ. *ārt* სიტყვაში *artiste*, ანდა ექსპლოზიიდან იმპლოზიაზე გადასვლისას (< >), მაგ. *pārt* სიტყვაში *particulièrement*, ბგერა, რომელზედაც პირველი იმპლოზია მოდის, სხვა გარემომცველი ბგერებისგან განსხვავდება სპეციფიური — ვოკალური ეფექტით. ეს ეფექტი არაა დამოუკიდებელი *a* ბგერის მეტს ღიაობაზე, რადგან ბგერათშეხამებაში *pārt* ბგერა *r* ანალოგიურ ვოკალურ ეფექტს იწვევს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დუმილის მდგომარეობას მოსდევს იგი თუ ექსპლოზიას. ბგერას, რომელიც ასეთ შთაბეჭდილებებს ახდენს თავისი პირველი იმპლოზიურის ხასიათით, შეიძლება ვოკალური წერტილი ვუნოდოთ.

ამ ერთეულს სონანტიც უწოდეს. ასეთ შემთხვევაში კონსონანტში იმავე მარცვლის ყველა წინამავალ და მომდევნო ბგერას გულისხმობდნენ. ტერმინები „ხმოვანი“ და „თანხმოვანი“, როგორც ზემოთ დავინახეთ (გვ. 56) აღნიშნავენ ბგერათა განსხვავებულ ტიპებს, მაშინ როცა „სონანტი“ და „კონსონანტი“ მიუთითებენ ბგერის სხვადასხვა ფუნქციაზე მარცვალში. ასეთი ორმაგი ტერმინოლოგია საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ წლების მანძილზე გაბატონებული აღრევა. მაგ., I როგორც ტიპი, ერთნარიია სიტყვებში *fidèle* („ერთგული“) და *piéd* („ფეხი“) — იგი ხმოვანია. ოლონდ, ეს ხმოვანი სიტყვაში *fidèle* სონანტია, *piéd*-ში კი კონსონანტი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ სონანტები ყოველთვის იმპლოზიურია, კონსონანტები კი — ხან იმპლოზიური (მაგ. *i* ინგლისურ სიტყვაში *boi*, ინერება *boy*), ხან ექსპლოზიური (მაგ. *y* ფრანგულ სიტყვაში *pie*, ინერება *piéd*), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს განსხვავებას ორი გვარის მოვლენებს შორის. მართალია, რეალურად *e*, *o*, *a* მუდამ სონანტებად გვევლინებიან, მაგრამ ეს უბრალო დამთხვევის შედეგია. სხვა ბგერებზე უფრო მაღალი ხარისხის ღიაობის მქონე ეს ბგერები, მუდამ იმპლოზიური მონაკვეთის დასაწყისში გვხვდება. პირიქით, მინიმალური ღიაობის ხარისხის მქონე ხშულები მუდამ კონსონანტები არიან. პრაქტიკულად, მხოლოდ II, III, IV ხარისხის ღიაობის მქონე ფონემებს (ცხვირისმიერებს, ნარნარებს, ნახევარხმოვნებს) შეუძლიათ შეასრულონ ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია გარემომცველი ბგერებისა და არტიკულაციის ბუნების შესაბამისად.

ნებისმიერ მეტყველების ჯაჭვში ყურით შესაძლებელია გავარჩიოთ დამარცვლა, ხოლო ყოველ მომენტში — შემავალი სონანტი. ეს ფაქტები ცნობილია, მაგრამ საინტერესოა რა გონიერი საფუძველი აქვთ მათ? არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი:

1. რადგან ზოგ ფონემას სხვებზე მეტი სონორულობა ახასიათებს, ცდილობდნენ მარცვალი ფონემათა სონორულობაზე აეგოთ. თუკი მართლაც ასეა, მაშინ ისეთი სონორული ფონემები, როგორიცაა *i* და *u*, რატომ არ ქმნიან მარცვალს? მეორეც: სადამდე ვრცელდება სონორულობა, თუკი *s*-ს ტიპის ფრიკატივებს შეუძლიათ მაგ. *ps* მარცვლის წარმოქმნა? თუ საქმე მხოლოდ მეზობელი ბგერების ფარდობით სონორულობაზეა, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ისეთი ჯგუფების არსებობა, როგორიცაა *wl* (მაგ. ინდოევროპულ სიტყვაში **wlkos* „მგელი“), სადაც ნაკლებ სონორული ელემენტი ქმნის მარცვალს?

2. ბატონმა ზივერსმა პირველმა დაადგინა, რომ ხმოვნად მიჩნეული ბგერა შეიძლება ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებდეს (როგორც ვნახეთ, *y* და *w* იგივე *i* და *u*-ა), მაგრამ კითხვაზე — საიდან წარმოიქმნება ეს ორგვარი ფუნქცია ან ორგვარი აკუსტიკური ეფექტი პასუხობენ, რომ ბგერის ფუნქცია დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მას „მარცვლის მახვილი“.

ეს კი ჩაკეტილი წრეა: ან ნებისმიერ შემთხვევაში და საკუთარი შეხედულებისამებრ შეგვიძლია ვივარაუდოთ მარცვლის მახვილი ყველგან, სადაც სონანტებია (მაგრამ, ასეთ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ გავაჩნია მას მარცვლის მახვილი ვუნოდოთ და არა სონანტისა) ანდა, თუ გამონათქვამს „მარცვლის მახვილი“ აქვს რაღაც მნიშვნელობა, ეს ის მნიშვნელობა იქნება, რომ იგი წარმოადგენს მახვილს, რომლის რეგულირებაც მარცვლის კანონებით ხდება. ამავე დროს, თვით კანონებს კი არ აყალიბებენ, არამედ ამ სონანტურ თვისებას არქმევენ „მარცვლის წარმომქმნელს“ (*silbenbildend*), თითქოსდა დამარცვლა, თავის მხრივ, ამ მახვილზე იყოს დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მეთოდი ზემომოყვანილ მეთოდებს უპირისპირდება: მეტყველების ჯაჭვში მოცემული მარცვლის ანალიზით მივედით დაუშლელ ერთეულამდე — გამლებ და ჩამკეტ ბგერებამდე. ამ ერთეულთა კომბინაციით განვსაზღვრეთ მარცვალგასაყარის ადგილი და ვოკალური წერტილი. ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილია, როგორ ფიზიოლოგიურ პირობებში წარმოიშობა ეს აკუსტიკური ეფექტები. ჩვენს მიერ გაკრიტიკებული თეორიები საპირისპირო მხრივ არის მიმართული. ისინი იღებენ ცალკეულ ფონოლოგიურ ტიპებს და ცდილობენ მათი საშუალებით განსაზღვრონ მარცვალგასაყარისა და სონანტთა ადგილი. მაგრამ, თუ მოცემული გვაქვს ფონემათა რაიმე ჯაჭვი, მას ჩვეულებრივ, ერთი გარკვე-

ული არტიკულაციის მისთვის უფრო ბუნებრივი წესი მოეპოვება. გამღებ და ჩამკეტ არტიკულაციებს შორის არჩევანის შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია. მარცვლებად დაყოფა ამ არჩევანზეა დამოკიდებული და არა უშუალოდ ფონოლოგიურ ტიპებზე.

ცხადია, ეს თეორია არც ამონურავს და არც წყვეტს ყველა საკითხს. მაგალითად, ჰიატუსი, რომელსაც ასე ხშირად ვხვდებით, არის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერად ან არაცნობიერად განწყვეტილი იმპლოზიური მონაკვეთი. მაგ. $i-\tilde{a}$ (il cria „მან იყვირა“) ან $a-i$ (ébahí „გაოგნებული“). იგი უფრო ხშირად მეტი ღიაობის მქონე ფონოლოგიურ ტიპებში წარმოიქმნება.

არსებობს განწყვეტილი ექსპლოზიური მონაკვეთებიც. მიუხედავად იმისა, რომ გრადუირებული არ არიან, ისინი ჩვეულებრივი ჯგუფების თანაბარი უფლებით შედიან ბგერათა ჯაჭვში. ამ საკითხს ჩვენ შევხებით ბერძნულ $ktein\bar{o}$ -სთან დაკავშირებით (გვ. 64). ავილოტე, მაგ. $pzta$ -ს ტიპის შეხამება, რომელიც ნორმალურად მხოლოდ როგორც $pzta$ წარმოითქმება. აქედან გამომდინარე, იგი ორმარცვლიანი უნდა იყოს და ასეც არის, თუ მკაფიოდ წარმოვთქვამთ ხმის ტონს z -ში. მაგრამ, თუ z ყრუვდება (რადგან იგი ერთ-ერთი იმ ფონემათაგანია, რომელიც უმცირეს ღიაობას საჭიროებს), ჯგუფი z და a -ს მკვეთრი განსხვავების გამო ერთ მარცვლად აღიქმება: ისმის რაღაც $pzta$ -ს მსგავსი რამ.

ყველა ანალოგიურ შემთხვევაში, მოსაუბრის ნება-სურვილმა შეიძლება ერთგვარად შეცვალოს ფიზიოლოგიური აუცილებლობა. ხშირად ძნელი გასარკვევია თუ რა როლს ასრულებს თითოეული ამ ფაქტორთაგანი, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს იგი, ბგერადობა მუდამ გულისხმობს იმპლოზია-ექსპლოზიათა ცვლას და სწორედ ამაში მდგომარეობს მარცვლებად დაყოფის ძირითადი პირობა.

§6. იმპლოზიისა და ექსპლოზიის გრძლივობა

ექსპლოზია-იმპლოზიის ურთიერთმოქმედებით მარცვლის ახსნის შემდეგ მეტრიკის ცნობილი ფაქტის განზოგადებამდე მივდივართ. ბერძნულსა და ლათინურ სიტყვებში ორგვარი სიგრძე შეიმჩნევა: ბუნებრივი ($m\bar{a}ter$) და პოზიციური ($f\bar{a}ctus$). რატომ ითვლება fac გრძელ მარცვლად სიტყვაში $factus$? ამბობენ, ct ჯგუფის თანაარსებობის გამო. მაგრამ, თუ ეს ბგერათა კომპლექსზეა დამოკიდებული, მაშინ ორი თანხმონით დაწყებული ნებისმიერი მარცვალი გრძელი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არაა (შდრ. $cl\bar{i}ens$ და ა.შ.).

ჭეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპლოზია და იმპლოზია სიგრძესთან მიმართებაში აბსოლუტურად განსხვავდებიან. ექსპლოზია ისე სწრაფად ხდება, რომ სმენისათვის ირაციონალური ერთეულია. ამიტომაც, იგი არასოდეს ახდენს ვოკალურ შთაბეჭდილებას.

იმპლოზია კი აღქმადი სიდიდეა და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ხმოვანი, რომლითაც იგი იწყება, გრძელია.

მეორე მხრივ, ცნობილია, რომ თანხმოვანთა ჯგუფის — ხშული ან ფრიკატიული + ნარნარა — წინ მოთავსებული ხმოვნები შეიძლება ორნაირად შეფასდეს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, სიტყვაში $patrem\ a$ შეიძლება გრძელიც იყოს და მოკლაც. მართლაც, \bar{r} და \bar{r} ერთნაირად წარმოითქმება. პირველი სახის არტიკულაცია a -ს საშუალებას აძლევს მოკლე დარჩეს. მეორე სახის არტიკულაცია კი წარმოქმნის გრძელ მარცვალს. ისეთ სიტყვაში, როგორცაა $factus$, a -ს ორმაგი კვალიფიკაცია შეუძლებელია, რადგან ct -ს ექსკლუზიით წარმოითქმება მხოლოდ \bar{t} .

§7. მეოთხე ხარისხის ღიაობის ფონემატი

დიფთონგები და მათი დაწერილობა

მეოთხე ხარისხის ღიაობის ფონემები ინვევენ ჩვენს ზოგ შენიშვნას: როგორც ვნახეთ (გვ. 61), განსხვავებით იმისაგან, რაც დადგენილი იყო სხვა ბგერებთან დაკავშირებით, ტრადიციამ IV ხარისხის ღიაობის მქონე ბგერებისათვის ორგვარი დაწერილობა დაამკვიდრა ($w=u$, $u=\bar{u}$; $y=i$, $i=\bar{i}$). ისეთ შეხამებაში, როგორცაა $aiya$, $auwa$ ყველაზე უკეთ იგრძნობა ის განსხვავება, რომელიც აღნიშნულია $<$ და $>$ -ით; \bar{i} და \bar{u} აშკარა ხმოვნების შთაბეჭდილებას ახდენენ, ხოლო \bar{i} და \bar{u} თანხმოვნებისას.¹ ჩვენ ამ ფაქტის ახსნის პრეტენზია არა გვაქვს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თანხმოვანი i არასოდეს გვხვდება როგორც დახურული. ამიტომაც არ შეიძლება გვეკონდეს ai , რომლის \bar{i} -ც ისეთსავე ეფექტს მოახდენდა, როგორსაც y სიტყვაში $aiya$ (შდრ. ინგლისური boy , ფრანგული $piéd$); მაშასადამე, რადგან I ტიპის ეს ნაირსახეობანი ყველგან ერთნაირად ვერ გამოვლინდება, პოზიციის მიხედვით y თანხმოვანია, ხოლო i ხმოვანი. იგივე შენიშვნა მიესადაგება u -სა და w -ს, \bar{u} -სა და \bar{w} -ს.

ყოველივე ეს შუქსა ჰფენს დიფთონგების საკითხს. დიფთონგი იმპლოზიური მონაკვეთის კერძო შემთხვევაა. შეხამება $\bar{a}rta$ და $auta$ აბსოლუტურად პარალელურია, ისინი მეორე ელემენტის ღიაობის ხარისხით განსხვავდებიან. დიფთონგი ორი ფონემისგან შემდგარი ისეთი იმპლოზიური მონაკვეთია, რომლის მეორე ელემენტი შედარებით ღიაა, რაც ქმნის სპეციფიურ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, თითქოს სონანტი ჯგუფის მეორე ელემენტში გრძელდება. $\bar{t}ya$ ტიპის ბგერათშეხამება, პირიქით, არაფრით არ განსხვავდება ისეთი ჯგუფისაგან, როგორცაა $\bar{t}ra$, თუ მხედველობაში არ

¹ IV ხარისხის ღიაობის ეს ელემენტი არ უნდა აფუროთ რბილ სახისმიერ ნაპარალოვანში (გერმანული $liegen$ -ის ჩრდ. წარმოთქმა). ეს ფონოლოგიური ტიპი თანხმოვნებს მიეკუთვნება და მათი ყველა თვისება გააჩნია.

მივიღებთ სხვაობას უკანასკნელი ექსპლოზიური წვერის ღიაობის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფონოლოგიების მიერ ამოსავალ დიფთონგებად წოდებული ჯგუფები სინამდვილეში დიფთონგებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ექსპლოზიურ-იმპლოზიური ჯგუფებია, რომელთა პირველი ელემენტი შედარებით ღიაა და რაც აკუსტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულს არაფერს გვაძლევს ($\bar{t}y\bar{a}$). რაც შეეხება ისეთი ტიპის ჯგუფებს, როგორცაა $\bar{u}i$, \bar{ia} რომლებსაც მახვილი \bar{u} და \bar{i} -ზე მოსდით და ზოგ გერმანულ დიალექტში გვხვდებიან (შდრ. buoh. liab), ისინიც ცრუ დიფთონგებს წარმოადგენენ და ისეთი მთლიანობის შთაბეჭდილებას ვერ ქმნიან, როგორცაა $\bar{o}u$, \bar{ai} და ა.შ. ჯაჭვის უწყვეტობის დაურღვევლად uo -ს, როგორც ორი იმპლოზიური ბგერისაგან შემდგარ ჯგუფს ვერ წარმოვთქვამთ, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ რაიმე ხელოვნური ხერხი არ მიანიჭებს მას მთლიანობას, რომელიც ბუნებრივად არ გააჩნია.

დიფთონგის ასეთი განსაზღვრა, რომელიც მას იმპლოზიური მონაკვეთების ზოგად პრინციპს უქვემდებარებს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გვიჩვენებს, რომ დიფთონგი არაა ისეთი რამ, რაც არაფერს ეთანხმება, არაა ფონოლოგიური მოვლენა, რომელიც ვერ თავსდება ნორმაში. საჭირო არაა მისი საგანგებო გამოცალკეება. მისი თვისებები არავითარ ინტერესს, არც ღირებულებას არ წარმოადგენს: მთავარია დაფიქსირდეს სონანტის დასაწყისი და მისი დაბოლოება.

ზივერსი და მრავალი სხვა ენათმეცნიერი დამწერლობაში განასხვავებენ i , u , \bar{u} , \bar{r} , \bar{u} და ა.შ. \bar{i} , \bar{u} , \bar{r} , \bar{u} და ა.შ.-სგან (\bar{i} უმარცვლო i , მარცვლოვანი i) და წერენ *mirta*, *mairta*, *mjarta* მაშინ, როდესაც ჩვენ ვწერთ *mirta*, *mairta*, *myarta*. მას შემდეგ, რაც დაადგინეს, რომ i და y ერთსა და იმავე ფონოლოგიურ ტიპს განეკუთვნებიან, მოისურვეს მათი ერთნაირი გვარეობითი ცნების ნიშნით გამობატვა (ეს იგივე იდეაა, თითქოს ბგერითი ჯაჭვი შედგებოდეს შედარებადი ბგერითი ტიპებისაგან). თუმცა ეს დაწერილობა სმენით შთაბეჭდილებებს ემყარება, საღ აზრს უპირისპირდება და ყველაზე არსებით განსხვავებას შლის, რის შედეგადაც: 1. ერთმანეთში ურევენ ექსპლოზიურ i , u ($=y$, w) და იმპლოზიურ i , u -ს, რის გამოც შეუძლებელი ხდება *newo*-სა და *neuo*-ს გარჩევა. 2. იმპლოზიური i და u კი პირიქით, ორად იყოფა (მაგ. *mirta* და *mairta*). მოვიყვანთ ასეთი დაწერილობის შეუსაბამობის მაგალითს. ავიღოთ ძვ. ბერძნული *dwis* და *dusf* და მეორე მხრივ, *rhéw* და *rheûma*. ეს ორი დაპირისპირება იმავე ფონოლოგიურ პირობებში ხდება, და ერთნაირი გრაფიკული დაპირისპირებით გამოიხატება. იმის მიხედვით, u -ს უფრო მეტი ღიაობის მქონე ფონემა მოსდევს თუ ნაკლებ ღია, იგი ხან ექსპლოზიური (w) ხდება, ხან იმპლოზიური (u). თუ დავწერთ *duis* *dusi*, *rheûd*, *rheûma* მთელი ეს განსხვავება ნაიშლება. ასევე, ინდოევროპულ ენაშიც, ორივე რიგი *māter*, *mātrai*, *māteres*, *mātrsu* და *sūneu*, *sūnewai*, *sūnewes*, *sūnusu* თავიანთი ორმაგი კვალიფიკაციის მხრივ პარალელურნი არიან. ერთი მხრივ იქნება — r , მეორე მხრივ — u . ზემოთ დაპირისპირებული იმპლოზია და

ექსპლოზია დამწერლობაში აისახება, ყოველ შემთხვევაში, მეორე რიგში მაინც. მაგრამ, თუ მივიღებთ ჩვენს მიერ გაკრიტიკებულ დაწერილობას (*sūnye*, *sūnewai*, *sūnewes*, *sūnusu*), ეს დაპირისპირება იშლება. საჭიროა არა მხოლოდ შენარჩუნება ჩვევით განმტკიცებული განსხვავებისა ექსპლოზიურ და იმპლოზიურ ბგერებს შორის ($u:w$ და ა.შ.), არამედ მათი გავრცელება მთელ სისტემაზე. რომ ეწეროს, მაგ. *māter*, *mātpai*, *mātepes*, *mātrsu* მაშინ მთელი სიტყვადით გამოიძვინდებოდა მარცვალგასაყარი, ხოლო ვოკალური წერტილები თავისთავად გამოვლინდებოდნენ.

გამომცემელთა შენიშვნა: ეს თეორია შუქსა ჰყენს მრავალ პრობლემას, რომლებსაც ფ. დესოსიური თავის ლექციებში შეეხო. მოვიყვანთ ზოგ მაგალითს:

1. ბატონი ზივერსი ასახელებს *beritūnūn*-ს (გერმ. *berittenen*), როგორც ტიპურ მაგალითს ფაქტისა, რომ ერთი და იგივე ბგერა შეიძლება მორიგეობით ფუნქციონირებდეს: ორჯერ როგორც სონანტი და ორჯერ — როგორც კონსონანტი (სინამდვილეში n აქ მხოლოდ ერთხელ გვხვდება როგორც კონსონანტი და უნდა დავწეროთ *beritnnn*, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). არ გაგვაჩნია უფრო გასაოცარი მაგალითი იმ ფაქტის საილუსტრაციოდ, რომ „ბგერა“ და „ტიპი“ სინონიმები არ არიან. მართლაც, იმავე n -თი, ე.ი. ხშვითა და დაყოვნებით რომ შემოგფარგლულიყავით, მხოლოდ ერთ გრძელ მარცვალს მივიღებდით. რომ წარმოვქმნათ ბგერითი რიგი, შემდგარი მორიგეობით ერთმანეთის მომდევნო n -სა (სონანტი) და n -საგან (კონსონანტი), აუცილებელია იმპლოზიის შემდეგ (პირველი n) ექსპლოზიური არტიკულაცია (მეორე n), ხოლო შემდეგ განახლება იმპლოზიური არტიკულაციისა (მესამე n). რამდენადაც თითოეულს ამ იმპლოზიათაგან არ უსწრებს წინ სხვა იმპლოზია, მათ სონანტური ხასიათი აქვთ.

2. ისეთ ფრანგულ სიტყვებში, როგორცაა *meurtrier*, („მკვლელი“) *ouvrier* („მუშა“) და სხვა, ფინალური *-trier*, *-vrier* წინათ მხოლოდ ერთ მარცვალს შეადგენდა (მათი წარმოთქმის მიუხედავად, იხ. შენიშვნა, გვ. 64). მოგვიანებით დაიწყეს მათი მარცვლად წარმოთქმა (*meurtri-er* ჰიატუსით ან მის გარეშე, ე.ი. *trie* ან *triye*), ცვლილება გამოიწვია არა „მარცვლისმიერმა მახვილმა“ i -ზე, არამედ მისი იმპლოზიური არტიკულაციის გარდაქმნამ ექსპლოზიურად.

ხალხში *ouvrier*-ს ნაცვლად ამბობენ *ouvrier*: ანალოგიური მოვლენაა, ოღონდ ამ შემთხვევაში მესამის ნაცვლად მეორე ელემენტი იცვლის არტიკულაციას და სონანტად იქცევა: *uvr'ye* → *uvrye*. e განვითარდა r სონანტის წინ მომხდარი წყვეტის შემდეგ.

3. მოვიყვანთ, აგრეთვე, პროთეტული ხმოვნების ცნობილ შემთხვევას s -ის წინ, რომელსაც თანხმოვანი მოსდევს ფრანგულში: ლათინური *scūtum* → *iscutūm* → ფრანგული *escu*, *écu*. ჯგუფი *sk* როგორც გვ. 64-ზე დავინახეთ, განყვეტილი ბგერითი ჯაჭვია, უფრო ბუნებრივია *sk*. მაგრამ, იმპლოზიურმა s -მ ფრანზის დასაწყისში ამ მცირე ღიაობის მქონე თანხმოვნით დაბოლოებული სიტყვის შემდეგ ვოკალური წერტილი უნდა შექმნას.

პროთეტული i და e ამ სონანტურ თვისებას მხოლოდ აძლიერებს. ყოველი ნაკლებშესამჩნევი ფონოლოგიური თვისება ძლიერდება, როცა მის შენარჩუნებას ცდილობენ. ანალოგიური შემთხვევა esclandre-სა და ხალხურ წარმოთქმაში esquette, estatue-შიც, ასევეა წინდებულ de-ს ვულგარულ წარმოთქმაში, რომელსაც ed-ით გამოხატავენ: un oeil ed tanche. სინკოპეს გამრ de tanche იქცევა d'tanche-ად. იმისათვის, რომ ამ პოზიციაში გამოშლავნდეს d იმპლოზიური უნდა იყოს: d tanche, და ხმოვანი მის წინ ისევე გაძლიერდება, როგორც წინა შემთხვევებში.

4. ზედმეტად მიგვაჩნია მივუბრუნდეთ საკითხს ინდოევროპულ სონანტთა შესახებ. ასევე ზედმეტია აღვძრათ საკითხი, თუ ძველი ზემოგერმანული hagl რატომ გარდაიქმნა hagal-ად, მაშინ, როცა halგ უცვლელი დარჩა. ამ უკანასკნელ სიტყვაში იმპლოზიური ჯაჭვის მეორე ელემენტი l (h a l g) — კონსონანტის როლს ასრულებს და მისი ფუნქციის შეცვლას საფუძველი არა აქვს. პირიქით, hagl-ის ხშული l ვოკალურ წერტილს ქმნის. სონანტური ბუნების გამო მან შეძლო თავის წინ უფრო ღია ხმოვანი განვეითარებინა (ა, თუ ვერწმუნებით დანერილობას). თუმცა ეს ხმოვანი დროთა განმავლობაში წაიშალა, ვინაიდან დღეს Hagel კვლავ h a g l -ად წარმოითქმის. ანალოგიური მოვლენა განასხვავებს ამ სიტყვისა და ფრანგული aigle-ის წარმოთქმას. გერმანიკულ სიტყვაში l დახურულია, ხოლო ფრანგულში — ღია, სადაც მას ფინალური მუნჯი e მოსდევს (e g l e).

ნანილი I

ზოგადი პრინციპები

თავი I


ენობრივი ნიშნის გუნება

§1. ნიშანი, აღსანიშნი, აღნიშვნალი

ბევრის აზრით, ენის არსი წარმოადგენს ნომენკლატურას, ე.ი. დასახე-
ლებათა სიას, რომლებიც იმავე რაოდენობის სიტყვებს შეესაბამებიან. მაგ.

ასეთი შეხედულება მრავალმხრივ კრიტიკას იმსახურებს. იგი ვარაუდობს, რომ არსებობს მზამზარეული ცნებები, რომლებიც წინ უსწრებენ სიტყვებს (იხ. გვ. 118). იგი არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, სიტყვა ბგერითი ბუნებისა თუ ფსიქიკურის, რადგან „ხე“ ორივე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. და ბოლოს, იგი გულისხმობს, რომ კავშირი სახელსა და საგანს შორის მარტივი რამაა, რაც ჭეშმარიტების ფარგლებს სცილდება. მიუხედავად ამისა, ასეთი გაუბრალოებული თვალსაზრისიც კი, ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს, გვიჩვენებს, რომ ენობრივი ერთეული ორმაგი ბუნებისაა, ორი კომპონენტის კავშირისგან შედგება. 23-ე გვერდზე სამეტყველო აქტის განხილვისას დავინახეთ, რომ ენობრივი ნიშნის ორივე მხარე ფსიქიკური ბუნებისაა და ჩვენს გონებაში ასოციაციური კავშირით არის შეერთებული. ჩვენ საგანგებოდ გამოვყოფთ ამ მხარეს.

• ენობრივი ნიშანი საგანსა და მის სახელს კი არ აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს. 'ეს უკანასკნელი მატერიალურ




'ტერმინი აკუსტიკური ხატი შეიძლება ძალიან ვიწროც იყოს, რადგან სიტყვის ბგერათა გამოსახულების პარალელურად მოცემულია მისი არტიკულაციის, საფონაციო აქტის მუსკულატორული სახე. მაგრამ სოსიურისთვის ენა არ წარმოადგენს გადმოცემულ, გარედან მიღებულ რასმეს (იხ. გვ. 25). აკუსტიკური ხატი ძირითადად, სიტყვის ბუნებრივი გამოსახულების, მეტყველების ყოველგვარი რეალიზაციის მიღმა არსებული ენობრივი მოვლენაა. მოტორულ ასპექტს აკუსტიკურ ხატთან შედარებით მეორეხარისხოვანი როლი უნდა ჰქონდეს (გამომცემლები).

ბგერას, წმინდა ფიზიკურ რასმეს კი არ წარმოადგენს, არამედ ამ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდია, ჩვენივე შეგრძნებების საშუალებით მიღებული შთაბეჭდილებაა. აკუსტიკური ხატი შეგრძნებადია და თუ ჩვენ მას „მატერიალურად“ მოვიხსენიებთ, მოვიხსენიებთ ამის გამო და მისი ასოციაციური წყვილის მეორე წევრთან შესაპირისპირებლად, რომელიც უფრო აბსტრაქტულია.

ჩვენი აკუსტიკური ხატების ფსიქიკური ბუნება კარგად ჩანს ჩვენს საკუთარ მეტყველებაზე დაკვირვებით. ბაგეებისა და ენის მოძრაობის გარეშე შეგვიძლია ვისაუბროთ საკუთარ თავთან, ან ჩვენთვის, გონებაში ვთქვათ ლექსი. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის სიტყვები აკუსტიკური ხატებია, არ უნდა ვილაპარაკოთ მათ შემადგენელ „ფონემებზე“. ეს ტერმინი, რომელიც ბგერადობის აქტს გულისხმობს, მხოლოდ წარმოთქმულ სიტყვას, შინაგანი ხატის მეტყველებაში რეალიზაციას გულისხმობს. ბგერებსა და მარცვლებზე ლაპარაკისას თავს ავარიდებთ ამ გაუგებრობას, თუკი არ დავივიწყებთ, რომ საუბარი აკუსტიკურ ხატებს ეხება.

ამრიგად, ენობრივი ნიშანი წარმოადგენს ორმხრივ ფსიქიკურ რაობას და შემდეგი ნახაზით გამოიხატება:

ეს ორი ელემენტი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთი მეორეს გულისხმობს. ვეძებთ ლათინური arbor-ის აზრს თუ პირიქით, სიტყვას, რომლითაც რომაელი აღნიშნავდა ცნებას „ხე“, აშკარაა, რომ მხოლოდ ასეთი ტიპის შესპირისპირებანი, როგორიცაა



მიგვაჩნია რეალურობის შესატყვისად და ნებისმიერ სხვა შესპირისპირებას უგულვებელყოფთ.

ასეთი განსაზღვრა მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ საკითხს წამოჭრის. „ნიშანს“ ჩვენ ვუნოდებთ ცნებისა და აკუსტიკური ხატის შეერთებას. მაგრამ, ჩვეულებრივ ხმარებაში ეს ტერმინი, ძირითადად, მხოლოდ აკუსტიკურ ხატს აღნიშნავს, მაგ. სიტყვას arbor და ა.შ. ავიწყდებათ, რომ თუ

arbor-ს ნიშანს უნოდებენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი „ხის“ ცნებას შეიცავს. ამრიგად, ნიშნის გრძობადი მხარე გულისხმობს ნიშანს, როგორც მთელს.

ორაზროვნება ქრება, თუ სამივე არსებულ ცნებას ისეთ სახელებს დავარქმევთ, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ და თან ურთიერთდაპირისპირებულნიც არიან. ჩვენ გთავაზობთ შევინარჩუნოთ სიტყვა „ნიშანი“ მთელის აღსანიშნად, ხოლო ტერმინი „ცნება“ და „აკუსტიკური ხატი“ შევცვალოთ შესაბამისად „აღსანიშნითა“ და „აღმნიშვნელით“. ამ ტერმინების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გადმოსცემენ როგორც მათ შორის არსებულ დაპირისპირებას, ასევე დაპირისპირებას მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. რაც შეეხება ტერმინს „ნიშანი“ ჩვენ მას ვჯერდებით, რამდენადაც არ ვიცით რითი შევცვალოთ იგი. ყოველდღიური სასაუბრო ენა სხვა, უფრო შესაფერის ტერმინს არ გვთავაზობს.

ასე განსაზღვრულ ენობრივ ნიშანს ორი უმნიშვნელოვანესი თვისება გააჩნია. მათზე მითითებით ჩვენ ვაყალიბებთ ამგვარი კვლევის ძირითად პრინციპებს.

§2. პირველი პრინციპი: ნიშნის პირობითობა

აღმნიშვნელისა და აღსანიშნის შემაერთებელი კავშირი პირობითია, რადგან ნიშანი ჩვენ არ გვესმის როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ასოციაციის შედეგად წარმოქმნილი მთლიანობა. იგივე აზრი უფრო მარტივადაც შეიძლება გამოვხატოთ: ენობრივი ნიშანი პირობითია.

ამგვარად, ცნება „saur“ არავითარი შინაგანი მოთხოვნით არ უკავშირდება ბგერათა მიმდევრობას s — ō — r, რომელიც მის აღსანიშნს წარმოადგენს. იგი ნებისმიერ ბგერათშეხამებით შეიძლებოდა წარმოგვედგინა; ამის საბუთია ენათშორისი განსხვავებები და თვით სხვადასხვა ენების არსებობა: აღსანიშნი „ხარი“ ენობრივი საზღვრის ერთ მხარეს გამოიხატება ბგერათმიმდევრობით b-ŏ-f (ფრანგული bœuf), მეორე მხარეს კი — o-k-s (გერმანული Ochse).

ნიშნის პირობითობის პრინციპი არავისთვის სადავო არ არის; მაგრამ, ხშირად, ჭეშმარიტების აღმოჩენა უფრო ადვილია, ვიდრე მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა. ამ პრინციპს ექვემდებარება მთელი ენათმეცნიერება. მისგან მომდინარე შედეგიც უთვალავია თუმცა, ყველა ერთი შეხედვის-თანავე ერთგვარად ცხადი არაა. ისინი ძნელად აღმოსაჩენია, მაგრამ ამ შედეგების აღმოჩენის წყალობით ირკვევა დასახელებული პრინციპის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საჭიროა შევნიშნოთ: როცა სემიოლოგია მეცნიერებად ჩამოყალიბდება, მან უნდა დასვას საკითხი, შედის თუ არა მის კომპეტენციაში „ბუნებრივ“ ნიშნებზე დამყარებული გამოხატვის ისეთი საშუალებები, როგორიცაა მაგ. პანტომიმა. სემიოლოგიამ იგი თავის საკვლევ ობიექტადაც რომ გამოაცხადოს, მის ძირითად ობიექტად დარჩება მაინც სისტემათა

ერთობლიობა, დამყარებული ნიშნის პირობითობაზე. მართლაც, მოცემულ საზოგადოებაში მიღებული ყოველი გამოხატვის საშუალება ძირითადად კოლექტივის ჩვევას, ანუ შეთანხმებას ემყარება. თავაზიანობის ნიშნები, რომელთაც ხშირად გარკვეული „ბუნებრივი“ გამოხატვა ახასიათებთ (გავიხსენოთ ჩინელები, რომლებიც იმპერატორს ცხრაჯერ თაყვანისცემით ესალმებიან), მაინც გარკვეული წესით არიან დაფიქსირებული. სწორედ ეს წესი და არა შინაგანი ღირებულება გვაკლდებულებს მათს გამოყენებას; მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად პირობითი ნიშნები სხვებზე უკეთ გადმოსცემენ სემიოლოგიური მიდგომის იდეალს. აი, რატომაც ენა ყველაზე რთული და ყველაზე გავრცელებული სისტემათა შორის, ამასთანავე, ყველაზე მეტად ნიშანდობლივი მათ შორის. ამ აზრით, ენათმეცნიერება შეიძლება გამოდგეს მთელი სემიოლოგიის მოდელადაც, თუმცა, ენა მხოლოდ ერთ-ერთ სემიოლოგიურ სისტემათაგანს წარმოადგენს.

ენობრივი ნიშნის, უფრო სწორად, აღმნიშვნელის გადმოსაცემად ზოგჯერ იყენებენ სიტყვას „სიმბოლო“. ჩვენი პირველი პრინციპიდან გამომდინარე, მისი ხმარება მაინცდამაინც მოსახერხებელი არაა. სიმბოლო ხასიათდება იმით, რომ იგი ყოველთვის ბოლომდე პირობითი არაა. იგი არაა მთლად ცარიელი, მასში არის გადმონაშთი აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის ბუნებრივი კავშირისა. სამართლიანობის სიმბოლო, სასწორი, არ შეიძლება შევცვალოთ ნებისმიერი რამეთი, მაგ. ეტლით.

სიტყვა „პირობითობაც“ გარკვეულ შენიშვნას მოითხოვს. იგი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღმნიშვნელი მოლაპარაკე ინდივიდის თავისუფალ არჩევანზე იყოს დამოკიდებული (ქვემოთ დავინახავთ, რომ ინდივიდს ენობრივი ჯგუფის მიერ არაერთხელ დადგენილ მოდელში არაფრის შეცვლა არ შეუძლია). ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ აღმნიშვნელი მოტივირებული არაა, ე.ი. პირობითია აღსანიშნის მიმართ, რომელთანაც რეალურად არავითარი ბუნებრივი კავშირი არ გააჩნია.

ბოლოს შევხებით ორ კონტრარგუმენტს, რომლებიც შეიძლება პირველი პრინციპის საწინააღმდეგოდ იქნას წამოყენებული.

1. იმის დასამტკიცებლად, რომ აღმნიშვნელის არჩევანი მუდამ პირობითი არაა, შეიძლება დავასახელოთ ხმაბაძვითობა. მაგრამ, ხმაბაძვითობა მუდამ როდის წარმოადგენს ენობრივი სისტემის ორგანულ ელემენტს. ამასთანავე, მისი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვარაუდობენ. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მაგალითად, fouet („მათრახი“) ან glas („ზარის რეკვა“) ზოგს ყურსა სჭრის ჟღერადობის სუგესტურობით, მაგრამ, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი იმთავითვე ასეთი ბუნებისა არ იყვნენ, საკმარისია მათ ლათინურ ფორმებს მივმართოთ (ფრანგული fouet მომდინარეობს fagus-იდან „ნიფელი“, glas კი classicum-იდან „საყვირის ხმა“), მათი ახლანდელი, უფრო სწორად, დღეს მათთვის მიწერილი ჟღერადობა ფონეტიკური ევოლუციის შემთხვევითი შედეგია.

რაც შეეხება ჭეშმარიტ ხმაბაძვებს (როგორიცაა მაგ. „ბუყ-ბუყ“, „ნიკ-ნიკ“ და ა.შ.), ისინი არათუ მცირერიცხოვანნი არიან, არამედ მათი არჩევანიც რამდენადმე პირობითია, რადგან ისინი მხოლოდ მიახლოებით და

სახეწარპირობით იმიტაციას წარმოადგენენ გარკვეული ბგერებისა (შდრ. ფრანგული ouaoua და გერმანული wauwau). გარდა ამისა, როგორც კი ენაში ფხვს მოიკიდებენ, ისინიც, სხვა სიტყვების დარად, მეტ-ნაკლებად განიცდიან ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ა.შ. ევოლუციას (მაგ. ფრანგული pigeon „მტრედი“, ხალხური ლათინურის pipi-დან მომდინარეობს, რომელიც თავის მხრივ, ხმამიბაძვას წარმოადგენს): აშკარაა, რომ ხმამიბაძვითმა სიტყვებმა დაკარგეს თავიანთი პირველადი ხასიათი და არამოტივირებული ენობრივი ნიშნის ბუნება შეიძინეს.

2. იგივე უნდა ითქვას შორისდებულებზე, რომლებიც ძალზე ახლოს დგანან ხმამიბაძვით სიტყვებთან და ჩვენი დებულებისთვის მაინცდამაინც სახიფათონი არ არიან. მათში რეალურობის სპონტანურ გამოხატვას ხედავენ, თითქოსდა ისინი, ასე ვთქვათ, თვით ბუნების მიერ არიან ნაკარნახევი, მაგრამ მათი უმრავლესობისათვის შეიძლება უგულვებელყოთ აუცილებელი კავშირი აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის. საკმარისია მაგალითები შევადაროთ და აშკარად დავინახავთ, თუ რაოდენ სხვაობენ შორისდებულები სხვადასხვა ენებში (მაგ. ფრანგულ aie!-ს შეესაბამება გერმანული au). ცნობილია აგრეთვე, რომ ბევრი შორისდებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვიდან მომდინარეობს (მაგ. diable! „ეშმაკი“, mordieu! „უფლის სიკვდილი“ და ა.შ.).

ამგვარად, ხმაბაძვით სიტყვებსა და შორისდებულებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნიათ და მათი სიმბოლური წარმოშობა ნაწილობრივ სადავოა.

§3. მეორე პრინციპი: აღმნიშვნელის საზოგადოებრივი ბუნება

აღმნიშვნელი სმენით აღიქმება, არსებობს მხოლოდ დროში და დროისაგან მიღებული თვისებები გააჩნია: ა) იგი განფენადია სიგრძეში და ბ) ამ განფენადობას მხოლოდ ერთი — საზოგადოებრივი განზომილება გააჩნია.

ეს აშკარა პრინციპია, მაგრამ მას სრულიად არ ახსენებენ, რადგან მეტად მარტივად მიიჩნევენ ხოლმე. ეს კი არსებითი პრინციპია და უთვალავი შედეგიც ახლავს. მისი მნიშვნელობა პირველი კანონის მნიშვნელობას უტოლდება. ენის მთელი მექანიზმი მასზეა დამოკიდებული (იხ. გვ. 129). განსხვავებით ხილვადი აღმნიშვნელებისგან (საზღვაო ნიშნები და ა.შ.), რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე განზომილებაში კომბინირება შეუძლიათ, სმენით აღმნიშვნელებს მხოლოდ დროითი საზი აქვთ. მათი ელემენტები ერთმანეთს მისდევენ და ჯაჭვს ქმნიან. ეს თვისება თავს იჩენს, როგორც კი მათ წერილობით გამოვხატავთ და დროში თანმიმდევრობა გრაფიკული ნიშნების სივრცითი რიგით შეიცვლება.

ცალკეულ შემთხვევებში ეს მოვლენა ნაკლებ თვალსაჩინოა. მაგ. თუ მახვილს ვსვამ რომელსაღმე მარცვალზე, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ერთ გარკვეულ წერტილში თავს ვუყრი ღირებულების მქონე სხვადასხვა ელემენტს. ეს ილუზიაა. მარცვალი და მისი მახვილი ფონაციის მხოლოდ ერთ აქტს შეადგენენ: ამ აქტში გვაქვს არა ორმაგობა, არამედ სხვადასხვა სახის დაპირისპირებანი მომიჯნავე ელემენტებთან (იხ. გვ. 137).

თავი II

ნიშნის უცვლელია და ცვალებადობა

§1. ნიშნის უცვლელია

თუ გამოხატულ ცნებასთან შედარებით აღმნიშვნელი თავისუფლადაა შერჩეული, მისი მომხმარებელი ენობრივი კოლექტივისთვის იგი თავს მოხვეულობს. ამ კოლექტივს აზრს არ ეკითხებიან, ენის მიერ შერჩეული აღმნიშვნელი არ შეიძლება სხვა აღმნიშვნელით შეიცვალოს. ამ ფაქტს, რომელიც თითქოსდა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, შეიძლება „იძულებითი სვლა“ ვუწოდოთ, თითქოსდა ენას ეუბნებიან „აირჩიე“, თანაც დასძენენ „ეს, და არა ის ნიშანი“. არა თუ ცალკეულ ინდივიდს არ შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ ოდნავ მაინც შეცვალოს ენის მიერ გაკეთებული არჩევანი, არამედ თვით კოლექტივსაც არა აქვს უფლებამოსილება არც ერთ სიტყვაზე. იგი იღებს ენას ისეთი სახით, როგორც ის არის.

შეუძლებელია ენის გაიგივება წმინდა და მარტივ შეთანხმებასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ენობრივი ნიშნის შესწავლა. ენა აშკარა მაგალითია იმისა, რომ საზოგადოებაში მიღებულ კანონს კი არ ირჩევენ, არამედ ემორჩილებიან.

განვიხილოთ როგორ ხდება, რომ ენობრივი ნიშანი არ ექვემდებარება ჩვენს ნებას და მივუთითოთ ამ მოვლენიდან გამომდინარე შედეგებზე.

რაც არ უნდა შორს წავიდეთ, ნებისმიერ ეპოქაში ენა მუდამ წარსული ეპოქის მემკვიდრეობად გვევლინება. თუმცა არასოდეს არავის დაუფიქსირებია, მაგრამ ოდესღაც, საგნებს სახელები დაერქვა, ე.ი. მოხდა შეთანხმება, გარკვეულ ცნებებს გარკვეული აკუსტიკური გამოხატულებები მინიჭებოდა. ეს რომ ასე უნდა მომხდარიყო, ნიშნის პირობითობის მძაფრმა შეგრძნებამ შთაგვაგონა.

ვთქვათ, ნებისმიერი საზოგადოება ენას ყოველთვის მზა სახით, მემკვიდრეობით ღებულობს წინა თაობებისაგან. ამიტომაც, ენის წარმოშობის საკითხს ისეთი მნიშვნელობა როდი აქვს, როგორც ჰგონიათ ხოლმე. ამ საკითხის დასმაც არაა საჭირო. ენათმეცნიერების ერთადერთი რეალური ობიექტი არის უკვე ჩამოყალიბებული ენის ნორმალური და რეგულარული სიცოცხლე. ენის ნებისმიერი მოცემული მდგომარეობა ისტორიული ფაქტორების პროდუქტია და ეს ფაქტორები ხსნიან ნიშნის უცვლელიობას, ე.ი. იმას, თუ რატომ არ ექვემდებარება ნიშანი არავითარ თვითნებურ შეცვლას. მაგრამ, მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ენა წარსულის მემკვიდრეობაა, არაფერს ხსნის. განა არ შეიძლება ნებისმიერ დროს შეცვალოთ არსებული, მემკვიდრეობით მიღებული კანონები?

ეს ეჭვი გვაიძულებს ვილაპარაკოთ ენის საზოგადოებრივ ბუნებაზე და საკითხი ისე დავაყენოთ, როგორადაც სხვა სოციალური ინსტიტუტებისთვის დავაყენებდით. რას წარმოადგენენ ეს ინსტიტუტები? ასეთი ზოგადი ხასიათის კითხვა უცვლელიობის საკითხსაც ეხება. თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, რა ზომის თავისუფლება ახასიათებს საზოგადოებრივ ინსტიტუტებს. დავინახავთ, რომ ყოველი მათგანი განსხვავდება თავისმხრივ ტრადიციისა და ტრადიციისაგან თავისუფალ საზოგადოებრივ მოქმედებას შორის არსებული ბალანსით. შემდეგ უნდა დავადგინოთ, რატომაა მოცემული საზოგადოებრივი ინსტიტუტებისათვის პირველი რიგის ფაქტორები სხვა ფაქტორებზე ძლიერი ან პირიქით. და ბოლოს, თუ კვლავ ენას მივუბრუნდებით, თავს უნდა დავეკითხოთ, რატომ დომინირებს ენაში მემკვიდრეობითობის ისტორიული ფაქტორი და გამორიცხავს ყოველგვარ ზოგადსა თუ ერთბაშე ენობრივ ცვლილებებს.

ამ კითხვაზე საპასუხოდ შეიძლება მრავალი არგუმენტი წამოვყენოთ და დავძინოთ, რომ ენობრივი ცვლილებები არაა დაკავშირებული თაობათა ცვლასთან, რომლებიც კომოდის უჯრებივით ერთმანეთს კი არ დაედებიან, არამედ ერთმანეთში ირევიან, ერთმანეთში იჭრებიან და ამასთანავე, ყოველი მათგანი სხვადასხვა ასაკის ინდივიდს მოიცავს. მშობლიური ენის საერთოდ შეცვლის შეუძლებლობა რომ დავასკვნათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რაოდენ დიდ ძალისხმევას მოითხოვს მისი შესწავლა.

დავძენდით, რომ ამა თუ იმ ენის გამოყენებაში რეფლექსია არ მონაწილეობს: თვით მოლაპარაკე ინდივიდები უმთავრესად არ აცნობიერებენ ენობრივ კანონებს და რაკი არ აცნობიერებენ, როგორღა შეუძლიათ შეცვალონ ისინი? თუ დავუშვებთ, რომ მეტყველნი გააცნობიერებენ ენის ფაქტებს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ენობრივი ფაქტები მოლაპარაკე ინდივიდთა მხრივ კრიტიკას არ გამოიწვევენ, რადგან ნებისმიერ ხალხს აკმაყოფილებს მემკვიდრეობით მიღებული ენა.

გამოთქმული მოსაზრებები უსაფუძვლო არაა, მაგრამ საკითხის არსი მასში არ მდგომარეობს. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ქვემოთ მოყვანილ უფრო არსებით, უფრო პირდაპირ მოსაზრებებს, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა მოსაზრებებს განაპირობებენ.

1. ნიშნის პირობითი ბუნება. ზემოთ ჩვენ დავუშვით ენის ცვლილების თეორიული შესაძლებლობა. თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ თვით ნიშნის პირობითობა იცავს ენას შეგნებულად შეცვლის ყოველგვარი მცდელობისაგან. მეტყველნი უფრო შეგნებულნიც რომ იყვნენ, ვიდრე სინამდვილეშია, ენობრივ საკითხებს მაინც ვერ განსჯიან. რაიმეს შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა ეს რაიმე გარკვეულ გონივრულ ნორმებს პასუხობდეს. შეიძლება, მაგალითად, ვიდავოთ იმის შესახებ, ქორწინების რომელი ფორმაა უფრო რაციონალური, მონოგამია თუ პოლიგამია და ამა თუ იმ თვალსაზრისის სასარგებლო საბუთები წამოვყენოთ. შეიძლება განვიხილოთ სიმბოლოთა სისტემა, რადგან სიმბოლო რაციონალურად უკავშირდება საგანს (იხ. გვ. 75); მაგრამ ენას, პირობითი ნიშნების სისტემას, ეს საფუძველი არ გააჩნია და მსჯელობას სერიოზული ნიადაგი ეცლება.

არავითარი საფუძველი არ არსებობს sister-ს sœur („და“) ან bœuf-ს ochs („ხარი“) ვამჯობინოთ.

2. ენისათვის აუცილებელ ნიშანთა სიმრავლე. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ოციდან ორმოცამდე ასოსგან შემდგარი დამწერლობის სისტემა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სხვა სისტემით შეიცვალოს. ასევე შეიძლება მომხდარიყო ენაში, მისი შემადგენელი ელემენტების რიცხვი შეზღუდული რომ იყოს, მაგრამ ენის ნიშანთა რიცხვი უსასრულოა.

3. სისტემის მეტად რთული ხასიათი. ენა სისტემას წარმოადგენს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახეთ, სწორედ ამ მხრივ იგი პირობითი არაა და მასში შედარებითი გონიერულობა ბატონობს. ამავე დროს, სწორედ მასში გამოვლინდება მოლაპარაკეთა უძღურება შეცვალონ იგი. მიზეზი ისაა, რომ ეს სისტემა რთული მექანიზმია. მას მხოლოდ საგანგებო განსჯის საშუალებით ჩავენდებით. მათაც კი, ვინც ყოველდღიურად იყენებს ენას, არაფერი იციან თვით სისტემის შესახებ. ენის გარდაქმნა შეიძლებოდა წარმოგვედგინა მხოლოდ სპეციალისტების, გრამატიკოსების, ლოგიკოსებისა და სხვათა ჩარევით. მაგრამ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დღემდე ასეთ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია.

4. კოლექტიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგობა ნებისმიერი ენობრივი სიახლისადმი. ენა მუდამ საყოველთაოა და ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვანია. გარკვეულ კოლექტივში გავრცელებული და ამ კოლექტივის მიერ გამოყენებული ენა წარმოადგენს ისეთ რასმე, რასაც ყოველი ინდივიდი ყოველდღიურად, ყოველ საათს, ყოველ წუთს იყენებს. ამ მხრივ შეუძლებელია მისი შედარება სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან. კანონი, რელიგიური რიტუალები, საზღვაო ნიშნები და სხვა ერთდრულად ინდივიდთა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას ეხება, თანაც — განსაზღვრული დროით. ენას კი ყველა მუდამ იყენებს და ამიტომაც, იგი ყველას გავლენას განიცდის. ეს ფუძემდებელი ფაქტორიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ენაში რევოლუცია შეუძლებელია. სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით, ენა ინიციატივის გამოვლენის ყველაზე ნაკლებ საშუალებას იძლევა. იგი განუყოფელი ნაწილია საზოგადოების ცხოვრებისა, რომელიც ბუნებით ინერტულია და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, კონსერვატორულ ფაქტორად გვევლინება.

მაგრამ, იმის გამოსაძკარავებლად, რომ ენა თავისუფალი არაა, არაა საკმარისი მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ იგი სოციალურ ძალთა პროდუქტია. იმ ფაქტს, რომ ენა წინა ეპოქის მემკვიდრეობაა, ისიც უნდა დავამატოთ, რომ ის სოციალური ძალები, რომელთა პროდუქტაც ენაა, დროზე არიან დამოკიდებულნი. ენა არა მხოლოდ იმიტომაცაა მდგრადი, რომ კოლექტივის უმოქმედო მასასთან არის დაკავშირებული, არამედ იმიტომაცაა, რომ იგი დროში არსებობს. ეს ორი ფაქტი განუყოფელია. წარსულთან კავშირი ერთთავად აბრკოლებს არჩევანის თავისუფლებას. ვამბობთ „ადამიანი“ და „ძალი“, რადგან ჩვენამდეც ასე ამბობდნენ. ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მოვლენაში მთლიანად, ყოველთვის წარმოდგენილია კავშირი ორი,

ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორისა — პირობითი შეთანხმებისა, რომლის ძალით აღმნიშვნელის არჩევანი თავისუფალია, და დროისა, რომლის წყალობითაც ეს არჩევანი მკაცრად განსაზღვრულია. სწორედ იმის გამო, რომ ნიშანი პირობითია, ის არ იცნობს არავითარ კანონს ტრადიციის გარდა და პირიქით, იგი შეიძლება პირობითი იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ტრადიციას ემყარება.

§2. ნიშნის ცვალებადობა.

დრო, რომელიც ენის უწყვეტობას განაპირობებს, მასზე ერთი შეხედვით საწინააღმდეგო მოქმედებასაც ახდენს. იგი მეტ-ნაკლები სიჩქარით ცვლის ენობრივ ნიშნებს, და გარკვეული აზრით შეიძლება ლაპარაკი ერთდროულად ენობრივი ნიშნის უცვლელობასა და ცვალებადობაზე.¹

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ორი ფაქტორი ურთიერთდაპირისპირებულია: ენობრივი ნიშანი შეიძლება იცვლებოდეს, რადგან მისი არსებობა უწყვეტია. ყოველგვარი ცვლილების შემთხვევაში არსებით მომენტს შეადგენს წინანდელი მასალის მდგრადობა. წარსულისადმი ლაღატი მხოლოდ შეფარდებითია. ამიტომაც, ცვალებადობის პრინციპი უწყვეტობის პრინციპს ემყარება.

დროში ცვალებადობას მრავალი ფორმა გააჩნია, რომელთაგან თითოეულს შეუძლია ზოგადი ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინოს. დეტალებს თუ არ გამოვეკიდებით, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სწორად გავიგოთ სიტყვა „ცვალებადობისათვის“ აქ მინიჭებული მნიშვნელობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საუბარია სპეციალურ ფონეტიკურ ცვლილებებზე, რომელსაც აღმნიშვნელი განიცდის, ცნების შინაარსობრივ ცვლილებებზე. ცვალებადობის ასეთი გაგება არასაკმარისია: როგორც არ უნდა იყოს ცვალებადობის ფაქტორები, იმოქმედებენ ისინი ცალ-ცალკე თუ ერთობლივად, მათ მუდამ მოსდევთ მიმართების გადანევა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ლათინურმა necāre-მ, რომელიც ნიშნავდა „მოკვლას“, ფრანგულში მოგვცაoyer „წყალში დახრჩობის“ მნიშვნელობით; შეიცვალა აუუსტიკური ხატიც და ცნებაც. მაგრამ, ზედმეტია მოცემული ფაქტის ამ ორი მხარის განსხვავება, საკმარისია ზოგადად მოვახდინოთ იმის კონსტატაცია, რომ ცნების კავშირი ნიშანთან შესუსტდა და მოხდა გადანევა მათს მიმართებაში. თუ კლასიკური ლათინურის necāre-ს ფრანგულoyer-ს კი არ შევადარებთ, არამედ IV-V სს. ხალხური ლათინურის

¹ შევდომა იქნება, სოსიურს ენისათვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისების მინერისთვის ალოგიკურობა ან პარადოქსულობა ვუსაყვედუროთ. ამ ორი ტერმინის შეპირისპირებით მას სურდა ხაზი გაესვა იმ ჭეშმარიტებისთვის, რომ ენა მასზე მოლაპარაკე ინდივიდთა ჩარევის გარეშე გარდაიქმნება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ხელშეუხებელია, მაგრამ არა უცვლელი (გამომც.).

necare-ს, რომელიც „წყალში დახრჩობას“ ნიშნავდა, საქმე განსხვავებულ შემთხვევასთან გვექნება. მაგრამ აქაც, თუმცა აღმნიშვნელის უმნიშვნელო ცვლილებასთან გვაქვს საქმე, მაინც ადგილი აქვს ცნებასა და ნიშანს შორის მიმართების გადანევას.

ძველი გერმანული dritteil („მესამედი“) თანამედროვე გერმანულში Drittel-ად იქცა. ამ შემთხვევაში, თუმცა ცნება უცვლელი დარჩა, მიმართება ორგვარად შეიცვალა: აღმნიშვნელმა სახე იცვალა არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ გრამატიკული ფორმითაც. იგი აღარ შეიცავს Teil-ის („ნაწილი“) ელემენტს. იგი მარტივი სიტყვაა. ასეა თუ ისე, აქაც საქმე მიმართების გადანევასთანაა გვაქვს.

ანგლოსაქსურში დამწერლობამდელი ფორმა fōt („ფეხი“) fōt-ად დარჩა (თანამედროვე ინგლისური foot), ხოლო მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა *foti („ფეხები“) fēt-ად გადაიქცა (თანამედროვე ინგლისური feet). როგორც არ უნდა იყოს აქ წაგულისხმევი ცვლილებები, აშკარაა, რომ საქმე გვაქვს მიმართების გადანევასთან. ბგერით მასალასა და ცნებას შორის ახალი შესატყვისობა წარმოიქმნა.

ენას არ ძალუძს თავი დაიცვას იმ ფაქტორებისგან, რომლებიც მუდმივად ცვლიან მიმართებას აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის. ეს ნიშნის პირობითობისაგან მომდინარე ერთ-ერთი შედეგია.

სხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნები — ადათები, კანონები და ა.შ. მეტ-ნაკლებად ემყარებიან საგანთა შორის არსებულ ბუნებრივ მიმართებებს. მათში არის აუცილებელი შესაბამისობა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის. ჩვენი კოსტიუმის განმსაზღვრელი მოდაც კი არ არის სავსებით თავისუფალი: გარკვეულ ზომაზე მეტად ვერ დავცილდებით იმ პირობებს, რომელსაც ადამიანის სხეული გვიკარნახებს. ენას კი, პირიქით, არაფერი ზღუდავს საშუალებების არჩევანში, რადგან ძნელი წარმოსადგენია, თუ რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ნებისმიერი ცნების ასოციაციას ბგერათა ნებისმიერ თანმიმდევრობასთან.

იმის ნათელსაყოფად, რომ ენა წმინდა საზოგადოებრივი ინსტიტუტია უიტნი სამართლიანად გახაზავდა ნიშანთა პირობით ბუნებას. ამით მან ენათმეცნიერება ჭეშმარიტ გზაზე დააყენა, მაგრამ მას თავისი დებულება ბოლომდე არ განუვითარებია და ვერც ის განჭვრიტა, რომ ენა თავისი პირობითობით მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტისგან. ეს ნათლად ვლინდება ენის ვანვითარებაში. იგი ძალზე რთული პროცესია. რადგან ენა ერთდროულად საზოგადოებასა და დროში არსებობს, მასში ვერავინ ვერაფერს შეცვლის. იმავე დროს, მისი ნიშნების პირობითობა უზრუნველყოფს ბგერით მასალასა და ცნებებს შორის ნებისმიერ მიმართებათა დადგენის თავისუფლებას. აქედან გამომდინარეობს, რომ ნიშანში გაერთიანებული ორივე ელემენტი უაღრესად განცალკევებით არსებობს და რომ ენა იცვლება, უფრო სწორად, ევოლუციას განიცდის ყველა იმ ძალის გავლენით, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბგერებსა თუ მნიშვნელობებზე. ეს ევოლუცია გარდაუვალია: მისგან არც ერთი ენა არაა თავისუფალი. დროის გარკვეული მონაკვეთის დასრულების შემდეგ

ნებისმიერ ენაში შეიძლება საგრძნობი გადაწვევების კონსტატირება.

ეს ყოველივე იმდენად სარწმუნოა, რომ ამ პრინციპის გამოცდა ხელოვნურ ენებზეც კი შეიძლება. ნებისმიერი ხელოვნური ენა, სანამ ის საერთო ხმარებაში გადავიდოდეს, ავტორის საკუთრებას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც კი იგი თავისი დანიშნულების შესრულებას შეუდგება და საერთო მონაპოვრად იქცევა, მასზე კონტროლი ქრება. ამგვარ ენებს მიეკუთვნება ესპერანტო. თუ იგი გავრცელდება, შესძლებს კი, თავი დააღწიოს ევოლუციის კანონის გარდაუვალ ზემოქმედებას? მისი არსებობის პირველი პერიოდი რომ ჩაივლის, ეს ენა ალბათ სემიოლოგიური განვითარების პირობებს დაექვემდებარება: ის გადაეცემა იმ კანონების ძალით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო წინასწარი მოფიქრებით მართულ კანონებთან. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება უკვე შეუძლებელი იქნება. ადამიანი, რომელიც მოისურვებს უცვლელი ენა შეუქმნას მომავალ თაობებს, ბატის კვერცხზე მჯდომ ქათამს ჰგავს: მის მიერ შექმნილ ენას ნებისთ თუ უნებლიედ ჩაითრევს ის დინება, საზოგადოდ ყოველ ენას რომ წარიტაცებს.

ნიშნის უწყვეტობა დროში, დაკავშირებული მის დროითს ცვალებადობასთან, ზოგადი სემიოლოგიის პრინციპს წარმოადგენს: ამას შეიძლება დასაბუთება დაფუძნებით დამწერლობის სისტემებში, ყრუ-მუნჯთა ენაში და სხვაგან.

რას ემყარება ცვალებადობის აუცილებლობა?

შეიძლება გვისაყვედურონ, რომ ეს პუნქტი ნაკლებად განემარტეთ, ვიდრე უცვლელობის პრინციპი. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ცვალებადობის სხვადასხვა ფაქტორები არ გამოგვიყვია. რომ დაგვედგინა, თუ რამდენად აუცილებელია ეს ფაქტორები, უნდა განგვეხილა ისინი მთელს მათს მრავალფეროვნებაში.

უწყვეტობის მიზეზები აპრიორულად ხელმისაწვდომია დაკვირვების-თვის. დროში ცვლილების მიზეზების მიმართ საკითხი სხვადასხვაგვარად დგას. ჯერჯერობით სჯობს თავი შევიკავოთ მისი ზუსტი გარკვევისაგან და შემოვიფარგლოთ ზოგადი მსჯელობით მიმართებათა გადანევის შესახებ. დრო ყველაფერს ცვლის და არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ენა ამ ზოგადი წესის გამოწვევის შეადგენს.

შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობის ეტაპები და დავუკავშიროთ ისინი შესავალში ჩამოყალიბებულ პრინციპებს:

1. ავარიდეთ რა თავი სიტყვათა უნაყოფო დეფინიციებს ისეთი ზოგადი მოვლენის შიგნით, როგორცაა სამეტყველო ქმედება, უპირველეს ყოვლისა, გამოყვით ორი ფაქტორი: ენა და მეტყველება. ენა ჩვენთვის არის სამეტყველო ქმედება მინუს მეტყველება. იგი წარმოადგენს იმ ჩვევების ერთობლიობას, რომელიც ცალკეულ ადამიანს საშუალებას აძლევს გაუგოს სხვას და თვითონაც გააგებინოს.

2. მაგრამ, ამგვარი განსაზღვრა ენას მაინც ტოვებს სოციალური რეალობის მიღმა, წარმოგვიდგენს მას რეალურ რამედ, რადგან მოიცავს რეალურობის მხოლოდ ერთ ასპექტს — ინდივიდუალურს. ენა რომ იყოს, აუცილებელია მოლაპარაკე კოლექტივი. ენა არასდროს არ არსებობს საზოგადოების გარეშე, რადგან ენა სემიოლოგიური მოვლენაა. სოციალური

ბუნება მისი ერთ-ერთი თვისებაა. მისი სრული განსაზღვრა ჩვენს ორი ურთიერთგანუყოფელი მოვლენის წინაშე გვაყენებს, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია:




ასეთ პირობებში ენა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ცოცხლობს. ჩვენ გავითვალისწინეთ მხოლოდ სოციალური რეალობა და არა ისტორიული ფაქტი.

3. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ენობრივი ნიშნის პირობითობის გამო ენა თავისუფალი სისტემაა, რომლის ორგანიზაციაც მოლაპარაკეთა სურვილზე და მოკიდებული და თავისთავად აღებული მხოლოდ და მხოლოდ რაციონალურ პრინციპს ექვემდებარება. ცხადია, კოლექტიური ფსიქოლოგია მხოლოდ ლოგიკური მასალით არ სარგებლობს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, როგორ თმობს თავის პოზიციებს გონება ადამიანთა შორის პრაქტიკულ ურთიერთობებში. და მაინც, ენის განხილვას უბრალო პირობითობად, რომელიც

დაინტერესებულ პირთა სურვილის მიხედვით იცვლება, ეწინააღმდეგება არა ეს, არამედ დროისა და სოციალურ ძალთა ერთობლივი მოქმედება. დროის კატეგორიის მიღმა ენობრივი რეალობა არასრულია და მის შესახებ არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება.

თუ განვიხილავდით ენას დროში, ოღონდ მოლაპარაკე კოლექტივისაგან მოწყვეტით (წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე განმარტობით ცხოვრობს), შესაძლოა მასში ვერავითარი ცვლილება ვერ აღმოგვეჩინა. დრო უძღური აღმოჩნდებოდა მის წინაშე და პირიქით, თუ მოლაპარაკე კოლექტივს დროის მიღმა განვიხილავთ, მაშინ ვერ დავინახავთ სოციალურ ძალთა ზემოქმედებას ენაზე. აქედან გამომდინარე, რეალობასთან მისაახლოებლად საჭიროა ზემომოყვანილ სქემას დროის მოძრაობის აღმნიშვნელი ნიშანიც დავუმატოთ.

ამჯერად, ენა კარგავს თავისუფლებას, რადგან დრო მასზე მოქმედ სოციალურ ძალებს საშუალებას აძლევს ზეგავლენა მოახდინონ მასზე. ასე მივიღებთ უწყვეტობის პრინციპებამდე, რომელიც თავისუფლებას აუქმებს, მაგრამ უწყვეტობა აუცილებლად გულისხმობს ცვლილებას, ანუ მეტნაკლებად მნიშვნელოვან გადაწვევებს აღსანიშნავ და აღმნიშვნელს შორის.



სტატიკური ლინგვისტიკა და ეპოლუციური ლინგვისტიკა

§1. შინაგანი ორმაგობა ყველა მეცნიერებისა, რომლებიც ღირებულების ცნებით მუშაობენ.

არც თუ ისე ბევრი ენათმეცნიერი ხვდება იმას, რომ დროის ფაქტორის გამოჩენას შეუძლია განსაკუთრებული სირთულეები შეუქმნას ენათმეცნიერებს და ორი გზის გასაყართან დააყენოს იგი.

მეცნიერებათა უმრავლესობისათვის უცხოა ესოდენ რადიკალური ორმაგობა. დროის ფაქტორი მათზე არსებით გავლენას არ ახდენს. ასტრონომიამ დაადგინა, რომ მნათობები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან, მაგრამ ამის გამო ასტრონომია ორ დისციპლინად არ გაყოფილა. გეოლოგიას, თითქმის მუდამ, დროში თანმიმდევრულ ცვლილებებთან აქვს საქმე, მაგრამ როცა ის დედამიწის უკვე ჩამოყალიბებულ მდგომარეობებს ეხება, მათ სხვა მეცნიერების საგანად როდი მიიჩნევს. არსებობს აღწერიითი მეცნიერება სამართლის შესახებ და სამართლის ისტორია, მაგრამ მათ არავინ უპირისპირებს ერთმანეთს. სახელმწიფოთა პოლიტიკური ისტორია დროში იშლება. ამისდა მიუხედავად, როცა ისტორიკოსი რომელიმე ეპოქის სურათს გვიხატავს, სულაც არ გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს იმპერიის ფარგლებს ვცილდებოდეთ. და პირიქით, მეცნიერება პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ თავისი არსით აღწერიითი მეცნიერებაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია განიხილოს ისტორიული საკითხები და ამასთანავე, არ დაკარგოს მთლიანობა.

ორმაგობა, რომელზედაც მოგახსენებთ, ეკონომიკურ მეცნიერებებსაც ეხება. ზემოჩამოთვლილ მეცნიერებათა საპირისპიროდ, პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური ისტორია ერთი და იმავე მეცნიერების ნიაღში მკვეთრად გამოიჯნულ დისციპლინებს წარმოადგენენ. ამ მეცნიერებათა განსხვავება განსაკუთრებით ხაზგასმულია უკანასკნელი წლების ეკონომიკურ ნაშრომებში. პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტები აღნიშნულ მეცნიერებათა გამოიჯნვით გაუცნობიერებლად ექვემდებარებიან შინაგან აუცილებლობას. ანალოგიური აუცილებლობა ჩვენც გვაიძულებს ენათმეცნიერება ორ ნაწილად გავყოთ, რომელთაგან თითოეულს საკუთარი პრინციპები გააჩნია. საქმე ისაა, რომ ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც პოლიტიკონომიაში, ვაწყდებით ღირებულების ცნებას. ორივე მეცნიერებაში საქმე გვაქვს სხვადასხვა ბუნების საგანთშორის შესაბამისობათა სისტემასთან: პოლიტიკონომიაში ესაა შესაბამისობა შრომასა და ხელფასს შორის,

ენათმეცნიერებაში — ალსანიშნა და აღმნიშვნელს შორის.


ცხადია, ყოველი მეცნიერება დაინტერესებულია ზუსტად გამოსახოს ის ლერძები, რომლებზედაც მის კომპეტენციაში შემავალი ობიექტებია განლაგებული. ქვემოთ მოყვანილი ნახაზის შესაბამისად, ყველგან უნდა განვასხვავოთ: 1. თანადროულობის ლერძი (AB), რომელიც მხოლოდ თანაარსებულ მოვლენათა შორის მიმართებებს ეხება და დროის ყოველგვარ ჩარევას გამორიცხავს და 2. თანმიმდევრობის ლერძი (CD), რომელზედაც ერთ ჯერზე შეუძლებელია ერთზე მეტი საგნის განხილვა, მაგრამ რომელზედაც პირველი ლერძის ყველა მოვლენაა განლაგებული თავიანთი ცვლილებებითურთ.

იმ მეცნიერებებისთვის, რომლებიც ღირებულების ცნებას იყენებენ, ასეთი განსხვავება პრაქტიკულ, ზოგჯერ გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ სფეროში შეუძლებელია მკაცრი მეცნიერული კვლევა ორი ლერძის არსებობის გაუთვალისწინებლად და თავისთავად აღებული, ღირებულების სისტემებისა და დროის ფუნქციად განხილული იმავე ღირებულების სისტემების განუსხვავებლად.

ეს განსხვავება განსაკუთრებით აუცილებელია ენათმეცნიერისთვის, რადგან ენა წმინდა ღირებულებათა სისტემაა, რომელიც მხოლოდ მასში შემავალ ელემენტთა არსებული მდგომარეობით განისაზღვრება.

რამდენადაც, ერთი მხრივ, ღირებულება მჭიდროდ უკავშირდება საგნებსა და მათ ბუნებრივ მიმართებებს (როგორც ამას ადგილი აქვს ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში: მაგ. მიწის ნაკვეთის ღირებულება მისი მოსავლიანობის პროპორციულია), იმდენად შეიძლება გარკვეულ დონემდე თვალი გავადევნოთ ამ ღირებულებებს დროში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ მოცემულ მომენტში იგი დამოკიდებულია სხვა თანაარსებულ ღირებულებათა სისტემაზე. და მაინც, საგნებთან კავშირი მას ბუნებრივ საფუძველს ანიჭებს და ამიტომ, აქედან გამომდინარე, შეფასებები არასოდეს არაა სავსებით თავისუფალი. მათი ვარირება დასაშვებია გარკვეულ ფარგლებში. როგორც დავინახეთ, ბუნებრივ საგნებს, ისევე როგორც მათს მიმართებებს, არავითარი კავშირი არა აქვთ ენათმეცნიერებასთან.

დავძენდით, რომ რაც უფრო რთული და მკაცრად ორგანიზებულია ღირებულებათა სისტემა, სწორედ მისი სირთულის გამო მით უფრო



აუცილებელია, მისი თანმიმდევრული შესწავლა ორივე ლერძის მიხედვით. ამ მხრივ ენას ვერც ერთი მეცნიერება ვერ შეედრება: არსად არ ვხვდებით მიმოქცევაში არსებულ ღირებულებათა ასეთ სიზუსტეს, სიუხვესა და მრავალფეროვნებას, თანაც ესოდენ მკაცრად ურთიერთდამოკიდებულს. ნიშანთა სიმრავლე, რომლის შესახებაც უკვე ითქვა ენის უწყვეტობის განხილვისას, აბრკოლებს ნიშანთა მიმართებების შესწავლას ერთდროულად დროსა და სისტემაში.

ამიტომაც, ჩვენ ენათმეცნიერების ორ სახეს ვასხვავებთ. რა ვუნდოთ მათ? ამ განსხვავების ალსანიშნავად ყველა შემოთავაზებული ტერმინი ერთნაირად არ გამოდგება. ტერმინები „ისტორია“ და „ისტორიული ენათმეცნიერება“ გამოუსადგარია, რადგან მეტად ფართო და ბუნდოვან ცნებებს უკავშირდება. ვინაიდან პოლიტიკური ისტორია ცალკეულ ეპოქათა აღწერასა და მოვლენების გადმოღებას გულისხმობს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ენის მდგომარეობის თანმიმდევრობის აღწერით ჩვენ შევისწავლით ენას ვერტიკალური ლერძის გაყოლებით. ამისათვის საჭირო იქნებოდა ცალკე განგვეხილა ისეთი მოვლენები, რომლებიც აიძულებენ ენას ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადავიდეს. ტერმინები „ევოლუცია“ და „ევოლუციური ლინგვისტიკა“ უფრო ზუსტია და ჩვენ მათ ხშირად მივმართავთ. ენათმეცნიერების მეორე სახეს შეიძლება დავარქვათ მეცნიერება „ენის მდგომარეობათა შესახებ“, ანუ „სტატიკური ლინგვისტიკა“.

მაგრამ, იმისათვის, რომ უფრო მკვეთრად გამოვხატოთ ეს დაპირისპირება და ურთიერთკვეთა ორგვარი ხასიათის მოვლენებისა, რომლებიც ერთ ობიექტს განეკუთვნებიან, ვამჯობინებთ ვისაუბროთ „სინქრონულ“ და „დიაქრონულ“ ლინგვისტიკაზე. სინქრონულია ყოველივე, რაც ჩვენი მეცნიერების სტატიკურ ასპექტს განეკუთვნება, დიაქრონიული კი — ყოველივე ის, რაც ევოლუციას ეხება. ტერმინები „სინქრონია“ და „დიაქრონია“, შესაბამისად, ენის მდგომარეობასა და ევოლუციის ფაზას აღნიშნავენ.

§2. შინაგანი ორგანოზა და ენათმეცნიერების ისტორია

ენის შესწავლას რომ ვინცებთ, უპირველეს ყოვლისა გვაოცებს ის, რომ მოლაპარაკე ინდივიდისთვის არ არსებობს ფაქტების თანმიმდევრობა დროში: მას უშუალოდ მხოლოდ მათი მდგომარეობა ეძლევა. ამიტომაც, ენათმეცნიერმა, რომელსაც სურს ამ მდგომარეობის გაგება, თვალი უნდა დახუჭოს იმაზე, როგორ მივიღეთ ეს მდგომარეობა და უგულვებელჰყოს დიაქრონია. მხოლოდ წარსულის უკუგდებად და უგულვებელჰყოს მოლაპარაკის ცნობიერებაში. ისტორიის შემოჭრამ შეიძლება მხოლოდ დააბნოს იგი. უაზრობა იქნებოდა ალპების პანორამის ხატვისას მისი დაფიქსირება იურული პერიოდის რამდენიმე მწვერვალიდან ერთდროულად.

პანორამა ერთი წერტილიდან უნდა დაფიქსირდეს. ასევე ენაშიც: მისი არც აღწერა შეიძლება და არც მისი ნორმების დადგენა, თუ მისი ერთი გარკვეული მდგომარეობიდან არ ამოვალთ. ენის ევოლუციას თუ მიჰყვება, ენათმეცნიერი იმ დამკვირვებელს დაემსგავსება, რომელიც გადაადგილდება იურული მთების ერთი ბოლოდან მეორისკენ და თან პერსპექტივის ცვლას აღნიშნავს.

მას შემდეგ, რაც თანამედროვე ენათმეცნიერება წარმოიქმნა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად ჩაეფლო დიაქრონიაში. ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა წინარე ენის ტიპის ჰიპოთეტური აღდგენისას იყენებს მის ხელთ არსებულ მონაცემებს. შედარება მისთვის მხოლოდ წარსულის აღდგენის საშუალებაა. იგივე მეთოდი გამოიყენებოდა ენობრივი ქვეჯგუფების (რომანული, გერმანიკული და ა.შ.) შესწავლისას — ენათა მდგომარეობის გათვალისწინება მხოლოდ ფრაგმენტულად და არასრულყოფილად ხდება. ასეთია მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბოპმა. ამიტომაც, ენის მისეული მეცნიერული გაგება არაერთგვაროვანი და მერყევია.

მეორე მხრივ, რა გზას მიმართავდნენ ისინი, ვინც ლინგვისტური მეცნიერების შექმნამდე შეისწავლიდნენ ენას, ე.ი. „გრამატიკოსები“, რომლებიც ტრადიციულ მეთოდებს იყენებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მათი თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აბსოლუტურად უზადოა. მათი შრომები აშკარად მოწმობს, რომ მათ ენის მდგომარეობის აღწერა ენადათ. მათი პროგრამა მკაცრად სინქრონული ხასიათისაა. მაგალითად, ენ. პორ-რუაილის გრამატიკა ცდილობს ფრანგული ენის მდგომარეობის აღწერას ლუდოვიკო XIV-ის ზეობის დროისათვის და მის შემადგენელ ღირებულებათა განსაზღვრას. მას ამისათვის შუა საუკუნეების ფრანგული ენა არ ესაჭიროება. იგი განუხრელად მიჰყვება ჰორიზონტულ ღერძს (იხ. გვ. 86); ასეთი მეთოდი სწორია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის უნაკლოდ გამოიყენებოდა. ტრადიციული გრამატიკა უგულვებელყოფს ენათმეცნიერების მთელ რიგ ნაწილებს, მაგ. სიტყვათწარმოებას. იგი ნორმატიულია და მიაჩნია, რომ მისი ვალია სახელმძღვანელოდ დაგიდგინოს წესები და არა ის, რომ მოახდინოს ფაქტების კონსტატაცია. მას მხედველობიდან ეპარება მთლიანობა, ხშირად დაწერილ სიტყვას წარმოქმულისგან ვერ არჩევს და ა.შ.

კლასიკურ გრამატიკას უსაყვედურებდნენ, რომ ის არამეცნიერულია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი მეცნიერული საფუძველი ნაკლებად ექვემდებარება კრიტიკას, მისი საგნები კი უკეთაა განსაზღვრული, ვიდრე ბოპის მიერ შექმნილი ენათმეცნიერებისა. ამ უკანასკნელმა, რომლის საფუძველიც ნაკლებად განსაზღვრულია, ზუსტად არც კი იცის, თუ რა მიზანს ესწრაფვის. რამდენადაც, მკაფიოდ ვერ მიჯნავს არსებულ მდგომარეობასა და მდგომარეობათა თანმიმდევრობას დროში, იგი ერთდროულად ორგვარ მიდგომას ათავსებს.

ენათმეცნიერება ძალზე დიდ ადგილს უთმობდა ისტორიას. ახლა იგი ტრადიციული გრამატიკის სტატიკურ თვალსაზრისს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ ახლებურად გაგებულს, ახალი ხერხებით აღჭურვილს და ისტორიული მეთოდით განახლებულს, რომელიც ხელს შეუწყობს ენის სხვადასხვა მდგომარეობათა უკეთ გაცნობიერებას არაპირდაპირი გზით. ძველი გრამატიკა მხოლოდ სინქრონულ აქტს ხედავდა. ენათმეცნიერებამ ახალი რიგის მოვლენები დაგვანახა, მაგრამ ეს საკმარისი როდია; უნდა შევიგრძნოთ ამ ორი მიდგომის დაპირისპირებულობა, რათა სათანადოდ აღვიქვათ მისგან გამომდინარე შედეგები.

§3. ენათმეცნიერების შინაგანი ორგანოზა მაგალითაზა

დაპირისპირება ორ თვალსაზრისს — სინქრონულსა და დიაქრონულს შორის — აბსოლუტური ხასიათისა და უკომპრომისო. იმის საილუსტრაციოდ, თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რატომ არ შეიძლება მისი არიდება, მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.


ლათინურმა *crispus* („ტალღოვანი“, „ხვეული“) ფრანგულში მოგვცა ფუძე *crép-*, საიდანაც წარმოებულ იქნა ზმნები *crépir* („გაბათქაშება“) და *décépir* („ბათქაშის ჩამოყრა“). მეორე მხრივ, ოდესღაც ლათინურიდან ისესხა ფრანგულმა უცნობი ეტიმოლოგიის სიტყვა *décépitus* („ძველი“, „მოხუცი“) და მისგან აწარმოვა სიტყვა — *décépit*. ცხადია, რომ დღეს მასა გარკვეულ კავშირს ამყარებს *un mur décrépi-*-ს („ბათქაშჩამოყრილი კედელი“) და *un homme décrépi-*-ს („მოხუცი, დაჩაჩანაკებული კაცი“) შორის, თუმცა, ისტორიულად ამ ორ სიტყვას არაფერი აქვთ საერთო. ხშირად ამბობენ *la façade décrépite d'une maison* („სახლის ბათქაშჩამოყრილი ფასადი“). ეს სტატიკური მდგომარეობაა, რადგან საქმე ენაში თანაარსებულ ორ მოვლენას ეხება. მის გამოსავლენად საჭირო გახდა რიგ გარემოებათა თავმოყრა ევოლუციაში. ჯერ *crisp-* უნდა წარმოქმულიყო *crép-*-ად, შემდეგ ლათინურიდან უნდა ესესხებინათ ახალი სიტყვა. ცხადია, ამ დიაქრონიულ ფაქტებს არავითარი კავშირი არა აქვთ მათ მიერ წარმოქმნილ სინქრონულ ფაქტთან. ისინი სხვა რიგის მოვლენებია.

მოვიყვანთ ზოგადი მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთ მაგალითს. ძველ ზემოგერმანულში არსებითი სახელის *gast* („სტუმარი“) მრ. რიცხვის თავდაპირველი ფორმა იყო *gasti*, არსებითი სახელისა *hant* („ხელი“) კი *hanti* და ა.შ. შემდგომ ამ *i-*-მ გამოიწვია უმლაუტი, ე.ი. წინა მარცვლის *a-*-ს *e-*-ში გადასვლა: *gasti* → *gesti*, *hanti* → *henti*. შემდეგ ამ *i-*-მ თავისი ტემბრი დაკარგა და მივიღეთ *gesti* → *geste* და ა.შ. ამის შედეგად გვაქვს *Gast: Gäste, Hand: Hände*. სიტყვების მთელი რიგი ამჟღავნებს ასეთ განსხვავებას მრავლობითსა და მხოლობით რიცხვს შორის. ანალოგიური მოვლენაა ანლოსაქსურშიც: თავდაპირველად იყო *fōt* („ფეხი“), მრ. რ. — **fōti; tōþ* („კბილი“), — მრ. რ. **tōþi*;


გნს („ბატი“) მრ. რ. *gōsi და ა.შ. პირველი ფონეტიკური ცვლილების, უმლაუტის გამო *fōti იქცა *fēti-დ, მეორე ფონეტიკური ცვლილების, ბოლოკიდური i-ს დაკარგვის შედეგად *feti-მ მოგვცა fēt. ასე წარმოიშვა დამოკიდებულება მხ. რ. fōt და მრ. რ. fēt-ს, tōp-tēp, gōs-gēs-ს შორის (ანალოგიურად, თანამედროვე ინგლისურში foot: feet, tooth: teeth, goose: geese).

თავდაპირველად, როცა წარმოთქვამდნენ gast : gastī, fōt : fōtī მრ. რიცხვი უბრალოდ, *ს დამატებით იწარმოებოდა. Gast : Gäste და fōt : fēt მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად სხვა მექანიზმს იყენებს. ეს მექანიზმი ორივე შემთხვევაში განსხვავებულია. ძვ. ინგლისურში მხოლოდ ხმოვანთა შეპირისპირებაა, გერმანულში ამას ბოლოკიდური e-ს არსებობა და უქონლობა ერთვის, მაგრამ ეს განსხვავება ჩვენთვის არაარსებითია.

დამოკიდებულება მხოლოდით და მისგან წარმოებ მრავლობით რიცხვს შორის, ყოველი მოცემული მომენტისთვის, როგორც არ უნდა იყოს მათი ფორმები, ჰორიზონტალურ ღერძზე ასე შეიძლება გამოისახოს:



ერთი ფორმის მეორეში გადაწყვანი ნებისმიერი ფაქტები სხვა, ვერტიკალურ ღერძზე მოთავსდება და შემდეგ სურათს მივიღებთ,



ჩვენი ტიპური მაგალითი ამ საკითხთან დაკავშირებით რიც მოსაზრებებს განაპირობებს:

1. დიაქრონიული ფაქტების მიზანს სრულებით არ შეადგენს გარკვეული ღირებულების რაიმე სხვა ნიშნით აღნიშვნა: იმ ფაქტს, რომ gastī-მ მოგვცა gesti, geste (Gäste) არაფერი აქვს საერთო არსებითი სახელის მრავლობით რიცხვთან, რადგან tragit→trägt-ში იგივე უმლაუტი უღლებას ეხება და ა.შ. ე.ი. დიაქრონიული ფაქტი თავისთავადი მოვლენაა და მისგან გამომდინარე კონკრეტული სინქრონიული შედეგები მისთვის სავსებით უცხოა.

2. ეს დიაქრონიული ფაქტები სისტემის შეცვლას არ ცდილობენ. არ არსებობს წინასწარი განზრახვა მიმართებათა ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისა. ცვლილება ეხება არა მოწესრიგებულ მთლიანობას, არამედ მის ელემენტებს. აქ ჩვენ კვლავ ვაწყდებით ზემოთ უკვე ხსენებულ პრინციპს: სისტემა უშუალოდ არ იცვლება. თავისთავად, იგი უცვლელია, ხოლო ცვალებადობას ექვემდებარება მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტები, დამოუკიდებლად მათი იმ კავშირისა, რომელიც მათ აერთებს მთელს ერთობლიობასთან. ეს შეიძლება შევადაროთ მზის ირგვლივ მბრუნავი ერთ-ერთი პლანეტის მიერ ზომისა და მასის შეცვლას: ეს ცალკეული ფაქტი ზოგად

შედეგებს გამოიწვევდა და მზის სისტემის წონასწორობას დაარღვევდა. მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად აუცილებელია ორი მოვლენის შეპირისპირება: ან fōt : *fōti, ან fōt : fēt, ე.ი. ეს ორი გზა ერთნაირად მისაღებია და მოლაპარაკენი ისე გადავიდნენ ერთიდან მეორეზე, რომ ამ გზას არც შეხებან. მთლიანობა კი არ გადაწეულა და არც ერთ სისტემას წარმოუქმნია მეორე, არამედ შეიცვალა პირველი სისტემის ერთ-ერთი ელემენტი. ეს საკმარისი აღმოჩნდა ახალი სისტემის შესაქმნელად.

3. ეს დაკვირვება ხელს გვიწყობს ჩვენვედით ნებისმიერი მდგომარეობის შემთხვევით ხასიათს. გავრცელებული მცდარი წარმოდგენის საპირისპიროდ, ენა არ წარმოადგენს ცნებების გამოსახატავად შექმნილ და მისადაგებულ მექანიზმს. პირიქით, როგორც ნახეთ, რომელიმე ელემენტის ცვლით წარმოქმნილი ახალი მდგომარეობა ენისა სულაც არ არის განკუთვნილი იმ მნიშვნელობათა გადმოსაცემად, რომლებითაც ის აღმოჩნდა გაჯერებული. მოცემულია შემთხვევითი მდგომარეობა fōt : fēt და იგი გამოიყენება მხოლოდით და მრავლობით რიცხვებს შორის განსხვავებების გადმოსაცემად. დაპირისპირება fōt : fēt ამას უკეთ არ გამოხატავს, ვიდრე fōt : *fōti. ყოველთვის, როცა ახალი მდგომარეობა წარმოიქმნება, გონება ასულიერებს უკვე არსებულ მატერიას და თითქოს, სიცოცხლეს შთაბერავს მას. ისტორიული ენათმეცნიერებისაგან შთაგონებული ეს თვალსაზრისი არ იყო ცნობილი ტრადიციული გრამატიკისთვის, რომელიც თავისი მეთოდებით ვერასოდეს მივიდოდა ასეთ დასკვნამდე. ასევე უცნობია იგი ფილოსოფიის მკვლევართა უმრავლესობისთვისაც, თუმცა ამ კონცეფციაზე უფრო მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თვალსაზრისი არ არსებობს.

4. აქვთ თუ არა დიაქრონიული რიგის ფაქტებს იგივე ბუნება, რაც სინქრონიული რიგისა? არა, არ გააჩნიათ, რადგან, როგორც დავადგინეთ, ცვლილებები წინასწარი განზრახვის გარეშე ხდება. სინქრონიის ფაქტი პირიქით, ყოველთვის მნიშვნელობითაა აღჭურვილი, იგი მუდამ გულისხმობს მიმართების ორ, ერთდროულად არსებულ წევრს. მრავლობითი რიცხვი გამოიხატება არა Gäste-თი, არამედ დაპირისპირებით Gast : Gäste. დიაქრონიაში სწორედ საპირისპიროა მართებული: იგი მიმართების მხოლოდ ერთ წევრს ეხება და ახალი ფორმის (Gäste) წარმოსაქმნელად საჭიროა ძველმა (gasti) დაუთმოს მას ადგილი.

ცდა, ერთ დისციპლინაში ესოდენ განსხვავებული ხასიათის ფაქტების გაერთიანებისა ფანტასტიკურად წარმოგვიდგება. დიაქრონიულ პერსპექტივაში საქმე გვაქვს მოვლენებთან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო სისტემებთან, თუმცა განაპირობებენ მათ.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც დაგვიდასტურებენ და შეავსებენ ზემომოყვანილი მაგალითებიდან გაკეთებულ დასკვნებს.

ფრანგულში მახვილი მუდამ უკანასკნელ მარცვალზე მოდის, თუ იგი მუნჯე e (ə)-ს არ შეიცავს. ეს სინქრონიული ფაქტია, მიმართება ფრანგული სიტყვების ერთობლიობასა და ფრანგულ სიტყვათმახვილს შორის. საიდან

წარმოიშვა იგი? წინამავალი მდგომარეობიდან. ლათინურ ენაში მახვილის განსხვავებული და უფრო რთული სისტემა იყო. მახვილი მოდიოდა ბოლოსწინა მარცვალზე, თუ ეს უკანასკნელი გრძელი იყო, ხოლო თუ მოკლე — მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე გადადიოდა (მაგ. *amicus* — *ánima*). ეს წესი გვიჩვენებს მიმართებებს, რომლებსაც არავითარი ანალოგია არ გააჩნიათ ფრანგული ენის მახვილების წესთან. და მაინც, ეს იგივე მახვილია — იმ გაგებით, რომ მას ადგილი არ შეუცვლია. ფრანგულ სიტყვაში იგი მუდამ იმ მარცვალზე მოდის, სადაც ლათინურში იყო: *amicum* → *ami*, *ánimam* → *áme*. ამავე დროს, ფრანგულსა და ლათინურ ენებში მახვილის ფორმულები სხვაობს, რადგან თვით სიტყვის ფორმა შეიცვალა. როგორც ვიცით, რაც მახვილის შემდეგ იყო ან დაიკარგა, ან მუნჯე-დ იქცა. სიტყვის ამ ცვლილების გამო მახვილის პოზიცია მთელი სიტყვის მიმართ შეიცვალა. მოლაპარაკებებში, რაკი შეიგრძნეს ეს ახალი მიმართება, მახვილი წერილობითი გზით ნასესხებ სიტყვებშიც კი ინსტინქტურად გადაიტანეს უკანასკნელ მარცვალზე (*facile*, *consul*, *ticket*, *burgrave* და ა.შ.). ამკარაა, რომ მოლაპარაკებებს სისტემის შესწავლა არ სურდათ. მათ არ ჰქონიათ განზრახვა მახვილის ახალი ფორმის შექმნისა, რადგან ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა *amicum* → *ami* მახვილი იმავე მარცვალზე დარჩა. აქ ჩაერია დიაქრონია: მახვილის ადგილი თავისთავად შეიცვალა, თუმცა მას არავინ შეჰხებია. მახვილის დასმის წესი, ისევე როგორც ყველაფერი, რაც ლინგვისტურ სისტემას ეხება, სისტემის წევრთა ურთიერთმიმართებებს წარმოადგენს, ე.ი. ევოლუციის შემთხვევითი და უნებლიე შედეგია.

მოვიყვანოთ კიდევ უფრო საოცარ მაგალითს: ძველ სლავურში *slovo* („სიტყვა“) მხ. რიცხვის მოქმედებითი ბრუნვა *sloven* ფორმით გვაქვს. მრ. რიცხვის სახელობითი ბრუნვაა *slova*, ნათესაობითისა *slov* და ა.შ. ამ ბრუნვებში ყოველ ბრუნვას თავისი დაბოლოება გააჩნია. დღეისათვის სლავურის „სუსტი“ ხმოვნები *ъ* და *ь*, რომლებიც ინდოევროპული *i*-სა და *u*-საგან მომდინარეობდნენ, დაიკარგა. ამგვარადგვა საქმე ჩეხურში — *slovo*, *sloven*, *slova*, *slov*; აგრეთვე *žena* („ცოლი“), მხ. რიცხვის აკუზატივში იქნება *ženu*, მრ. რიცხვის სახელობითში *ženy*, ხოლო მრ. რიცხვის ნათესაობითში — *žen*. აქ ნათესაობით ბრუნვას (*slov*, *žen*) ნულოვანი მაჩვენებელი აქვს. როგორც ვხედავთ, იდეის გამოსახატავად მატერიალური ნიშანი აუცილებელი არაა. ენას შეუძლია რაღაცის არაფერთან შეპირისპირებით დაკმაყოფილდეს. ამ შემთხვევაში მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას *žen* უბრალოდ, იმით ამოვიცნობთ, რომ იგი არც *žena*-ა, არც *ženu* და არც რაიმე სხვა ფორმა. ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ესოდენ სპეციფიურ ცნებას, როგორიცაა მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვა, ნულოვანი ნიშანი აქვს, მაგრამ ეს სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ყოველივე ხდება წმინდა შემთხვევითობის შედეგად. ენა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც, მიუხედავად მისთვის მიყენებული ზიანისა, ფუნქციონირებას განაგრძობს.


ყოველივე ეს ადასტურებს ზემოჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებსაც მოკლედ ასეთი სახით წარმოვადგენთ: ენა არის სისტემა, რომლის ნაწილები შეიძლება და უნდა იქნას განხილული მათს სინქრონულ ურთიერთგანპირობებულობაში.

ცვლილებები, რომლებიც მთელ სისტემაში კი არ ხდება, არამედ მის ამა თუ იმ ელემენტში, მხოლოდ ამ სისტემის მიღმა შეისწავლება. ცხადია, ყოველი ცვლილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სისტემაზე, მაგრამ სანყისი ფაქტი მხოლოდ მის ერთ წერტილს ეხება. მას არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს მისგან გამომდინარე შედეგებთან, რომლებიც მთელ სისტემას ეხებიან. ეს არსებითი განსხვავება ერთმანეთის შემცვლელ ელემენტებსა და თანაარსებულ ელემენტებს შორის, კერძო ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომლებიც სისტემას ეხებიან, შეუძლებელს ხდის ამ ორი სხვადასხვა რიგის მოვლენათა შესწავლას ერთი მეცნიერების ფარგლებში.

§4. განსხვავება სინქრონიასა და დიაქრონიას შორის შედეგადათა გაგალითა

იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ერთდროულად ავტონომიურობაც და დამოკიდებულებაც სინქრონული რიგისა დიაქრონიულზე, პირველი მათგანი შეიძლება შევადაროთ სხეულის სიბრტყეზე პროექციას. მართლაც, ყოველი პროექცია დამოკიდებულია საპროექციო სხეულზე, და ამისდა მიუხედავად, მაინც წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულს, თვით სხეულისგან განსხვავებულს რასმე. ასე რომ არ იყოს, არ გვექნებოდა დამოუკიდებელი მეცნიერება პროექციების შესახებ, საკმარისი იქნებოდა თვით სხეულების განხილვა. ასეთივე დამოკიდებულება იჩენს თავს ენათმეცნიერებაში ისტორიულ სინამდვილესა და ენის მოცემულ მდგომარეობას შორის. ეს უკანასკნელი თითქოსდა, წარმოადგენს ამ სინამდვილის პროექციას ამა თუ იმ მომენტში. სინქრონული მოვლენები არ შეიცნობა სხეულების, ე.ი. დიაქრონიული მოვლენების შესწავლის გზით, ისევე, როგორც გეომეტრიული პროექციის ცნების წვდომა არ ხერხდება სხვადასხვა გვარის სხეულთა თუნდაც, გულმოდგინე შესწავლის შედეგად.

მოვიტანოთ კიდევ ერთ შედარებას. თუ მცენარეს გავკვეთთ, გაკვეთის ადგილას ჩვენ დავინახავთ მეტ-ნაკლებად რთულ სურათს, — ეს არის პერსპექტივა გრძელი ბოჭკოებისა, რომელთაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, თუ გავაკეთებთ მეორე კვეთას, პირველის პერპენდიკულარულს. აქაც, ერთი პერსპექტივა დამოკიდებულია მეორეზე: გრძივი კვეთა გვიჩვენებს თვით ბოჭკოებს, რომლებიც ქმნიან მცენარეს, ხოლო განივი კვეთა — მათ დაჯგუფებას ბოჭკოთათვის პერპენდიკულარულ სიბრტყეზე. მეორე კვეთა განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ იგი ამჟღავნებს ბოჭკოთა შორის არსებულ გარკვეულ მიმართებებს, რომლებიც გრძივ სიბრტყეზე არ შეინიშნება.



შესაძლო შე-
დარებათაგან, ყველაზე
თვალსაჩინოდ მიგ-
ვაჩნია შედარება ენის
ფუნქციონირებასა და
ჭადრაკის თამაშს შო-
რის. ორსავე შემთხვე-
ვაში საქმე გვაქვს
ღირებულებათა სის-
ტემასა და მის ცვლი-
ლებასთან. ჭადრაკის
პარტია თითქოსდა
ხელოვნური რეალი-
ზაციაა იმისა, რასაც
ენა ბუნებრივი ფორმით
წარმოგვიდგენს.

განვიხილოთ ეს
საკითხი უფრო წვრილად. ჯერ ერთი, საჭადრაკო პოზიციის ცნება
მრავალმხრივ შეესაბამება მდგომარეობის ცნებას ენაში. ფიგურების
შესაბამისი ღირებულება დამოკიდებულია მათ განლაგებაზე მოცემულ
მომენტში, ისევე, როგორც ენაში თითოეული ელემენტის ღირებულება
განისაზღვრება სხვა ელემენტებთან მისი მიმართებით.

მეორე მხრივ, სისტემა მუდამ მომენტურია. იგი ერთი პოზიციიდან
მეორეში გადადის. მართალია, ფიგურათა ღირებულება დამოკიდებულია
მუდმივ პირობებზეც: თამაშის წესებზე, რომლებიც პარტიის დაწყებამდე
არსებობს და ძალას ინარჩუნებს ყოველი სვლის შემდეგაც. ასეთი ერთხელ
და სამუდამოდ მიღებული წესები ენაშიც არსებობს. ესაა სემიოლოგიის
უცვლელი პრინციპები.

ბოლოს, ერთი წონასწორობიდან მეორეში, ანუ ჩვენი ტერმინოლოგიით,
ერთი სინქრონიიდან მეორეში გადასასვლელად საკმარისია გადაავადგილოთ
ერთი ფიგურა. საჭირო არაა ყველა ფიგურის ერთდროული გადაადგილება.
აქ ჩვენ საქმე გვაქვს დიაქრონიულ ფაქტთან მის ყველა გამოვლინებაში.
მართლაც,

ა) ყოველ საჭადრაკო სვლას მოძრაობაში მოჰყავს მხოლოდ ერთი
ფიგურა. ასევე ენაშიც, ცვლილებებს მხოლოდ ცალკეული ელემენტები
ექვემდებარება. სხეულის პროექციით შეიძლება ერთდროულად დავინახოთ
სინქრონული რიგის ავტონომიურობაც და დამოკიდებულებაც დიაქრონიაზე.
მართლაც, ნებისმიერი პროექცია დამოკიდებულია უშუალოდ საპროექციო
საგანზე და მაინც განსხვავდება მისგან. ასე რომ არ იყოს, არ იარსებებდა
მეცნიერება პროექციების შესახებ: საკმარისი იქნებოდა თვით საგნების განხილვა.
ასეთივე მიმართებაა ენათმეცნიერებაში ისტორიულ სინამდვილესა და ენის

მოცემულ მდგომარეობას შორის, ე.ი. დიაქრონიული მოვლენების შესწავლით
არ შეისწავლება სინქრონული მდგომარეობა, ისევე, როგორც გეომეტრიული
პროექციის ცნება არ შეისწავლება სხვადასხვა სახის სხეულთა შესწავლით.

თუ მცენარის ღეროზე განივ ჭრილს გავაკეთებთ, კვეთის ზედაპირზე
მეტ-ნაკლებად რთულ სურათს დავინახავთ. ეს არის პერსპექტივა გრძივი
ბოჭკოებისა, რომელიც მხოლოდ პირველი კვეთის პერსპექტივულარული
ჭრილის გაკეთებით აღმოვაჩინეთ. გრძივი კვეთა გვიჩვენებს თვით მცენარის
შემადგენელ ბოჭკოებს, განივი კი მათ დაჯგუფებას გარკვეულ სიბრტყეზე.
მეორე კვეთა პირველისგან იმით განსხვავდება, რომ იგი გამოავლენს
ბოჭკოებს შორის არსებულ გარკვეულ მიმართებას, რომელსაც გრძივ
სიბრტყეზე ვერ დავინახავდით.

ბ) მიუხედავად ამისა, ყოველი სვლა ჭადრაკში გავლენას ახდენს მთელ
სისტემაზე. მოთამაშეს არ შეუძლია ზუსტად გაითვალისწინოს ყოველი
სვლის შედეგი. სვლის შედეგად, ფიგურების ღირებულებათა ცვლილება
უმნიშვნელო გარემოებათა მიხედვით, ფრიად მნიშვნელოვანი ან საშუალო
იქნება. ზოგ სვლას შეუძლია მთელი პარტია რადიკალურად შემოაბრუნოს
და გარკვეული გავლენა მოახდინოს იმ ფიგურებზეც კი, რომლებიც იმ
მომენტში ხელუხლებელი იყვნენ. როგორც ვნახეთ, ასევე ენაშიც.

გ) ფიგურის გადაადგილება არის ფაქტი, რომელიც აბსოლუტურად
განსხვავდება მის წინა და მომდევნო წონასწორობის მდგომარეობებისაგან.
მომხდარი ცვლილება არც ერთ ამ მდგომარეობას არ ეკუთვნის:
მნიშვნელოვანია მხოლოდ მდგომარეობანი.

ჭადრაკის პარტიის ნებისმიერი პოზიცია სავსებით დამოუკიდებელია
მისი წინამავალი პოზიციებისგან. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა გზით
შეიქმნა იგი. მაყურებელს, რომელიც მთელ პარტიას ადევნებს თვალს,
არავითარი უპირატესობა არა აქვს იმ მაყურებელთან შედარებით,
რომელმაც დაფას პარტიის კრიტიკულ მომენტში დახედა. ამ პოზიციის
აღსაწერად საჭირო არაა შეგახსენოთ, რა მოხდა ათი წამის წინ. იგივე უნდა
იტყვას ენის მიმართაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სინქრონია-
დიაქრონიას შორის არსებულ ძირეულ განსხვავებას. მეტყველება
ფუნქციობს ენის მხოლოდ ერთ, გარკვეულ მდგომარეობაში და მასში ადგილი
არა აქვს იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ორი სხვადასხვა მდგომარეობის
შუალედში.

ჩვენი შედარება მხოლოდ ერთ პუნქტშია არადაამაკმაყოფილებელი:
მოჭადრაკეს აქვს განზრახვა გადაადგილოს ფიგურები და გარკვეული
გავლენა მოახდინოს ჭადრაკის დაფაზე არსებულ ურთიერთმიმართებათა
სისტემაზე, ენაში კი არაფერია წინასწარგანზრახული. მისი „ფიგურები“
გადაადგილდებიან, უფრო სწორად, სტიქიურად და შემთხვევითად
იცვლებიან. უმლაუტმა სიტყვაში Hände ნაცვლად hanti-სა, Gäste ნაცვლად
gasti-ისა (იხ. გვ. 89), მრ. რიცხვის ახლებურად წარმოება განაპირობა და

დასაბამი მისცა მრ. რიცხვის ახლებურ სახეობას. მაგრამ, მანვე გამოიწვია ზმნის ფორმა trägt ნაცვლად tragit-ისა და ა.შ. ჭადრაკის პარტია ყოველმხრივ რომ დაემსგავსოს ენის ფუნქციონირებას, უნდა წარმოვიდგინოთ არაცნობიერად მოქმედი ან უაზრო მოთამაშე. სხვათა შორის, ეს ერთადერთი განსხვავება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის შედარების მნიშვნელობას და გვიჩვენებს, თუ რაოდენ საჭიროა ენათმეცნიერებაში ორი რიგის მოვლენები განვასხვავოთ. თუ დიაქრონიული ფაქტები მაშინაც კი არ დაიყვანება მათგან განპირობებულ სინქრონულ სისტემაზე, როცა შესაბამისი ცვლილებები გონივრულ ნებელობას ექვემდებარება, მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს მაშინაც ასევე რჩება, როცა დიაქრონიული ფაქტები ენის ორგანიზებულ სისტემასთან შეჯახებისას თავიანთ ბრმა ძალას ავლენენ.

§5. სინქრონული და დიაქრონიული ლინგვისტიკის მეთოდებისა და პრინციპების შეპირისპირება

განსხვავება სინქრონია-დიაქრონიას შორის ყველგან ვლინდება. მაგალითისთვის დავიწყოთ ყველაზე აშკარა ფაქტით — მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ ენისათვის. აშკარაა, რომ უპირატესია სინქრონული ასპექტი, რადგან მოლაპარაკე მასისთვის იგი ერთადერთი და ჭეშმარიტი რეალობაა (იხ. გვ. 89). ასევეა ლინგვისტიკისთვისაც: თუ იგი დიაქრონიულ პერსპექტივაში გადაინაცვლებს, დაინახავს არა ენას, არამედ მის შემცვლელ მოვლენათა წყებას. ხშირად ამბობენ, რომ ყველაზე მთავარია ვიცოდეთ მოცემული მდგომარეობის გენეზისი; გარკვეული აზრით ეს სწორია. პირობები, რომლებმაც ასეთი მდგომარეობა შექმნეს მიგვიითებენ მის ჭეშმარიტ ბუნებაზე და გვიცავენ გარკვეული ილუზიებისგან (გვ. 91), მაგრამ, სწორედ ამით მტკიცდება, რომ დიაქრონია თვითმიზანი არაა. მასზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც პრესის შესახებ: მას ყველაფრამდე შეუძლია მიგვიყვანოს, თუკი დროულად ჩამოვცილდებით.

სინქრონიისა და დიაქრონიის მეთოდებიც ასევე განსხვავებულია, თანაც ორი მხრივ:

ა) სინქრონია მხოლოდ ერთს — მოლაპარაკე ინდივიდთა პერსპექტივას იცნობს და მთელი მისი მეთოდი დაიყვანება ამ ინდივიდთაგან ენობრივი ფაქტების შეკრებაზე. იმის გასარკვევად, თუ რამდენად რეალურია ესა თუ ის მოვლენა, აუცილებელი და საკმარისია გამოვიკვლიოთ რა ზომით არსებობს იგი მოლაპარაკეთა ცნობიერებაში. დიაქრონიულმა ლინგვისტიკამ კი, პირიქით, უნდა განასხვავოს ორი პერსპექტივა — ერთი პროსპექტული, რომელიც დროში მსვლელობას მიჰყვება, და მეორე რეტროსპექტული, მიმართული უკან, მოვლენათა სანყისი მდგომარეობისაკენ: აქედან — მეთოდის გამოვლენა, რომელზედაც V ნაწილში იქნება საუბარი.

ბ) მეორე განსხვავება გამომდინარეობს თითოეული ამ დისციპლინის გავრცელების სფეროების მოცულობიდან. სინქრონული ლინგვისტიკა შეისწავლის არა ყველაფერს, რაც თანხვედრილია დროის თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ ამა თუ იმ ენის ფაქტების ერთობლიობას. საჭიროების მიხედვით, ენა შეიძლება დიალექტებად და კილოკავებად დავეყოთ. საერთოდ, ტერმინი სინქრონია არაა მთლად ზუსტი. კარგი იქნებოდა იგი შეგვეცვალა ტერმინით „იდიოსინქრონია“, თუმცა ეს უკანასკნელი ცოტა გრძელია. დიაქრონიული ლინგვისტიკა კი არა თუ არ საჭიროებს, არამედ კიდევ უკუ-ავდებს ასეთ სპეციალიზაციას. მის მიერ განხილული ელემენტები აუცილებლად ერთ ენას როდი უნდა ეკუთვნოდნენ (მაგ. ინდოევროპული *esti, ბერძნული ésti, გერმანული ist და ფრანგული est „არის“). ენათა შორის განსხვავება კი იქმნება მოვლენათა თანამიმდევრული რიგით, რომელიც იშლება დროის ღერძზე და მრავლდება სივრცის ფაქტორის მოქმედებით. ორ ფორმას შორის არსებული მსგავსების გასამართლებლად საკმარისია მათ შორის ისტორიული, თუნდაც არაპირდაპირი კავშირის არსებობა.

ეს დაპირისპირებანი არც ყველაზე მკაფიოა და არც ყველაზე ღრმა: ევოლუციური ფაქტისა და სტატიკური ფაქტის ძირეული ანატომიიდან გამომდინარეობს ის, რომ ცნება, რომელიც ან ერთს, ან მეორეს მიეკუთვნება არ დაიყვანება ერთმანეთზე. ამ დაუყვანლობის საბუთად ნებისმიერი ცნება გამოდგება. ამრიგად, სინქრონულ მოვლენას არაფერი აქვს საერთო დიაქრონიულთან (გვ. 91): პირველი ერთდროულად არსებულ ელემენტთა შორის მიმართებას გვიჩვენებს, მეორე კი — ამ ელემენტების მეორით შეცვლას დროში, ე.ი. მომხდარობას. ქვემოთ (გვ. 114) დავინახავთ, რომ სინქრონული და დიაქრონიული იგივეობანი სრულიად განსხვავებული რამ არის: ისტორიულად ფრანგული უარყოფა pas („არა“) არსებითი სახელის pas-ს („ნაბიჯი“) იდენტურია, თანამედროვე ფრანგულში კი ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული ელემენტია. ეს კონსტატაციები საკმარისად მიგვაჩნია იმის ნათელსაყოფად, რომ ორი თვალსაზრისი ერთმანეთში არ ავურიოთ. მაგრამ, ამგვარი გამიჯვნის საჭიროება არსად ისე აშკარად არ ვლინდება, როგორც იმ განსხვავებებში, რომლებზედაც ახლა გვექნება საუბარი.

§6. სინქრონული კანონი და დიაქრონიული კანონი

ხშირად ლაპარაკობენ ლინგვისტიკის კანონებზე. ნამდვილად იმართებიან თუ არა ენობრივი ფაქტები კანონებით და რას წარმოადგენენ ეს კანონები? რამდენადაც ენა სოციალური წარმონაქმნია, შეიძლებოდა აპრიორულად დაგვეშვა, რომ მისი რეგულირება ისეთივე მიმართებებით ხდება, როგორითაც იმართება საზოგადოებრივი ცხოვრება. ყოველ სოციალურ კანონს, როგორც ცნობილია, ორი ძირითადი თვისება ახასიათებს. იგი იმპერატიულია და საყოველთაო. იგი აუცილებელია ყველასთვის და ყველა შემთხვევაზე ვრცელდება, ცხადია, გარკვეული დროისა და სივრცის

ფარგლებში.

შევსაბამება თუ არა ენობრივი კანონები ასეთ განსაზღვრას? ამის გასარკვევად, ზემოთ ნათქვამის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ უნდა გავმიჯნოთ სინქრონიისა და დიაქრონიის სფეროები. ჩვენ წინაშე ორი პრობლემაა, დომელთა ერთმანეთში აღრევა არ შეიძლება: ზოგადად ლინგვისტურ კანონებზე მსჯელობა იგივეა, რაც მოჩვენების შეპყრობის სურვილი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს ბერძნული ენიდან, სადაც სინქრონი-დიაქრონიის „კანონები“ განზრახაა აღრეული.

1. ინდოევროპული მჟღერი ფშვინვიერები ბერძნულში ყრუ ფშვინვი-ერებად იქცნენ: *dhūmos—thūmós („სიცოცხლე“), *bherō—phērō („მომაქვს“) და ა.შ.

2. მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე წინ არასოდეს არ გვაქვს.

3. ნებისმიერი სიტყვა მთავრდება ხმოვანზე ან s, n, r თანხმოვნებზე, მაგრამ არასოდეს სხვა თანხმოვანზე.

4. ხმოვნის წინ თავიკიდური s იქცა h-დ (ფშვინვიერი შემართვა): *septm (ლათ. septem) → heptá („შვიდი“).

5. ბოლოკიდური m შეიცვალა n-თი: *jugom → zugón (მაგ. ლათ. jugum „უღელი“).¹

6. ბოლოკიდური ხმულები დაიკარგა: *gunaik → gúnai (წოდებითი ბრ. „ქალი“), *epheret → éphere („მიჰქონდა“), *epheront → éphereon („მიჰქონდათ“).

ამ კანონებიდან პირველი დიაქრონიულია: ის, რაც dh იყო, th-დ იქცა და ა.შ. მეორე გამოხატავს მიმართებას სიტყვას, როგორც მთელსა და მახვილს შორის — ერთგვარ „შეთანხმებას“ ორ თანაარსებულ ელემენტს შორის. ეს სინქრონული კანონია. ასეთივეა მესამე კანონიც, რამდენადაც იგი ეხება სიტყვას, როგორც მთლიანობას და მის დაბოლოებას.

მე-4, მე-5 და მე-6 კანონები დიაქრონიულია: s შეიცვალა h-თი, -n-მ შეცვალა m, ბოლოკიდური t, k და სხვ. უკვალოდ გაქრნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 კანონი მე-5-სა და მე-6-ის შედეგია; ორმა დიაქრონიულმა ფაქტმა განაპირობა ერთი სინქრონულის წარმოქმნა.

ამრიგად, კანონთა ამ ორი კატეგორიის გამიჯვნით ვრწმუნდებით, რომ მე-2 და მე-3 კანონები პირველი, მე-4, მე-5 და მე-6-საგან განსხვავებული ბუნებისანი არიან.

¹ მეიესა (Mém. de la Soc. de Lingu. IX, p. 365) და გოტოს (La fin de mot en indo-européen, p. 158) აზრით, ინდოევროპულ წინარეენაში იყო მხოლოდ ბოლოკიდური -n და გამორიცხული იყო ბოლოკიდური -m. თუ ამ შეზღუდულებას გავიზიარებთ, საკმარისი იქნება მე-5 კანონის ასე ჩამოყალიბება: ინდოევროპული ბოლოკიდური -n შემოინახა ბერძნულ ენაში. ამგვარი ფორმულირების დამაჯერებლობა სულაც არაა იმაზე ნაკლები, რომელიც შემოთავაზებულია ფ. დე სოსიურის მიერ, რამდენადაც ფონეტიკური მოვლენა, რომელიც დაიყვანება ძველი მდგომარეობის შემონახვაზე, ერთგვაროვანია იმ მოვლენისა, რომელიც გამოხატულია ცვლილებაში (იხ. გვ. 150) (გამომცემლები).

სინქრონული კანონი ზოგადაა, მაგრამ არაა იმპერატიული. თითქოსდა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მეტყველებაში სინქრონული კანონი აუცი-ლებელია იმ აზრით, რომ იგი თავსმოხვეულია ინდივიდების კოლექტიური ჩვევით (იხ. გვ. 80). ეს მართალია, მაგრამ აქ ჩვენ „იმპერატიული“ გვესმის არა როგორც აუცილებელი მეტყველთან მიმართებით, — იმპერატიულობის უქონლობა მოასწავებს იმას, რომ ენაში არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც რომელსამე პუნქტში დამყარებული რეგულარობის დაცვას უზრუნველყოფს. სინქრონული კანონი, უბრალოდ, არსებული ვითარების ასახვაა, იგი ახდენს გარკვეული მდგომარეობის კონსტატაციას. იგი იმდე-ნადვეა კანონი, რამდენადაც შეიძლება კანონად მივიჩნიოთ იმის მტკიცება, რომ მოცემულ ხილის ბაღში ხეები რიგ-რიგადაა ჩამწყვიტებული. მის მიერ ასახული წესრიგი იმიტომ არაა მყარი, რომ წესრიგი იმპერატიული არ არის. ყველაზე მეტად რეგულარულია ლათინური მახვილის ადგილის განსაზღ-ვრელი სინქრონული კანონი (ეს წესი შეიძლება შევადაროთ მე-2 ნომრით აღნიშნულ კანონს). ამავე დროს, მახვილის კანონებმაც ვერ გაუძლო ცვალე-ბადობის ფაქტორებს და ადგილი დაუთმო ახალ კანონს, რომელიც მოქმედებს ფრანგულ ენაში (იხ. გვ. 91). ამრიგად, თუკი შეიძლება კანონზე ლაპარაკი სინქრონიაში, მხოლოდ მონესრიგების, რეგულარობის პრინციპის აზრით.

დიაქრონია პირიქით, გულისხმობს დინამიკურ ფაქტორს, რომელსაც მიყვავართ გარკვეულ შედეგებამდე, წარმოქმნის გარკვეულ ქმედებას. მაგრამ, ეს იმპერატიული ბუნება არასაკმარისია იმისათვის, რომ კანონის ცნება ენის ევოლუციის ფაქტებს მივუსადაგოთ. კანონზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა მოვლენათა მთელი ერთობლიობა ერთიან წესს ექვემდებარება, დიაქრონიული მოვლენები კი, გარკვეული გამონაკლისების მიუხედავად, მაინც შემთხვევითი და კერძო ხასიათისაა.

ეს თვალშისაცემია სემანტიკურ ფაქტებთან მიმართებით: თუ ფრანგულმა poutre („ჭაკი“, „ფაშატი“) „ბოძის“ მნიშვნელობა მიიღო, ეს კერძო მიზეზებით იყო გამოწვეული და დამოკიდებული არ ყოფილა სხვა ცვლილებებზე, რომლებსაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ენაში იმავე პერიოდში. ეს ერთ-ერთი იმ მრავალ შემთხვევათაგანი გახლდათ, რომელთა რეგულირებასაც ახდენს ენის ისტორია.

სინტაქსური და მორფოლოგიური ცვლილებების მხრივ საკითხი, ერთი შეხედვით, მთლად ნათელი არაა. რომელიღაც პერიოდში ფრანგულმა ენამ დაკარგა ყოფილი სახელობითი ბრუნვის ყველა ფორმა. ამ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს აქ საქმე საერთო კანონს დაქვემდებარებულ ფაქტების ერთობლი-ობასთან? არა, რადგან ყოველივე ეს ერთი და იმავე, ცალკეული ფაქტის მხოლოდ მრავალმხრივი გამოვლინებაა. ცვლილება შეეხო თვით სახელობითი ბრუნვის ცნებას და მისმა დაკარგვამ, ბუნებრივია, გამოიწვია მისი ფორმების მთელი ერთობლიობის დაკარგვა. მისთვის, ვინც ენის მხოლოდ ზედაპირს აღიქვამს, ერთეული ფენომენი მისი მრავალმხრივი გამოვლენის მიღმა რჩება. სინამდვილეში, იგი მთელი თავისი არსით ისეთსავე კერძობითს ისტორიულ

მოვლენას შეადგენს, როგორცაც სემანტიკური ცვლილება სიტყვაში *pourre*. იგი „კანონის“ სახეს იღებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სისტემაში ხორციელდება. სისტემის მკაცრი მონესრიგება ქმნის ილუზიას, თითქოსდა დიაქრონიული ფაქტებიც იმავე პირობებს ექვემდებარება, რომლებსაც სინქრონული.

ასევეა ფონეტიკური ცვლილებების შემთხვევაშიც, თუმცაღა, ჩვეულებრივ საუბრობენ ფონეტიკურ კანონებზე. მართლაც, აღინიშნება შემთხვევები, როცა გარკვეულ დროითს მონაკვეთში, ამა თუ იმ რეგიონში ერთგვარი ბგერითი თავისებურებების მქონე ყველა სიტყვა ერთგვარ ცვლილებას განიცდის. ასე მაგალითად, ზემოთ განხილული (გვ. 98) კანონი I (**dhūmos* → ბერძ. *thūmós*) ვრცელდება ყველა ბერძნულ სიტყვაზე, რომელიც მჟღერ ფშვინვიერ თანხმოვანს შეიცავს (შდრ. **nebhos* → *néphos* „ღრუბელი“, **medhu* → *méthu* „ღვინო“, **anghō* → *ánkhō* „დახრჩობა“ და ა.შ.). ზემოთ განხილული კანონი 4 (**septm* → *heptá*) მიესადაგება **serpō* → *hérho*-ს („ქვეწარმავალი“), **sūs* → *hūs* („ღორი“) და *s*-ით დაწყებულ ყოველ სიტყვას. ეს რეგულარობა, რომელიც ზოგჯერ დავის საგანი იყო, ჩვენ მყარად დადგენილად მიგვაჩნია. მოჩვენებითი გამონაკლისები ვერ უარყოფენ ამ რიგის ცვლილებათა გარდუვალ ხასიათს, რადგან ისინი აიხსნება ან კიდევ უფრო კერძო ფონეტიკური კანონებით (შდრ. მაგ. *trikhes* : *thriksí* გვ. 104), ან სხვა რიგის ფაქტორების ჩარევით (მაგ. ანალოგია და ა.შ.). თითქოსდა არაფერი უკეთ არ შეესაბამება ცნება „კანონის“ ზემოთ მოცემულ განსაზღვრას. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა ბევრი შემთხვევა გვიდასტურებდეს ფონეტიკურ კანონს, მის მიერ მოცემული ყველა ფაქტი მხოლოდ ერთი კერძო შემთხვევის გამოვლენას ნარმოადგენს.

საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რას ეხება ფონეტიკური ცვლილებები — სიტყვებს თუ მხოლოდ ბგერებს. პასუხი უეჭველია — *néphos*, *méthu*, *ánkhō* და სხვა მსგავს შემთხვევებში ცვლილებას განიცდის გარკვეული ფონემა: ერთ შემთხვევაში ინდოევროპული მჟღერი ფშვინვიერი გარდაიქმნება ყრუ ფშვინვიერად, მეორე შემთხვევაში, პროტობერძნულის თავკიდური *s* იქცევა *h*-ად და ა.შ. თითოეული ამ მოვლენათაგანი იზოლირებულია, დამოუკიდებელია იმავე რიგის სხვა მოვლენებისა თუ სიტყვებისგან, რომლებშიც ეს ცვლილება ხდება.¹ ბუნებრივია, იცვლება სიტყვების ფონეტიკური შედგენილობა, მაგრამ ამან მოვლენის ქვეშეშეხედი ბუნების განსაზღვრაში შეცდომა არ უნდა დაგვაშეებინოს.

რის საფუძველზე ვამტკიცებთ, რომ ფონეტიკურ ცვლილებაში

¹ ცხადია, მოყვანილი მაგალითები სქემატური ხასიათისაა: თანამედროვე ენათმეცნიერება ცდილობს ერთ საწყის პრინციპზე დაიყვანოს ფონეტიკურ ცვლილებათა რაც შეიძლება უფრო ვრცელი რიგები. ასე მაგალითად, ბ-ნი მკიე ბერძნული ხშულების ტრანსფორმაციებს მათი არტიკულაციის თანმიმდევრული შესუსტებით ხსნის (იხ. Mem. de la soc. de Linguistique IX, p. 163). ამ ზოგად ფაქტორებს მიეკუთვნება სოსიურის დასკვნებიც ფონეტიკური ცვლილებების ხასიათის შესახებ (გამომცემლები).

სიტყვები უშუალოდ არ მონაწილეობენ? იმ მარტივი დაკვირვების საფუძველზე, რომ სიტყვებისთვის უცხოა ასეთი ცვლილებები და არ შეიძლება არსებითად შეეხოს მათ. სიტყვის მთლიანობა მხოლოდ მისი ფონემების ერთობლიობით როდია ნარმოდგენილი. იგი ემყარება არა მის მატერიალურ, არამედ სხვა თვისებებს. დაუშვათ, ფორტეპიანოს ერთი სიმი ყალბად ჟღერს. როცა მელოდიას ასრულებენ, ყოველი შეხებისას იგი ყალბ ბგერას გამოსცემს. მაგრამ, სად იქნება ყალბი ბგერადობა? მელოდიაში? ცხადია, არა. დაზიანებულია არა მელოდია, არამედ მხოლოდ ფორტეპიანო. ასევეა ფონეტიკაშიც. ჩვენი ფონემების სისტემა ნარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელზედაც ვუკრავთ სიტყვების ნარმოთქმისას. საკმარისია შეიცვალოს სისტემის ერთი ელემენტი, მას მოჰყვება სხვადასხვაგვარი შედეგები, მაგრამ ცვლილება არ შეეხება სიტყვებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, ჩვენი რეპერტუარის მელოდიაა. ამრიგად, დიაქრონიული ფაქტები კერძო ხასიათისაა. გადანევები სისტემაში ხდება იმ მოვლენების შედეგად, რომლებიც არა მხოლოდ ამ სისტემისთვისაა უცხო (გვ. 90), არამედ თავადაც იზოლირებულნი არიან და თავის ერთობლიობაში სისტემას არ ქმნიან.

შევაჯამოთ: სინქრონულ ფაქტებს, როგორც არ უნდა იყვნენ ისინი, გარკვეული რეგულარობა ახასიათებს, მაგრამ იმპერატიული ხასიათი არ გააჩნიათ. დიაქრონიული ფაქტები, პირიქით, ენისთვის თავსმოხვეულნი არიან, მაგრამ ზოგადი ხასიათი არა აქვთ.

ერთი სიტყვით, — და ესაა ჩვენი მიზანი — არც სინქრონული, არც დიაქრონიული ფაქტები არ იმართებიან კანონებით, ზემოხსენებული აზრით. თუ ამის მიუხედავად, გვსურს ლინგვისტურ კანონებზე ვილაპარაკოთ, ამ ტერმინმა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა უნდა შეიძინოს იმისდა მიხედვით, მიუხედავად მას სინქრონულ თუ დიაქრონიულ მოვლენებს.

§7. არსებობს თუ არა პანქრონული თვალსაზრისი?

აქამდე სიტყვა კანონს იურიდიული მნიშვნელობით ვხმარობდით. ეგებ, ენაში კანონები იმ მნიშვნელობით არსებობს, როგორც ეს ფიზიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ესმით, ე.ი. როგორც მიმართება, რომელიც ყველგან და ყოველთვის ექვემდებარება კონტროლს. ერთი სიტყვით, შეიძლება თუ არა შევისწავლოთ ენა პანქრონული თვალსაზრისით?

ვფიქრობთ, შეიძლება. რამდენადაც, მუდამ ჰქონდა და ექნება ადგილი ფონეტიკურ ცვლილებებს, იმდენად ეს მოვლენა შეიძლება განვიხილოთ ზოგადად, როგორც ენის ერთი, მუდმივი თვისებათაგანი — ამრიგად, იგი მის ერთ-ერთ კანონად გვევლინება. ენათმეცნიერებაში, ისევე, როგორც ჭადრაკში (გვ. 94), არსებობს წესები, რომლებიც ყველა მოვლენის დროს მოქმედებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადი პრინციპებია, დამოუკიდებელი კონკრეტული ფაქტებისაგან. კერძო და ხელშესახები ფაქტების მიმართ კი არავითარი პანქრონული თვალსაზრისი არ შეიძლება არსებობდეს. ასე

მაგალითად, ყოველი ფონეტიკური ცვლილება, მისი გავრცელებისა და მიუხედავად, ყოველთვის დროითა და ტერიტორიით არის შემოფარგლული. იგი არ ვრცელდება დროზე და ყველა ადგილზე. იგი მხოლოდ დიაქრონიულად არსებობს. ამაშია ენობრივის არაენობრივისგან გამიჯვნის კრიტერიუმი. კონკრეტული ფაქტი, რომელიც სინქრონულად შეიძლება აიხსნას, ენობრივი ვერ იქნება. ავიღოთ ფრანგული სიტყვა chose („ნივთი“). დიაქრონიული თვალსაზრისით, იგი უპირისპირდება ლათინურ causa-ს, რომლისგანაც მომდინარეობს, სინქრონული თვალსაზრისით კი — ყველა სიტყვას, რომელიც თანამედროვე ფრანგულში შეიძლება მას დაუკავშირდეს. თავისთავად ალებული, ამ სიტყვის მხოლოდ ბგერები (წყ) იძლევიან პანქრონული მიდგომის საშუალებას, მაგრამ მათ ლინგვისტური ღირებულება არ გააჩნიათ. თვით პანქრონული თვალსაზრისითაც კი წყ, ალებული მეტყველების ნაკადში, მაგ. in წყ admirable-ის (une chose admirable „მშვენიერი ნივთი“) შემადგენლობაში, არ წარმოადგენს ერთეულს. იგი უფრო მასაა და არაფრითაა გამოყოფილი. მართლაც, რატომ მაინცდამაინც წყ და არა ფა ან იწ? ყოველივე ამას ღირებულება არ გააჩნია, რადგან უაზრობაა. ენის კონკრეტული ფაქტები პანქრონული თვალსაზრისით არ განიხილება.


§8. სინქრონიისა და დიაქრონიის აღრუპის შედეგები

წარმოგვიდგება ორი შემთხვევა:

ა) ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სინქრონული ჭეშმარიტება გამოირიცხავს დიაქრონიულს და საჭიროა არჩევანი გავაკეთოთ მათ შორის. სინამდვილეში, ეს სულაც არაა საჭირო. არც ერთი ჭეშმარიტება მეორეს არ გამოირიცხავს, თუ ფრანგული dépit („წყენა“) ადრე „ზიზღს“ ნიშნავდა, ეს სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ დღეს ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ეტიმოლოგია და სინქრონული ღირებულება ორი განსხვავებული რამეა. ან კიდევ: ფრანგული ენის ტრადიციული გრამატიკა გვასწავლის, რომ ზოგჯერ ანმყოს მიმღეობა ცვალებადია და არსებით სახელს ზედსართავის მსგავსად ეთანხმება სქესსა და რიცხვში (მაგ. une eau courante — „გამდინარე წყალი“), ზოგჯერ კი ფორმაუცვლელი რჩება (მაგ. une personne courant dans la rue — „ქუჩაში მორბენალი პიროვნება“). მაგრამ, ისტორიული გრამატიკა გვასწავლის, რომ აქ ორ განსხვავებულ ფორმასთან გვაქვს საქმე: პირველი — ლათინური მიმღეობის გაგრძელებაა (currentem), რომელიც ცვალებადია, მეორე კი მოდის ფორმაუცვლელი გერუნდივისგან მოქმედებით ბრუნვაში (currentem).¹ ხომ არ ეწინააღმდეგება სინქრონული

ენათმეცნიერება დიაქრონიულს და ხომ არ უნდა გავკიცხოთ ტრადიციული გრამატიკა ისტორიულის გულისთვის? არა, რადგან ასე მოქცევა ჭეშმარიტების სანახევროდ დანახვა იქნებოდა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ისტორიული ფაქტია მნიშვნელოვანი და სავსებით საკმარისი ენის წარმოსაქმნელად. ცხადია, მიმღეობა courant-ს ორი განსხვავებული წყარო აქვს, მაგრამ ენობრივი ცნობიერება მათ ერთმანეთთან აახლოებს და ერთ წყაროზე დაჰყავს. ეს სინქრონული ჭეშმარიტება ისევე აბსოლუტური და უდავოა, როგორც მეორე, დიაქრონიული.

ბ) სინქრონული ჭეშმარიტება იმ ზომამდე ეთანხმება დიაქრონიულს, რომ მათ ერთმანეთში ურევენ ხოლმე, ან მათი გამიჯვნა ზედმეტად მიაჩნიათ. მაგ. თუ იტყვიან, რომ ლათ. pater-ს („მამა“) იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ფრანგულ სიტყვას père, მისი მნიშვნელობა ახსნილად მიაჩნიათ. მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: ლათინური მოკლე a ღია, არათავკიდურ მარცვალში შეცვალა i-მ: faciō-ს გვერდით გვაქვს conficiō („ვაკეთებ“), amicus-ის („მეგობარი“) გვერდით inimicus („მტერი“) და ა.შ. ხშირად წესს ასე აყალიბებენ: faciō-ს a conficiō-ში i-დ, იმიტომ გადადის, რომ იგი პირველ მარცვალში აღარააო. ეს სწორი გახლავთ. faciō-ს a არასოდეს „გადასულა“ conficiō-ს i-დ, ჭეშმარიტების დასადგენად უნდა განვასხვავოთ ორი ეპოქა და მიმართების 4 წევრი: თავდაპირველად ამბობდნენ faciō - confaciō, შემდეგ confaciō გარდაიქმნა conficiō-დ, ხოლო faciō უცვლელი დარჩა. ამ გზით მივიღეთ: faciō - conficiō. ანუ



თუ „ცვლილებაზე“ ვილაპარაკებთ, მას ადგილი ჰქონდა confaciō-სა და conficiō-ს შორის; ზემოხსენებული კანონი ისე ცუდად იყო ფორმულირებული, რომ პირველ ცვლილებას არც კი ახსენებდა. მერე კიდევ, ამ ცვლილების გვერდით, რომელიც ცხადია, დიაქრონიული აქტია, არსებობს მეორე ფაქტი, რომელიც განსხვავდება პირველისაგან და ეხება წმინდა წყლის სინქრონულ დაპირისპირებას faciō-სა და conficiō-ს შორის. ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ეს ფაქტი კი არა შედეგიაო. მაგრამ ეს გარკვეული რიგის ფაქტია და საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სინქრონული მოვლენა სწორედ ასეთი ფაქტია. faciō - conficiō დაპირისპირების ჭეშმარიტი ღირებულების გამოვლენას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ამ დაპირისპირების ფუნქციონალური დატვირთვა დიდი არ არის. თუ განვიხილავთ წყვილებს Gast - Gäste, gebe - gibt დავინახავთ, რომ თუმცა ისინი ფონეტიკური ევოლუციის შემთხვევითი შედეგებია, სინქრონულ ჭრილში უმნიშვნელოვანესი გრამატიკული შედეგები მოსდევთ. რადგან მოვლენათა ორივე რიგი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, ჩნდება აზრი, რომ საჭირო

¹ ზოგადად აღიარებული ეს თეორია ახლახან გააკრიტიკა ბ-მა ე. ლერხმა (Das invariable Particium praesenti, Erlangen, 1913), მაგრამ ვფიქრობთ, წარუმატებლად. იმიტომ არაა საჭირო უგულვებლევყოთ ეს მაგალითი, რომელიც ნებისმიერ ვითარებაში ინარჩუნებს თავის დიდაქტიურ ღირებულებას (გამომცემლები).

არაა მათი გამიჯვნა. და მართლაც, ენათმეცნიერება ათეული წლების მანძილზე ერთმანეთში ურევდა და ვერ ამჩნევდა საკუთარი მეთოდის უვარგისობას.

მაგრამ, ზოგჯერ ეს შეცდომა თვალშისაცემია. ასე მაგ. ბერძნული phuktós-ის („თავიდან აცილებადი“) ასახსნელად თითქოს საკმარისია ითქვას, რომ ბერძნულში *ph* და *kh* გადადიან *k*-ში ყრუ თანხმოვნების წინ, რაც ისეთ სინქრონულ შესატყვისობებში მჟღავნდება, როგორცაა *phugein* („სირბილი“) : *phuktós* („თავიდან აცილებადი“), *lékhos* („სარეცელი“) : *léktron* („სარეცელი“, ბრალდებითი ბრ.) და ა.შ. მაგრამ, აქ ჩვენ ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როგორცაა *trikhes* („თმები“) : *thriksí* („თმებს“), სადაც შეინიშნება ისეთი გართულება, როგორცაა *t*-ს *th*-ში „გადასვლა“. ამ სიტყვის ფორმები შეიძლება აიხსნას მხოლოდ ისტორიულად, მოვლენათა ფარდობითი ქრონოლოგიზაციით. თავდაპირველად **thrikh* ფუძემ — *si* დაბოლოების დართვისას მოგვცა *thriksí*. ეს საკმაოდ ძველი მოვლენა იგივეა, რომელმაც *lekh*- ფუძიდან *léktron*-ანარმოვა. შემდგომ ყოველი ფშვინვიერი, რომელსაც იმავე სიტყვაში მეორე ფშვინვიერი მოსდევდა, შესაბამის ყრუში გადავიდა და **thrikhes* იქცა *trikhes*-ად. ცხადია, *thriksí*-ს ამ კანონის მოქმედება არ განუცდია.


§9. დასკვნა

ენათმეცნიერება, თავის მხრივ, მეორე დიქტომიასთან მიდის. თავდაპირველად, ჩვენ არჩევანის გაკეთება მოგვიხდა ენასა და მეტყველებას შორის (გვ. 29): ახლა ჩვენ სხვა გზაჯვარედინზე აღმოვჩნდით, საიდანაც ერთი გზა დიაქრონიისკენ მიდის, მეორე კი სინქრონიისკენ. კლასიფიკაციის ამ ორმაგი პრინციპის გამოყენებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენაში ყოველივე დიაქრონიული მხოლოდ მეტყველებისგან არსებობს. მეტყველებაა წყარო ყოველგვარი ცვლილებისა. ყოველგვარი ცვლილება, სანამ საყოველთაო ხმარებაში შევიდოდეს, მეტყველთა გარკვეული ნაწილის საკუთრებაა. დღეს გერმანულად ამბობენ *ich war* („ვიყავი“), *wir waren* („ვიყავით“), მაშინ, როცა ძველ გერმანულში XVI საუკუნემდე ასე აუღლებდნენ: *ich was*, *wir waren* (ინგლისურში დღესაც ამბობენ *I was*, *we were*). რამ გამოიწვია *war*-ის შეცვლა *was*-ად? ჯერ ცალკეულმა პირებმა *waren*-ის ანალოგიით შექმნეს *war*. ეს მეტყველების ფაქტი გახლდათ. ხშირად გამეორებული ეს ფორმა კოლექტივმა მიიღო და იგი ენობრივ ფაქტად იქცა. მაგრამ, მეტყველების ყველა სიახლეს ასეთი წარმატება როდი ხვდება ხოლმე წილად და რამდენადაც ისინი ინდივიდუალურ ფაქტებად რჩებიან, ჩვენ კი ენას შევისწავლით, მათი მხედველობაში მიღება საჭირო არაა. ისინი ჩვენი თვალთახედვის არეში მხოლოდ მას შემდეგ მოექცევიან, როცა კოლექტივი მათ გაითავისებს.

ევოლუციის ფაქტს მუდამ წინ უსწრებს მეტყველების სფეროში მომხდარი ფაქტი, ან უფრო ზუსტად, ფაქტების მთელი სიმრავლე. ეს

სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ დადგენილ განსხვავებას, მხოლოდ ადასტურებს მას, რადგან ნებისმიერი ინოვაციის ისტორიაში მუდამ გამოიყოფა ორი მომენტი: 1. მისი გაჩენა ცალკეულ პირთა მეტყველებაში, 2. მისი ქცევა ენობრივ ფაქტად, როცა იგი გარეგნულად ისეთივე, როგორც იყო, მიიღება მთელი ენობრივი კოლექტივის მიერ.

ქვემოთ მოყვანილი სქემა გთავაზობთ რაციონალურ ფორმას, რომელიც ლინგვისტურმა კვლევამ უნდა მიიღოს:



უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიული მოთხოვნების შესაბამისი იდეალური ფორმა მეცნიერებისა ყოველთვის არ თანხვდება იმ ფორმას, რომელსაც პრაქტიკა მოითხოვს. ენათმეცნიერებაში პრაქტიკის მოთხოვნები კიდევ უფრო იმპერატიულია, ვიდრე სხვა მეცნიერებებში. ისინი გარკვეულ წილად ამართლებენ ლინგვისტურ გამოკვლევებში სადღეისოდ არსებულ არეულობას. ჩვენს მიერ დადგენილი განსხვავებები ერთხელ და სამუდამოდ კიდევ რომ იქნას მიღებული, დაუშვებელია ამ იდეალის გამო სამეცნიერო ძიებათა შებოჭვა მეტისმეტად მკაცრი მოთხოვნებით. ასე მაგალითად, ძველი ფრანგული ენის სინქრონული ანალიზის დროს ენათმეცნიერი იყენებს ისეთ ფაქტებსა და პრინციპებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო იმ ფაქტებსა და პრინციპებთან, რომლებსაც მას გაუმჟღავნებდა ამ ენის ისტორია XIII-დან XX საუკუნემდე. სამაგიეროდ, ისინი შეიძლება შევადაროთ იმ ფაქტებსა და პრინციპებს, რომლებიც აღმოჩნდებოდა ბანტუს ერთ-ერთი თანამედროვე ენის აღწერისას, ძველ ბერძნულსა (ძვ. წ. 400 წლამდე) ან თანამედროვე ფრანგულში. საქმე ისაა, რომ ყველა ამგვარი აღწერები მსგავს მიმართებებს ეყრდნობა. თუმცა ყოველი ენა ჩაკეტილი სისტემაა, ისინი მაინც გარკვეული მუდმივი პრინციპების არსებობას გულისხმობენ, რომლებსაც ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას ვაწყდებით, რადგან ყველგან ერთი და იმავე რიგის მოვლენების სფეროში ვრჩებით. ზუსტად ასევე ისტორიული კვლევისას: ფრანგული ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდს (მაგ. XIII-XX სს) განვიხილავთ თუ იავანური თუ რომელიმე სხვა ენისას, ყველგან მსგავს ფაქტებთან გვაქვს საქმე. საკმარისია ისინი ერთმანეთს შევადაროთ, რათა დავადგინოთ დიაქრონიული ბუნების ზოგადი ქვემარტებიანი. იდეალური იქნებოდა, რომ ყველა მეცნიერს თავისი მოღვაწეობა ლინგვისტურ გამოკვლევათა ერთ-ერთი ასპექტისათვის მიეძღვნა და შესაბამისი რიგის ფაქტების შეძლებისდაგვარად მეტი

რაოდენობა მოეცა. ძალიან ძნელია მეცნიერულად დაეუფლო ესოდენ განსხვავებულ ენებს. მეორე მხრივ, ყოველი ენა პრაქტიკულად ერთ შესასწავლ ერთეულს წარმოადგენს, ასე რომ, იძულებულნი ვხდებით იგი ხან სტატიკურად ვიკვლიოთ, ხანაც ისტორიულად. მიუხედავად ამისა, არასოდეს არ უნდა დაგვავინყდეს, რომ წმინდა თვალსაზრისით ეს ერთიანობა ენისა, როგორც შესწავლის ობიექტისა, ზედაპირული რამ არის, მაშინ, როცა ენებს შორის არსებული განსხვავებები თავის თავში ერთიანობას მალავენ. დაე, ცალკეული ენის შესწავლისას მკვლევარმა სინქრონიასაც მიმართოს და დიაქრონიასაც. ყოველთვის ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომელ ასპექტს მიეკუთვნება განსახილველი ფაქტი და არასოდეს ავურიოთ ერთმანეთში სინქრონული და დიაქრონიული მეთოდები.

ამგვარად გამიჯნული ენათმეცნიერების ორი ნაწილი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი იქნება.

სინქრონულმა ლინგვისტიკამ უნდა შეისწავლოს ლოგიკური და ფსიქოლოგიური მიმართებები, რომლებიც თანაარსებულ ელემენტებს აკავშირებს, ქმნის სისტემას და მას იმ სახით შეისწავლის, როგორადაც ისინი აღიქმება ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ.

დიაქრონიულმა ლინგვისტიკამ პირიქით, უნდა შეისწავლოს ურთიერთმომდევნო ელემენტების დამაკავშირებელი მიმართებები, ელემენტები, რომლებიც არ აღიქმება ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერებით და რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს ისე, რომ თავისი ერთობლიობით სისტემას ვერ ქმნიან.

ნაწილი II

სინქრონული ლინგვისტიკა

თავი I

ზოგადი ცნობები

ზოგადი სინქრონული ლინგვისტიკის საგანია იდოსინქრონული სისტემების ძირითადი პრინციპების დადგენა და ენის ნებისმიერი მდგომარეობის შემადგენელი ფაქტორების გამოვლენა. ბევრი რამ, რაც ზემოთ ითქვა, არსებითად სინქრონიას ეკუთვნის. ასე მაგალითად, ნიშნის ზოგადი თვისებები შეიძლება განვიხილოთ როგორც სინტაქსური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ნაწილი, თუმცა ჩვენ ეს თვისებები გამოვიყენებთ იმის დასასაბუთებლად, რომ საჭიროა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ორი სახის ენათმეცნიერება.

ყველაფერი, რასაც „ზოგად გრამატიკას“ ვუწოდებთ სინქრონიას ეკუთვნის, რადგან სხვადასხვა სახის მიმართებანი, რომლებსაც გრამატიკა შეისწავლის, მხოლოდ ენის ცალკეულ მდგომარეობათა ფარგლებში ყალიბდება. ქვემოთ ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ძირითადი პრინციპებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია სტატიკის კერძო ხასიათის პრობლემების შესწავლა და ენის მოცემული მდგომარეობის დეტალების ახსნა.

საერთოდ, სტატიკურ ლინგვისტიკაში მუშაობა გაცილებით რთულია, ვიდრე ენის ისტორიაში. ევოლუციის ფაქტები უფრო კონკრეტული და წარმოსახვისთვის მრავლისმთქმელია. მათში არსებული, იოლად შესამჩნევი მიმართებები იკვანძება თანმიმდევრულად შენაცვლებად ელემენტთა შორის, რომელთა გაგება ადვილია, ხოლო რიგი გარდაქმნებისთვის თვალის გადევნება საინტერესოც. ის ლინგვისტიკა კი, რომელიც თანაარსებული ღირებულებებითა და მიმართებებით ოპერირებს, მნიშვნელოვნად უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

პრაქტიკულად, ენის მდგომარეობა არ წარმოადგენს მათემატიკურ ნერტილს. ესაა დროის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებათა ჯამი უადრესად უმნიშვნელოა. დროის ეს მონაკვეთი შეიძლება უდრიდეს ათ წელს, ერთ თაობას, საუკუნეს და უფრო მეტსაც. ზოგჯერ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ენა უმნიშვნელოდ იცვლება, შემდეგ კი, რამდენიმე წლის განმავლობაში მან შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადოს. ერთ პერიოდში თანაარსებული ორი ენიდან ერთმა შეიძლება დიდი ცვლილებები განიცადოს, მეორე კი თითქმის უცვლელი დარჩეს: უკანასკნელ

შემთხვევაში, ენის შესწავლა უთუოდ სინქრონული ხასიათისა იქნება, პირველში კი საჭირო გახდება დიაქრონიული მიდგომა. აბსოლუტურ მდგომარეობას ცვლილებები არ ახასიათებს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ენა უმნიშვნელოდ მაინც იცვლება. ისევე, როგორც მათემატიკოსები ზოგ ოპერაციებში, მაგ. ლოგარითმულ გამოთვლებში, უგულვებელყოფენ უსასრულოდ მცირე სიდიდეებს, ენის მდგომარეობის შესწავლისას, პრაქტიკულად, არც ჩვენ ვითვალისწინებთ უმნიშვნელო ცვლილებებს.

პოლიტიკის ისტორიაში განასხვავებენ ეპოქას, რომელიც არის წერტილი დროში, და პერიოდს, დროის მონაკვეთს, რომელსაც გარკვეული ხანგრძლივობა გააჩნია. როცა ისტორიკოსი ანტიონინების ან ჯვაროსანთა ეპოქაზე ლაპარაკობს, იგი გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მთელი შესაბამისი დროის მანძილზე. შეიძლება გვეთქვას, რომ სტატიკური ლინგვისტიკა ეპოქებს შეისწავლის, მაგრამ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს „მდგომარეობა“. ეპოქის დასაწყისი და დასასრული აღინიშნება მეტ-ნაკლებად მკვეთრი შემობრუნებით, გადატრიალებით, რომლის მიზანიც დამკვიდრებული ვითარების შეცვლაა. სიტყვა „მდგომარეობა“ იმას არ გულისხმობს, რომ ენაშიც მსგავსი რამ ხდება. ამას გარდა, ტერმინი „ეპოქა“ იმის გამო, რომ იგი ისტორიული მეცნიერებიდან არის შემოსული, ჩვენს ფიქრს მიმართავს არა იმდენად ენისაკენ, არამედ მისი გარემომცველი და შემაპირობებელი გარემოებებისკენ. ერთი სიტყვით, იგი უფრო იმ ცნებას გვაგონებს, რომელსაც ზემოთ გარეგანი ლინგვისტიკა ვუწოდეთ (იხ. გვ. 31).

სხვათა შორის, დროში გამიჯვნა „ენის მდგომარეობის“ ცნების განსაზღვრისას წამოჭრილი ერთადერთი სირთულე როდია. ასეთივე სირთულე წამოიჭრება სივრცეში გამიჯვნის დროსაც. მოკლედ, „ენის მდგომარეობის“ ცნება შეიძლება მხოლოდ მიახლოებითი იყოს; სტატიკურ ლინგვისტიკაში, ისევე, როგორც მეცნიერებათა უმრავლესობაში, ყოველგვარი მსჯელობა შეუძლებელია მონაცემთა პირობითი გამარტივების გარეშე.

თავი II

კონკრეტული ენობრივი არსობანი

§1. არსობანი და ერთეულები. ამ ცნებათა განსაზღვრა

ენის შემადგენელი ნიშნები აბსტრაქციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ რეალური ობიექტები არიან (იხ. გვ. 26). სწორედ ამ ობიექტებსა და მათ მიმართებებს შეისწავლის ენათმეცნიერება. მათ შეიძლება ვუწოდოთ ამ მეცნიერების კონკრეტული ენობრივი არსობანი.

გავიხსენოთ ამ პრობლემის ორი ძირითადი პრინციპი:

1. ლინგვისტური არსობა რეალურად შესაძლებელია მხოლოდ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ასოციაციით (გვ. 74); თუ ერთი ამ ელემენტთაგანი მხედველობიდან გამოგვრჩა, არსობა იკარგება: კონკრეტული არსობის ნაცვლად გვრჩება წმინდა წყლის აბსტრაქცია; შეიძლება არსობის ერთი ნაწილი გვესმოდეს და გვეგონოს, რომ მთელი არსობა გვესმის. ასე მოხდება, მაგ., თუ მეტყველების ჯაჭვს მარცვლებად დავყოფთ. მარცვალს მხოლოდ ფონოლოგიაში აქვს ღირებულება. ბგერათა მიმდევრობა მხოლოდ მაშინ გვევლინება ლინგვისტურ ფაქტად, თუ იგი ცნების საყრდენია. თავისთავად აღებული, იგი მხოლოდ ფიზიოლოგიური შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. იგივე ითქმის აღსანიშნზეც, თუკი მას აღმნიშვნელისგან გავმიჯნავთ. თავისთავად განხილული ცნებები, როგორცაა მაგალითად, „სახლი“, „თეთრი“, „ნახვა“ და ა. შ. ფონოლოგიას ეკუთვნის. ისინი მხოლოდ აკუსტიკურ ხატებთან ასოციაციაში იქცევიან ლინგვისტურ არსობებად. ენაში ცნება არის ბგერითი სუბსტანციის თვისება, ისევე, როგორც გარკვეული ჟღერადობა წარმოადგენს ცნების თვისებას.

ეს ორსახოვანი ერთეული ხშირად შეუღარებიან ადამიანისთვის, რომელიც სულისა და ხორცისაგან შედგება. ასეთი შედარება არადაამაკმაყოფილებელია. უფრო მართებული იქნებოდა იგი ქიმიური ნაერთისთვის, მაგალითად, წყლისთვის შეგვედარებინა. წყალი წყალბადისა და ჟანგბადის ნაერთია. ცალკე აღებულ არც ერთ ამ შემადგენელს წყლის თვისებები არ გააჩნია.

2. კონკრეტული ლინგვისტური არსობა სრულად მხოლოდ მაშინ განისაზღვრება, თუკი იგი გამიჯნულია, გამოცალკევებულია ყოველივე იმისგან, რაც მას აკრავს გარს მეტყველების ფაქტში. სწორედ ეს გამიჯნული არსობანი, ანუ ერთეულები უპირისპირდებიან ერთმანეთს ენის მექანიზმში.

ენობრივ ნიშნებს ამსგავსებენ ვიზუალურ ნიშნებს, რომლებსაც შეუძლიათ სივრცეში თანაარსებობა ერთმანეთში აღურევლად. იქმნება ყალბი წარმოდგენა, თითქოსდა, მნიშვნელობის მქონე ელემენტთა


გამიჯვნაც ამავე გზით, გონების ჩაურევლად შეიძლება მოხდეს. ტერმინი „ფორმა“, რომელსაც ხშირად იყენებენ მათ აღსანიშნად (მაგ. „ზმნური ფორმა“, „სახელადი ფორმა“), ხელს უწყობს ამ შეცდომას. ცნობილია, რომ მეტყველების ჯაჭვის უპირველესი თვისებაა ხაზოვანება (გვ. 77). თავისთავად აღებული მეტყველების ნაკადი მხოლოდ ხაზია, უწყვეტი ძაფი, რომელზედაც ყური ვერავითარ მკაფიო და ზუსტ დაყოფას ვერ აღიქვამს. მეტყველების ნაკადის დანაწევრებისთვის მნიშვნელობას არ უნდა მივმართოთ. როცა უცხო ენაზე მეტყველება გვეხმის, ჩვენ არ ძალგვიძს აღქმული ბგერითი ნაკადის დანაწევრება. ასეთი დანაწევრება საერთოდ შეუძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ენობრივი ფაქტის მხოლოდ ბგერით მხარეს. მაგრამ, თუ ჩვენთვის ცნობილია, თუ რა აზრი და ფუნქცია უნდა მივანიჭოთ სამეტყველო ჯაჭვის თითოეულ რგოლს, მაშინ ამ ბგერების გამოყოფა და ამორფული ლენტის ნაწილებად დაყოფაც შეგვიძლია. ამ ანალიზში არაფერია მატერიალური.

ამრიგად, ენა არ წარმოადგენს წინასწარ გამიჯნულ ნიშანთა ერთობლიობას, რომელთა მნიშვნელობა და კომბინატორული საშუალებები უნდა შეგვესწავლა. სინამდვილეში, ენა დაუნაწევრებელი მასაა, რომელშიაც მხოლოდ ყურადღებასა და ჩვევას შეუძლია გაგვარჩევინოს ცალკეული ელემენტები. სამეტყველო ერთეულს არავითარი სპეციალური ბგერადი თვისება არ ახასიათებს და იგი მხოლოდ ასე შეიძლება განისაზღვროს: სამეტყველო ერთეული არის ბგერადობის მონაკვეთი, რომელიც ცალკე, ე.ი. ყოველივე იმის გარეშე, რაც მას მეტყველების ჯაჭვში წინ უსწრებს და უკან მოსდევს, გარკვეული ცნების აღმნიშვნელია.

§2. არსობისა და ერთეულის გამიჯვნის მეთოდი

ყოველი ადამიანი, რომელიც ენას ფლობს, უმარტივესი ხერხით მიიჯნავს მის ერთეულებს. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველება ჩავთვალოთ მანიფესტაციად და იგი პარალელური ჯაჭვით, ცნებების (a) და აკუსტიკური ხატების (b) ჯაჭვებით წარმოვადგინოთ.

მართებული გამიჯვნა მოითხოვს, რომ აკუსტიკურ ჯაჭვში (α β γ ...) დადგენილი გამიჯვნა შეესაბამებოდეს გამიჯვნას ცნებათა ჯაჭვში (α' β' γ' ...).



ავილოთ ფრანგული sižlaprā: შეიძლება თუ არა ეს ჯაჭვი I-ს შემდეგ გაუნწყვიტოთ და sižl ერთეულის სახით წარმოვადგინოთ? არა. ცნების ჯაჭვი მსწრაფლ დაგვანახავებს, რომ ასეთი დაყოფა მცდარია. siž-la-prā-ს აპრიორულად არაფერი აქვს საერთო ლინგვისტიკასთან. შესაძლებელია მხოლოდ ორგვარი დაყოფა: 1. si-ž-la-prā (si je la prends „თუ მე მას ავიღებ“)

და 2. si-ž-l-aprā (si je l'apprends „თუ მე მას გავიგებ“). თითოეული დაყოფათაგანი შესაბამის მონაკვეთებთან დაკავშირებული მნიშვნელობით განისაზღვრება. ამ ოპერაციის შედეგის შესამოწმებლად და იმაში დასარწმუნებლად, რომ ამა თუ იმ ერთეულის გამოყოფა მართებულია, საჭიროა ერთმანეთს შევუდაროთ ამ ერთეულის შემცველი ფრაზების მთელი წყება. თუ ეს ერთეული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყოფა კონტექსტიდან, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გამოყოფა მნიშვნელობით არის გამართლებული. ავილოთ წინადადების ორი მონაკვეთი: la force du vent („ქარის ძალა“) და abudfɔrs (à bout de force „ძალაგამოცლილი“). ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ცნება — „ძალა“ შეესაბამება ბგერადობის ერთსა და იმავე მონაკვეთს fɔrs ე. ი. იგი ენობრივი ერთეულია. მაგრამ, წინადადებაში ilmafɔrsaparlə (il me force à parler „მაიძულებს ვილაპარაკო“) fɔrs-ს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ე.ი. ამ შემთხვევაში იგი სხვა სამეტყველო ერთეულია.

§3. გამიჯვნის პრაქტიკული სირთულე

ადვილი გამოსაყენებელია თუ არა პრაქტიკაში თეორიულად ესოდენ მარტივი ხერხი? თუ ამოსავლად მივიჩნევთ აზრს, რომ გამოსაყოფი ერთეულები სიტყვებია, მაშინ ადვილად შეიძლება მოგვეჩვენოს. წინადადება ხომ სიტყვების კომბინაციაა და სიტყვაზე უფრო დამოუკიდებლად და უშუალოდ აბა რა არის მოცემული? ამრიგად, ზემოთ მოყვანილ მაგალითს თუ მივუბრუნდებით, შეიძლება ვთქვათ, რომ მეტყველების ჯაჭვი sižlaprā ჩვენი ანალიზის თანახმად ოთხ ერთეულად იყოფა და ეს ერთეულები სიტყვებს წარმოადგენენ — si - je - l' - apprendს. მაგრამ, როგორც კი გავიხსენებთ, თუ რამდენს დაობენ სიტყვის თაობაზე, მაშინვე ეჭვი შეგვიპყრობს. სერიოზული განსჯის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ სიტყვის ჩვეულებრივი გაგება შეუთავსებელია ჩვენს წარმოდგენასთან კონკრეტული ერთეულის შესახებ.

ამაში დასარწმუნებლად გავიხსენოთ თუნდაც სიტყვა cheval („ცხენი“) და მისი მრავლობითი რიცხვი chevaux („ცხენები“). ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ეს ერთი და იმავე სიტყვის ორი ფორმაა. მაგრამ, მთლიანობაში განხილული ისინი ორ სხვადასხვა რამეს წარმოადგენენ, განსხვავებულს როგორც მნიშვნელობით, ისე ბგერადობითაც. სიტყვაში mwa (le mois de décembre „დეკემბრის თვე“) და mwaz (un mois après „ერთი თვის შემდეგ“) ერთი და იგივე სიტყვა ასევე ნაირსახეობით არის წარმოდგენილი, მაგრამ კონკრეტულ ერთეულზე ლაპარაკი არც ამ შემთხვევაში შეგვიძლია. მართალია, აზრი ერთი და იგივეა, მაგრამ ბგერითი მონაკვეთები განსხვავებულია. ამრიგად, როგორც კი კონკრეტულ ერთეულთა სიტყვებთან გაიგივებას მოვინდომებთ, დილემის წინაშე აღმოვჩნდებით: ან უნდა უგულვებელვყოთ მიმართება, რომელიც აერთიანებს cheval-სა და chevaux-ს, mwa-სა და mwaz-ს და ა.შ. და ისინი განსხვავებულ სიტყვებად მივიჩნიოთ, ან კიდევ კონკრეტულ ერთეულთა ნაცვლად დავკმაყოფილდეთ

აბსტრაქციით, რომელიც ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულ ფორმებს გააერთიანებს. ამგვარად, კონკრეტული ერთეული სიტყვის მიღმა უნდა ვეძებოთ. სხვათა შორის, ბევრი სიტყვა წარმოადგენს რთულ ერთეულს, რომელშიაც ადვილად გამოიყოფა უფრო დაბალი დონის ერთეულები (სუფიქსები, პრეფიქსები, ძირები); ნაწარმოები სიტყვები, როგორებიცაა *désireux* („მსურველი“), *malheureux* („უბედური“) ცალკეულ ნაწილებად იყოფიან და ყოველ ნაწილს თავისი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვს. და პირიქით, არსებობს სიტყვაზე უფრო მოზრდილი ერთეულები: კომპოზიტები (*porte-plume* „კალმისტარი“), შესიტყვებები (*s'il vous plait* „გეთაყვათ“), ფლექსიური ფორმები (*il a été* „იყო“) და ა.შ. ამ ერთეულების გამოყენებისას ორივე სირთულეს ვხვდებით, მათი, როგორც სიტყვების გამოყოფის დროს. მეტად ძნელია ბგერით ჯაჭვში მოცემულ ერთეულთა ფუნქციონის გარკვევა და იმის დადგენა, თუ რა კონკრეტული ელემენტებით ოპერირებს ენა.

ცხადია, მოლაპარაკე ინდივიდი ამ სირთულეებს ვერ ამჩნევს; ყველაფერს, რაც მეტ-ნაკლებად ღირებულია, ის ამ ელემენტად აღიქვამს და უშეცდომოდ ამოიცნობს ხოლმე მეტყველებაში. მაგრამ, ერთია ინტუიციურად ფლობდე ამ ელემენტთა მყისიერი ფუნქციონის ყველა ნიუანსს, და სრულიად სხვა — მათი სისტემური ანალიზის უნარი.

საკმაოდ გავრცელებული თეორიის თანახმად, ერთადერთი კონკრეტული ერთეულია წინადადება; ჩვენ ჯერ წინადადებებით ვლაპარაკობთ და მხოლოდ შემდეგ გამოვყოფთ მათში სიტყვებს. მაგრამ, რამდენად ეკუთვნის წინადადება ენას (იხ. გვ. 130)? თუ იგი მეტყველების სფეროს განეკუთვნება, მაშინ ენობრივი ერთეული ვერ იქნება. დავუშვათ, ეს სირთულე თავიდან ავირიდეთ. თუ წარმოვიდგენთ იმ წინადადებათა მთელ ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება წარმოვთქვათ, მაშინ მათი ყველაზე დამახასიათებელი თვისება მათი აბსოლუტური განსხვავება იქნება. ერთი შეხედვით, მაცთუნებელია წინადადებების უამრავ ნაირსახეობათა შედარება ზოოლოგიურ გვართა არანაკლებ დიდ ნაირსახეობასთან, მაგრამ ეს ილუზიაა: ერთი სახეობის ცხოველებში საერთო თვისებები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მათი გამმიჯნელი განსხვავებები. წინადადებაში პირიქით, განსხვავებები ჭარბობს და როგორც კი შევეცდებით დავადგინოთ, თუ რა აკავშირებს ამ ნაირსახეობათა ერთობლიობას, უნებურად სიტყვასთან და მის გრამატიკულ თვისებებთან მივიღივართ და ამრიგად, ისევ იმავე სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით.

§4. დასკვნა

მეცნიერების მრავალ დარგში ერთეულის საკითხი არც კი წამოიჭრება: იგი უშუალოდაა მოცემული. მაგ. ზოოლოგიაში თავიდანვე საქმე გვაქვს ცხოველებთან. ასტრონომია იყენებს სივრცეში გამიჯნულ ერთეულებს: მნათობებს. ქიმიკში შეიძლება შევისწავლოთ კალიუმის, ბოიქრომატისა და პოტაშიუმის თვისებები და შედგენილობა და ერთი

წუთითაც არ შეგვეპაროს ეჭვი იმაში, რომ ისინი სავსებით განსაზღვრული ობიექტებია.

თუ რომელიმე მეცნიერებაში არ არის უშუალოდ მოცემული კონკრეტული ერთეულები, ეს ნიშნავს, რომ ამ მეცნიერებაში მათ არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. მართლაც, რა წარმოადგენს კონკრეტულ ერთეულს, მაგალითად, ისტორიაში — პიროვნება, ეპოქა, ხალხი? ისტორიული კვლევა ამ საკითხის დაუდგენლადაც შეიძლება.

როგორც ჭადრაკის თამაში დაიყვანება დაფაზე ფიგურათა კომბინაციაზე, ენაც ისეთი სისტემაა, რომელიც კონკრეტულ ელემენტთა შეპირისპირებას ემყარება. ჩვენ ვერც მათ გაცნობიერებას უგულვებელყოფთ და ვერც ნაბიჯს გადავდგამთ ამ ერთეულთა გარეშე. მიუხედავად ამისა, მათი გამოყოფა იმდენად რთულია, რომ ჩნდება კითხვა — რეალურად არსებობენ თუ არა კონკრეტული ერთეულები?

ამრიგად, ენის უცნაური და საოცარი თვისება ისაა, რომ ჩვენ მასში უშუალოდ მოცემულ და თავიდანვე გარჩევად არსობებს ვერ ვხედავთ. მათი არსებობა კი ეჭვსგარეშეა, ისევე, როგორც ეჭვსგარეშეა ის, რომ ენა მათი ფუნქციონის საფუძველზეა შექმნილი. სწორედ ეს არის ის თვისება, რომელიც ენას ყველა სხვა სემიოლოგიური სისტემებისგან განასხვავებს.

თავი III

იმიტომანი, რეალოზანი, ღირებულეზანი

ახლა ხან გამოთქმულ მოსაზრებას მივყავართ მნიშვნელოვან პრობლემასთან, მით უფრო, რომ სტატიკურ ლინგვისტიკაში ყოველი ძირითადი ცნება უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმოვიდგინოთ ენობრივ ერთეულს. სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ იგივეობის, რეალოზისა და ღირებულების ცნებასთან დაკავშირებულ სინქრონულ ასპექტში.

ა. რას წარმოადგენს სინქრონული იგივეობა? აქ არ ვლაპარაკობთ იგივეობაზე, რომელიც აერთიანებს ფრანგულ უარყოფა pas-ს ლათინურ passum-თან („ნაბიჯი“). ეს იგივეობა დიაქრონიული ხასიათისაა — ჩვენ მას გვ. 189-ზე შევეხებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სხვა, არანაკლებ საინტერესო იგივეობა, რომლის საფუძველზეც ვამტკიცებთ, რომ ორი ისეთი წინადადება, როგორცაა ne dites pas cela („ამას ნუ ამბობთ“) და je ne sais pas („არ ვიცი“) შეიცავს ერთსა და იმავე ელემენტს. ფუჭი კითხვააო, მოგვიგებენ: იგივეობაა, იმიტომაც, რომ ორსავე წინადადებაში ერთნაირი ბგერადობის მონაკვეთი ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონეაო. მაგრამ ეს არ კმარა: თუ ბგერადობის მონაკვეთებისა და ცნებების შესატყვისობა იგივეობას ამტკიცებს (იხ. ზემოთ, მაგ. la force du vent: à bout de force), არ შეიძლება დაეუფოთ სანინაალმდეგო: იგივეობა ამ შესატყვისობის გარეშეც შეიძლება. როცა ლექციასზე მრავალგზის გამეორებული messieurs! („ბატონებო!“) გვემის, ვგრძნობთ, რომ ეს მუდამ ერთი და იგივე გამოთქმაა. ამავე დროს, წარმოთქმისა და ინტონაციის ვარიაციები სხვადასხვა შემთხვევაში საკმაოდ განსხვავებულად წარმოგვიდგენს მას. ეს განსხვავება ისევე არსებითია, როგორც განსხვავებები, რომლებიც სხვა შემთხვევებში ცალკეული სიტყვების განმასხვავებლად გვევლინება (მაგ. pomme „ვაშლი“ და paume „ხელისგული“, goutte „წვეთი“ და je goûte „ვისინჯავ“, fuir „გაქცევა“ და fouir „ქექვა“ და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა messieurs-ს ხმარებისას სხვადასხვა შემთხვევაში სემანტიკური თვალსაზრისით იგივეობა არა გვაქვს, იგივეობის შეგრძნება არ გვშორდება. სიტყვამ შეიძლება საკმაოდ დაშორებული ცნებები აღნიშნოს და მისი იგივეობა საკუთარი თავის მიმართ მაინც არ დაირღვეს (შდრ. adopter une mode „მოდის გადაღება“ და adopter un enfant „ბავშვის აყვანა“. la fleur du pommier „ვაშლის ყვავილი“ და la fleur de la noblesse „არისტოკრატიის ნაღები“).

ენის მთელი მექანიზმი მხოლოდ და მხოლოდ იგივეობებსა და განსხვავებებს ემყარება, ამასთანავე, ეს უკანასკნელნი პირველთა შებრუნებული მხარეა. იმიტომაც, იგივეობის პრობლემა თავს იჩენს

ყველგან. მეორე მხრივ, იგი ხშირად ემთხვევა კონკრეტულ არსობათა და ერთეულთა პრობლემას და საკმარისადაც ართულებს ამ უკანასკნელს. ეს ნათლად ჩანს ენობრივი იგივეობებისა და განსხვავებების პრობლემათა შეპირისპირებით გარეენობრივ ფაქტებთან. მაგ. ჩვენ ვლაპარაკობთ ორი ჩქარი მატარებლის „ჟენევა-პარიზის“ იგივეობაზე (რომლებიც 8.45-ზე გადიან) და 24 საათის ინტერვალით მიჰყვებიან ერთმანეთს. ჩვენთვის ეს ერთი და იგივე ჩქარი მატარებელია, მაშინ როცა, ალბათ, ორთქლმავალიც, ვაგონებიცა და მომსახურე პერსონალიც მათში სხვადასხვაა. ან კიდევ: თუ ქუჩას დაანგრევენ და შემდეგ ხელახლა ააშენებენ, ვამბობთ, ეს იგივე ქუჩააო, თუმცა, შესაძლოა, მატერიალურად ძველი ქუჩისული აღარაფერი იყოს შემორჩენილი. რატომ ხდება, რომ ძირფესვიანად გადაკეთებული ქუჩა შეიძლება მაინც იმავე ქუჩად დარჩეს? იმიტომ, რომ ის, რაც მას ქმნის, წმინდად მატერიალური არაა: იგი განისაზღვრება გარკვეული პირობებით, რომელთათვისაც მნიშვნელობა არა აქვს მის შემთხვევით მასალას, მაგ. მის მდებარეობას სხვა ქუჩებთან მიმართებაში. ასევე, ჩქარ მატარებელთა იგივეობის წარმოდგენას ქმნის მათი გასვლის საათი, მარშრუტი და საერთოდ, გარემოებანი, რომლებიც მას სხვა ჩქარი მატარებლისგან განასხვავებენ. ყოველთვის, როცა ხორციელდება ერთი და იგივე პირობები, მუდამ ერთსა და იმავე არსობებს ვღებულობთ. და მაინც, ეს არსობები აბსტრაქტული არაა, რადგან ქუჩა თუ ჩქარი მატარებელი ვერ წარმოიდგინება მატერიალური რეალიზაციის გარეშე. მოყვანილ შემთხვევას შევუპირისპიროთ სხვა, განსხვავებული შემთხვევა. ტანსაცმელი, რომელიც მომპარეს და რომელსაც გადამყიდველთან მივაკვლიე. აქ საქმე გვაქვს არსობის მატერიალურობასთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ინერტულ მუხსტანციაში მდგომარეობს: ქსოვილში, სარჩულსა და ფურნიტურაში. სხვა ტანსაცმელი, როგორც არ უნდა ჰგავდეს მას, ჩემი არ იქნება. ლინგვისტური იგივეობა ჩქარი მატარებლისა და თუ ქუჩის შემთხვევის მსგავსია, მაგრამ არა ტანსაცმლის შემთხვევისა. „ბატონებო“-ს ყოველი წარმოთქმისას მე ვაახლებ მატერიას. ეს ბგერადობის ახალი აქტი და ახალი ფსიქოლოგიური აქტია. კავშირი ერთი და იმავე სიტყვის ორ ხმარებას შორის ემყარება არა მატერიალურ იდენტურობას, არა აზრის მსგავსებას, არამედ ელემენტებს, რომლებიც უნდა მოვიძიოთ და რომლებიც ენობრივ ერთეულთა ჭეშმარიტ ბუნებასთან მიგვაახლოვებენ.

ბ. რას წარმოადგენს სინქრონული რეალობა? ენის რომელი კონკრეტული თუ აბსტრაქტული ელემენტები შეიძლება მივიჩნიოთ რეალობებად?

მაგალითისათვის ავიღოთ განსხვავება მეტყველების ნაწილებს შორის: რას ემყარება სიტყვების კლასიფიკაცია არსებით სახელებად, ზედსართავებად და ა.შ.? რად გვინდა იგი? წმინდა ლოგიკური, ექსტრალინგვისტური პრინციპებისთვის, რომლებიც გარედან ედება გრამატიკას, ისევე, როგორც მერიდიანებისა და პარალელების ბადე დაედება დედამიწას, თუ შეესაბამება რასმეს, ენის სისტემაში არსებულსა და მით განპირობებულს? ერთი სიტყვით, წარმოადგენს თუ არა მეტყველების ნაწილებად დაყოფა სინქრონულ რეალობას? ეს მეორე ვარაუდი საარწმუნო ჩანს, მაგრამ

პირველი თვალსაზრისის დაცვაც შეიძლება. ასე მაგალითად, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ წინადადებაში *ces gants sont bon marché* („ეს ხელთათმანები იაფია“) სიტყვათა ჯგუფი *bon marché* („იაფია“) არის ზედსართავი. ლოგიკურად მას აქვს ზედსართავის მნიშვნელობა, მაგრამ გრამატიკულად არა: იგი ფორმაუცვლელია, არსებითის წინ არასოდეს გადაინაცვლებს და ა.შ. ამასთანავე, იგი ორი სიტყვისაგან შედგება. თუ სიტყვების კლასიფიკაციის საფუძველი სწორედ მეტყველების ნაწილთა განსხვავებაა, როგორ უნდა მივაკუთვნოთ სიტყვათა ჯგუფი ერთ-ერთ ასეთ „ნაწილს“? მაგრამ *bon marché*-ს სხვანაირადაც ვერ განვმარტავთ, ვერ ვიტყვი, რომ *bon* ზედსართავია, *marché* კი არსებითი სახელი. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს არაზუსტ და არასრულ კლასიფიკაციასთან. სიტყვების დაყოფა არსებითებად, ზმნებად, ზედსართავებად, უდავო ენობრივ რეალობას არ წარმოადგენს.

ამრიგად, ენათმეცნიერება მოქმედებს შეთხზული გრამატიკული ცნებებით, რომელთა შესახებ არ ვიცით, სინამდვილეში რამდენად შეესატყვისებიან ისინი ენის სისტემის შემადგენელ ელემენტებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? თუ ეს ცნებები ფიქციაა, მაშინ რა რეალობანი შეიძლება დავუპირისპიროთ მათ?

შეცდომების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ვირწმუნოთ, რომ კონკრეტული ენობრივი არსობანი უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა. უნდა ვეცადოთ ჩავწვდეთ მათ და ამ გზით მივიღეთ რეალობამდე. მისგან გამომდინარე, შევძლებთ შევიშუშავოთ ყოველგვარი კლასიფიკაცია, რომელიც ენათმეცნიერებას ესაჭიროება მისი სფეროს ფაქტების სისტემაში მოსაყვანად. მეორე მხრივ, ამ კლასიფიკაციის დროს არა კონკრეტულ, ენობრივ არსობებზე, არამედ სხვა რასმეზე დაყრდნობა, მაგალითად, იმის თქმა, რომ მეტყველების ნაწილები მხოლოდ იმიტომაც ფაქტორები, რომ ლოგიკურ კატეგორიებს შეესატყვისებიან, — იმის უგულვებელყოფაა, რომ არ არსებობს ენობრივი ფაქტები, მნიშვნელობის მქონე ელემენტებად დანაწევრებული ბგერითი მატერიის გარეშე.

გ. ბოლოს, ამ პარაგრაფში განხილული ცნებები არსებითად არ განსხვავდებიან იმისაგან, რასაც ზემოთ ღირებულებანი ვუწოდეთ. ხელახალი შედარება ჭადრაკის თამაშთან დაგვეხმარება ამის გაგებაში (იხ. გვ. 94). ავიღოთ მხედარი: წარმოადგენს თუ არა იგი თავისთავად თამაშის ელემენტს? ცხადია არა, რადგან თავისი წმინდა მატერიალურობით, დაფაზე დაკავებული უჯრისა და თამაშის სხვა პირობების გარეშე იგი მოჭადრაკისთვის არაფერს წარმოადგენს. ის რეალურ და კონკრეტულ ელემენტად იქცევა თამაშში იმდენად, რამდენადაც ალჭურვილია გარკვეული ღირებულებით, რომელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული. დავუშვათ, თამაშის დროს ეს ფიგურა გატყდა ან დაიკარგა. შეიძლება თუ არა მისი შეცვლა სხვა, იმავე ღირებულების ფიგურით? ცხადია, შეიძლება. არა მხოლოდ მხედრის გამოსახულების მქონე ფიგურა, არამედ ნებისმიერი საგანი, რომელიც სრულიად არ ჰგავს მას, შეიძლება გაიგივებულ იქნეს მასთან, თუკი მას იმავე ღირებულებას მივანიჭებთ. როგორც ვხედავთ,

სემიოლოგიურ სისტემებში, მაგალითად, ენაში, რომლის ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ქმნის წონასწორობას განსაზღვრული წესების მიხედვით, იგივეობის ცნება ღირებულების ცნებას ერწყმის და პირიქით.

ამიტომაც, ღირებულების ცნება საბოლოოდ, ფარავს როგორც ერთეულის, ისე კონკრეტული ენობრივი არსობისა და ენობრივი რეალობის ცნებას. მაგრამ, თუ ამ განსხვავებულ ასპექტებს შორის ძირეული განსხვავება საერთოდ არ არსებობს, მაშინ პრობლემა შეიძლება დაისვას თანმიმდევრულად, სხვადასხვა ფორმით. რისი განსაზღვრაც არ უნდა მოვიწოდოთ, იქნება ეს ერთეული, რეალობა, არსობა თუ ღირებულება, ყველაფერი დაიყვანება ერთსა და იმავე ძირითად საკითხზე, რომელიც ყველაფერზე დომინირებს სტატიკურ ლინგვისტიკაში.

პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ჯერ ენობრივი ერთეულებით დავიწყოთ, განვსაზღვროთ ისინი და გავითვალისწინოთ მათი მრავალფეროვნება. უნდა დავადგინოთ, რას ემყარება სიტყვებად დაყოფა — რადგან სიტყვა, იმ სირთულის მიუხედავად, რომელიც მის განსაზღვრებასთანაა დაკავშირებული, არის ერთეული, რომელიც ჩვენს გონებას წარმოუდგება ენობრივი მექანიზმის ცენტრალური ნაწილის მსგავს რამედ. თუნდაც მხოლოდ ეს საკითხი იკმარებდა მთელი ტომისთვის. შემდეგ, უფრო დაბალი დონის და უფრო მოზრდილი ერთეულების კლასიფიკაციაზე უნდა გადავიდეთ და ა.შ. ამრიგად, ჩვენი მეცნიერება, მის მიერ გამოყენებული ელემენტების განსაზღვრით, მთლიანად შეასრულებდა თავის ამოცანას და ყველა ენობრივ მოვლენას მათს ძირითად პრინციპებს დაუმორჩილებდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერებაში ეს ცენტრალური პრობლემა ოდესმე დასმულიყო, რომ მისი მნიშვნელობა და გადანყვეტის სირთულე მთლიანად გაეცნობიერებინათ. ენის სფეროში მუდამ კმაყოფილდებოდნენ ოპერაციებით ისეთ ერთეულებზე, რომლებიც სათანადოდ განსაზღვრული არ ყოფილან.

თუმცა, ერთეულთა დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, სასურველია საკითხის შესწავლა ღირებულების ცნების შესწავლით დავიწყოთ, რადგან, ჩვენი აზრით, ეს მისი უმთავრესი ასპექტია.

თავი IV


ლინგვისტური ღირებულება

§1. ენა, როგორც ზგერითს მატერიაში ორგანიზებული აზრი

იმაში დასარწმუნებლად, რომ ენა წმინდა ღირებულებათა სისტემაა და სხვა არაფერი, საკმარისია განვიხილოთ მისი ფუნქციონალურად ურთიერთდაკავშირებული ორი ელემენტი: ცნებები და ბგერები.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩვენი აზროვნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის გამოხატვას სიტყვებით, წარმოადგენს ამორფულ და დაუნაწევრებელ მასას. ფილოსოფოსები და ენათმეცნიერები ყოველთვის თანხმდებოდნენ იმაში, რომ ნიშანთა გარეშე ჩვენ საკმარისი სიცხადითა და მდგრადობით ვერ განვასხვავებდით ერთმანეთისგან ორ ცნებას. აზრი, თავისთავად, ჰგავს ბურუსს, რომელშიაც არაფერია მკაფიოდ გამოიწველი. არ გვაქვს წინასწარ დადგენილი იდეები, ისევე როგორც არაფერია განსაზღვრული ენის გამოჩენამდე.

ამ ბუნდოვანი სფეროსაგან განსხვავებით, ხომ არ წარმოგვიდგენენ ბგერები იმთავითვე დანაწევრებულ არსობებს? სრულიადაც არა. ბგერითი სუბსტანცია არც უფრო განსაზღვრულია და არც უფრო მყარი, ვიდრე აზროვნება. იგი წარმოადგენს არა მზა ყალიბს, რომელშიაც ჩამოისხმება აზრი, არამედ პლასტიკურ მასას, რომელიც თვით იყოფა ნაწილებად, რათა აზრისთვის აუცილებელ აღმნიშვნელად მოგვევლინოს. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ენა წარმოვადგინოთ როგორც რიგი ერთმანეთის მომდევნო სემანტებისა, რომლებიც განხორციელებულია ერთდროულად, როგორც ბუნდოვანი ცნებების განუსაზღვრელ პლანში (A), ისე — იმდენადვე განუსაზღვრელ პლანში ბგერადობისა (B). ეს ფაქტი შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ:



ენის სპეციფიური როლი აზროვნებასთან მიმართებით მდგომარეობს არა მატერიალური ბგერითი საშუალებების შექმნაში ცნებების გამოხატავად, არამედ იმაში, რომ იყოს მაშუალებელი რგოლი აზრსა და ბგერას შორის, თანაც ისე, რომ მათ კავშირს უსათუოდ მიყვავდეთ ერთეულთა ურთიერთდანიწევრებამდე. ბუნებით ქაოტური აზრი საჭიროებისდა შესაბამისად, დანიწევრების გზით ზუსტდება. ამგვარად, ადგილი აქვს არა აზრის მატერიალიზაციას, ან ბგერათა სპირიტუალიზაციას, არამედ ყველაფერი დაიყვანება ერთგვარ იდუმალ მოვლენაზე, იმაზე, რომ მიმართება „აზრი-ბგერა“ გარკვეულ დანიწევრებას მოითხოვს და რომ ენა გამოიმუშავებს თავის ერთეულებს, ყალიბდება რა ამ ორი ამორფული მასის ურთიერთქმედებაში. წარმოვიდგინოთ ჰაერი, რომელიც წყლის ზედაპირს ეხება. ატმოსფერული წნევის ცვლილებისას წყლის ზედაპირი რიგ დანიწევრებას განიცდის, ე.ი. წარმოიქმნება ტალღები. სწორედ ეს ტალღები ქმნიან წარმოდგენას კავშირზე, ანუ, ასე ვთქვათ, აზრის „შენწყვილებაზე“ ბგერით მატერიასთან.

ენას შეიძლება დანიწევრებათა სფეროც ვუნოდოთ, თუ ამ სიტყვას 22-ე გვერდზე მოცემული განსაზღვრით ვიხმართ: ყოველი ენობრივი ელემენტი წარმოადგენს პატარა ნაწილს, articulus-ს, რომელშიაც აზრი განმტკიცებულია ბგერით, ხოლო ბგერა ცნების ნიშნად იქცევა.

ეს მოვლენა შეიძლება ქალაღის ფურცელსაც შევადაროთ: აზრი წინა მხარეა, ბგერა — უკანა. შეუძლებელია წინა მხარის ისე გაჭრა, რომ უკანა არ გაიჭრას. ასევე ენაშიც: შეუძლებელია ჩამოვაცილოთ ბგერა აზრს ან აზრი ბგერას. ამის მიღწევა მხოლოდ აბსტრაქციის გზით შეიძლება, რაც მიგვიყვანს ან წმინდა ფსიქოლოგიამდე, ან წმინდა ფონოლოგიამდე.

ე.ი. ენათმეცნიერება მოქმედებს სასაზღვრო სფეროში, სადაც ორივე რიგის ელემენტთა შეხამებაა და რომელიც ქმნის ფორმას და არა სუბსტანციას.

ეს მოსაზრება გვეხმარება იმაში, რომ უკეთ გავიგოთ ის, რაც გვ. 75-ზე ითქვა ნიშნის პირობითობასთან დაკავშირებით. ბუნდოვანია და ამორფული არა მხოლოდ ერთ ენობრივ ფაქტში შეკავშირებული ორი სფერო, არამედ ცნებისთვის გარკვეული ბგერადი მონაკვეთის შერჩევაც სრულიად პირობითია. ასე რომ არ იყოს, ღირებულების ცნება დაკარგავდა თავის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას, რადგან მასში თავს იჩენდა გარედან შემოტანილი ელემენტები. სინამდვილეში კი ღირებულებები ფარდობითი არიან, რის გამოც, კავშირი ცნებასა და ბგერას შორის აბსოლუტურად პირობითია.

ნიშნის პირობითობა, თავის მხრივ, გვეხმარება უკეთ გავიგოთ, რატომაც რომ მხოლოდ სოციალურ ფაქტს შეუძლია ენობრივი სისტემის შექმნა. ღირებულებათა დასადგენად აუცილებელია კოლექტივის არსებობა. ღირებულებათა არსებობა კი გამართლებულია მხოლოდ ჩვევითა და საერთო შეთანხმებით. პიროვნებას, ცალკე აღებულს, არავითარი ღირებულების შექმნა არ შეუძლია.

ამგვარად განსაზღვრული ცნება ენობრივი ღირებულებისა გვიჩვენებს, რომ შეხედულება ენის სისტემის წევრზე, როგორც რალაც ბგერის ამა თუ იმ ცნებასთან მარტივ შეერთებაზე, მცდარია. სისტემის წევრის ასეთი განსაზღვრა ნიშნავს ამ წევრის გამოყოფას იმ სისტემიდან, რომელშიაც ის შედის. ამას მივყავართ მცდარ აზრამდე, თითქოს შეიძლება დავიწყოთ სისტემის წევრებიდან და მათი დალაგებით ავაგოთ სისტემა. სინამდვილეში კი საჭიროა ამოვიდეთ ერთიანი მთელიდან და ანალიზის გზით მივიღეთ მის შემადგენელ ელემენტებამდე.

ამ დებულების განსავითარებლად ჩვენ თანმიმდევრულად დავდგებთ „ალსანიშნის“ ანუ ცნების (§2), „ალმნიშვნელის“ (§3) და „მთელი ნიშნის“ თვალსაზრისზე.

რადგან კონკრეტულ არსობებსა თუ ლინგვისტურ ერთეულებზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია, ჩვენ მოვასდგნით ოპერირებას სიტყვებით. თუმცა სიტყვა ზუსტად არ მიესადაგება ენობრივი ერთეულის განსაზღვრას (იხ. გვ. 111), დაახლოებით აზრს მაინც გვიქმნის მასზე და ის უპირატესობა გააჩნია, რომ კონკრეტულია. სიტყვებს ავიღებთ მხოლოდ როგორც ნიმუშებს, რომლებიც ტოლფასია სინქრონული ენობრივი სისტემის რეალური წევრებისა და ჩვენ მიერ მათთვის დადგენილი პრინციპები სამართლიანი იქნება საერთოდ ენობრივი არსობებისთვისაც.

§2 ენობრივი ღირებულება განხილული კონცეპტუალური მხრიდან

როცა სიტყვის ღირებულებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, და უპირველეს ყოვლისა გულისხმობენ მის თვისებას გამოსატოს ცნება. ეს მართლაც, არის ენობრივი ღირებულების ერთ-ერთი ასპექტი. თუ ეს ასეა, მაშინ რით განსხვავდება ღირებულება იმისაგან, რასაც მნიშვნელობას ვეძახით? ხომ არ წარმოადგენს ეს ორი სიტყვა სინონიმურ წყვილს? არა გვგონია, თუმცა მათ აღრევას ხელს უწყობს არა იმდენად ტერმინთა მსგავსება, რამდენადაც მათ მიერ აღნიშნულ განსხვავებათა სიფაქიზე.

ღირებულება, განხილული კონცეპტუალურ ასპექტში, უთუოდ არის მნიშვნელობის ელემენტი და ძალზე რთულია იმის გარკვევა, თუ რით განსხვავდება ეს უკანასკნელი ღირებულებისაგან, როცა მასზეც არის დამოკიდებული. ამ საკითხის განხილვა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრება საფრთხე იმისა, რომ ენას უბრალო ჩამონათვალის დონემდე დავიყვანთ (გვ. 73).


უპირველეს ყოვლისა, ავიღოთ მნიშვნელობა, როგორც იგი ჩვეულებრივ ესმით და როგორადაც იგი წარმოვადგინეთ 74-ე გვერდზე. როგორც სქემის ისრები გვიჩვენებს,



ნებს, მნიშვნელობას წარმოადგენს ის, რაც აკუსტიკური ხატის საპირისპიროა. ყოველივე ბრუნავს აკუსტიკურ ხატსა და ცნებას შორის, განსახილველი სიტყვის, როგორც თავისთავადისა და თავის თავში ჩაკეტილის ფარგლებში.

საკითხის პარადოქსულობა შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ, ცნება გვევლინება როგორც აკუსტიკური ხატის შესატყვისი რამ ნიშნის შიგნით, მეორე მხრივ კი, თვით ეს ნიშანი, ანუ ორი შემადგენელი ნაწილის დამაკავშირებელი მიმართება, თავის მხრივ, იმყოფება შესატყვისობაში ენის სხვა ნიშნებთან.

ენა არის სისტემა, რომლის შემადგენელი ელემენტები ქმნიან მთლიანობას და რომელშიაც ყველა ელემენტის ღირებულება განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ სხვა ელემენტთა თანაარსებობით, შესაბამისად შემდეგი სქემისა:



რატომაა, რომ ამგვარად განსაზღვრული ღირებულება ირკვევა მნიშვნელობაში, ანუ აკუსტიკური ხატის შესატყვისში? შეუძლებელია, რომ პორიზონტალური ისრებით წარმოდგენილი მიმართებები გავაიგივოთ ზემოთ, ვერტიკალური ისრებით წარმოდგენილ მიმართებებთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ კვლავ მივმართავთ გაჭრილ ფურცელთან შედარებას (იხ. გვ. 119), გაუგებარია, რატომ არ განსხვავდება A, B, C და D სხვადასხვა ფურცლებს შორის არსებული მიმართება წინა მხარისა და უკანა მხარის, კერძოდ, A/A', B/B' და ა.შ. მიმართებებისაგან.

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, ვახდენთ იმის კონსტატაციას, რომ ენის ფარგლებს მიღმაც, ყოველგვარი ღირებულება რეგულირდება ასეთივე პარადოქსული პრინციპებით. ღირებულებანი მუდამ წარმოიქმნებიან:

1. არამსგავსი საგნისაგან, რომელიც შეიძლება გადაიცვალოს იმაზე, რისი ღირებულებაც განსაზღვრულია.
2. მსგავსი საგნებისგან, რომლებიც შეიძლება შევადაროთ იმას, რის ღირებულებაზეც არის საუბარი.

ღირებულების არსებობისთვის აუცილებელია ორივე ამ ფაქტორის არსებობა. ამრიგად, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ როგორია ხუთფრანკიანი მონეტის ღირებულება, უნდა ვიცოდეთ: 1. რომ იგი შეიძლება გადაიცვალოს გარკვეული რაოდენობის სხვა რამეზე, მაგ. პურზე. 2. რომ იგი შეიძლება შევადაროთ იმავე სისტემის მსგავს ღირებულებებს, მაგ. ერთფრანკიან მონეტას ან სხვა სისტემის მონეტას (დოლარს და სხვ.). ასევე, სიტყვა მისგან განსხვავებულ რამეზეც შეიძლება გადაიცვალოს, მაგ.

ცნებაზე, იდეაზე. მეორე მხრივ, იგი შეიძლება შევადაროთ მსგავსი ბუნების რამეს — სხვა სიტყვას. მისი ღირებულების განსაზღვრად საკმარისი არაა დავადგინოთ, რომ იგი ამა თუ იმ ცნებას „შესატყვისება“, ანუ, რომ მას ესა თუ ის მნიშვნელობა გააჩნია. იგი მის მსგავს ღირებულებებსაც უნდა შევადაროთ, ანუ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება მას დაუპირისპიროთ. მისი შინაარსი სათანადოდ მხოლოდ იმის მოშველიებით განისაზღვრება, რაც მის მიღმა არსებობს. შედის რა სისტემებში, სიტყვას აქვს არა მხოლოდ მნიშვნელობა, არამედ, ამასთანავე და უმთავრესად ღირებულებაც, რაც სრულიად განსხვავებული რამ არის.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს. მაგ. ფრანგულ mouton-ს („ცხვარი“, „ცხვრის ხორცი“) შეიძლება იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს, რაც ინგლისურ sheep-ს, მაგრამ არა იგივე ღირებულება, რაც მრავალი მიზეზითაა განპირობებული. კერძოდ, როცა სუფრაზე მისატან ხორცის ნაჭერზე ლაპარაკობენ, ინგლისელები ხმარობენ სიტყვას mutton და არა sheep. ღირებულების მიხედვით განსხვავება ინგლისურ sheep-სა და ფრანგულ mouton-ს შორის გამომდინარეობს იქიდან, რომ პირველს გვერდით უდგას მეორე ტერმინიც, რასაც ფრანგულში ადგილი არა აქვს.

ერთი და იმავე ენის შიგნით მახლობელი ცნებების გამოხატველი სიტყვები გამიჯნულნი არიან ერთმანეთისგან. ისეთ სინონიმებს, როგორებიცაა redouter, craindre, avoir peur („შიში“) თავისთავად ღირებულება მხოლოდ ურთიერთშეპირისპირების გამო აქვთ. რომ არ არსებობდეს redouter, მთელი მისი შინაარსი მის კონკურენტ სიტყვებს გადაეცემოდა და პირიქით, არსებობს სიტყვები, რომლებიც სხვა სიტყვასთან კონტაქტის გზით მდიდრდებიან. მაგ. ახალი ელემენტი, შეტანილი სიტყვაში décrépit (un vieillard décrépit „ღრმა მოხუცი“, გვ. 89) წარმოიქმნება ამ სიტყვის გვერდით სიტყვა décrépi-ს არსებობის გამო (un mur décrépi „ბათქაშჩამოყრილი კედელი“). ამრიგად, ნებისმიერი სიტყვის ღირებულება განისაზღვრება ყოველივე იმით, რითაც ის გარემოცულია. თვით ისეთი სიტყვის ღირებულების დადგენა, როგორიცაა soleil „მზე“, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველაფერს, რაც ამ სიტყვასთან კავშირშია. არის ენები, რომლებშიც უაზროა გამონათქვამი s'asseoir au soleil („მზეზე ჯდომა“).

ის, რაც ზემოთ ითქვა სიტყვების შესახებ, ძალაშია ნებისმიერი ენობრივი მოვლენის, მაგალითად, გრამატიკულ კატეგორიათა მიმართ. ასე მაგალითად, ფრანგული მრ. რიცხვის ღირებულება არ ფარავს სანსკრიტის მრ. რიცხვის ღირებულებას, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში მათი მნიშვნელობა იდენტურია. საქმე ისაა, რომ სანსკრიტს აქვს არა ორი, არამედ სამი რიცხვი („ჩემი თვალები“, „ჩემი ყურები“, „ჩემი ხელები“, „ჩემი ფეხები“ და ა.შ. სანსკრიტში ორობითი რიცხვით გამოიხატება). სწორი არ იქნება ფრანგულსა და სანსკრიტში მრ. რიცხვს ერთნაირი ღირებულება მივანეროთ, რადგან სანსკრიტში მრ. რიცხვი არ გამოიყენება ყველა შემთხვევაში, სადაც ფრანგული ენა მას მიმართავს. მაშასადამე, მრ.


რიცხვის ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, რაც მის მიღმა და მის ირგვლივ იმყოფება.

სიტყვები წინასწარ მოცემულ ცნებებს რომ გამოხატავდნენ, მაშინ ყოველ მათგანს ექნებოდა ზუსტი აზრობრივი შესატყვისი სხვა ენაში, მაგრამ ასე არაა. ფრანგული განურჩევლად ხმარობს სიტყვას louer — როგორც „გაქირავების“, ასევე „დაქირავების“ მნიშვნელობით. გერმანული ენა კი ამ შემთხვევაში ორ სიტყვას mieten და vermieten-ს მიმართავს, ასე, რომ, არ არსებობს ღირებულებათა ზუსტი შესატყვისობა. გერმანული ზმნები schätzen და urteilen წარმოადგენენ იმ მნიშვნელობათა ერთობლიობას, რომლებიც შესატყვისებიან ფრანგულ estimer-სა („შეფასება“) და juger-ს („განსჯა“), თუმცა ხშირად ეს შესატყვისობა ზუსტი არაა.

განსაკუთრებით თვალშისაცემ მაგალითს იძლევა ფლექსია. ჩვენთვის ესოდენ ჩვეული განსხვავება დროთა მიხედვით ზოგი ენისთვის უცხოა. ებრაული ენა თვით ძირითად დროებსაც კი — წარსულსა და მომავალს — არ განასხვავებს. წინარეგერმანიკულს მომავლის სპეციალური ფორმა არ გააჩნდა. არასწორია მტკიცება, თითქოს წინარეგერმანიკულში მომავალი გადმოიცემოდა ანმყოთი, რადგან ანმყოს ღირებულება გერმანიკულში არ უდრის ანმყო დროის ღირებულებას იმ ენებში, რომლებსაც ანმყოსთან ერთად მომავალიც აქვთ. სლავური ენები რეგულარულად განასხვავებენ ორ ასპექტს: სრულს, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული სახით, როგორც წერტილს, ყოველგვარი ქმნადობის პროცესის გარეშე. უსრული კი გამოხატავს მოქმედებას ქმნადობის პროცესში, დროის შკალაზე. ეს კატეგორიები ფრანგისთვის სირთულეს წარმოადგენს, რადგან ფრანგულისთვის უცხოა. ისინი წინასწარ განსაზღვრულნი რომ იყვნენ, ასეთ რამეს ადგილი არ ექნებოდა. ყველა ამ შემთხვევაში, ჩვენ წინასწარ მოცემული „ღირებულების ცნების“ ნაცვლად თვით სისტემიდან გამომდინარე ღირებულებებს ვეჯახებით. როცა ამბობენ, ისინი ცნებებს შეესაბამებინაო,

გულისხმობენ, რომ ისინი დიფერენციალური არიან, ე.ი. განისაზღვრებიან არა პოზიტიურად, თავიანთი შინაარსით, არამედ — ნეგატიურად — თავიანთი მიმართებით სისტემის სხვა წევრებთან. მათი ყველაზე აშკარა მახასიათებელია — იყოს ის, რაც არ არიან სხვები.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ნიშნის სქემის რეალური ინტერ-



პრეტაცია. სქემა ნიშნავს, რომ ფრანგულ ენაში ცნება juger უკავშირდება აკუსტიკურ ხატს juger. ერთი სიტყვით, იგი მნიშვნელობას წარმოადგენს. ცხადია, ამ ცნებაში (juger) არაფერია თავდაპირველი. იგი მხოლოდ ღირებულებაა, განსაზღვრული სხვა მსგავს ღირებულებებთან კავშირით, რომელთა გარეშე მნიშვნელობა არ იარსებებდა. უბრალოდ, როცა ვამბობთ, რომ სიტყვა რალაცას ნიშნავს, როცა ვემყარებით აკუსტიკური ხატის

კავშირს ცნებასთან, ამით ვამტკიცებთ იმას, რაც შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ გარკვეული დოზით და მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიქმნის აზრს სინამდვილეზე. მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში არ გამოვხატავთ ლინგვისტურ ფაქტს მთელი არსითა და სისრულით.

§3. ლინგვისტური ღირებულება, განხილული მატერიალური მხრიდან

თუ ღირებულების კონცეპტუალური მხარე მხოლოდ და მხოლოდ ენის სხვა ელემენტებთან მიმართებისა და განსხვავებებისგან შედგება, იგივე შეიძლება ითქვას მისი მატერიალური მხარის მიმართაც. სიტყვაში არსებითია არა ბგერა თავისთავად, არამედ ფონეტიკური განსხვავებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მოცემული სიტყვა განვასხვავოთ სხვა სიტყვებისგან, რადგან სწორედ ეს განსხვავებებია მნიშვნელობის მატარებელი.

შეიძლება უცნაურიც მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასეა. რადგან არ არსებობს ბგერითი ხატი, რომელიც სხვაზე უკეთ შეესატყვისება იმას, რაც მან უნდა გამოხატოს, იმთავითვე ნათელია, რომ საბოლოოდ ნებისმიერი ენობრივი მონაკვეთი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ საკუთარ დაუმთხვევლობას სხვებთან. ნებისმიერობა და დიფერენციალურობა ორი კორელაციური თვისებაა.

ენობრივი ნიშნების ცვალებადობა ცხადად გვიჩვენებს ამ კორელაციურობას. a და b მიმართების თითოეული წევრი ინარჩუნებს თავისუფლებას შეიცვალოს ნიშნობრივი ფუნქციისგან დამოუკიდებელი კანონების მიხედვით სწორედ იმიტომ, რომ a-სა და b-ს თავისთავად არ შეუძლიათ შეაღწიონ ცნობიერების სფეროში, რომელიც მუდამ მხოლოდ განსხვავებას ამჩნევს a-სა და b-ს შორის. ჩეხური ენის მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ზენ ფორმას არავითარი პოზიტიური ნიშანი არ გააჩნია (გვ. 92), მიუხედავად ამისა, ფორმათა წყვილი žena : žen ისევე კარგად ფუნქციონირებს ენაში, როგორც ისტორიულად მისი წინამორბედი წყვილი žena : žen; ეს იმიტომ, რომ ენაში მთავარია მხოლოდ განსხვავება ერთი ნიშნისა მეორისგან: ფორმას žena მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი სხვა ფორმისაგან განსხვავდება.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითს, რომელიც კიდევ უკეთ დაგვანახებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სისტემატურობა ბგერითი განსხვავებების ფუნქციონისას. ბერძნულ ენაში ἐφήμι იმპერფექტია, ხოლო ἔστημι — აორისტი, თუმცა, ეს ფორმები იდენტურად არიან ნაწარმოები. ეს ხდება იმიტომ, რომ პირველი ეკუთვნის თხრობითი კილოს ანმყო დროის სისტემას, phēmi („ვლაპარაკობ“), მაშინ როცა ანმყო დრო *stēmi არ არსებობს; სწორედ მიმართება phēmi-éphēmi შეესაბამება მიმართებას ანმყო დროსა და იმპერფექტს შორის (იხ. defiknūmi „ვაჩვენებ“: edefiknūn „ვაჩვენებდი“ და ა.შ.). ამრიგად, მოყვანილი ნიშნები ფუნქციობენ არა თავიანთი შინაგანი ღირებულების გამო, არამედ სისტემის სხვა წევრების მიმართ თავიანთი დამოკიდებულების ძალით.

ამასთანავე, შეუძლებელია, რომ მატერიალური ელემენტი — ბგერა — თავისთავად ენას ეკუთვნოდეს. იგი ენისთვის მხოლოდ მეორადი რამ არის, გამოყენებული მასალაა. ყველა პირობით ღირებულებას ახასიათებს თვისება, არ აირიოს აღქმად ელემენტში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის საყრდენს წარმოადგენს. ასე მაგალითად, მონეტის ღირებულებას მეტალი როდი განაპირობებს. ვერცხლის ეკიუ, რომლის ნომინალური ღირებულება 5 ფრანკია, აღნიშნული თანხის ნახევრის ღირებულების ვერცხლს შეიცავს. მასზე ამოკვეთილი გამოსახულების შესაბამისად, იგი მიმოქცევის პოლიტიკური საზღვრების მიხედვით მეტი ან ნაკლები ეღირება. ეს კიდევ უფრო მართებულია აღმნიშვნელის მიმართ ენაში, რომელიც თავისი არსით სულაც არაა ბგერადი. იგი იქმნება არა მატერიალური სუბსტანციისაგან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ განსხვავებებისაგან, რომლებიც მიჯნავენ მის აკუსტიკურ ხატს ყველა სხვა აკუსტიკური ხატებისაგან.

ეს პრინციპი იმდენად არსებითია, რომ ენის ყველა მატერიალურ ელემენტს მიესადაგება, ფონემების ჩათვლით. ყოველი ენა აგებს სიტყვებს ბგერითი ელემენტების თავისი სისტემის ბაზაზე, რომელთაგან თითოეული მკვეთრად გამიჯნული ერთეულია და მათი რაოდენობაც საკვებით განსაზღვრულია. თითოეულ მათგანს ახასიათებს არა მისთვის ნიშანდობლივი პოზიტიური ხარისხი, როგორც ეს შეიძლებოდა გვეფიქრა, არამედ ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთში არ აირვეიან. ფონემები, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთდაპირისპირებადი, მიმართებითი და უარყოფითი არსობებია.

ამის დამადასტურებელია მოლაპარაკე ინდივიდის თავისუფლება ბგერის წარმოქმნისას, თუკი დაცული იქნება ის საზღვრები, რომლებითაც მოცემული ბგერა ემიჯნება სხვა ბგერებს. ასე მაგალითად, ფრანგულ ენაში ველარული r-ს გამოთქმის დამკვიდრებული ჩვევა ბევრს ხელს არ უშლის, წარმოთქვას იგი მთრთოლად. ამით ენა სულაც არ ზიანდება. იგი მხოლოდ განსხვავებას მოითხოვს და არა იმას, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, ყოველ ბგერას უცვლელი თვისება რომ გააჩნდეს. მე შემიძლია ფრანგული r ისევე გამოვთქვა, როგორც გერმანული ch სიტყვებში Bach, doch და ა.შ., მაგრამ გერმანულში ch-ს მაგიერ r-ს ვერ ვიტყვით, რადგან ენას ორივე ეს ელემენტი აქვს და ისინი უნდა განსხვავდებოდნენ. ასევე რუსულშიც, დაუმშვენებელი ერთნაირად წარმოვთქვამთ t და t' (რბილი t), რადგან ეს გამოიწვევდა ენის ორი განსხვავებული ბგერის აღრევეას (govorit „ლაპარაკობს“ და govorit' „ლაპარაკი“), მაგრამ შეიძლება გარკვეული გადახრა დავუშვათ th-სკენ (ფშვინვიერი t), რადგან ეს ბგერა რუსული ენის ფონემათა სისტემაში არ გვხვდება.

რამდენადაც ასეთივე ვითარება შეინიშნება ნიშანთა სხვა სისტემებშიც, კერძოდ, დამწერლობაში, ამ საკითხის გასაშუქებლად ჩვენ შეგვიძლია იგი შესაძარებლად გამოვიყენოთ. მართლაც:

1. დამწერლობის ნიშნებს თავისუფლება ახასიათებს. მაგალითად, ასო t-სა და მის მიერ აღნიშნულ ბგერას შორის არავითარი შინაგანი კავშირი არ არსებობს.

2. ასოების ღირებულება ნეგატიური და დიფერენციალურია. ერთმა და იმავე ინდივიდმა t შემდეგი ვარიაციებით შეიძლება დაწეროს:

t A t

არსებითაა მხოლოდ ის, რომ იგი l, d ან რომელიმე სხვა ბგერის დაწერილობაში არ აირჩოს.

3. ღირებულებებს დამწერლობაში ძალა აქვთ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს განსაზღვრული სისტემის ფარგლებში, რომელიც შედგება ასოთა განსაზღვრული რაოდენობისაგან. ეს თვისება თუმცა არ თანხვდება მე-2 პუნქტში ფორმულირებულ თვისებას, მაინც მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, რადგან ორივენი დამოკიდებულნი არიან პირველზე. რამდენადაც გრაფიკული ნიშანი თავისუფალია, მის ფორმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, უფრო სწორად, მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ სისტემის მიერ დადგენილი საზღვრების ფარგლებში.

4. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნიშნისათვის ნიშნის დასაწერად გამოყენებულ საშუალებას, რადგან იგი სისტემას არ ეხება (ეს პირველი თვისებიდან გამომდინარეობს): მე შემიძლია ასოები თეთრად ან შავად, რელიეფურად ან ამოკვეთილი დაწერო, კალმით გამოვსახო ან საჭრეთლით ამოვჭრა, ეს ასოების მნიშვნელობას ვერ შეცვლის.

§4. ნიშანი, განხილული მთლიანობაში

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ენაში არაფერია განსხვავებათა გარდა. უფრო მეტიც: განსხვავება ზოგადად გულისხმობს მიმართებათა პოზიტიური წევრების არსებობას, რომელთა შორისაც ეს მიმართება მყარდება. მაგრამ, ენაში გვაქვს მხოლოდ განსხვავებები ცალკეულ პოზიტიურ წევრთა გარეშე. აღსანიშნავი ავიღებთ თუ აღმნიშვნელს, ენაში არ გვექნება არც ცნებები და არც ბგერები, რომლებიც ენობრივი სისტემისაგან დამოუკიდებლად იარსებებდნენ. არსებობს მხოლოდ ამ სისტემიდან გამომდინარე აზრობრივი და ბგერითი განსხვავებები. ნიშანში მოცემული ცნება და ბგერითი მასალა ნაკლებმნიშვნელოვანია ვიდრე ის, რაც მის ირგვლივ, სხვა ნიშნებშია მოცემული. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სისტემის წევრის ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მისი მნიშვნელობისა თუ ბგერადობის შეუცვლელად, მხოლოდ და მხოლოდ იმის შედეგად, რომ სისტემის მომიჯნავე წევრმა განიცადა ცვლილება (გვ. 122).

იმის მტკიცება, რომ ენაში ყველაფერი უარყოფითია, სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ აღსანიშნულს და აღმნიშვნელს. თუ ნიშანს მთლიანობაში განვიხილავთ, უთუოდ რაღაც პოზიტიურის წინაშე აღმოვჩნდებით. ენობრივი სისტემა არის რიგი ბგერითი სხვაობებისა, რომლებიც დაკავშირებულია ცნებათა სხვაობების რიგთან.

აკუსტიკური ნიშნების გარკვეული როდენობის ამგვარი შეპირისპირება აზრობრივ მასაში გამოყოფილ მონაკვეთთა შესაბამის რაოდენობასთან წარმოქმნის ღირებულებათა სისტემას. ღირებულებათა სწორედ ეს სისტემა ქმნის ყოველი ენობრივი ნიშნის შიგნით არსებულ კავშირს ბგერით და ფსიქიკურ ელემენტებს შორის. თუმცა, ცალ-ცალკე აღებული, აღსანიშნული და აღმნიშვნელი დიფერენციალური და ნეგატიური ღირებულებებია, მათი კავშირი პოზიტიური ფაქტია. მეტიც: იგი ენაში არსებული ფაქტების ერთადერთი სახეობაა, რადგან ენობრივი მექანიზმის ძირითად თვისებას განსხვავებათა ამ ორ სახეობას შორის პარალელიზმის არსებობა წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ზოგი დიაქრონიული ფაქტი: ეს იმ მრავალრიცხოვან შემთხვევათაგანია, როცა აღმნიშვნელის ცვლილება ინვეს ცნების ცვლილებას, საიდანაც ჩანს, რომ ძირითადად, განსხვავებულ ცნებათა ჯამი განმასხვავებელ ნიშანთა ჯამს შეესაბამება. როცა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ხდება ორი ელემენტის აღრევა (მაგ. ფრანგული *décépité* = ლათ. *decrepitus* და ფრანგული *décépité* ლათ. *crispus*), მაშინ, თუ არსებული მონაცემები ხელს შეუწყობს, ცნებაც ავლენს ტენდენციას აღრევისაკენ. მაგრამ, თუ ცალკეული სიტყვა დიფერენციაციას განიცდის (როგორც მაგ. ფრანგული *chaise* „სკამი“ და *chaire* „კათედრა“)? ასეთ შემთხვევაში წარმოქმნილ განსხვავებას უთუოდ ექნება ტენდენცია ღირებული გახდეს, რაც არც მუდამ და არც ერთბაშად არ ხორციელდება. პირიქით, აზროვნების მიერ შემჩნეული ნებისმიერი კონცეპტუალური განსხვავება ცდილობს სხვადასხვა აღმნიშვნელში გამოვლინდეს, ხოლო ორი ცნება, რომლებსაც გონება ვერ ასხვავებს, ერთ აღმნიშვნელში გაერთიანებისკენ მიისწრაფის.

თუ ერთმანეთს ვადარებთ ნიშნებს, როგორც სისტემის პოზიტიურ წევრებს, ლაპარაკია სულ სხვა ხასიათის განსხვავებაზე, რომელიც სხვადასხვაგვარობაზე არ მიუთითებს. ეს გამოთქმა („სხვადასხვაგვარობა“) აქ მთლად შესაფერისი არაა. იგი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ორი აკუსტიკური ხატის *père* და *mère* ან კიდევ ორი ცნების, „მამა“ და „დედა“-ს შედარებისას. ორი ნიშანი, რომელთაგან თითოეული შეიცავს აღსანიშნულს და აღმნიშვნელს, განსხვავებულია და არა სხვადასხვა, მათ შორის მხოლოდ ოპოზიციანია. მთელი ენობრივი მექანიზმი, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი, ამ ტიპის ოპერაციებსა და მათგან გამომდინარე ბგერითს და აზრობრივ განსხვავებებს ემყარება.

რაც მართებულია ღირებულებასთან მიმართებით, მართებულია ერთეულის მიმართაც (გვ. 117). იგი წარმოადგენს მეტყველების ჯაჭვის მონაკვეთს, რომელიც გარკვეულ ცნებას შეესაბამება. ამასთან, ერთიცა და მეორეც წმინდა დიფერენციალური ბუნებისაა.

ერთეულის მიმართ დიფერენციაციის პრინციპი ასე ჩამოვყალიბოთ: ერთეულის ნიშან-თვისებები თვით ერთეულს შეერწყმის. ენაში, ისევე, როგორც მთელ სემიოლოგიურ სისტემაში, ნიშანი შედგება მხოლოდ იმისგან, რაც მას სხვა ნიშნებისგან განასხვავებს. განსხვავება ქმნის განმასხვავებელ თვისებას, აგრეთვე ღირებულებასა და ერთეულსაც.

ამ პრინციპებიდან კიდევ ერთი პარადოქსული შედეგი გამოიძი-
ნარეობს: ე.წ. „გრამატიკული მოვლენა“ საბოლოოდ, ერთეულის გან-
საზღვრას შეესაბამება, რადგან იგი ყოველთვის სისტემის წევრთა
დაპირისპირებას გამოხატავს. მოცემულ შემთხვევაში ეს ოპოზიცია
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგ. მრ.რიცხვის წარმოების ისეთი
ფორმა გერმანულში, როგორცაა *Nacht* („ღამე“) : *Nächte* („ღამეები“). ამ
გრამატიკული შეპირისპირების თითოეული წევრი (მხ. რიცხვი უმლაუტისა
და ბოლოკიდური -e-ს გარეშე, საპირისპიროდ მრ. რიცხვისა, სადაც
უმლაუტიცა გვაქვს და ბოლოკიდური -e-ც) მიღებულია მთელი რიგი
ურთიერთმოქმედი დაპირისპირებებისაგან სისტემის ფარგლებში: ცალკე
აღებული არც *Nacht* და არც *Nächte* არაფერს ნიშნავს, მაშასადამე, მთელი
არსი დაპირისპირებაშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართება *Nacht:Nächte*
შეიძლება გამოიხატოს ალგებრული ფორმულით *a/h* სადაც *a* და *h* ფარდობის
უბრალო წევრები კი არაა, არამედ თითოეული მათგანი მიმართებათა
ერთობლიობისგანაა წარმოქმნილი. ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთი
ალგებრაა, რომელშიაც სისტემის მხოლოდ რთული წევრები მონაწილეობენ.
მასში არსებულ დაპირისპირებათა შორის ზოგი უფრო მნიშვნელოვანია,
ვიდრე სხვა, მაგრამ „ერთეული“ და „გრამატიკული მოვლენა“ სხვადასხვა
სახელწოდებებია, აღმნიშვნელი ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა
ასპექტისა — კერძოდ — ენობრივ დაპირისპირებათა მოქმედებისა. ეს
იმდენად ჭეშმარიტია, რომ ერთეულის პრობლემის შესწავლა შეიძლება
გრამატიკული ფაქტების შესწავლით დაგვეწყოს. ამ შემთხვევაში
შეპირისპირება *Nacht : Nächte*-ს დადგენისას უნდა დავინტერესებულიყავით
ამ შეპირისპირებაში მონაწილე ერთეულებით, რა მონაწილეობს მასში,
მხოლოდ მოცემული ორი სიტყვა თუ მთელი რიგი მსგავსი სიტყვები, ან
კიდევ *a* და *h*, თუ ორივე რიცხვის ყველა ფორმა და ა.შ.

ენობრივი ნიშნები განსხვავებათა გარდა სხვა რამისგან რომ
შედგებოდნენ, ერთეული და გრამატიკული მოვლენა ერთმანეთს ვერ
დაფარავდა. მაგრამ, ენა ისეა მოწყობილი, რომ საიდანაც არ უნდა მიუდგე,
მარტივს ვერაფერს წააწყდები, მუდამ და ყველგან იგი წარმოგვიდგება
როგორც რთული წონასწორობა სისტემის ურთიერთგანპირობებული
წევრებისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია
(იხ. გვ. 119). საჭიროა რაც შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ ეს ჭეშმარი-
ტება, რადგან ჩვენი ტერმინოლოგიის ყველა ცთომილება, ენობრივ მოვლე-
ნათა ყველა არაზუსტი დახასიათება იმ უნებლიე დაშვებიდან
მომდინარეობს, რომ ენობრივ მოვლენაში რაღაც სუბსტანცია უნდა
არსებობდეს.

თავი V

სინტაგმატური და ასოციაციური მიმართულებანი

§1. განსაზღვრა

ამრიგად, ენის ყოველ მოცემულ მდგომარეობაში ყველაფერი მიმარ-
თებებს ემყარება. რას წარმოადგენენ ეს მიმართებები?

მიმართებანი და განსხვავებანი ენობრივი სისტემის წევრებს შორის ორ
სხვადასხვა სფეროში ექცევიან. თითოეული მათგანი წარმოქმნის ღირებუ-
ლებათა განსაზღვრულ რიგს. ღირებულებათა ამ ორი რიგის დაპირისპირება
უკეთ დაგვანახვებს თითოეული მათგანის ბუნებას. ისინი შეესაბამებიან ჩვენი
გონებრივი ქმედების ორ სფეროს, რომლებიც თანაბრად აუცილებელი არიან
ენის არსებობისთვის.

ერთი მხრივ, სიტყვები ეჯაჭვებიან რა ერთმანეთს, ქმნიან
მიმართებებს, რომლებიც დაფუძნებულია მეტყველების ხაზოვან ბუნებაზე,
რომელიც გამორიცხავს ორი ელემენტის ერთდროულად წარმოქმნის შესაძ-
ლებლობას (იხ. გვ. 77). მეტყველების ჯაჭვში ეს ელემენტები ერთმანეთს
მოსდევენ. ამ შეხამებებს, რომლებსაც საყრდენად აქვთ განფენილობა,
შეიძლება სინტაგმები ვუწოდოთ.¹ ამდენად, სინტაგმა ყოველთვის ორი ან
მეტი ურთიერთმომდევნო ერთეულისგან შედგება (მაგ. *re-lire* „გადა-კითხვა“,
contre tous „ყველას წინააღმდეგ“, *la vie humaine* „ადამიანის ცხოვრება“, *Dieu*
est bon „ღმერთი კეთილია“, *s'il fait beau temps nous sortirons* „თუ კარგი ამინდი
იქნება, გავისეირნებთ“ და ა.შ.). სინტაგმის წევრი ღირებულებას იძენს
წინამავალ ან მომდევნო წევრთან, ან ორივესთან შეპირისპირების ძალით.

მეორე მხრივ, მეტყველების მიღმა, სიტყვები, რომლებსაც რაღაც
საერთო აქვთ ერთმანეთთან, მეხსიერებაში ასოცირდებიან და ქმნიან ჯგუ-
ფებს, რომლებშიც სხვადასხვაგვარი მიმართებები იჩენს თავს. მაგ. სიტყვა
enseignement („სწავლება“) მოგვაგონებს მთელ რიგ სიტყვებს — *enseigner*
(„სწავლება“), *renseigner* („კვლავ სწავლება“) და ა.შ. ან კიდევ *armement*
(„შეიარაღება“), *changement* („ცვლილება“) და სხვ. ან *éducation* („აღზრდა“),
apprentissage („შეგირდობა“) და სხვ., რომელთაც რაღაც საერთო გააჩნიათ.

როგორც ვხედავთ, ეს მიმართებები სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ისინი,
რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი. ისინი არ ემყარებიან განფენილობას,
მათი ლოკალიზაცია ხდება ტვინში და ყოველი ინდივიდის გონებაში დაფლულ
იმ განძს წარმოადგენენ, რომელსაც ენა ეწოდება. ჩვენ მათ ასოციაციურ
მიმართებებს ვუწოდებთ.

¹ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ სინტაგმის შესწავლა სინტაქსში არ უნდა აკვერიოს.
როგორც გვ. 141-ზე დავინახავთ, იგი მხოლოდ სინტაქსის ნაწილია (გამომცემლები).

სინტაგმატური მიმართება ყოველთვის სახეზეა წარმოდგენილი. იგი ემყარება მიმართების ორ ან რამდენსამე წევრს, რომლებიც აქტუალური თანმიმდევრობის სახით არის მოცემული. ასოციაციური მიმართება კი პირიქით, ამ მიმართების წევრებს *in absentia*, მნემონიურ, ვირტუალურ რიგში აერთიანებს.

ამ ორი ტვალსაზრისით განხილული ენობრივი ერთეული შეიძლება შენობის გარკვეულ ნაწილს, მაგ. სვეტს შევადაროთ; ერთი მხრივ, იგი გარკვეულ მიმართებაშია არქიტრაფთან, რომელსაც იგი ებჯინება და ამ ორი ერთეულის მიმართება სინტაგმატურ მიმართებას მოგვაცოცხლებს. მეორე მხრივ, თუ სვეტი დორიულია, იგი ცნობიერებაში ნამოტივტივებს სხვა ტიპის სვეტებთან (იონურთან, კორინთულთან და ა.შ.), ანუ ისეთ ელემენტებთან ასოციაციას, რომლებიც მოცემულ სივრცეში არ იმყოფებიან. ეს ასოციაციური მიმართებაა.

თითოეული ამ მიმართებათაგანი გარკვეულ შენიშვნას საჭიროებს.

§2. სინტაგმატური მიმართება

129-ე გვერდზე მოყვანილი მაგალითები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სინტაგმის ცნება არა მხოლოდ სიტყვებისთვის გამოიყენება, არამედ შესიტყვებების, ნებისმიერი სიგრძის რთული ერთეულებისთვისაც (მაგ. რთული სიტყვები, წარმოებულნი, წინადადების წევრები, მთელი წინადადება).

საკმარისი არაა განვიხილოთ მიმართება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სინტაგმის ცალკეულ ნაწილებს (მაგ. *contre* „წინააღმდეგ“ და *tous* „ყველა“ სინტაგმაში *contre tous* „ყველას წინააღმდეგ“ და *maître* „ოსტატი“ სინტაგმაში *contremaître* „უფროსი ოსტატი“). გასათვალისწინებელია ის მიმართებაც, რომელიც აკავშირებს მთელს მის შემადგენელ ნაწილებთან (მაგ. *contre tous*-ს ერთი მხრივ *contre*-თან, მეორე მხრივ კი *tous*-თან შეპირისპირებით; ანდა *contremaître*-ს *contre*-სა და *maître*-თან შეპირისპირებით).

აქ შეიძლება შეგვედავონ: წინადადება ხომ სინტაგმის ტიპური გამოვლენაა, მაგრამ იგი მეტყველებს მიეკუთვნება და არა ენას (გვ. 25). აქედან ის ხომ არ გამომდინარეობს, რომ სინტაგმაც მეტყველების სფეროს განეკუთვნება? ჩვენი აზრით ასე არაა. მეტყველების დამახასიათებელი თვისება კომბინირების თავისუფლებაა. ნამოიჭრება საკითხი: არის კი ყველა სინტაგმა ერთნაირად თავისუფალი?

ჯერ ერთი, გამონათქვამთა დიდი რაოდენობა ენის საკუთრებაა. ეს გამონათქვამები მზამზარეული სახით გვხვდება და ჩვევა კრძალავს რისამე შეცვლას მაშინაც კი, როცა მათში მნიშვნელობის მქონე ელემენტები გამოიყოფა (მაგ. *à quoi bon* „რატომ“, *allons donc!* „მაშ, მიდი“ და ა.შ.). იგივე ითქმის, ოღონდ ცოტა ნაკლები ზომით, ისეთ გამოთქმებზე, როგორცაა *prendre la mouche* („წვირლმანებზე გაბრაზება“), *forcer la main à qn.* („იძულება რაიმე გააკეთოს“), *rompre une lance* („შერკინება“) ან *avoir mal (à la tête)*

(„(თავის) ტკივილი“) და ა.შ., *à force de soins* („ზრუნვის შედეგად“), *que vous en semble?* („რა აზრისა ხართ ამაზე“), *pas n'est besoin de* („არავეთარი საჭიროება არაა“) და ა.შ. მათი უზუალური ხასიათი მათსავე მნიშვნელობის თავისებურებიდან ან სინტაქსიდან გამომდინარეობს. ასეთი გამოთქმების იმპროვიზაცია შეუძლებელია, მათ ტრადიცია მზა სახით გადმოგვცემს. შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი სიტყვებიც, რომლებიც, თუმცა სავესებით ექვემდებარებიან ანალიზს, მხოლოდ ჩვევის გამო ხასიათდებიან გარკვეული მორფოლოგიური ანომალიით (მაგ. *difficulté* „სიძნელე“ — *facilité* „სიადვილე“ და ა.შ., *mourrai* „მოვკვდები“ და *dormirai* „დავიძინებ“ და ა.შ.).

მაგრამ, ამით ყველაფერი არ მთავრდება. ენას და არა მეტყველებას უნდა მივაკუთვნოთ ყველა ტიპის სინტაგმა, რომლებიც აგებულია გარკვეული წესების მიხედვით. რადგან ენაში აბსტრაქტული არაფერია, ეს ტიპები მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებენ, თუ ენაში საკმაო რაოდენობით იქნებიან რეგისტრირებულნი. როცა მეტყველებაში ჩნდება ისეთი სიტყვა, როგორცაა მაგ. *indécorable* („შემოკობელი“) (გვ. 174), იგი განსაზღვრული ტიპის არსებობას გულისხმობს. ამ უკანასკნელის არსებობა კი, თავის მხრივ, ენაში არსებული მსგავსი სიტყვების სათანადო რაოდენობის არსებობითაა განპირობებული (*impardonnable* „არასაპატიო“, *intolérable* „შეუწყნარებელი“, *infatigable* „დაუღლელი“ და ა.შ.). იგივე შეიძლება ითქვას გარკვეული ნიმუშის მიხედვით შექმნილ წინადადებებსა და შესიტყვებებზე. ისეთი შესიტყვებები, როგორცაა *la terre tourne* („დედმინა ბრუნავს“), *que vous dit-il?* („რა გითხრათ მან“) და ა.შ. შეესატყვისებიან გავრცელებულ ტიპებს, რომლებიც ენის საკუთრებას წარმოადგენენ და დაცულნი არიან მოლაპარაკე ინდივიდების მეხსიერებაში.


უნდა ვაღიაროთ, რომ სინტაგმის სფეროში არ არსებობს მკვეთრი ზღვარი კოლექტიური ჩვევით დადგენილ ენობრივ ფაქტსა და ინდივიდუალურ თავისუფლებაზე დამოკიდებულ მეტყველების ფაქტს შორის. მეტწილ შემთხვევაში ძნელია მოცემული კომბინაცია ამა თუ იმ სფეროს მივაკუთვნოთ, რადგან მის შექმნაში მონაწილეობდა ორივე ფაქტორი და თითოეული მათგანის წვლილის დადგენა ძნელია.

§3. ასოციაციური მიმართება

ჩვენს ცნობიერებაში ასოციაციით წარმოქმნილი ჯგუფები არ იფარგლებიან მიმართებათა იმ წევრების დაახლოებით, რომლებსაც რაღაც საერთო აქვთ ერთმანეთთან. გონება ყოველ მოცემულ შემთხვევაში წვდება მათ დამაკავშირებელ მიმართებათა ხასიათსაც და იმდენ ასოციაციურ რიგს ქმნის, რამდენგვარი მიმართებაც არსებობს: ასე მაგალითად, სიტყვებში *enseignement* („სწავლება“ არს. სახ.), *enseigner* („სწავლება“ ზმნა) *enseignons* („ვასწავლოთ“) და ა.შ. არსებობს მიმართების ყველა წევრისთვის საერთო ელემენტი — ძირი. მაგრამ, იგივე სიტყვა *enseignement* შეიძლება მოხვდეს სხვა რიგში, რომელსაც ახლა უკვე სხვა ელემენტი — სუფიქსი — გააერთიანებს: *enseignement* („სწავლება“), *armement* („შეიარალება“), *changement* („ცვლილება“) და ა.შ. ასოციაცია შეიძლება მხოლოდ აღსანიშნათა მსგავსებასაც ემყარებოდეს

(enseignement „სწავლება“, instruction „ინსტრუქტირება“, apprentissage „შეგირდობა“ éducation „აღზრდა“ და ა.შ.), ანდა პირიქით, მხოლოდ აკუსტიკურ ხატთა მსგავსებას (მაგ. enseignement „სწავლება“ და justement „სამართლიანად“)¹. ამრიგად, საქმე გვაქვს ან ორმაგ ერთობასთან აზრისა და ფორმის მიხედვით, ან კიდევ ფორმის ან აზრის მიხედვით ერთობასთან. ნებისმიერ სიტყვას შეუძლია გაგახსენოს ის, რაც ასე თუ ისე ასოცირდება მასთან.

მაშინ, როცა სინტაგმა უმაღლეს ნარმოდგენას ერთმანეთის მონაცვლე ელემენტების თანმიმდევრობასა და განსაზღვრულ რაოდენობაზე, ასოციაციური ჯგუფის შემადგენელი წევრები ცნობიერებაში არც განსაზღვრული რაოდენობით და არც განსაზღვრული რიგით არაა მოცემული. თუ შევკრებთ ასოციაციური რიგის ისეთ წევრებს, როგორებიცაა désir-eux („მსურველი“), chaleur-eux („მსურვალე“) და ა.შ. შეუძლებელია წინასწარ ვთქვათ რამდენ სიტყვას და რა თანმიმდევრობით მოგვანვდის მესხიერება: ჯგუფის ნებისმიერი წევრი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი ცენტრი თანავარსკვლავედისა, წერტილი, რომელშიც თავს იყრიან სხვა, მასთან კოორდინირებული ჯგუფის წევრები, რომელთა რაოდენობაც განუსაზღვრელია.



¹ ეს უკანასკნელი შემთხვევა იშვიათია და უჩვეულოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან გონება, ბუნებრივია, ერიდება ასოციაციებს, რომლებსაც შეუძლიათ მეტყველების აზრი გააბუნდოვანონ. მაგრამ, მისი არსებობა დასტურდება სიტყვათა თამაშის მოვლენებით, რომლებიც აბსურდულ აღრევებს ემყარება. ეს აღრევები შეიძლება ომონიმით იყოს გამოწვეული. მაგ., როცა ამბობენ les musiciens produisent les sons et les grainetiers les vendent „მუსიკოსები ქმნიან ბგერებს / ქატოს და მარცვლეულის გამყიდველები მას ყიდიან“. ეს მოვლენა უნდა განვასხვავოთ იმათგან, როცა ასოციაცია, თუნდაც შემთხვევით, შესაძლოა აზრობრივ სახლოვეს ემყარებოდეს (შდრ. ფრანგული ergot „მამლის დეზი“: ergoter „შარის მოდება“, „ახირება“; გერმანული blau „ლურჯი“: durchblauen „გალახვა“). აქ საქმე ეხება წყვილულის ერთ-ერთი წევრის ახლებურ ინტერპრეტაციას. ესაა ხალხური ეტიმოლოგიის შემთხვევა (იხ. გვ. 181). ეს ფაქტი საინტერესოა სემანტიკური ევოლუციის თვალსაზრისით; სინქრონული თვალსაზრისით კი იგი ხვდება ზემოთ ხსენებულ კატეგორიაში enseigner: enseignement (გამომცემლები).

ასოციაციური რიგის ორი თვისებიდან, როგორცაა თანმიმდევრობის განუსაზღვრელობა და რაოდენობის განუსაზღვრელობა, მხოლოდ პირველია ყოველთვის ნარმოდგენილი, მეორე — რაოდენობის განუსაზღვრელობა კი შეიძლება არ გვქონდეს, როგორც მაგალითად, ამას ადგილი აქვს ასოციაციური რიგისათვის დამახასიათებელ ისეთ ტიპში, როგორიცაა ბრუნების პარადიგმა. ლათინურში გვაქვს ასოციაციური ჯგუფი dominus, domini, dominō და ა.შ., რომელიც ნარმოქმნილია საერთო ელემენტით — სახელადი ფუძით domin-, მაგრამ, ეს რიგი, ისევე როგორც enseignement, changment და ა.შ. უსაზღვრო არაა. ბრუნვათა რიცხვი განსაზღვრულია. მათი თანმიმდევრობა ფიქსირებული არაა და დაჯგუფება გრამატიკოსის ნებასურვილზეა დამოკიდებული. მოლაპარაკე ინდივიდთა ცნობიერებაში სახელობითი ბრუნვა ბრუნების პირველი ბრუნვა სულაც არაა და პარადიგმის წევრებიც სრულიად შემთხვევით შეიძლება იქნენ განანილებულნი.

თავი VI

ენობრივი მიქანიზმი

§1. სინტაგმატური ურთიერთდაამოკიდებულება

ბევრით და აზრობრივ სხვაობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოშობს ენას, არის შედეგი ორგვარი შედარებისა — ასოციაციურის და სინტაგმატურისა. ორივე სახის დაჯგუფება მნიშვნელოვან წილად თვით ენის მიერ არის ნაგულისხმევი. მიმართებათა ასეთი ერთობლიობა შეადგენს ენას და განსაზღვრავს მის ფუნქციონირებას.

ამ ორგანიზაციაში ის, რაც პირველ ყოვლისა თვალში გვეცემა, სინტაგმატური ურთიერთდაამოკიდებულებებია. თითქმის ყოველი ენობრივი ერთეული დამოკიდებულია ან მეტყველებაში მის გარემომცველ ერთეულებზე, ან კიდევ იმ ნაწილებზე, რომლებიც განაჯივს ის შედეგება.

ამის მაგალითია სიტყვათწარმოება. ისეთი ერთეული, როგორცაა *désireux* („მსურველი“) იყოფა ორ ქვეერთეულად: *désir+eux*. ეს არაა ერთმანეთს მიმატებული ორი დამოუკიდებელი ნაწილი, არამედ ერთიანობაა ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისა, რომელთაც ღირებულება აქვთ მხოლოდ უფრო მაღალი რანგის ერთეულში ურთიერთქმედების წყალობით (*désir x eux*). სუფიქსი *eux* თავისთავად არ არსებობს. მას ადგილი ენაში მიეჩინება მთელი რიგი ისეთი სიტყვების არსებობით, როგორცაა *chaleur-eux* („მზურვალე“, „მგზნებარე“), *chanc-eux* („ილბლიანი“) და ა.შ. თავისთავად აღებული, არც სიტყვის ძირია დამოუკიდებელი, ისიც მხოლოდ სუფიქსთან კომბინაციის ძალით არსებობს. სიტყვაში *roul-is* („რყევა“) ელემენტი *roul-* მომდევნო სუფიქსის გარეშე არაფერს ნიშნავს. მთელის ღირებულება განსაზღვრულია შემადგენელი ნაწილებით, ნაწილებისა კი — მათი ადგილით მთლიანობაში. ამიტომაც, ნაწილის მთელისადმი სინტაგმატური მიმართება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნაწილებისა ერთმანეთის მიმართ.

ესაა სწორედ ის ძირითადი პრინციპი, რომელიც მულაუნდება ზემოთ ჩამოთვლილ სინტაგმათა ყველა ტიპში (იხ. გვ. 130). საქმე ეხება უფრო ვრცელ ერთეულებს, რომლებიც უფრო მომცრო ერთეულებიდან შედგებიან და ამასთანავე, ერთნიცა და მეორენიც იმყოფებიან ურთიერთკავშირში, რომელიც ქმნის ერთიანობას.


ცხადია, ენაში ვხვდებით დამოუკიდებელ ელემენტებსაც, რომელთაც არ გააჩნიათ სინტაგმატური მიმართება არც მათ ნაწილებთან და არც სხვა ერთეულებთან, გამონათქვამებს, რომლებიც წინადადების ეკვივალენტურია: *oui* („დიახ“), *non* („არა“), *merci* („გმადლობთ“) და ა.შ. ამის კარგი მაგალითებია.

მაგრამ, ეს გამონაკლისი ფაქტი არასაკმარისია ზოგადი პრინციპის უგულვებელსაყოფად. როგორც წესი, ჩვენ ვლამპარაკობთ არა იზოლირებული ნიშნების, არამედ ნიშანთა ჯგუფების ორგანიზებული სიმრავლეების საშუალებით, რომლებიც, თავის მხრივ, აგრეთვე, ნიშნებს წარმოადგენენ. ენაში ყველაფერი დაიყვანება განსხვავებებზე, ისევე, როგორც დაჯგუფებებზე. ეს მექანიზმი, რომელიც ურთიერთმომდევნო და გარკვეული ფუნქციის მქონე წევრთა მიმართებას წარმოადგენს, მოგვაგონებს მანქანის მუშაობას, რომლის ცალკეული ნაწილებიც ურთიერთქმედებაში იმყოფებიან; განსხვავება ისაა, რომ ამ მექანიზმის ნაწილები ერთ განზომილებაშია მოცემული.


§2. სინტაგმატური და ასოციაციური ჯგუფების ერთდროული მოქმედება

ამგვარად შედგენილი სინტაგმატური ჯგუფები ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. მართლაც, სივრცეში კოორდინაცია ხელს უწყობს ასოციაციური კავშირების შექმნას, რომლებიც აუცილებელია სინტაგმის ნაწილთა ანალიზისთვის.


ავილთ მაგ. *dé-faire* („დანგრევა“, „გამოყოფა“, „დაშლა“). იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტყველების ჯაჭვის შესაბამის ჰორიზონტალურ ღერძზე.



ამავდროულად, მაგრამ სხვა ღერძზე არსებობს ქვეცნობიერებაში დაცული ერთი ან რამდენიმე ასოციაციური რიგი, რომელთაც აქვთ თითო საერთო ელემენტი სინტაგმასთან:



ასევე, ლათინური *quadruplex* („ოთხფეხა“) სინტაგმას წარმოადგენს, რადგან ორ ასოციაციურ რიგს ეყრდნობა:



défaire და quadruplex უფრო დაბალი რიგის ერთეულებად იშლება, ე.ი. ისინი სინტაგმებს წარმოადგენენ. შეუძლებელი იქნებოდა défaire-ის დაშლა dē- ან faire-ის შემცველი სხვა ფორმები რომ გამჭრალიყო ენიდან. იგი მარტივ ერთეულად იქცეოდა და შეუძლებელი იქნებოდა მისი ორი ნაწილის შეპირისპირება.

აქედან, გასაგები ხდება ამ ორმაგი სისტემის ფუნქციონირება მეტყველებლაში.

ჩვენი მეხსიერება ინახავს ყველა მეტ-ნაკლებად რთულ სინტაგმათა ტიპს, რა ხასიათისა და სიგრძისაც არ უნდა იყვნენ ისინი. როგორც კი მათი გამოყენების საჭიროება ჩნდება, არჩევანის განსასაზღვრად მივმართავთ ასოციაციურ ჯგუფებს. როცა ამბობენ marchons! („ვიაროთ“) ქვეცნობიერად სხვა ასოციაციურ ჯგუფებზე ფიქრობენ, რომელთა გადაკვეთის წერტილზეც გვხვდება სინტაგმა marchons! იგი ფიგურირებს ერთი მხრივ, რიგში marche! („იარე“), marchez! („იარეთ“). მათი ოპოზიცია marchons-თან განაპირობებს არჩევანს. მეორე მხრივ, ცნობილია რა უნდა შეიცვალოს თითოეულ რიგში, რომ მივიღოთ ის განმასხვავებელი, რაც ახასიათებს საძიებელ ერთეულს. თუ გამოსახატავ აზრს შევცვლით, საჭიროა სხვა ურთიერთდაპირისპირებანი, რათა წარმოიქმნას სხვა ღირებულებანი, როგორიცაა მაგ. marche ან marchons!

არასაკმარისია თქმა, თითქოს marchons-ს იმიტომ ვირჩევთ, რომ რაც გვსურს იმას გამოხატავსო. სინამდვილეში ცნება უხმობს არა ფორმას, არამედ მთელ დაფარულ სისტემას, რომლის წყალობითაც ვიღებთ საჭირო ნიშანთა შესაქმნელად აუცილებელ დაპირისპირებას. marchons-ის გვერდით რომ არ ყოფილიყო marche! marchez! ზოგი დაპირისპირება მოიხსნებოდა და marchons-ის ღირებულება ipso facto შეიცვლებოდა.

ეს პრინციპი ყველა ტიპის რთულ სინტაგმასა და ფრაზას მიესადაგება. როცა წარმოვთქვამთ წინადადებას que vous dit-il? („რას გეუბნებათ ის თქვენ“) ჩვენ ვცვლით ლატენტური სინტაგმატური ტიპის ერთ-ერთ ელემენტს, მაგ. que te dit-il? („რას გეუბნება ის შენ?“), que nous dit-il? („რას გვეუბნება ის ჩვენ?“) და ა.შ. ჩვენი არჩევანი ჩერდება ნაცვალსახელზე vous. ამრიგად, ოპერაციაში, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გონებაში უარყოფილ იქნას ყოველივე, რასაც არ მივყავართ სასურველ დეფინიციაზე სასურველ წერტილში, მონაწილეობენ როგორც ასოციაციური ჯგუფები, ისე სინტაგმატური ტიპები.

მეორე მხრივ, ფიქსაციისა და არჩევანის ამ მეთოდს ექვემდებარებიან უმცირესი ერთეულებიც, თვით ფონოლოგიური ერთეულებიც კი, როცა მათ ღირებულება გააჩნიათ. ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა ფრანგული petit (ინერება petite „პატარა“), რომელიც pati-ს (ინერება petit „პატარა“) საპირისპიროდ არსებობს, ლათინური Domini („უფლისა“) და Dominō („უფალს“) და ა.შ., სადაც შემთხვევითობის გამო განსხვავება ერთ ფონემას ემყარება, არამედ უფრო ტიპურ და რთულ მოვლენაზე, როცა ფონემა თავისთავად გარკვეულ როლს ასრულებს ენის მოცემული მდგომარეობის სისტემაში. თუ მაგ. ბერძნულში m, p, t და სხვ. არასოდეს არ შეიძლება სიტყვის ბოლოკიდურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი არსებობა-არარსებობა ამა თუ იმ ადგილას მხედველობაში მიიღება სიტყვისა და წინადადების სტრუქტურაში. ყველა ასეთ შემთხვევაში იზოლირებული ბგერა, ისევე, როგორც სხვა ენობრივი ერთეულები, შეირჩევა ორმაგი აზრობრივი შეპირისპირების საფუძველზე: მაგ. შესაძლებაში anma ბგერაჰ სინტაგმატურ მიმართებაშია გარემომცველ ბგერებთან ან ასოციაციურ დაპირისპირებაშია ყველა იმ ბგერასთან, რომელიც შეიძლება გაგვახსენდეს, მაგ.

a n m a
v
d

§3. ნიშნის აბსოლუტური და შედარებითი ნაზისპირობა

ენის მექანიზმი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვა, განსაკუთრებით საინტერესო კუთხითაც.

ნიშნის პირობითობის ძირითადი პრინციპი ხელს არ გვიშლის ყოველ ენაში განვასხვავოთ ის, რაც სავსებით ნებისმიერი, თავისუფალი, ე.ი. არამოტივირებულია და ის, რაც მხოლოდ მეტ-ნაკლებადაა ნებისმიერი. აბსოლუტურად ნებისმიერია ნიშანთა მხოლოდ ერთი ნაწილი. მეორე ნაწილში ვაწყდებით მოვლენებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სხვადასხვა ხარისხის თავისუფლებას. ნიშანი შეიძლება შედარებით მოტივირებულიც იყოს.

მაგ. vingt („ოცი“) არამოტივირებულია, მაგრამ dix-neuf („ცხრამეტი“) არამოტივირებულია ნაკლებად, რადგან იგი მის შემადგენელ და მასთან დაკავშირებულ სიტყვებთან ასოციაციას იწვევს. მაგ. dix („ათი“), neuf („ცხრა“), vingt-neuf („ოცდაცხრა“), soixante-dix („სამოცდაათი“) და ა.შ. ცალკე აღებული dix („ათი“) და neuf („ცხრა“) ისევე არამოტივირებულია, როგორც vingt („ოცი“), მაგრამ dix-neuf შედარებითი მოტივირების ნიმიუს წარმოადგენს. ეგვევითქმის სიტყვაზე poirier („მსხლის ხე“), რომელიც მოგვაგონებს მარტივ სიტყვას poire („მსხალი“), მისი სუფიქსი -ier კი cerisier-ს („ალუბლის ხე“), pommier-ს („ვაშლის ხე“) და ა.შ. სულ სხვა ვითარებაა სიტყვებში frêne („იფანი“),

chêne („მუხა“) და ა.შ. შეადარეთ აგრეთვე სრულიად არამოტივირებული berger („მწყემსი“) და ნაწილობრივ მოტივირებული vacher („ძროხების მწყემსი“), აგრეთვე ისეთი წყვილები, როგორიცაა geñle („ციხე“) და cachot („საკანი“), hache („ნაჯახი“) და couperet („გილიოტინის დანა“), consièrge („კონსიერჟი“) და portier („პორტიე“), jadis („ოდესღაც“) და autrefois („წინათ“), souvent („ხშირად“) და fréquemment („ხშირად“), aveugle („ბრმა“) და boiteux („კოჭლი“), sourd („ყრუ“) და bossu („კუზიანი“), second („მეორე“) და deuxième („მეორე“), გერმ. Laub და ფრანგ. feuillage („ფოთლები“), ფრანგ. métier და გერმ. Handwerk („ხელობა“), ინგლ. მრ. რ. ships („გემები“) თავისი წარმოებით მოგვაგონებს მთელ რიგ სიტყვებს flags („დროშები“), birds („ჩიტები“), books („წიგნები“) და ა.შ., ხოლო men („კაცი“), sheep („ცხვარი“) არაფერს მოგვაგონებს. ბერძნულ ენაში dñs („მეცემ“) გადმოსცემს მომავალი დროის იდეას ნიშნით, რომელიც იწვევს ასოციაციას სიტყვებთან lñsñ, stñsñ, tñpsñ და ა.შ., ხოლო eimi („ნავალ“) სავსებით იზოლირებულია.

ჩვენ არ ვაპირებთ იმ ფაქტორების დაძებნას, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განაპირობებენ მოტივირებას. მოტივირება მით უფრო სრულია, რაც უფრო ადვილია სინტაგმატური ანალიზი და აშკარაა უფრო დაბალი დონის ერთეულთა მნიშვნელობა. მართლაც, თუ ისეთი გამჭვირვალე მანარმოებელი ერთეულები გვაქვს, როგორებიცაა -ier სიტყვებში poir-ier, ceris-ier, pomm-ier და ა.შ., ისეთი სიტყვებიც გვხვდება, რომელთა აზრი ბუნდოვანი ან მნიშვნელობას მოკლებულია. მაგ. რამდენად შეესაბამება სუფიქსი -ot აზრობრივ ელემენტს სიტყვაში cachot? თუ ერთმანეთს შევადარებთ სიტყვებს coutelas („დანა“), fatras („ძველმანების გროვა“), platras („ჩამოყრილი ბათქაში“), canevas („კანვა“) ბუნდოვნად შევიგრძნობთ, რომ -as არსებითი სახელის მანარმოებელი სუფიქსია. უფრო ზუსტად მისი განსაზღვრა ჩვენ არ შეგვიძლია. უნდა ითქვას, რომ უფრო ხელსაყრელ შემთხვევებშიც კი, მოტივაცია არასდროს არაა აბსოლუტური. არა მხოლოდ მოტივირებული ნიშნის ელემენტები არიან თავისთავად ნებისმიერნი (იხ. dix და neuf სიტყვაში dix-neuf), არამედ მთლიანად ნიშნის ღირებულება არ უდრის შემადგენელი ნაწილების ღირებულებათა ჯამს, poir x ier არ უდრის poir+ier (იხ. გვ. 134).

რაც შეეხება თვით მოვლენას, ის აიხსნება წინა პარაგრაფში მოცემული პრინციპების საფუძველზე. შედარებით მოტივირებულის ცნება გულისხმობს: 1. მოცემული ელემენტის ანალიზს, მაშასადამე — სინტაგმატურ მიმართებას; 2. მითითებას ერთს ან რამდენსამე სხვა ელემენტზე, ე.ი. ასოციაციურ კავშირს. ამ მექანიზმის საშუალებით მოცემული ელემენტი გამოსადეგი ხდება მოცემული ცნების გამოსახატავად. აქამდე განვიხილავდით ენობრივ ერთეულებს, როგორც ღირებულებებს, ანუ როგორც სისტემის ერთეულებს და მათ, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთდაპირისპირებაში წარმოვადგენდით. ახლა შევეცდებით შევისწავლოთ მათი

დამაკავშირებელი ერთიანობანი. ეს ერთიანობანი ასოციაციური და სინტაგმატური რიგისანი არიან და ნიშნის თავისუფლებას ზღუდავენ. dix-neuf ასოციაციურად უკავშირდება dix-huit-ს („თვრამეტი“), soixante-dix-ს („სამოცდაათი“) და ა.შ., სინტაგმატურად კი — მის შემადგენელ ელემენტებს dix და neuf-ს (იხ. გვ. 135). ეს ორმაგი მიმართება ანიჭებს მას მისი ღირებულების გარკვეულ ნაწილს.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი, რაც ენას, როგორც სისტემას მიეკუთვნება, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული, კერძოდ — ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის შეზღუდვის თვალსაზრისით, რასაც, სამწუხაროდ, ენათმეცნიერები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ეს კი ყველაზე კარგი საფუძველია კვლევისა. მართლაც, მთელი ენობრივი სისტემა ეფუძნება ნიშნის თავისუფლების ირაციონალურ პრინციპს, რომლის შეზღუდველი გამოყენებაც დიდ სირთულეებთან მიგვიყვანს. მაგრამ, გონება ახერხებს შემოიტანოს წესრიგისა და რეგულარობის პრინციპი ნიშანთა ერთ ნაწილში და სწორედ ამაში ვლინდება ფარდობითი მოტივირებულობის როლი. ენობრივი მექანიზმი აბსოლუტურად რაციონალური რომ იყოს, შესაძლებელი იქნებოდა მისი შესწავლა, როგორც საგნისა თავისთავად. მაგრამ, რადგან ის არის მხოლოდ გასწორება თავისი ბუნებით ქაოტური სისტემისა, თვით ენის ბუნება გვთავაზობს მის შესწავლას ნიშანთა ნებისმიერობის შეზღუდვის თვალსაზრისით.

არ არსებობს ენა, რომელშიც არაფერია მოტივირებული. მაგრამ, წარმოდგენილია ისეთი ენის არსებობაც, რომელშიც ყველაფერი მოტივირებულია. ამ ორ უკიდურეს ზღვარს, მინიმალურ ორგანიზაციას და მინიმალურ თავისუფლებას შორის ყველა შესაძლო ვარიანტი გვხვდება. ყველა ენაშია ორივე რიგის ელემენტები აბსოლუტურად თავისუფალი და შედარებით მოტივირებული, მაგრამ სხვადასხვა პროპორციით. ამ მნიშვნელოვან თვისებას ანგარიში უნდა გაეწიოს ენათა კლასიფიკაციის დროს.

იმისათვის, რომ უკეთ გამოიყოს ამ შეპირისპირების ერთ-ერთი ფორმა, შეიძლებოდა გარკვეული თვალსაზრისით გვეთქვა, რომ ენები, რომლებშიაც მინიმალური მოტივირებაა, მაქსიმუმს აღწევენ, ძალზე ლაკონურნი არიან; მაქსიმალური მოტივირების მქონენი კი — გრამატიკულნი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, „ლექსიკა“ და „თავისუფლება“, მეორე მხრივ კი „გრამატიკა“ და „შედარებითი მოტივირება“ მუდამ სინონიმურნი არიან. თუმცა, ამ პრინციპს რაღაც ზოგადიც გააჩნია — ისინი ორ პოლუსს მოგვაგონებენ, რომელთა შორისაც მთელი ენობრივი სისტემა მოძრაობს, ორი დაპირისპირებული ნაკადია, რომლებზეც ენის მოძრაობა ნაწილდება: ერთი მხრივ, ესაა ლექსიკოლოგიურ საშუალებათა, არამოტივირებულ ნიშანთა გამოყენების ტენდენცია, ხოლო მეორე მხრივ, გრამატიკული საშუალებებისთვის, ე.ი. კონსტრუირების წესებისთვის მინიჭებული უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურში გაცილებით მეტი არამოტივირებული სიტყვაა, ვიდრე გერმანულში. ულტრალექსიკოლოგიურ ტიპს წარმოადგენს

ჩინური, ხოლო ინდოევროპული და სანსკრიტი კი — ულტრაგრამატიკული ენების ნიმუშებია. ევოლუციის მთელი მოძრაობა ცალკეული ენის ფარგლებში შეიძლება გამოიხატოს მოტივირებული თავისუფლებაში და პირიქით გადასვლაში. ეს გადასვლა-გადმოსვლა ხშირად იწვევს ამ ორი კატეგორიის პროპორციების მნიშვნელოვან გადანევას. ასე მაგ., ფრანგულ ენას ლათინურთან შედარებით ნებისმიერობის დიდი ზრდა ახასიათებს. თუ ლათინური inimicus („მტერი“) in (უარყოფა) და amicus-სგან („მეგობარი“) შედგება და მათშიერ არის მოტივირებული, ფრანგული ennemi („მტერი“) არაფრით არაა მოტივირებული. იგი მთლიანად იმ აბსოლუტურად ნებისმიერ სფეროს მიეკუთვნება, რომელზედაც საბოლოოდ დაიყვანება ნებისმიერი ენობრივი ნიშანი. ასეთი გადაადგილება სხვა მაგალითებშიც შეინიშნება: მაგ. ლათ. constāre (stāre „დგომა“): ფრანგ. cōûter („ღირს“), ლათ. fabrica (faber „მჭედელი“): ფრანგ. forge („სამჭედლო“), ლათ. magister (magis „მეტი“): ფრანგ. maître („მასწავლებელი“), ლათ. herbicārius (berbix „ცხვარი“): berger („მწყემსი“) და ა.შ. ასეთი რიგის ცვლილებები დამახასიათებელია ფრანგული ენისათვის.

თავი VII

გრამატიკა და მისი ნაწილები

§1. განსაზღვრა; ტრადიციული დაყოფა

სტატიკურ ლინგვისტიკას, ანუ ენის მდგომარეობის აღწერას შეიძლება გრამატიკა ვუნოდოთ სავსებით ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული აზრით, რომელსაც ვხვდებით გამოთქმებში „ჭადრაკის თამაშის გრამატიკა“, „ბირჟის გრამატიკა“ და ა.შ., სადაც საქმე ეხება რთულ და სისტემურ რასმე, რომლის დროსაც ადგილი აქვს თანაარსებულ ღირებულებათა ფუნქციობას.

გრამატიკა შეისწავლის ენას, როგორც გამომხატვის საშუალებათა სისტემას. „გრამატიკულის“ ცნება გულისხმობს სინქრონულსა და სიგნიფიკატიურს. ხოლო, რადგან შეუძლებელია არსებობდეს სისტემა, რომელიც ერთდროულად რამდენსამე ეპოქას მოიცავს, ჩვენი აზრით, არ არსებობს ე.წ. „ისტორიული გრამატიკა“. ის, რასაც ასე უწოდებენ, სინამდვილეში დიაქრონიული ლინგვისტიკაა.

ჩვენი განსაზღვრა არ ემთხვევა იმ ვიწრო დეფინიციას, რომელსაც გვთავაზობენ ხოლმე. გრამატიკას, ჩვეულებრივ, უწოდებენ იმას, რაც მორფოლოგიასა და სინტაქსს აერთიანებს, ხოლო ლექსიკოლოგიას, ანუ მეცნიერებას სიტყვების შესახებ, გრამატიკიდან გამორიცხავენ.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა საკითხავია, თუ რამდენად შეესაბამება ეს დაყოფა სინამდვილეს, მიესადაგება თუ არა ის ჩვენს მიერ დადგენილ პრინციპებს.

მორფოლოგია შეისწავლის სიტყვათა სხვადასხვა კატეგორიებს (ზმნებს, სახელებს, ზედსართავებს, ნაცვალსახელებს და ა.შ.) და ფლექსიის სხვადასხვა ფორმებს (ბრუნება, უღლება). მორფოლოგიის სინტაქსისგან გამიჯვნისას ცდილობენ მოიშველიონ ის გარემოება, რომ სინტაქსის საგანია ენობრივ ერთეულთა ფუნქციები, მორფოლოგია კი მხოლოდ მათ ფორმას შეისწავლის. მორფოლოგია იმის თქმით კმაყოფილდება, რომ ბერძნული სიტყვა phúlax („მცველი“) ნათესაობით ბრუნვაში იქნება phúlakos, სინტაქსი კი ამ ორი ფორმის ხმარებას გვასწავლის.

ასეთი განსხვავება მოჩვენებითია: არსებითი სახელის phúlax ფორმათა რიგი ბრუნების პარადიგმაში ერთიანდება მხოლოდ ამ ფორმათათვის დამახასიათებელი ფუნქციების შედარების წყალობით. მეორე მხრივ, ეს ფუნქციები მხოლოდ იმდენად შედიან მორფოლოგიაში, რამდენადაც თითოეულ მათგანს შეესაბამება გარკვეული ბგერითი ნიშანი. ბრუნება არც ფორმათა ჩამოთვლაა, არც ლოგიკურ აბსტრაქციათა რიგი.

იგი ორივე მათგანის კომბინაციაა (იხ. გვ. 109). ფორმები და ფუნქციები ქმნიან ერთიანობას და მათი გაყოფა თუ შეუძლებელი არაა, ძალზე ძნელია. ლინგვისტური თვალსაზრისით, მორფოლოგიას არა აქვს თავისი რეალური და დამოუკიდებელი საგანი. მას არ შეუძლია შექმნას სინტაქსისაგან განსხვავებული დისციპლინა.

მეორე მხრივ, რამდენად ლოგიკურია ლექსიკოლოგიის გამორიცხვა გრამატიკიდან? ერთი შეხედვით, სიტყვები, იმ სახით, როგორც ისინი წარმოდგენილი არიან ლექსიკონში, არ ექვემდებარებიან გრამატიკულ შესწავლას, რომელიც, ძირითადად, ცალკეულ ერთეულთა შორის არსებული მიმართებებით განისაზღვრება, მაგრამ, შეიმჩნევა, რომ ამ მიმართებათა დიდი რაოდენობა შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც სიტყვებით, ისე — გრამატიკული საშუალებებითაც. ასე მაგ. ლათინური *fi* („გვეთდები“), *faciō* („ვაკეთებ“) ისევე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ერთი და იმავე სიტყვის გრამატიკული ფორმები *dicor* („ველაპარაკები“), „ჩემზე ლაპარაკობენ“) და *dico* („ვამბობ“). რუსულ ენაში განსხვავება სრულ და არასრულ ასპექტებს შორის გრამატიკულადაა გამოხატული წყვილში *sprosit' : spráshivat'*. ლექსიკოლოგიურად კი დაპირისპირებაში — *skazát' : govorít'*. წინდებულებს, ძირითადად, გრამატიკის სფეროს მიაკუთვნებენ. მიუხედავად ამისა, წინდებულებანი გამოთქმა *en considération de* („... თან მიმართებით“) ლექსიკოლოგიური ხასიათისაა, რადგან სიტყვა *considération* („მიმართება“) მასში საკუთარი მნიშვნელობით გვხვდება. თუ შევადარებთ ბერძნულ *peithōs*-ს („ვარწმუნებ“) და *peithomai*-ს („მესმის“, „გემორჩილები“), ფრანგულ *je persuade*-ს („ვარწმუნებ“) და *j'obéis*-ს („გაიჯერებ“, „გემორჩილები“) დავინახავთ, რომ განსხვავება პირველ შემთხვევაში გრამატიკული საშუალებებითაა გადმოცემული, მეორეში კი — ლექსიკოლოგიურით. მიმართებები, რომლებიც ზოგ ენაში ბრუნვებით ან წინდებულებით გადმოიცემა, სხვა ენაში შეიძლება გამოხატული იყოს შედგენილი სიტყვებით (მაგ. ფრანგული *royaume des cieux* „სასუფეველი ცაათა“ და გერმანული *Himmelreich*) ან კიდევ ნაწარმოები სიტყვით (ფრანგული *moulin à vent* და პოლონური *wiatr-ak* „ქარის წისქვილი“), ანდა მარტივი სიტყვებით (ფრანგ. *bois de chauffage* და რუსული *дровá* „შეშა“, ფრანგ. *bois de construction* „ხის საშენი მასალა“ და რუსული *лѐs*). ხშირია მარტივი სიტყვებისა და რთული შესიტყვებების ურთიერთშენაცვლება ერთი ენის ფარგლებში (მაგ. *considérer* და *prendre en considération* „გათვალისწინება“, *se venger de* და *tirer vengeance de* „შურისძიება“).

როგორც ვხედავთ, ლექსიკოლოგიური ფაქტი ფუნქციონალურად შეიძლება სინტაქსურს დაემთხვეს. მეორე მხრივ, ყოველი სიტყვა, რომელიც მარტივსა და დაუნაწევრებად ერთეულს არ წარმოადგენს, არსებითად არ განსხვავდება წინადადების წევრისაგან, სინტაქსური ფაქტისაგან. მის შემადგენელ ერთეულთა კომბინირება და თანმიმდევრობა იმავე ძირითად პრინციპებს ექვემდებარება, რასაც სიტყვათშეხამებების წარმოქმნა.

ნათქვამის რეზიუმირება რომ მოვადინოთ: გრამატიკის ტრადიციული დაყოფა შეიძლება პრაქტიკულად საჭირო იყოს, მაგრამ ის არ შეესატყვისება ბუნებრივ განსხვავებებს და არა აქვს არავითარი ლოგიკური კავშირი ამ განსხვავებებთან. გრამატიკა შეიძლება ემყარებოდეს სხვა, უფრო მნიშვნელოვან მარეგულირებელ პრინციპს.

§2. გრამატიკის რაციონალური დაყოფა

მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის ურთიერთგანმსჭვალვა ყველა სინქრონული ფაქტის ერთგვარი ბუნებით აიხსნება. მათ შორის არ შეიძლება არსებობდეს წინასწარ გავლებული ზღვარი. მხოლოდ ზემოთ დადგენილი განსხვავება სინტაგმატურსა და ასოციაციურ მიმართებებს შორის წარმოადგენს იმ დაყოფის საფუძველს, რომელიც თვით ფაქტების მიერაა თავსმოხვეული და ერთადერთი ბაზაა გრამატიკული სისტემის ასაგებად.

უნდა შეგვეძლოს ყველაფერი, რაც ენობრივ მდგომარეობას ქმნის, დავიყვანოთ სინტაგმათა და ასოციაციათა თეორიებზე. ტრადიციული გრამატიკის გარკვეული ნაწილებიც კი, ჩანს, ექვემდებარება ერთ-ერთ ამ თვალსაზრისთაგანს: ფლექსია მეტყველი ინდივიდის ცნობიერებაში ფორმათა ასოციაციის ამკარად ტიპური ფორმაა. სინტაქსი, ანუ გავრცელებული განმარტების მიხედვით — შესიტყვებათა თეორია — სინტაგმატიკაში შედის, რადგან შესიტყვებები მუდამ გულისხმობენ სივრცეში განაწილებული სულ ცოტა, ორი ერთეულის არსებობას. სინტაგმატიკის ყველა ფაქტი არ მიეკუთვნება სინტაქსს, მაგრამ სინტაქსის ყველა ფაქტი სინტაგმატიკაში შედის.

გრამატიკის ნებისმიერ ნაწილზე შეიძლება იმ უპირატესობათა ჩვენება, რომელთაც ნებისმიერი საკითხის ამ ორი თვალსაზრისით შესწავლა გვაძლევს. ამრიგად, სიტყვის ცნება ორ სხვადასხვა პრობლემას წამოჭრის იმისდა მიხედვით, ასოციაციური თვალსაზრისით განვიხილავთ მას, თუ სინტაგმატურით. ფრანგული ზედსართავი *grand* („დიდი“) სინტაგმაში ორგვარი ფორმით გვეძლევა (*grā garsō* „დიდი ბიჭი“ და *grāt āfā* „დიდი ბავშვი“), ასოციაციურად კი იგი სხვა სახის დუალობას გვაძლევს (მაგრ. სქ. *grā*, მდედრ. სქ. *grād*).

ამრიგად, საჭიროა შეგვეძლოს ყოველ მოვლენას სათანადო სინტაგმატური თუ ასოციაციური რიგი მივუჩინოთ და გრამატიკის მთელი საგანი ამ ორ, ბუნებრივ ლერძზე განვათავსოთ. მხოლოდ ასეთ განაწილებას შეუძლია დაგვანახოს, კერძოდ, რა უნდა შეიცვალოს სინქრონული ლინგვისტიკის ჩვეულ ჩარჩოში. ცხადია, ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ამოცანის გადაჭრას და ყველაზე ზოგადი პრინციპების დადგენით შემოვიფარგლებით.

აბსტრაქტულ არსობათა როლი გრამატიკაში

არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ჯერ არ შევხებივართ და რომელიც ნათლად მოწმობს, თუ რამდენად აუცილებელია ყველა გრამატიკული საკითხის ზემოთ განხილული ორი განსხვავებული თვალსაზრისით შესწავლა. საქმე ეხება აბსტრაქტულ არსობებს გრამატიკაში. განვიხილოთ ისინი ჯერ ასოციაციური კუთხით.

ორი ფორმის ასოცირება არა მხოლოდ იმის შეგრძნებაა, რომ მათ რალაც საერთო გააჩნიათ, არამედ სხვაობისაც, რომელიც წარმართავს ამ ასოციაციებს. სუბიექტებს ესმით, რომ მიმართება, რომელიც აკავშირებს enseigner („სწავლება“ ზმნა) და enseignement-ს („სწავლება“ არს. სახელი), juger-სა („განსჯა“) და jugement-ს („მსჯელობა“) არ არის იდენტური იმ მიმართებისა, რომელიც დგინდება enseignement-სა და jugement-ს შორის (იხ. გვ. 131). აქედან გამომდინარე, ასოციაციათა სისტემა გრამატიკულ სისტემას უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკოსის მიერ, რომელიც ენის მოცემულ მდგომარეობას ისტორიის გარეშე შეისწავლის, გაცნობიერებულ და მეთოდურ დაჯგუფებათა ჯამი უნდა ემთხვეოდეს მეტყველებაში რეალიზებულ გაცნობიერებულ ან გაუცნობიერებელ ასოციაციათა ჯამს. ეს ასოციაციები ჩვენს გონებაში აფიქსირებენ ერთი ოჯახის სიტყვებს, ფლექსიის პარადიგმას, მანარმოებელ ელემენტებს: ძირებს, სუფიქსებს, დაბოლოებებს და ა.შ. (იხ. გვ. 192).

მაგრამ, ასოციაცია განა მხოლოდ მატერიალურ ელემენტებს გამოყოფს? ცხადია, არა. როგორც ვიცით, ასოციაცია ერთმანეთთან აახლოებს მხოლოდ აზრობრივად დაკავშირებულ სიტყვებს (შდრ. enseignement „სწავლება“, apprentissage „შეგირდობა“, éducation „აღზრდა“ და ა.შ.). ასევე უნდა იყოს გრამატიკაშიც: მაგ. ლათინური ენის გენეტივის სამი ფორმა: domin-ī („ღვთის“), rēg-is („მეფის“), rosā-rum („ვარდების“); ამ სამი დაბოლოების ბგერადობაში არაფერია საერთო, რაც შესძლებდა ასოციაციის გამონევენას და მიუხედავად ამისა, ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, რადგან გააჩნიათ საერთო ღირებულება, რომელიც გვკარნახობს მათ იდენტურ გამოყენებას. ეს საკმარისია, რომ მატერიალური საყრდენის გარეშე შეიქმნას ასოციაცია და გენეტივის ცნებამ თავისი ადგილი დაიკავოს ენაში. ანალოგიურად, დაბოლოებები us, ī, ō და ა.შ. (dominus, dominī, dominō და ა.შ.) ცნობიერებაში ერთმანეთს უკავშირდებიან და გამოყოფენ უფრო ზოგადი ხასიათის ცნებებს, როგორიცაა ბრუნვები და ბრუნვათა დაბოლოებანი. იმავე რიგის, მაგრამ უფრო ფართო ასოციაციები აკავშირებს ყველა არსებითს, ზედსართავსა და ა.შ. და აყალიბებს მეტყველების ნაწილთა ცნებას.

ყოველივე ეს არსებობს ენაში, მაგრამ — აბსტრაქტულ არსობათა სახით. მათი შესწავლა ძნელია, რადგან არ შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ მოლაპარაკე ინდივიდთა ცნობიერება ყოველთვის მისდევს თუ არა გრამატიკოსთა ანალიზს. არსებითი ისაა, რომ აბსტრაქტული არსობები საბოლოო ჯამში მუდამ კონკრეტულ არსობებს ეფუძნებიან. ნებისმიერი გრამატიკული აბსტრაქცია შეუძლებელია იმ მატერიალურ ელემენტთა რიგის გარეშე, რომლებიც მის სუბსტრატს წარმოადგენენ და რომელსაც უნდა მივუბრუნდეთ ხოლმე.

ახლა, გადავიდეთ სინტაგმატურ თვალსაზრისზე. ერთი ჯგუფის ღირებულება ხშირად უკავშირდება მის ელემენტთა რიგს. სინტაგმის ანალიზის დროს მოლაპარაკე ინდივიდი მხოლოდ ნაწილების გამოყოფით არ იფარგლება და ადგენს მათ შორის გარკვეული რიგის მიმდევრობას. მნიშვნელობა ფრანგული სიტყვისა désir-eux („მსურველი“), თუ ლათინური სიტყვისა signi-fer („მენიწავე“, „მედროშე“) შემადგენელ ერთეულთა თანმიმდევრობაზე დამოკიდებული. ვერ ვიტყვით eux-désir ან fer-signi. ღირებულებას შეიძლება არავითარი კავშირი არ ჰქონდეს რომელიმე კონკრეტულ ელემენტთან (მაგ. -eux ან -fer-თან) და მხოლოდ სინტაგმის წევრთა თანმიმდევრობით იყოს განპირობებული. თუ მაგ. ფრანგულში ორ ჯგუფს je dois და dois-je?-ს განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, ეს მხოლოდ სიტყვათა რიგის გამო ხდება. ზოგჯერ ერთი ენა სიტყვათა რიგით გამოხატავს აზრს, რომელსაც სხვა ენა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სიტყვით გადმოსცემდა. ინგლისურ სინტაგმატურ ტიპში gooseberry wine („ხურტკმელის ღვინო“), gold watch („ოქროს საათი“) და ა.შ. მიმართებებს სიტყვათა რიგი გამოხატავს, თანამედროვე ფრანგულში კი წინდებულები (vin de groseille, montre en or); თავის მხრივ, თანამედროვე ფრანგული პირდაპირი დამატების ცნებას გადმოსცემს მხოლოდ არსებითი სახელის მოთავსებით გარდამავალი ზმნის შემდეგ (მაგ. je cueille une fleur, „მე ვწყვეტ ყვავილს“), მაშინ როცა ლათინური და სხვა ენები ამისთვის იყენებენ აკუზატივს, რომელსაც სპეციალური დაბოლოებები აქვს და ა.შ.

თუ სიტყვათა რიგი ნამდვილად აბსტრაქტული არსობაა, არანაკლები ჭეშმარიტებაა, რომ იგი მხოლოდ ერთ განზომილებაშია განფენილი და მისი შემცველი კონკრეტული არსობებისგანაა წარმოქმნილი. მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ სივრცეში განფენილ ამ მატერიალურ არსობათა მიღმა არსებობს უსხეულო სინტაქსი. ინგლისურ ენაში the man I have seen („კაცი, რომელიც ვნახე“) გვიჩვენებს სინტაქსურ ფაქტს, რომელიც წარმოდგენილია ნულით, მაშინ, როცა ფრანგული l'homme que j'ai vu მას გადმოსცემს ნაცვალსახელით que. მაგრამ, სწორედ ეს შედარება ფრანგული ენის სინტაქსურ ფაქტთან ქმნის ილუზიას, თითქოს არაფერს შეუძლია რალაცის გამოხატვა. სინამდვილეში, მხოლოდ გარკვეული რიგით განლაგებული მატერიალური ერთეულები ქმნიან ამ ღირებულებებს. კონკრეტულ სიტყვათა ჯამის გარეშე ვერ ვიმსჯელებდით სინტაქსურ მოვლენებზე. მხოლოდ იმ ფაქტის წყალობით, რომ გასაგებია ზემოთ მოცემული

ლინგვისტური კომპლექსი (მაგ. ზემოთ მოყვანილი ინგლისური სიტყვები), სიტყვათა ეს თანამიმდევრობა აზრის ადეკვატური გამოხატულებაა.

მატერიალური ერთეული არსებობს მხოლოდ მნიშვნელობის წყალობით, რომლის ფუნქციითაც ის არის აღჭურვილი. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარტივ ერთეულთა შესაცნობად, რადგან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ მათი წმინდა მატერიალური ფორმის წყალობით არსებობენ. რომ, მაგ. ფრანგული *aimer* („სიყვარული“) მხოლოდ მის შემადგენელ ბგერათა წყალობით არსებობს. პირიქით, როგორც ვნახეთ, მნიშვნელობა, ფუნქცია მხოლოდ გარკვეული მატერიალური ფორმის წყალობით არსებობს. თუ ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია სინტაგმათა და უფრო ვრცელი სინტაქსური ტიპების საფუძველზე, ეს იმიტომ, რომ მათ განვიხილავთ როგორც არამატერიალურ აბსტრაქციებს, რომლებიც წინადადების ელემენტებზე ძალდა დგანან. ეს ორი პრინციპი ავსებს რა ერთმანეთს, ეთანხმება ჩვენს მტკიცებას ერთეულთა გამიჯვნის შესახებ (იხ. გვ. 109).

ნანილი III

დიაქრონიული ლინგვისტიკა

თავი I

ზოგადი ცნობები

დიაქრონიული ლინგვისტიკა შეისწავლის არა თანაარსებულ სიტყვათა შორის არსებულ მიმართებებს ენის მოცემულ ეტაპზე, არამედ მიმართებას დროში ურთიერთმომდევნო იმ სიტყვებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ჩაენაცვლებიან.

არ არსებობს აბსტრაქტული უძრაობა (იხ. გვ. 81). ენის ყველა ნანილი ექვემდებარება ცვალებადობას. ყოველ პერიოდს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ევოლუცია შეესაბამება. მისი ტემპი და ინტენსივობა შეიძლება ისე ვარიირებდეს, რომ თვით პრინციპი არ დაზარალდეს. ენის ნაკადი უწყვეტად მიედინება, სხვა რამეა მდორეა ეს დინება თუ სწრაფი.

უწყვეტი ევოლუცია ხშირად ჩვენთვის დაბინდულია იმის გამო, რომ ჩვენი ყურადღება სალიტერატურო ენისადმი მიმართული. როგორც გვ. 201-ზე დავინახავთ, სალიტერატურო ენა დაეფინება ხალხურ ენას, ე.ი. ბუნებრივ ენას და არსებობის სხვა პირობებს ექვემდებარება. ჩამოყალიბდება რა, იგი არსებითად საკმაოდ სტაბილური რჩება და ცდილობს თავისი თავის მიმართ იგივეობითი დარჩეს. მისი დამოკიდებულება დამწერლობაზე უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ კონსერვაციას. ამრიგად, სალიტერატურო ენა არ გამოგვადგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ზომით ცვალებადნი არიან ბუნებრივი ენები, რომლებიც თავისუფალნი არიან ყოველგვარი ლიტერატურული რეგლამენტაციისაგან.

ფონეტიკა დიაქრონიული ლინგვისტიკის უმთავრესი საგანია. მართლაც, ბგერათა ევოლუცია შეუთავსებელია „მდგომარეობის“ ცნებასთან. ფონემებისა და ფონემათა ჯგუფების შედარებას იმასთან, რაც იყვენენ ისინი ადრე, დიაქრონიასთან მივყავართ. წინამორბედი ეპოქა შეიძლება მეტ-ნაკლებად ახლო ეპოქა იყოს, მაგრამ თუ იგი მომდევნო ეპოქას ერწყმის, მაშინ ფონეტიკა მოქმედებას წყვეტს. გვაქვს მხოლოდ ბგერათა აღწერა ენის გარკვეული მდგომარეობისთვის, ეს კი ფონოლოგიის საქმეა.

ფონეტიკის დიაქრონიული ხასიათი კარგად ეთანხმება იმ პრინციპს, რომ არაფერი ფონეტიკური არ არის ღირებული ან გრამატიკული მნიშვნელობის მქონე რამ სიტყვის ფართო გაგებით (იხ. გვ. 29). სიტყვის შემადგენელ ბგერათა ისტორიის შესაქმნელად შეიძლება უგულვებელყოფთ მისი მნიშვნელობა და მხოლოდ მატერიალური განვითარება გავითვალისწინოთ. დავყოთ იგი ბგერით მონაკვეთებად, იმის მიუხედავად, ექნებათ თუ არა ამ მონაკვეთებს რაიმე მნიშვნელობა. შეიძლება ვიკვლიოთ, მაგ. როგორ გარდაიქმნა ძველი

ბერძნულის ატიკურ დიალექტში მნიშვნელობის არმქონე ბგერათა ჯგუფი-ewo-. ენის ევოლუცია ბგერათა ევოლუციაზე რომ დაიყვანებოდეს, შუქი მოეფინებოდა ენათმეცნიერების ორი ნაწილის ობიექტთა დაპირისპირებას: ნათლად დაინახავდით, რომ დიაქრონიული შეესაბამება არაგრამატიკულს, ისევე, როგორც სინქრონული — გრამატიკულს.

განა მხოლოდ ბგერები გარდაიქმნება დროთა განმავლობაში? სიტყვები მნიშვნელობას იცვლიან, გრამატიკული კატეგორიები ევოლუციას განიცდიან. ზოგი მათგანი მის გამომხატველ ფორმასთან ერთად ქრება (მაგ. ლათინური ენის დუალისი). თუ ასოციაციური და სინტაგმატური სინქრონიის ყოველ ფაქტს თავისი ისტორია აქვს, როგორ უნდა დავადგინოთ აბსოლუტური განსხვავება დიაქრონიასა და სინქრონიას შორის? როგორც კი წმინდა ფონეტიკის ფარგლებს დავეტოვებთ, ეს საკითხი საკმაოდ რთულდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ცვლილება, რომელიც გრამატიკულად ითვლება, ფონეტიკურზე დაიყვანება. გერმანული Hand : Hände გრამატიკული ტიპის ჩამოყალიბება, რომელიც ჩაენაცვლება Hant : Hanti-ს (იხ. გვ. 89) მთლიანად ფონეტიკურად აიხსნება. ფონეტიკური ფაქტი უდევს საფუძვლად ისეთ კომპოზიტებსაც, როგორებიცაა Springbrunnen („შადრევანი“), Reitschule („საცხენოსნო სკოლა“) და ა.შ.; ძველ ზემოგერმანულში პირველი ელემენტი სახელადი იყო და არა ზმნური. beta-hūs „სალოცავ სახლს“ ნიშნავდა; ბოლოკიდური თანხმოვნის ფონეტიკური ჩავარდნით (beta → bet- და ა.შ.) დამყარდა სემანტიკური კავშირი ზმნასთან (beten „ლოცვა“ და ა.შ.) და Bethaus-მა „სალოცავი სახლის“ მნიშვნელობა მიიღო.

რადაც მსგავსი მოხდა კომპოზიტებში, რომლებიც ძველ გერმანიკულ ენაში შეიქმნა სიტყვით Lich („გარეგნობა, იერი“) მაგ. mannoſlich („კაცური იერი“), redolich („გონივრული იერი“). დღეს ბევრ ზედსართავ სახელში (მაგ. verzeihlich „საპატიო“, glaublich „სავარაუდო“ და ა.შ.) -lich ისეთსავე სუფიქსად იქცა, როგორც სიტყვების pardonnable („საპატიო“), croyable („სარწმუნო“) და ა.შ. შემადგენელი სუფიქსებია. იმავდროულად მოხდა პირველი ელემენტის ინტერპრეტაციის შეცვლა, მასში არსებით სახელს კი აღარ ვხვდებით, არამედ მხოლოდ ზმნურ ძირს. ე.ი. რიგ შემთხვევაში პირველი ელემენტის ბოლოკიდური ხმოვნის ჩავარდნით (მაგ. redo → red-) იგი ემსგავსება ზმნურ ძირს (red- ნარმოქმნა reden-ისგან).

ამრიგად, სიტყვაში glaublich, glaub- უფრო glauben-ს (ზმნა „რწმენა“) მიუახლოვდა, ვიდრე Glaube-ს (სახელი „რწმენა“) და მიუხედავად ძირეული განსხვავებებისა, მოხდა sichtlich-ის („ხილული“) ასოციაცია sehen-თან („ხედვა“) და არა Sicht-თან.

მოცემულ და ყველა მსგავს შემთხვევაში განსხვავება ორ რიგს შორის ნათელი რჩება. ეს უნდა გვახსოვდეს და ზერელედ არ ვამტიკოთ, რომ ვმოქმედებთ ისტორიული გრამატიკის შესაბამისად, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ფონეტიკური ცვლილებების შესწავლის შედეგად ვიმყოფებით ჯერ დიაქრონიის სფეროში, ხოლო ამ ცვლილებათა შედეგების შესწავლისას კი — სინქრონიის სფეროში. მაგრამ, ამ შეზღუდვით ყველა სირთულე არ აიხსნება. ამა თუ იმ გრამატიკული ფაქტის, ასოციაციური ან სინტაგმატური

ჯგუფის ევოლუცია ბგერით ევოლუციას ვერ შეედრება. იგი არაა მარტივი, იმლება მრავალ კერძო შემთხვევად, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ მიეკუთვნებიან ფონეტიკას. სინტაგმატური ტიპის გენეზისში, როგორც მაგ. ფრანგული ენის მომავალი დროა prendre ai → prendrai („ავიღებ“) ვასხვავებთ სულ ცოტა ორ ფაქტს: ფსიქოლოგიურს — ცნების ორი ელემენტის სინთეზს, და ფონეტიკურს — დამოკიდებულს პირველზე. სიტყვათა ჯგუფის ორი მახვილის რედუქციას ერთ მახვილად (prendre ai → prendrai).

გერმანიკული ძლიერი ზმნის ფლექსია (თანამედრ. გერმ. geben „მიცემა“, gab, gegeben და ა.შ. მაგ. ბერძნულ leipo „ვტოვებ“, élipon, léloipa და ა.შ.), უმრავლეს შემთხვევაში ემყარება ძირეულ ხმოვანთა აბლაუტურ მონაცვლეობას. ეს მონაცვლეობები (იხ. გვ. 163), რომელთა სისტემაც ამოსავალ ვითარებაში ძალზე მარტივი იყო, უდაოდ წარმოადგენენ წმინდა ფონეტიკური ფაქტის შედეგს. იმისათვის, რომ ამ დაპირისპირებებს ფუნქციონალური ხასიათი მიეღოთ, საჭირო გახდა ფლექსიის თავდაპირველი სისტემა მთელი რიგი სხვადასხვა პროცესებით გამარტივებულიყო: გამქრალიყო ანმყო დროის მრავალრიცხოვანი და მათზე დამოკიდებული აზრობრივი ნიუანსები, გამქრალიყო ნამყო უსრული, მომავალი დრო, აორისტი და რედუქციაცია პერფექტში და ა.შ. ამ ცვლილებებმა, რომლებშიც არსებითად ფონეტიკური არაფერია, ზმნური ფლექსია დაიყვანეს ფორმათა ერთ შეზღუდულ ჯგუფამდე, რომელშიც ძირეულ ხმოვანთა მონაცვლეობებმა პირველი რიგის ღირებულება შეიძინეს. შეიძლება ვამტიკოთ, მაგ. რომ e : a-ს ოპოზიცია სიტყვაში geben : gab უფრო ღირებულია, ვიდრე e : o ოპოზიცია ბერძნულ leipō : léloipa-ში, რადგან გერმანულ პერფექტში რედუქციაციას ადგილი არა აქვს.

თუმცა ფონეტიკა ხშირად ასე თუ ისე მონაწილეობს ევოლუციაში, მას არ შეუძლია მთლიანად ახსნას ევოლუცია. ფონეტიკური ფაქტორის ელიმინაციით ვიღებთ ნაშთს, რომელიც თითქოსდა ამართლებს „გრამატიკის ისტორიის“ ცნებას. ამაშია ჭეშმარიტი სირთულე. განსხვავება სინქრონიასა და დიაქრონიას შორის ამ ფაქტის განმარტებას მოითხოვს, რაც ჩვენი კურსის ფარგლებს სცილდება.¹

ქვემოთ თანმიმდევრულად შევისწავლით ფონეტიკურ ცვლილებებს, მონაცვლეობისა და ანალოგიის ფაქტებს, დასასრულ კი ორიოდ სიტყვას ვიტყვით ხალხურ ეტიმოლოგიასა და აგლუტინაციაზე.

¹ ამ დიდაქტიკურ და გარეგან საბუთს სხვა საბუთიც ემატება. ფ. დე სოსიური თავის ლექციებში არასოდეს შეხებია მეტყველების ლინგვისტიკას (იხ. გვ. 29). ახალი ჩვევა ინდივიდუალური ფაქტებით იწყება ხოლმე (გვ. 104). შეიძლება დაეუშვათ, რომ ავტორი არ ცნობდა მათ გრამატიკულ ხასიათს, რადგან იზოლირებული აქტი შეტად უცხოა ენისთვის და მისი სისტემისთვის, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ კოლექტიური ჩვევების ერთიანობაზე. რამდენადაც ფაქტები მეტყველებას ეკუთვნის, ისინი სპეციალურ მოვლენას წარმოადგენენ და შემთხვევითი არიან დადგენილი სისტემის მიმართ. როცა ხშირად გამოყენებული ინოვაცია მესხიერებაში და სისტემაში შედის, ცვლის ღირებულებათა ნონასნობას, ენა ipso facto მდგომარეობაშია და სპონტანურად იცვლება. გრამატიკულ ევოლუციას შეიძლება მივაკუთვნოთ ის, რაც გვ. 29 და 90-ზეა ნათქვამი ფონეტიკურ ევოლუციათა შესახებ. მისი მოქმედება სისტემის მიღმაა, რადგან იგი არასოდეს შეიმჩნევა სისტემის ევოლუციაში. ზოგჯერ იგი მისგან განსხვავებულია. განმარტების ეს მცდელობა ჩვენი მხრივ, უბრალო წინადადებაა (გამომცემლები).

ფონეტიკური ცვლილებები

§1. ფონეტიკური ცვლილებათა აბსოლუტური რაგულარობა

როგორც ზემოთ დავინახეთ, ფონეტიკური ცვლილება ეხება ბგერებს და არა სიტყვებს. გარდაიქმნება მხოლოდ ფონემა: ცალკეულ მოვლენას, ისევე, როგორც ყველა დიაქრონიულ ფაქტს, შედეგად მოსდევს ყველა იმ სიტყვის ცვლილება, რომელშიაც განსახილველი ფონემა ფიგურირებს. ამ თვალსაზრისით, ფონეტიკური ცვლილებები აბსოლუტურად რეგულარულნი არიან.

გერმანულში ყველა *i* გადავიდა *ei*-ში, შემდეგ კი *ai*-ში: სიტყვებმა *wīn*, *trīben*, *līhen*, *zīt* მოგვცა *Wein* („ღვინო“), *treiben* („გაგდება“), *leihen* („სახლება“), *Zeit* („დრო“). ყველა *ū* გადავიდა *au*-ში: *hūs*, *zūn*, *rūch* → *Haus* („სახლი“), *Zaun* („ღობე“), *Rauch* („კვამლი“). ასევე, ყველა *iu* შეიცვალა *eu*-დ: *hūsir* → *Häuser* („სახლები“) და ა.შ. და პირიქით, დიფთონგი *ie* გადავიდა *i*-ში, რომელიც ძველებურადვე *ie*-დ იწერება: მაგ. *biegen* („მოხრა“), *lieb* („საყვარელი, სასიამოვნო“), *Tier* („მხეცი“). პარალელურად, ყველა *uo* *ū*-ში გადავიდა: *muot* → *Mut* („ვაჟაკობა“) და ა.შ. ყველა *z*-მ (იხ. გვ. 45) მოგვცა *s* (იწერება *ss*): *wazer* → *Wasser* („წყალი“), *fliezen* → *fliessen* („დინება“) და ა.შ. ყველა ინტერვოკალური *h* დაიკარგა: *līhen*, *sehen* → *leien* („დავიწროება“), *seen* („ხედვა“) (იწერება *leihen*, *sehen*). ყველა *w* გარდაიქმნება კბილბაგისმიერ *v*-დ (იწერება *w*): *wazer* → *wasr* (*Wasser* „წყალი“).

ფრანგულში ყველა პალატალიზებული *l* გადავიდა *y*-ში (იოტაში): *piller* („ძარცვა“), *bouillir* („ადუღება“) წარმოითქმის როგორც *piye*, *buyir* და ა.შ.

ლათინურში ინტერვოკალური *s* შეიცვალა *r*-დ: **genesis* → *generis*, **asēna* → *arēna* და ა.შ.

ნებისმიერი ფონეტიკური ცვლილება, თუ მას მართებულად განვიხილავთ, დაგვიდასტურებს ამ გარდაქმნათა რეგულარობის უეჭველობას.

§2. ფონეტიკური ცვლილებათა პირობები

მოყვანილმა მაგალითებმა დაგვანახა, რომ ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც მუდამ აბსოლუტურნი არ არიან, ხშირად განსხვავდებიან გარკვეული პირობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონოლოგიური ტიპი კი არ განიცდის გარდაქმნას, არამედ ფონემა, რა სახითაც არის იგი წარმოდგენილი ზოგიერთ გარემოცვაში, ან აქცენტუაციის პირობებში და ა.შ. ლათინურში *s*

გადავიდა *r*-ში მხოლოდ ხმოვანთა შორის და ზოგ სხვა პოზიციაში, სხვა შემთხვევებში უცვლელი დარჩა (მაგ. *est*, *senex*, *equos*).

აბსოლუტური ცვლილებები უაღრესად იშვიათია; ისინი ხშირად აბსოლუტური გვეჩვენება მათი დაფარული ხასიათის ან ძალზე ზოგადი პირობების გამო. ასე მაგ. გერმანული *i* გადაიდა *ei*, *ai*-ში, მაგრამ მხოლოდ მახვილიან მარცვალში. ინდოევროპული *k*, გერმანიკულში *h*-ში გადადის (შდრ. ინდოევრ. *kāsom*, ლათ. *collum*, გერმ. *Hals* „კისერი“); მაგრამ, *s*-ს შემდეგ ცვლილება არ ხდება (შდრ. ბერძნ. *skótos* და გოთური *skadus* „ჩრდილი“).

სხვათა შორის, ცვლილებების დაყოფა აბსოლუტურად და შეპირობებულად საგანთა გაუბრალოებულ ხედვას ემყარება; უფრო გონივრული იქნებოდა გველაპარაკნა ისე, როგორც უფრო და უფრო ხშირად ხდება — სპონტანურ და კომბინატორულ ფონეტიკურ მოვლენებზე. მოვლენები სპონტანურია, როცა ისინი გამონკვეულნი არიან შინაგანი მიზეზით, ხოლო კომბინატორულნი — როცა ისინი წარმოიქმნებიან ერთი ან რამდენიმე სხვა ფონემის თანაარსებობის გამო. ამრიგად, ინდოევროპული *o*-ს გადასვლა გერმანიკულ *a*-ში (შდრ. გოთური *skadus*, გერმ. *Hals* და ა.შ.) სპონტანური ფაქტია. გერმანიკული ენის თანხმოვანთა მუტაციები, ანუ „*Lautverschiebungen*“ სპონტანურ ცვლილებათა სახეებია: მაგ. ინდოევროპული *k*, პროტოგერმანიკულ *h*-ში გადავიდა (იხ. ლათ. *collum* და გოთური *hals*), ინგლისურში შემონახული პროტოგერმანიკული *t* ზემო გერმანულში გადავიდა *z*-ში (წარმოითქმის *ts*, მაგ. გოთური *taihun*, ინგლ. *ten*, გერმ. *zehn* „ათი“). ხოლო ლათინური *ct*, *pt*-ს გადასვლა იტალიურ *tt*-ში (*factum* → *fatto* „გაკეთებული“, *captivum* → *cattivo* „ცუდი“) კომბინატორული მოვლენაა, რადგან პირველი ელემენტი ასიმილირდება მეორესთან. გერმანული უმლაუტიც, ასევე გამონკვეულია გარეგანი მიზეზით, მომდევნო მარცვალში *i*-ს არსებობით: მაშინ როცა *gast* არ იცვლება, *gasti* გვაძლევს *gesti*, *Gäste*-ს.

აღვნიშნავთ, რომ ორივე შემთხვევაში შედეგი არ მონანილებს პროცესში და მნიშვნელობა არა აქვს, ჰქონდა თუ არა ადგილი ცვლილებას. თუ მაგ., შევადარებთ გოთურ *fisks*-ს და ლათ. *piscis*-ს („თევზი“), გოთურ *skadus*-ს („ჩრდილი“) და ბერძნ. *skótos*-ს („წყვდიადი“), ვფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაში *i* უცვლელია, ხოლო მეორეში ადგილი აქვს *o*-ს *a*-ში გადასვლას. ამ ორი ბგერიდან პირველი უცვლელი დარჩა, მეორე შეიცვალა: მთავარი ისაა, რომ ეს თავისთავად მოხდა, გარეშე პირობებისაგან დამოუკიდებლად.

თუ ფონეტიკური ფაქტი კომბინატორულია, იგი მუდამ შეპირობებულია, მაგრამ, თუ სპონტანურია, აუცილებელი არაა აბსოლუტური ხასიათისა იყოს, რადგან იგი შესაძლოა შეპირობებული იყოს უარყოფითად, ცვლილების გამომწვევი გარკვეული ფაქტორების უქონლობით. ამრიგად, ინდოევროპული *k*, ლათინურში სპონტანურად გადავიდა *qu*-ში (შდრ. *quattuor* „ოთხი“, *inquinā* „საცხოვრებელი“ და ა.შ.), მაგრამ მას არ უნდა მოსდევდეს *o* ან *u* (შდრ. *cottidie* „ყოველდღიურად“, *colū* „ვაკეთებ“, *secundus* „მეორე“ და ა.შ.). ასევე, ინდოევროპული *i*-ს შენარჩუნება გოთურში (მაგ. *fisks* და ა.შ.)

დაკავშირებულია შემდეგ პირობასთან: მას არ უნდა მოსდევდეს r ან h. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადავა e-ში, რომელიც ორთოგრაფიაში ai-ით აისახება (მაგ. wair = ლათ. vir „კაცი“ და maihstus=გერმ. Mist „ნეხვი“).

§3. მეთოდის არსი

ფორმულები, რომლებიც ასახავენ მოვლენებს უნდა ითვალისწინებდნენ ზემოაღნიშნულ განსხვავებებს, მაგრამ არ აღმოჩნდნენ ყალბი.

აი, ასეთი უზუსტობის რამდენიმე მაგალითი. კ. ვერნერის კანონის ძველი ფორმულირების თანახმად, „გერმანიკული ენების ნებისმიერი არათავკიდური p მახვილიანი ხმოვნის წინ შეიცვალა t-ით. შდრ. ერთი მხრივ *faper → *fader (გერმ. Vater „მამა“), *lipumē → *lidumē (გერმ. litten „იტანჯებოდნენ“), მეორე მხრივ *pris (გერმ. drei „სამი“), *broper (გერმ. Bruder „ძმა“), *lipo (გერმ. leide „ვიტანჯები“), რომლებშიც p შენარჩუნებულია. ასეთი ფორმულირება აქტიურ როლს ანიჭებს მახვილს და შემოაქვს შეზღუდვა თავკიდური p-სთვის. სინამდვილეში, სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე: გერმანიკულში, ისევე, როგორც ლათინურში p-ს სპონტანური მიდრეკილება აქვს სონორიზაციისკენ; სიტყვის შუაში მას მხოლოდ წინა ხმოვანზე დასმული მახვილი უშლიდა ხელს. ამრიგად, საქმე პირიქითაა, ფაქტი სპონტანურია, არა კომბინატორული, მახვილი დაბრკოლება და არა გამომწვევი მიზეზი: ყველა ინლაუტური p გადადის d-ში, თუკი წინამავალ ხმოვანზე დასმული მახვილი ამას ხელს არ შეუშლის.

იმისათვის, რომ კარგად გავარჩიოთ რა არის სპონტანური და რა კომბინატორული, საჭიროა მოვახდინოთ ტრანსფორმაციის ფაზების ანალიზი და გაშუალებული შედეგი უშუალო შედეგად არ ჩავთვალოთ. ასე მაგ., როტაციზმის ასახსნელად (იხ. ლათ. *genesis → generis) შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ორ ხმოვანს შორის s გადავიდა r-ში, რადგან, s-ს თუ არა აქვს მყდერი კორელატი ერთბაშად ვერასოდეს მოგვცემს r-ს. სინამდვილეში, საქმე ორ მოვლენასთან გვაქვს: s გადავიდა z-ში კომბინატორული ცვლილებების შედეგად, მაგრამ z-მ ვერ მოიკიდა რა ფეხი ლათინური ენის ფონეტიკურ სისტემაში, შეიცვალა ძალიან ახლობელი r ბგერით და ეს ცვლილება სპონტანურია. ამრიგად, სერიოზული შეცდომის გამო ერთ მოვლენაში აღრეული იყო ორი განსხვავებული ფაქტი. შეცდომა ერთი მხრივ, შუალობითი შედეგის უშუალოდ მიჩნევაში (s → r ნაცვლად z → r) მდგომარეობდა, მეორე მხრივ, მთელი მოვლენა განისაზღვრებოდა როგორც კომბინატორული, მაშინ როცა კომბინატორული მხოლოდ მისი პირველი ნაწილია. ეს იგივეა, ვინმეს რომ ეთქვა ფრანგული e ნაზალიზაციის წინ a-ში გადავიდაო. სინამდვილეში, ჯერ ადგილი ჰქონდა კომბინატორულ ცვლილებას — e-ს ნაზალიზაციას n-ს წინ (მაგ. ლათ. ventum „ქარი“ → ფრანგ. vēnt; ლათ. fēmina „ქალი“ → ფრანგ. fema → fēma), შემდეგ ē სპონტანურად გადავიდა ā-ში (მაგ. vānt, fāma თანამედროვე ენაში vā, fam). ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს მხოლოდ

ცხვირისმიერი ხმოვნის წინ მოხდა. საინტერესო ის კი არაა, რატომ გაცხვირისმიერდა e, არამედ ē-ს გარდაქმნა ā-დ სპონტანურია თუ კომბინატორული.

უსეში მეთოდური შეცდომა, რომელზედაც აქ მივუთითებთ, თუმცა ზემოთ მოყვანილ პრინციპებს არ უკავშირდება, იმაში მდგომარეობს, რომ ფონეტიკური კანონის ფორმულირება ანმყოფი დროში ხდება. თითქოს ფაქტები, რომლებსაც ეს კანონი შეეხება, ერთხელ და სამუდამოდ არსებობენ. სინამდვილეში კი, ისინი ჩნდებიან და გარკვეული დროის შემდეგ ქრებიან. ეს კი ქაოსია, რადგან იშლება მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ამის შესახებ მოგახსენებ გვ. 104-ზე, ვაანალიზებდით რა თანმიმდევრულ მოვლენებს, რომლებიც ხსნიდნენ trikes : thriksi-ს დუალობას. როცა ამბობენ „ლათინურში s r-ში გადადის“ სურთ დავარწმუნონ, რომ როტაციზმი ენის ბუნების განუყოფელი თვისებაა და წინააღმდეგობას აწყდებიან ისეთი გამოწვევების სახით, როგორებიცაა causa („მიზეზი“), risus („სიცილი“) და ა.შ. მხოლოდ ფორმულირება, რომ რომელიდაც ეპოქაში ლათინურში ინტერვოკალური s r-ში გადავიდა გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ იმ მომენტისთვის, როცა s გადადიოდა r-ში causa, risus და ა.შ. სიტყვებს ინტერვოკალური s არ გააჩნდათ და არც ცვლილება ემუქრებოდათ. მართლაც, მაშინ ჯერ კიდევ ამბობდნენ caussa, rissus. ანალოგიური მიზეზის გამო უნდა ითქვას, რომ იონურ დიალექტში ā გადავიდა ē-ში (მაგ. māter → mēter „დედა“ და ა.შ.), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელია ისეთი ფორმების არსებობა, როგორებიცაა pāsa („მთელი“), phāsi („ამბობენ“) და ა.შ. (რომლებიც ჯერ კიდევ pansa, phansi-ს და ა.შ. სახით არსებობდნენ ცვლილებების ხანაში).

§4. ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზები

ამ მიზეზთა გამოვლენა ენათმეცნიერების ურთულესი პრობლემაა. შემოთავაზებულია რამდენიმე ახსნა, რომელთაგან არც ერთი არ აშუქებს საკითხს ამომწურავად.

1. ამბობენ, რომ რასას უნდა ჰქონდეს წინასწარი განწყობანი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართულებას. აქ ნამოიჭრება შედარებითი ანთროპოლოგიის საკითხი: კი მაგრამ, განა სამეტყველო აპარატი იცვლება ერთი რასიდან მეორემდე? არა უმეტეს, ვიდრე ერთი ინდივიდიდან მეორემდე. საფრანგეთში დაბადებული ზანგი ისევე კარგად ლაპარაკობს ფრანგულად, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა. უფრო მეტიც, როცა იყენებენ გამოთქმებს, როგორებიცაა „იტალიელთა სამეტყველო ორგანოები“ ან „გერმანელთა ბაგეები ამას არ დაუშვებენო“ რისკს ეწევიან, წმინდად ისტორიული ფაქტი პერმანენტული ხასიათისად აქციონ. ეს ისეთი შეცდომაა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ფონეტიკური მოვლენების ანმყოფი ფორმულირების შეცდომას. იმის განცხადება, რომ იონელთა სამეტყველო ორგანოები ვერ ეგუებიან გრძელი ā-ს წარმოიქმნას

და ცვლიან მას *ē*-თი, ისევე მცდარია, როგორც იმის თქმა, რომ იონურში *ā* *ā*-ში „გადადისო“.

იონელთა სამეტყველო ორგანოებს არა აქვთ არავითარი უარყოფითი განწყობა *ā*-ს წარმოთქმის მიმართ, რადგან გარკვეულ შემთხვევებში უშეცვლად მას. ე.ი. საქმე ეხება არა ანთროპოლოგიურ შეუძლებლობას, არამედ არტიკულაციურ ჩვევას ცვლილებას. ასევეა ლათინურშიც, რომელმაც არ შემოინახა ინტერვოკალური *s* (*genesis→generis „სქესის“), მაგრამ მოგვიანებით კვლავ შემოიღო ის (მაგ. *rissus→rissus „ხილული“); ეს ცვლილებები არ მიუთითებენ ლათინურ სამეტყველო ორგანოთა პერმანენტულ განწყობაზე.

უეჭველია, რომ მოცემულ ეპოქაში ამა თუ იმ ხალხში არსებობს ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგადი მიმართულება. მონოფთონგიზაცია და დიფთონგიზაცია თანამედროვე ფრანგულში ერთი და იმავე ტენდენციის მანიფესტაციას წარმოადგენს. მაგრამ, ზოგად ტენდენციებს შეიძლება პოლიტიკურ ისტორიაშიც წავანყდეთ, ისე რომ, მათი წმინდად ისტორიული ხასიათი არც საეჭვო იყოს და არც რასების უშუალო გავლენას მიეწეროს.

II. ფონეტიკური ცვლილებები ხშირად განიხილებოდა როგორც ადაპტაცია ნიადაგისა და კლიმატური პირობებისადმი. ზოგი ჩრდილოური ენა თავს უყრის თანხმობებს, ზოგი სამხრეთული ენა კი ფართოდ იყენებს ხმოვნებს და აქედან მოდის მათი ჰარმონიულობა. ჰავასა და ცხოვრების პირობებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ენაზე, მაგრამ პრობლემა რთულდება დეტალებში ჩაღრმავებისთანავე: სკანდინავური ენების გვერდით, რომლებიც ასე გადატვირთულია თანხმობებით, ლოპანური თუ ფინური დიალექტები თვით იტალიურ ენაზე უფრო ვოკალურებიც კი არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ თანხმობანთა თავმოყრა თანამედროვე გერმანულში ძირითადად, სულ ახალი მოვლენაა და მახვილის მომდევნო ხმოვანთა დაკარგვითაა გამოწვეული. სამხრეთ საფრანგეთის ზოგი დიალექტი ნაკლებ ენინააღმდეგება თანხმობანთა ჯგუფებს, ვიდრე ჩრდილო საფრანგეთის დიალექტები; ხოლო სერბულში ისინი იმდენადვეა, რამდენადაც მოსკოვურ რუსულში და ა.შ.

III. ხშირად იმონებენ უმცირესი ძალისხმევის კანონს, რომელიც ორ არტიკულაციას ერთით ცვლის, ანდა რთულს სხვა, უფრო მოხერხებულით. ეს იდეა, როგორც არ უნდა ვთქვათ, შემონმებს საჭიროებს. მას შეუძლია შუქი მოჰფინოს მოვლენის მიზეზს, ან თუნდაც მიგვანიშნოს, საითკენ გავაგრძელოთ კვლევა.

უმცირესი ძალისხმევის კანონი, თითქოსდა ხსნის შემთხვევათა გარკვეულ რაოდენობას: მაგ. ხშული თანხმობის სპირანტი გადასვლა (ლათ. habere→ფრანგ. avoir „ქონა“), ბოლოკიდური მარცვლების დიდი რაოდენობის დაკარგვა მრავალ ენაში, ასიმილაციის მოვლენა (მაგ. ly→ll, *alyos→ბერძ. állos „სხვა“, tn→nn, *atnos→ლათ. annus „წელი“), დიფთონგთა მონოფთონგიზაცია, რაც ასიმილაციის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს (მაგ. ai→e, ფრანგ. maizōn→mεζε „სახლი“) და ა.შ.

შეიძლება დავასახელოთ ამდენივე, ზუსტად საპირისპირო შემთხვევა. მონოფთონგიზაციას შეიძლება დაეუპირისპიროთ მაგ. გერმანული *i*-ს, *u*-ს და *ü*-ს შეცვლა შესაბამისად *ei*, *au*, *eu*-თი. თუ ჩავთვლით, რომ სლავური *a*, *ē*-ს შეცვლა *ǣ*, *ĕ*-თი გამოწვეულია უმცირესი ძალისხმევით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანულში წარმოდგენილი საპირისპირო მოვლენა (fāter→Väter „მამა“, gēben→gēben „მიცემა“) უფრო ძლიერი ძალისხმევითაა გამოწვეული. თუ მფლერს უფრო ადვილად წარმოსათქმელად ჩავთვლით ვიდრე ყრუს (შდრ. opera→პროვ. obra „შრომა“), საპირისპირო შემთხვევა მეტ ძალისხმევას მოითხოვს და მიუხედავად ამისა, ესპანურში *z* გადავიდა *χ*-ში (მაგ. hijo „ძე“ ინერება hijo), ხოლო გერმანიკული *h*, *d*, *g*-ს *p*, *t*, *k*-თი ცვლის. თუ ასპირაციის გაქრობა (მაგ. ინდოევრ. *bherō→გერმ. beran „მომატყვს“) ძალისხმევის შემცირებად განიხილება, რაღა უნდა ვთქვათ გერმანულზე, რომელიც მას წარმოგვიდგენს იქ, სადაც არ ყოფილა (Tanne „ნაძვი“, Pute „ინდაური“ და ა.შ., რომლებიც წარმოითქმებიან როგორც Thanne, Phute).

ამ შენიშვნებს შემოთავაზებული ახსნის უარყოფის პრეტენზია არა აქვს. ფაქტობრივ, სრულიად შეუძლებელია განვსაზღვროთ, რის წარმოთქმა უფრო რთულია ან უფრო ადვილი ამა თუ იმ ენაში. თუ მართალია, რომ შეკვეცა შეესაბამება უმცირეს ძალისხმევას გრძლივობის მნიშვნელობით, ასევე მართალი იქნება, რომ დაუდევარი წარმოთქმა დაგრძელებას იძლევა და რომ მოკლე ბგერათა წარმოთქმა უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. ამრიგად, თუ ვივარაუდებთ განსხვავებულ წინასწარგანწყობებს, ორი საპირისპირო ფაქტი ერთგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ასევე, იმ შემთხვევებშიც, როცა *k* გადავიდა *tš*-ში (მაგ. ლათ. cedere→იტალ. cedere „დათმობა“), თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პროცესის მხოლოდ უკიდურეს ზღვარს, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადგილი ჰქონდა ძალისხმევის მატებას. მაგრამ, შთაბეჭდილება რამდენადმე შეიცვლებოდა, თუ აღვადგენდით ჯაჭვს: *k* გადავიდა პალატალურ *k'*-ში მომდევნო ხმოვანთან ასიმილაციის გამო. შემდეგ *k'* გადადის *ky*-ში, თუმცა წარმოთქმა ამით არ გართულებულა. *k'*-ში შემავალი ორი ელემენტი მკაფიოდ გამიჯნული იყო, შემდეგ *ky*-დან თანმიმდევრულად გადავიდა *ty*, *tχ*, *tš*-ში და თან ძალისხმევა ყოველ ჯერზე მცირდებოდა.

აქ ჩასატარებელი იქნება ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელმაც სრული სახის მისაღებად უნდა გაითვალისწინოს როგორც ფიზიოლოგიური (არტიკულაციის საკითხი), ასევე ფსიქოლოგიური (ყურადღების საკითხი) თვალსაზრისი.

IV. ბოლო წლების მანძილზე მიღებული შეხედულებების თანახმად, წარმოთქმაში მიმდინარე ცვლილებები ბავშვობაში ჩვენს მიერ მიღებული ფონეტიკური აღზრდით აიხსნება. ბავშვი მრავალი მცდელობის, შეცდომებისა და შესწორებების წყალობით ახერხებს იმის წარმოთქმას, რაც ირგვლივ ესმის. ამაში უნდა იყოს ფესვი ფონეტიკური ცვლილებებისა. ზოგიერთი შეუსწორებელი უზუსტობა ფეხს იკიდებს ინდივიდში და მოზარდ თაობაში

ფიქსირდება. ხშირად, ჩვენი ბავშვები k-ს ნაცვლად t-ს წარმოთქვამენ, თუმცა ჩვენი ენების ისტორიაში მსგავსი ფონეტიკური ცვლილებები არ გვხვდება. დეფორმაციებისთვის საქმე სხვაგვარადაა. მაგ. პარიზში ბევრი ბავშვი fleur („ყვავილი“), bl'an-ს („თეთრი“) რბილი l-ით წარმოთქვამს. იტალიურში კი ანალოგიური პროცესის შედეგად florem მოგვცა fl'ore შემდეგ კი fiore.

ეს კონსტატიციები ყურადსაღებია, მაგრამ პრობლემას არ წყვეტს. მართლაც, გაუგებარია, რატომ ინარჩუნებს ერთი თაობა ბავშვობაში ათვისებულ და არა სხვა, ასევე ბუნებრივ უზუსტობებს. არასწორ წარმოთქმათა არჩევანი ნებისმიერად და საფუძველს მოკლებულად გვეჩვენება. მეორე მხრივ, რატომ იჩინა თავი გარკვეულმა მოვლენამ სწორედ ამ და არა სხვა დროს?

სხვათა შორის, ეს დაკვირვება ეხმიანება ყველა წინამავალ მიზეზს, თუ მათი მოქმედება დასაშვებია. კლიმატის გავლენა, რასობრივი წინასწარგანწყობა, სწრაფვა უმცირესი ძალისხმევისადმი არსებობს მუდმივად ან ხანგრძლივად. რატომ მოქმედებენ ისინი ეპიზოდურად, ფონოლოგიური სისტემის ხან ერთ, ხან მეორე წერტილში? ისტორიულ მოვლენას თავისი განმსაზღვრელი მიზეზი უნდა ჰქონდეს. ვერ ვიტყვით, რა ხდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რა იწვევს ცვლილებას, რომლის საერთო მიზეზიც დიდი ხნის მანძილზე არსებობდა. ეს ყველაზე რთულად ასახსნელი საკითხია.

V. ზოგჯერ, ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიზეზად მოცემულ მომენტში ერის საერთო მდგომარეობას მიიჩნევენ: ზოგი ენა უფრო მღელვარე ეპოქას გაივლის, ვიდრე სხვა. ცდილობენ ასეთი ეპოქები საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მღელვარე პერიოდებს დაუკავშირონ და ამით დაადგინონ კავშირი პოლიტიკურ და ლინგვისტურ არასტაბილურობას შორის. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ შესაძლოა ფონეტიკური ცვლილებები ეხმიანებოდნენ ზოგადად ენისთვის გამოტანილ დასკვნებს. შეინიშნება მაგალითად, რომ ყველაზე დიდი გარდატეხები რომანული ენებისკენ მიმავალ ლათინურში ემთხვევა შემოსევების მხრივ ყველაზე შფოთიან ეპოქას. რომ არ დავიბნეთ, ხელი უნდა ჩავჭიდოთ ორ განსხვავებას:

ა). პოლიტიკური სტაბილურობა ენაზე იმავე ზომით არ ახდენს გავლენას, როგორც არასტაბილურობა. აქ არავითარი შესატყვისობა არ არის. როცა პოლიტიკური ნონასწორობა ენის განვითარებას ანელებს, საქმე ეხება პოზიტიურ, თუმცაღა გარეგან მიზეზს, მაშინ როცა არასტაბილურობა, რომელიც საპირისპირო შედეგს იძლევა, მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ენაზე. უძრაობა, ენის მეტ-ნაკლები ფიქსაცია შეიძლება ენისათვის გარეგანი ფაქტორებისაგან (სამეფო კარის, სკოლის, აკადემიის, დამწერლობის და ა.შ. გავლენა) წარმოდგებოდეს, რომლებსაც თავის მხრივ, ხელს უწყობს დადგენილი სოციალური და პოლიტიკური ნონასწორობა. და პირიქით, ზოგი გარდატეხა, რომელიც მომხდარა ერის ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში, აჩქარებს ლინგვისტურ ევოლუციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ენა თავისუფლების მდგომარეობას უბრუნდება, სადაც იგი თავის ჩვეულებრივ დინებას მიჰყვება. ლათინურის უძრაობა კლასიკურ ეპოქაში გამოწვეულია გარეგანი

ფაქტორებით და არ შეიძლება შევადაროთ იმ ცვლილებებს, რომლებიც მან მოგვიანებით განიცადა, რადგან ისინი წარმოდგენენ მათგანვე, გარკვეული გარეგანი პირობების უქონლობის გამო.

ბ). აქ საქმე ეხება მხოლოდ ფონეტიკურ მოვლენებს და არა ენის ყოველგვარ მოდიფიკაციას. გასაგებია, რომ გრამატიკული ცვლილებები ამ მიზეზთა რიგზე მიუთითებს. გრამატიკული ფაქტები, გარკვეული თვალსაზრისით, მუდამ აზროვნებასთანაა დაკავშირებული და უფრო ადვილად ექვემდებარება გარეგან ძვრათა უკუქმედებას, რამდენადაც ისინი უშუალოდ აისახებიან ადამიანის ცნობიერებაზე. არაფერი გვაძლევს უფლებას დავუშვათ, რომ ერის ისტორიის შფოთიანი ეპოქები ენის ბგერათა დაჩქარებულ ევოლუციას შეესატყვისება.

სხვათა შორის, ძნელია იმ ეპოქის მითითება, როცა ენა ხელოვნურ უძრაობაში იმყოფებოდა, და რომლის დროსაც ენაში არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ მომხდარა.

VI. გამოითქვა ვარაუდი „წინაენობრივი სუბსტრატის“ შესახებ: ზოგი ცვლილება გამოწვეული უნდა იყოს აბორიგენი მოსახლეობით, რომელიც შთანთქა ახალმოსულმა. ამრიგად, განსხვავება ლანგედოკსა და ლანგედოილს შორის თითქოსდა უნდა შეესაბამებოდეს ავტოქთონური კელტური ელემენტის განსხვავებული პროპორციით განანილებას გალიის ორ ნაწილში. ამ თეორიას იყენებდნენ აგრეთვე, იტალიურის დიალექტური განსხვავებების მიმართაც, რომლებიც დაჰყავდათ რეგიონების მიხედვით, ლიგურულის, ეტრუსკულისა და სხვათა გავლენის სფეროებზე. უპირველეს ყოვლისა, ეს ვარაუდი ისეთ გარემოებებს გულისხმობს, რომლებიც იშვიათად გვხვდება. ამასთანავე, უნდა დავაზუსტოთ შემდეგი: ნიშნავს თუ არა ეს, რომ ახალი ენის მიღებისას წინამავალმა მოსახლეობამ მასში რაღაც შეიტანა თავისი ფონიკური ჩვევებიდან? ეს დასაშვები და სავსებით ბუნებრივია. მაგრამ, თუ კვლავ მოუხმობენ რასის ნაკლებობებულ და ა.შ. ფაქტორებს, ზემოთ აღნიშნულ წყვილადმი გადავეშვებით.

VII. უკანასკნელი ახსნა, რომელიც ახსნის სახელსაც კი არ იმსახურებს, ფონეტიკურ ცვლილებებს მოდურ ცვლილებებს ამსგავსებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ არავის აუხსნია: ცნობილია მხოლოდ, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან მიბაძვის წესებზე, რომლებითაც არაერთი ფსიქოლოგი დაინტერესებულა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ახსნა საკითხს თუ არ წყვეტს, ის უპირატესობა მაინც გააჩნია, რომ სხვა, უფრო ფართო პრობლემის საკითხად წარმოგვიდგენს მას: ფონეტიკური ცვლილებების პრინციპი წმინდად ფსიქოლოგიური ხასიათისა უნდა იყოს. საიდუმლო რჩება: სად არის მიბაძვის, აგრეთვე ფონეტიკური ცვლილებებისა და მოდის ცვლილებების ამოსავალი წერტილი.

თუ შევეცდებით შევაფასოთ ფონეტიკურ ცვლილებათა მოქმედება მალე დავრწმუნდებით, რომ იგი შეუზღუდავი და ალურიცხვადია, ე.ი. შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ სად შეწყდებიან ისინი. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სიტყვა მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შეიძლება შეიცვალოს, თითქოს მასში არსებობს რაღაც, რაც მას დაიფარავს. ფონეტიკურ მოდიფიკაციათა ხასიათი დამოკიდებულია ენობრივი ნიშნის პირობით ნებისმიერობაზე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მნიშვნელობასთან.

ყოველთვის შეიძლება იმის კონსტატაცია, თუ რა ზომით იცვლებოდა სიტყვის ბგერა, მაგრამ შეუძლებელია წინასწარ თქმა თუ რამდენად ამოუცნობი გახდა ან გახდება იგი.

გერმანიკულმა ინდოევროპული *aiwom (მაგ. ლათ. aewom „საუკუნე“) გადმოიღო ისევე, როგორც ყველა, იმავე დაბოლოების მქონე სიტყვა — *aiwan, *aiwa, *aiw; შემდეგ *aiw ძველ გერმანულში გარდაიქმნა ew-ად, ისევე, როგორც aiw ჯგუფის შემცველი ყველა სიტყვა. შემდეგ, რადგან ყველა ბოლოკიდური w o-დ იცვლება, მივიღეთ *ei*; თავის მხრივ, *ei* გადავიდა *ei*, *io*-ში სხვა, ასევე ზოგადი ხასიათის წესების თანახმად. შემდეგ *io*-მ მოგვცა *ie*, *je*, რამაც თანამედროვე გერმანულში მოგვცა *jē* (მაგ. das schönste, was ich je gesehen habe „საუკეთესო მათ შორის, რაც ოდესმე მინახავს“).

თუ მხოლოდ საწყის და საბოლოო წერტილებს განვიხილავთ, თანამედროვე სიტყვა მხოლოდ ერთ პირველად ელემენტს შეიცავს. ამავე დროს, ცალკე აღებული ყოველი ეტაპი აბსოლუტურად სანდო და რეგულარულია. გარდა ამისა, თითოეული მათგანის მოქმედება განსაზღვრულია, მაგრამ მთლიანობა ქმნის ცვლილებათა არაზღვრული ჯამის შთაბეჭდილებას. ასეთივე კონსტატაციების გაკეთება შეიძლება ლათინური *calidum*-ის („თბილი“) შესახებ, თუ მას შევადარებთ იმასთან, რაც მან ახალ ფრანგულში მოგვცა (ჰი ინერება *chaud*), ხოლო შემდეგ, თუ აღვადგენთ მის ცვლილებათა ეტაპებს: *calidum*, *calidu*, *caldu*, *cald*, *calt*, *tšalt*, *tšaut*, *šaut*, *šot*, *šo*-. შეადარეთ აგრეთვე, ხალხური ლათინური **waidanju*→*gē* („მოგება“, ინერება *gain*), *minus*→*mwē* („ნაკლები“, ინერება *moins*), *hoc illi*→*wi* („დიახ“, ინერება *oui*).

ფონეტიკური მოვლენა განუსაზღვრელი და ალურიცხვადია იმ მნიშვნელობითაც, რომ იგი ნებისმიერ ნიშანს ეხება, განურჩევლად იმისა, იქნება იგი ზედსართავი, არსებითი და ა.შ. თუ ძირი, თავსართი, დაბოლოება და ა.შ. აპრიორი, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ მოვლენაში გრამატიკა რომ ჩარეულიყო, ფონეტიკური მოვლენა სინქრონულ ფაქტში აირეოდა, რაც ყოველად დაუშვებელია. ამას შეიძლება ბგერათა ევოლუციის ბრმა ხასიათი ეუნოდოთ.

ასევეა ბერძნულშიც, *n*-ს შემდეგ *s*-ს ჩაყარდნა მოხდა არა მხოლოდ სიტყვებში **khānses* („ბატები“), **mēnses* („თვე“, საიდანაც მივიღეთ *khēnes*,

mēnes), სადაც მას გრამატიკული ღირებულება არ ჰქონია, არამედ ისეთ ზმნურ ფორმებშიც, როგორებიცაა **etensa*, **ephansa* და ა.შ. (საიდანაც მივიღეთ სიტყვები *éteina*, *éphēna*), რომლებშიც იგი აორისტის ნიშანი იყო. საშუალო ზემოგერმანულში მახვილის მომდევნო ხმოვნებმა -*ī* *ǣ* *ǣ* მიიღეს ერთგვარი *e* ხმოვნის ტემბრი (*gibil*→*Giebel* „სახურავის კები“, *meistar*→*Meister* „ოსტატი“), მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დაბოლოებას განსხვავებული ტემბრი ახასიათებდა. ამის შედეგად მხ. რიცხვის აკუზატივი *boton* „შიკრიკის“ და მხ. რ. დატივი *boten* „შიკრიკს“ ერთმანეთს დაემთხვა *boten* ფორმით.

თუ ფონეტიკური მოვლენები არაფრით არ იზღუდებიან, მათ ღრმა ძვრები უნდა გამოიწვიონ გრამატიკულ ორგანიზმში. ახლა, სწორედ ამ ასპექტით განვიხილოთ ისინი.

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რომელიც უნდა იყოს, არაა დადგინებული, თუ რამდენად ხშირად ხდება ისინი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული.

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რომელიც უნდა იყოს, არაა დადგინებული, თუ რამდენად ხშირად ხდება ისინი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული.

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რომელიც უნდა იყოს, არაა დადგინებული, თუ რამდენად ხშირად ხდება ისინი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული.

ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, რომელიც უნდა იყოს, არაა დადგინებული, თუ რამდენად ხშირად ხდება ისინი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვამთ, ისინი უნდა იყოს რეგულარული.

თავი III

ფონეტიკის ევოლუციის გრამატიკული შედეგები

§1. გრამატიკული კავშირის განყვება

ფონეტიკური ცვლილებების პირველი შედეგია გრამატიკული კავშირის განყვება ორ ან რამდენიმე სიტყვას შორის. ისეც ხდება, რომ სიტყვა სხვა სიტყვისგან წარმოებულად აღარ აღიქმება. მაგ.

ლათ. mansiō („საცხოვრებელი“) — *mansiōnāticus

ფრანგ. maison („სახლი“) || ménage („საოჯახო მეურნეობა“)

წინათ, ენობრივი ცნობიერება *mansiōnāticus-ში ხედავდა mansiō-სგან წარმოშობას სიტყვას, შემდეგ კი ფონეტიკურმა ცვლებამ დაიწყო ეს სიტყვები ერთმანეთისგან გათიშა. ასევეა

(vervĕx — vervĕcārius)

ხალხური ლათ. herbīx („ვერძი“) — herbīcārius („მწყემსი“)

ფრანგული brebis („ცხვარი“) || berger („მწყემსი“).

ეს გათიშვა, ბუნებრივია, აისახა ლირებულებაზეც. ასე მაგალითად, ზოგ კილოკავში berger „მეძროხეს“ აღნიშნავს.

სხვა მაგალითები:

ლათ. Grātiānopolis („გრაციანოპოლი“) — grātiānopolitānus („გრაციანოპოლის [ოლქი])

ფრანგ. Grenoble („გრენობლი“) || Grésivaudan („გრეზივოდანი“)

ლათ. decem („ათი“) — undecim („თერთმეტი“)

ფრანგ. dix („ათი“) || onze („თერთმეტი“)

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს გუთურში: bitan („კბენა“) — bitum („ვუკბინეთ“) — bitr („მკბენი“, „მწარე“); ერთი მხრივ, t→ts (z) ცვლილების, მეორე მხრივ კი tr ჯგუფის შენარჩუნების შედეგად დასავლეთ გერმანულში მივიღეთ: biꝥan, biꝥum || bitr.

ფონეტიკური ევოლუცია ამსხვრევს ერთი სიტყვისაგან წარმოშობას ორ ფლექსიურ ფორმას შორის არსებულ ბუნებრივ კავშირს. ამრიგად, ლათ. comes („თანამგზავრი“ სახ. ბრ.) — comiten („თანამგზავრის“ აკუსატი.) ძველ ფრანგულში წარმოგვიდგება როგორც cuens („გრაფი“ სახ. ბრ.) || comite („გრაფის“ ირ. ბრ.), ხალხური ლათინურის barō („თავისუფლად შობილი“) — barōnem („თავისუფლად შობილის“) → ძვ. ფრანგ. ber („ბარონი“) || baron („ბარონის“ ირ. ბრ.), ლათ. presbiter („უზუცესი“) — presbiterum („უზუცესის“ ნათ. ბრ.) → ძვ. ფრანგ. prestre („მღვდელი“) || provoire („მღვდლის“).

სხვაგან ხდება დაბოლოების ორად გაყოფა. ინდოევროპულში მხ. რ. ყველა აკუსატივს ერთნაირი დაბოლოება, -m! ჰქონდა (*ekwom, *owim,

*podm, *māterm და ა. შ.). ლათინურს ამ მხრივ არსებითი ცვლილებები არ განუცდია, ხოლო ბერძნულში ცხვირისმიერი სონანტისა და თანხმოვნის ძალზე განსხვავებულმა კვალიფიკაციამ წარმოშვა აკუსატივის ორი განსხვავებული რიგი: ერთი მხრივ ἵππον („ცხენის“), ῥ(w)ῖν („ცხვრის“), მეორე მხრივ κῖ — πόδα („ფეხის“), μάτερα („დედის“). სავსებით ანალოგიურ ფაქტს წარმოგვიდგენს აკუსატივი მრ. რ.-ში (მაგ. hippous „ცხენების“, მაგრამ πόδας „ფეხების“).

§2. სიტყვათა შედგენილობის ნაშლა

ფონეტიკურ ცვლილებათა სხვა გრამატიკული შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის განსხვავებული ნაწილები, რომლებიც ხელს უწყობენ მისი ლირებულების დადგენას, კარგავენ გამოყოფის უნარს: სიტყვა დაუყოფად მთლიანობად იქცევა. მაგ. ფრანგ. ennemi („მტერი“ მაგ. ლათ. inimicus „მტერი“ — amicus „მეგობარი“), ლათინურში perdere („დაღუპვა“, „დაკარგვა“ მაგ. უფრო ძველი ფორმა per-dare — dare „მიცემა“), *ambjaciō — jaciō-ს ნაცვლად, amiciō („ფუთავი“), გერმანულში Drittel („მესამედი“), ნაცვლად drit-teil-ისა („მესამედი ნაწილი“) — teil („ნაწილი“).

ამასთანავე, ზედავთ, რომ ეს შემთხვევა წინა პარაგრაფში განხილულ შემთხვევებზე დაიყვანება. თუ მაგ. ennemi („მტერი“) დაუნაწევრებადია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ისე ვეღარ შევაპირისპირებთ, როგორც inimicus-ს მარტივ amicus-თან. ფორმულა:

amicus — inimicus

ami || ennemi

სავსებით მსგავსია ფორმულისა:

mansiō — mansiōnāticus

maison || ménage

შდრ. აგრეთვე decem — undecim : dix || onze

hon-ce, han-ce, hā-ce-დან მომდინარე კლასიკური ლათინურის მარტივი ფორმები hunc „ეს“ (მამრ. სქ. ბრალდ. ბრ.), hanc (საშ. სქ. ბრალდ. ბრ.), hāc („აქ“) და ა. შ. როგორც ეპიგრაფიკული ფორმები მოწმობენ, წარმოადგენენ ნაცვალსახელის -ce ნაწილაკთან შენებების შედეგს. ოდესღაც hon - ce და სხვ. შეიძლებოდა შეგვეპირისპირებინა ec - ce-სთვის, მაგრამ მოგვიანებით -e-ს ფონეტიკური ჩაყარდნის გამო ეს შეუძლებელი გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ hunc, hanc, hāc და ა. შ. ფორმების შემადგენელი ელემენტები აღარ გამოიყოფა.

ფონეტიკური ევოლუცია იწყება იმით, რომ ძნელდება დანაწევრება, შემდეგ კი, საერთოდ, შეუძლებელი ხდება. ამის მაგალითია ინდოევროპულის ბრუნება.

ინდოევროპულში არსებითი სახელი ასე იბრუნებოდა: სახ. მხ. რ. *pod-s („ფეხი“), ბრალდ. ბრ. მხ. რ. *pod-m, მიც. ბრ. მხ. რ. *pod-ai ლოკატ. მხ. რ. *pod-i. მრ. რ. სახ. ბრ. *pod-es მრ. რ. ბრალდ. ბრ. pod-ns და ა. შ.

თავდაპირველად, ზუსტად ასევე იბრუნვოდა *ek₁wos *ek₁wo-s, *ek₁wo-m, *ek₁wo-ai, *ek₁wo-i, *ek₁wo-es, *ek₁wo-ns და ა.შ. იმ დროისათვის ფუძე *ek₁wo ისევე ადვილად გამოიყოფოდა, როგორც *pod-. მოგვიანებით ხმოვანთა კონტრაქციამ ამ მდგომარეობას სახე უცვალა: მრ. რ. მიც. ბრ. *ek₁wōi, მხ. რ. ლოკატ. *ek₁woi, მრ. რ. სახ. ბრ. *ek₁wōs. აქედან მოყოლებული *ek₁wo-ს მკაფიოობა დაიბინდა და ანალიზმა ცვლილებანი გამოიწვია. უფრო გვიან, კვლავ ახალმა ცვლილებებმა, როგორც იყო, მაგ. ბრალდებითი ბრუნვის დიფერენციაცია (გვ. 160) თავდაპირველი მდგომარეობის უკანასკნელი კვალი ნაშალა. ქსენოფონის თანამედროვეთ ალბათ, hipp- მიაჩნდათ ფუძედ, დაბოლოებული კი ხმოვნით დაწყებულად (hipp-os და ა.შ.), საიდანაც მოდის *ek₁wo-s და *pod-s ფორმების აბსოლუტური გამიჯვნა. ფორმაცვალეებაში, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, ყოველივე, რაც ხელს უშლის დანაწევრებას, ხელს უწყობს გრამატიკული კავშირების შესუსტებას.

§3. ფონეტიკური დუბლტაჟი არ არსებობს

1 და 2 პარაგრაფებში განხილულ ორ შემთხვევაში ევოლუცია ერთმანეთისგან სრულიად თიშავს წარმოშობით გრამატიკულად დაკავშირებულ ორ სიტყვას. ამ მოვლენამ შეიძლება მძიმე შეცდომა გამოიწვიოს ინტერპრეტაციისას.

როცა ლაპარაკობენ ხალხური ლათინურის barō („თავისუფლად შობილი“): barōnem („თავისუფლად შობილის“) წყვილის შედარებითს იგივეობაზე, ხოლო ძველი ფრანგულის ber („ბარონი“): baron („ბარონის“) წყვილის სხვადასხვაობაზე, ხომ არ ცდილობენ იმის თქმას, რომ ერთი და იგივე თავდაპირველი ერთეული (bar-) ორი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა და ორი ფორმა წარმოშვა? არა, რადგან შეუძლებელია, რომ ერთმა და იმავე ელემენტმა ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას ორი განსხვავებული ტრანსფორმაცია განიცადოს. ეს თვით ფონეტიკურ ცვლილებათა განსაზღვრის საწინააღმდეგო იქნებოდა. ბგერათა ევოლუციას თავისთავად, არ შეუძლია ერთის ნაცვლად ორი ფორმა წარმოქმნას.

ჩვენი დებულების საპასუხოდ, შეიძლება ასეთი კონტრარგუმენტები წამოგვიყენონ, დავუშვათ, რომ მათ წინ უძღვის მაგალითები.

გვეტყვიან, რომ ლათინურმა collocāre-მ („მოთავსება“) მოგვცა ფრანგული coucher („დაწოლა“) და colloquer („მოთავსება“). მაგრამ, colloquer სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული ნასესხობა ლათინურიდან (შდრ. ფრანგ. rançon „გამოსასყიდი“ და rédemption „გამოსყიდვა“ და ა.შ.).

განა ლათინურმა cathedra-მ („სავარძელი“) არ მოგვცა ორი ჭეშმარიტად ფრანგული სიტყვა chaire („კათედრა“) და chaise („სკამი“)? სინამდვილეში chaise დიალექტური ფორმაა. პარიზული კილოკავი ინტერვოკალურ r-ს z-დ ცვლიდა. მაგალითად, ამბობდნენ: pèse ნაცვლად père-ისა („მამა“), mèse ნაცვლად mère-ისა („დედა“). სალიტერატურო ფრანგულმა ამგვარი წარმოთქმის მხოლოდ ორი ნიმუში შეინარჩუნა: chaise

(„სკამი“) და bésicles („სათვალე“, დუბლეთი სიტყვისა béracles, რომელიც béril-დან „ბირვილი“ მომდინარეობს). ანალოგიური შემთხვევა გვაქვს პიკარდიული rescapé-ს („გადარჩენილი“) სახით, რომელიც ცოტა წინ წინ შევიდა საერთო სახალხო ფრანგულში და ამრიგად réchappé-ს დაუპირისპირდა. თუ ერთმანეთის გვერდით გვაქვს ფორმები cavalier („მხედარი“) და chevalier („რაინდი“), cavalcade („კავალკადა“) და chevauchée („ცხენოსანი“), ეს იმიტომ, რომ cavalier და cavalcade იტალიურიდან არიან ნასესხები. არსებითად, ეს ისეთივე შემთხვევაა, როგორც ლათინური calidum („თბილი“ ბრალდ. ბრ.), რომელმაც ფრანგულში მოგვცა chaud, იტალიურში კი — caldo. ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნასესხობებთან.

თუ ახლა დაგვიჟინებენ, რომ ლათინური ნაცვალსახელი mē ფრანგულში წარმოდგენილია ორი ფორმით: me და moi (მაგ. il me voit „ის მე მხედავს“ და c'est moi qu'il voit „ეს მე მხედავს ის“), ვუპასუხებდით: ლათინურმა უმახვილო mē-მ მოგვცა me, მახვილიანმა mē-მ კი — moi; მახვილის ქონა-არქონა დამოკიდებულია არა ფონეტიკურ კანონებზე, რომლებმაც mē-დან me და moi მოგვცეს, არამედ ამ სიტყვის როლზე წინადადებაში. ეს გრამატიკული დუბლობაა. ასევეა გერმანულშიც: მახვილიანი *ur- დარჩა ur-ადვე, მახვილისწინა ბოზიციაში კი იქცა er-ად (მაგ. úr- „შეგებულება“ და er-lauben „ნებართვა“). მაგრამ, მახვილის ამგვარი მოქმედება თავის მხრივ დაკავშირებულია კომპოზიციის იმ ტიპთან, რომელშიაც შედის ur-, და მაშასადამე, გრამატიკულ და სინქრონულ პირობასთან. და ბოლოს, ჩვენს თავდაპირველ მაგალითს თუ დაუბრუნდებით, განსხვავებანი ფორმისა და მახვილების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია წყვილში bārō : barōnem ამკარად ფონეტიკურ ცვლილებებზე ადრეულია.

ფაქტობრივ, არსად არ დასტურდება ფონეტიკური დუბლეტები. ბგერათა ევოლუცია მხოლოდ მასზე ადრე არსებულ განსხვავებებზე ამახვილებს ყურადღებას. ყველგან, სადაც ეს განსხვავებები გარეგანი მიზეზებით არაა გამოწვეული, როგორც ეს ნასესხობების შემთხვევაშია, იგი გულისხმობს გრამატიკულსა და სინქრონულ ორმაგობას, რაც სავსებით უცხოა ფონეტიკური მოვლენისათვის.

§4. მონაცვლეობა

ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა maison („სახლი“) და ménage („საოჯახო მეურნეობა“) აზრი არა აქვს იმის ძიებას, რა ქმნის განსხვავებას მათ შორის, რადგან განმასხვავებელი ელემენტები (-ez და -en-) ბევრს არაფერს გვაძლევენ შედარებისათვის; აგრეთვე იმიტომ, რომ არც ერთი სხვა წყვილი მსგავს შეპირისპირებას არ გვაძლევს. მაგრამ, ხშირად ხდება, რომ ორი ახლობელი სიტყვა მხოლოდ ერთი ან ორი ადგილად გამოსაყოფი ელემენტით განსხვავდება და თვით ეს განსხვავება რეგულარულად მეორდება პარალელურ წყვილთა მთელ სერიაში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს

ფართოდ გავრცელებულ და ძალზე ჩვეულებრივ გრამატიკულ მოვლენასთან, რომელშიაც ფონეტიკური ცვლილებები გარკვეულ როლს ასრულებენ. ამ მოვლენას მონაცვლეობა ეწოდება.

ლათინური ენის ყოველი წ, წარმოდგენილი ღია მარცვალში, ფრანგულში მახვილიან პოზიციაში eu-ში გადავიდა, მახვილისწინაში კი — ou-ში. აქედან მივიღეთ წყვილები: pouvons („შეგვიძლია“): peuvent („შეუძლიათ“), oeuvre („ნაშრომი“): ouvrier („მუშა“), nouveau („ახალი“): neuf („ახალი“) და ა.შ. ლათინურ ადვილად გამოიყოფა განსხვავებისა და რეგულარული ვარიაციის ელემენტი. ლათინურში როტაციზმი ქმნის მონაცვლეობას gerō („ვატარებ“) — gestus (gerō-ს მიმღეობა), oneris — („ტვირთის“) — onus („ტვირთი“), maeror („სევდა“) — maestus („სევდიანი“) და ა.შ. გერმანიკულ ენებში მახვილის ადგილის შესაბამისად, s სხვადასხვანაირად ფასდება, რის გამოც, საშუალო ზემოგერმანულში გვაქვს ferliessen („დაკარგვა“): ferloren („დაკარგვას“ ნამყოს მიმღეობა), kiesien („ამორჩევა“): gekoren („ამორჩევას“ ნამყოს მიმღეობა), friesen („გაყინვა“): gefroren („გაყინვას“ ნამყოს მიმღეობა) და ა.შ. თანამედროვე გერმანულში ინდოევროპული e-ს ჩაჯარდნა აირეკლება ოპოზიციებში: beissen („კბენა“): biss („უკბინა“), leiden („ტანჯვა“): litt („იტანჯება“), reiten („ცხენით გასვლა“): ritt („ცხენით მიდიოდა“) და ა.შ.

ყველა ამ მაგალითში საქმე ეხება ძირეულ ელემენტს. მაგრამ, რა თქმა უნდა, სიტყვის ყველა ნაწილს შეუძლია წარმოგვიდგინოს მსგავსი შეპირისპირება. ყველაზე გავრცელებულია, მაგალითად, როცა ძირის თავკიდური ბგერის ბუნების შესაბამისად, პრეფიქსი გვევლინება განსხვავებული ფორმებით (მაგ. ბერძნული apo-dídōmi „მიცემა“, „დაბრუნება“: ap-érchomai „ნასვლა“, „დაბრუნება“, ფრანგული inconnu „უცნობი“: inutile „ზედმეტი“). ინდოევროპული მონაცვლეობა e:o, რომელიც საბოლოო ჯამში ფონეტიკური მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეული, ძალზე ხშირად სუფიქსურ ელემენტებში გვხვდება (ბერძნ. hippos „ცხენი“ (მხ. რ. სახ. ბრ.): hippe (მხ. რ. წოდ. ბრ.), phér-o-men „მიგვაქვს“: phér-e-te „მიგაქვთ“, gén-os „სქესი“: gén-e-os (ნაცვლად *gén-es-os „სქესის“) და ა.შ.). ძველი ფრანგული მახვილიან a-ს პალატალურთა მომდევნო პოზიციაში საგანგებოდ განიხილავდა. ამან გამოიწვია მონაცვლეობა e : ie მრავალ დაბოლოებაში (მაგ. chant-er „მღერა“: jug-ier „განსჯა“, chant-é „ნამღერი“: jug-ié „განსჯილი“, chan-tez „იმღერეთ“: jug-iez „განსაჯეთ“ და ა.შ.).

ამრიგად, მონაცვლეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც შესატყვისობა ორ ბგერას ან ბგერათა განსაზღვრულ ჯგუფებს შორის, რომლებიც რეგულარულად ენაცვლებიან ერთმანეთს თანაარსებულ ფორმათა ორი მწკრივის შიგნით.

აშკარაა, რომ ისევე, როგორც ცვლილება თავისთავად არ ხსნის დუბლეტების არსებობას, იგი არ წარმოადგენს არც ერთადერთს და არც მთავარ მიზეზს მონაცვლეობისას. როცა ამბობენ, რომ ლათ. nov-ფონეტიკური ცვლილების შედეგად გადავიდა neuv- და nouv-ში (neuve,

nouveau „ახალი“), ამით ქმნან გამოგონილ ერთეულს და უგულვებელყოფენ წინამავალ სინქრონულ დუბლობას. nov-ის განსხვავებული პოზიცია nov-us-სა და nov-ellus-ში წინ უსწრებს ფონეტიკურ ცვლილებას და წმინდა წყლის გრამატიკული ფაქტია (შდრ. barō : barōnem). სწორედ ასეთი დუბლობა გვევლინება ყოველი მონაცვლეობის წყაროდ და შესაძლებელს ხდის მას. ფონეტიკურმა მოვლენამ კი არ მოსპო ძველი ერთეული, მან ბგერათა გადაწვეთ მხოლოდ უფრო საგრძნობი გახადა თანაარსებული ელემენტების დაპირისპირება. მონაცვლეობის ფონეტიკურ მოვლენად მიჩნევა, რასაც ბევრი ენათმეცნიერი იზიარებს, უბრალოდ იმიტომ, რომ ბგერები ქმნიან მის მასალას ხოლო მათი ცვლილებები მონაწილეობენ მონაცვლეობის წარმოშობაში, შეცდომაა. სინამდვილეში, მონაცვლეობა თავიდან ბოლომდე მხოლოდ გრამატიკასა და სინქრონიას ეკუთვნის.

§5. მონაცვლეობის კანონები

დაიყვანება თუ არა მონაცვლეობა გარკვეულ კანონებზე და რა ბუნებისაა ეს კანონები?

განვიხილოთ თანამედროვე გერმანულში ძალზე გავრცელებული მონაცვლეობა e : i. თუ შემთხვევების მთელ მასას არეულად ავიღებთ (geben „მიცემა“: gibt „აძლევს“, Feld „ველი“: Gefilde „ყანა“, „ველი“, Wetter „ამინდი“: Wittern „აღლოს ალება“, helfen „დახმარება“: Hilfe „დახმარება“ (სახელი), sehen „ხედავ“: Sicht „ხედვა“) ვერავითარ ზოგად პრინციპს ვერ ჩამოვყალიბებთ. მაგრამ, თუ ამ მასიდან ამოვიღებთ წყვილს — geben : gibt და შევუპირისპირებთ მას წყვილებს schelten („ტუქსვა“) : schilt („ტუქსავს“), helfen („დახმარება“) : hilft („ეხმარება“), nehmen („აღება“) : nimmt („იღებს“) და ა.შ., აღმოჩნდება, რომ ეს მონაცვლეობა ემთხვევა განსხვავებას დროის, პირის და ა.შ. მიხედვით. წყვილებში lang („გრძელი“): Länge („სიგრძე“), stark („ძლიერი“): Stärke („ძალა“), hart („მყარი“): Härte („სიმყარე“) და ა.შ. როგორც ჩანს, დაპირისპირება a : e დაკავშირებულია არსებითი სახელის წარმოებასთან ზედსართავისაგან. ხოლო Hand („ხელი“): Hände („ხელები“), Gast („სტუმარი“): Gäste („სტუმრები“) და ა.შ. — მრავლობითი რიცხვის წარმოებას უკავშირდება. ასევე ყველა იმ შემთხვევაში, რომლებიც ასე ხშირია და რომლებსაც გერმანისტიები აბლაუტის სახელწოდებით აერთიანებენ. (მაგ. finden „პოვნა“: fand „იპოვნა“, ან finden „პოვნა“: Fund „ნაპოვნი“, binden „შეკვრა“: band „შეკრა“, ან binden „შეკვრა“: Bund „შეკვრა“, schiessen „სროლა“: schoss „ისროლა“: Schuss „გასროლა“, fließen „დინება“: floss „იდინა“: Fluss „ნაკადი“ და ა.შ.). აბლაუტი, ანუ ძირეულ ხმოვანთა ვარიანტი, რომელიც გრამატიკულ ოპოზიციას ემთხვევა, მონაცვლეობის ძირითადი ნიმუშია, მაგრამ ის ზოგადი მოვლენისაგან რაიმე კერძო ნიშნით არ განსხვავდება.

როგორც ვხედავთ, მონაცვლეობა, ჩვეულებრივ, რეგულარულად არის განაწილებული რამდენსამე სიტყვაში და მუდამ ემთხვევა მნიშვნელოვან ოპოზიციას ფუნქციის, კატეგორიის, დეტერმინაციის მიხედვით.

შეიძლება ვილაპარაკოთ მონაცვლეობის ძირითად კანონებზე, მაგრამ ეს კანონები მხოლოდ მათ წარმომქმნელ ფონეტიკურ მოვლენათა შემთხვევითი შედეგია. ფონეტიკური მოვლენები ქმნიან რეგულარულ ბგერით ოპოზიციებს ღირებულების მიხედვით დაპირისპირებულ სიტყვათა ორ მწკრივს შორის. გონება ეუფლება ამ მატერიალურ სხვაობას, მნიშვნელობას სძენს მას და ცნებათა განმასხვავებლად აქცევს (იხ. გვ. 90). ბგერათა ოპოზიციები, ისე როგორც ყველა სინქრონული კანონი, უბრალოდ, სანყისი ნერტივობა განლაგებისა, რომელთაც იმპერატიული ძალა არ გააჩნიათ. არ არის მართებული იმის თქმა, როგორც ამას იოლად სჩადიან, თითქოს *a* სიტყვაში *Nach* („ლამე“) იცვლება *ä*-დ მრ. რ-ის ფორმაში *Nächt*. ეს ქმნის ილუზიას, თითქოს *გ* ზაზე ერთიდან მეორე სიტყვამდე ჩარეულია იმპერატიული სანყისის მქონე მომწესრიგებელი გარდაქმნა. სინამდვილეში, საქმე გვაქვს ფონეტიკური ევოლუციის შედეგად მიღებულ ფორმათა უბრალო დაპირისპირებასთან. მართალია, ანალოგიას, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ, შეუძლია შექმნას ახალი წყვილები, რომლებიც ისეთსავე ბგერით განსხვავებას წარმოგვიდგენენ (მაგ. *Kranz* „გვირგვინი“: *Kränze* „გვირგვინები“, ისევე როგორც *Gast* „სტუმარი“: *Gäste* „სტუმრები“ და ა.შ.). იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონი გამოიყენება როგორც წესი, რომელიც მბრძანებლობს ჩვევაზე და წარმართავს მის მოდიფიკაციას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ენაში ასეთი პერმუტაციები საპირისპირო ანალოგიების გავლენებს ექვემდებარება, რაც საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ ამ რიგის წესები მუდამ შემთხვევაზე დამოკიდებული და სავსებით პასუხობს სინქრონული კანონის განსაზღვრას.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მონაცვლეობის გამომწვევი ფონეტიკური მიზეზი აშკარა იყოს. ასე მაგ. გვ. 165-ზე მოცემულ წყვილებს ძვ. ზემოგერმანულში შემდეგი ფორმა ჰქონდათ: *geban* („მოცემა“): *gibit* („ძღვევა“), *feld* („მინდორი“): *gafildi* („ყანა“) და ა.შ. იმ პერიოდში თუ ფუძეს *i* მოსდევდა ის თვით მოგვევლინებოდა *i* ხმოვნით *e*-ს ნაცვლად, ყველა სხვა შემთხვევაში კი წარმოგვიდგენდა *e*-ს. ლათინური მონაცვლეობაც *faciō* („კეთება“): *conficiō* („გაკეთება“), *amicus* („მეგობარი“): *inimicus* („მტერი“), *facilis* („ადვილი“): *difficilis* („ძნელი“) ასევე დაკავშირებულია ფონეტიკურ ფაქტორთან, რომელსაც მოლაპარაკე ინდივიდები ასე გამოხატავდნენ: *faciō*, *amicus* და მათი ტიპის სიტყვათა *a* მონაცვლეობს *i*-სთან იმავე ბუდის სიტყვებში, სადაც ეს *a* შიგნითა მარცვალში გვხვდება.

მაგრამ, ეს ბგერითი ოპოზიციები ზუსტად იმაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რაზეც ყველა გრამატიკული კანონი: ისინი სინქრონულნი არიან. როგორც კი ამას დავივიწყებთ, იქმნება საშიშროება იმ ინტერპრეტაციული შეცდომისა, რომელიც უკვე აღნიშნული იყო (გვ. 103). *faciō*: *conficiō* წყვილის მაგალითზე, უნდა ვერიდოთ ამ თანაარსებულ სიტყვათა შორის არსებული მიმართების აღრევას იმ მიმართებასთან, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დიაქრონიული ფაქტორის დროში თანამიმდევარ ელემენტებს (*confaciō*—*conficiō*). თუ ამ შეცდომას მაინც დავუშვებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ამ წყვილებში ფონეტიკური დიფერენციაციის მიზეზი ჯერ კიდევ

ჩანს, მაგრამ მისი მოქმედება წარსულს განეკუთვნება, ხოლო მოლაპარაკე ინდივიდთათვის აქ მხოლოდ ჩვეულებრივი სინქრონული დაპირისპირებაა და სხვა არაფერი.

ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რაც ნათქვამი იყო მონაცვლეობის მკაცრად გრამატიკული ბუნების შესახებ. მის აღსანიშნავად იყენებდნენ საკმაოდ ზუსტ ტერმინს — პერმუტაციას, მაგრამ უმჯობესია მოვერიდოთ მის ხმარებას, რადგან იგი არაერთხელ იქნა გამოყენებული ფონეტიკური ცვლილებებისათვის და რადგან იგი მოძრაობის ყალბ შთაბეჭდილებას ქმნის იქ, სადაც მხოლოდ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

§6. მონაცვლეობა და გრამატიკული კავშირი

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ მივყავართ ფონეტიკურ ევოლუციას სიტყვათა ფორმების შეცვლით მათი შემაერთებელი გრამატიკული კავშირების განწყვეტამდე, მაგრამ ეს ვრცელდება მხოლოდ ისეთ ცალკეულ წყვილებზე, როგორიცაა *maison* („სახლი“): *ménage* („საოჯახო მეურნეობა“), *Teil* („ნაწილი“): *Drittel* („მესამედი“) და ა.შ. მონაცვლეობის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა.

თავიდანვე აშკარაა, რომ ორი ელემენტის ყოველი, მეტ-ნაკლებად რეგულარული ბგერითი დაპირისპირება ხელს უწყობს მათ შორის კავშირის დამყარებას. *Wetter* („ამინდი“) ინსტინქტურად ასოცირდება *wittern*-თან („გრძნობა“), რადგან მიჩვეული ვართ იმას, რომ *e*-ს ენაცვლება *i*. როცა მოლაპარაკენი გრძნობენ, რომ ბგერითი ოპოზიცია რეგულირებულია ზოგადი წესით, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ამ ჩვეულმა შესატყვისობამ მათი ყურადღება მიიპყროს და ხელი შეუწყოს გრამატიკული კავშირის განმტკიცებას და არა შესუსტებას. ასე მაგალითად, გერმანული აბლაუტი (გვ. 165) ყურადღებას ამახვილებს ფუძეთა ერთიანობის აღქმაზე ვოკალიკური ვარიაციების გავლით.

ასევეა წმინდა ფონეტიკურად განპირობებულ არაარსებით მონაცვლეობათა შემთხვევაშიც. ფრანგული პრეფიქსი *re-* (*reprandre* „ხელახლა აღება“, *regagner* „კვლავ მიღება“, *retoucher* „კვლავ შეხება“ და ა.შ.) ხმოვნის წინ იკუმშება *r*-დ (*rouvrir* „კვლავ გაღება“, *racheter* „კვლავ ყიდვა“ და ა.შ.). ასევე *in* პრეფიქსი, რომელიც საკმაოდ ხშირია, მისი წიგნური წარმოშობის მიუხედავად, ანალოგიურ პირობებში ორი განსხვავებული ფორმით გვხვდება: *ē-* (*inconnu* „უცხო“, *indigne* „უღირსი“, *invertébré* „უხერხემლო“ და ა.შ.) და *in* (*inavouable* „სამარცხვინო“, „გაუმხელელი“, *inutile* „უსარგებლო“, „ზედმეტი“, *inesthétique* „არაესთეტიკური“ და ა.შ.). ასეთი განსხვავებები სრულებითაც არ შლიან წარმოდგენის მთლიანობას, რადგან მნიშვნელობა და ფუნქცია აღიქმება როგორც იდენტური, ხოლო ენაში დაფიქსირებულია მათი ერთი ან მეორე ფორმით გამოიყენება.

თავი IV

ანალოგია

§1. განსაზღვრა და მაგალითები

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ფონეტიკური მოვლენა დესტრუქციული ფაქტორია. ყველგან, სადაც მონაცვლეობას არ ქმნის, ის ასუსტებს სიტყვათა გამაერთიანებელ კავშირებს. ფორმათა რაოდენობა უსარგებლოდ არის გაზრდილი; ენობრივი მექანიზმი იჩრდილება და რთულდება იმ წომით, რომ ფონეტიკური ცვლილებებით წარმოქმნილი უწესიერობანი სჯაბნიან ზოგადი ტიპების მიხედვით დაჯგუფებულ ფორმებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბსოლუტურად ნებისმიერი სჯაბნის შეფარდებით ნებისმიერს (იხ. გვ. 139).

საბედნიეროდ, ამ გარდაქმნათა ეფექტი განწონასწორებულია ანალოგიით. სწორედ ანალოგიით აღდგება სიტყვათა გარეგანი მხარის ყველა ნორმალური მოდიფიკაცია, რომლებიც არაა ფონეტიკური ბუნებისა.

ანალოგია გულისხმობს მოდელს და მის რეგულარულ იმიტაციას. ანალოგიური ფორმა, რომელიც წანარმოებია გარკვეული წესით ერთი ან რამდენიმე სხვა ფორმის ხატის მიხედვით.

მაგალითად, ლათინური სახ. ბრ. honor („პატივი“) ანალოგიის შედეგია. თავიდან ამბობდნენ honōs („პატივი“ სახ. ბრ.) : honōsem („ბრალდებ. ბრ.). შემდეგ, s-ს როტაციზმის გამო მივიღეთ honōs : honōrem. მას შემდეგ ფუძემორმაგი ფორმა შეიძინა. ეს დუალობა აცილებულ იქნა ახალი ფორმით honor, რომელიც შეიქმნა ყალიბის მიხედვით ōrātor : ōrātōrem და ა.შ., ე.ი. იმ ხერხით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ და რომელსაც ახლა პროპორციის მეოთხე სიდიდით წარმოვადგენთ.

ōrātōrem : ōrātor = honōrem : x
x = honor

როგორც ვხედავთ, ფონეტიკური ცვლილების გამამრავალ-ფეროვნებელი მოქმედების გასაწონასწორებლად (honōs : honōrem) ანალოგიამ ხელახლა გააერთიანა ფორმები და აღადგინა რეგულარობა (honor : honōrem).

ფრანგულად დიდხანს ამბობდნენ il preuve („ამტკიცებს“), nous prouvons („ვამტკიცებთ“), ils prouvent („ამტკიცებენ“). დღეს ამბობენ il prouve („ამტკიცებს“), ils prouvent („ამტკიცებენ“). ეს ფორმები ფონეტიკურად ვერ აიხსნება. il aime („მას უყვარს“) მომდინარეობს ლათინური amat-იდან, ხოლო nous aimons („გვიყვარს“) მიღებულია amons-ის ანალოგიით. ასევე უნდა

ვამბობდეთ amable-ს, ნაცვლად არსებული aimable („თავაზიანი“) ფორმისა. ბერძნულში ორ ხმოვანს შორის დაიკარგა s. -eso- შეიცვალა -ei-დ (მდრ. géneos „წარმომავლობის“ ნაცვლად *genesos-ისა). ამავე დროს, ეს ხმოვანთშორისი s გვხვდება მყოფადში და ყველა ხმოვანფუძიანი ზმნის აორისტიში: lūsō (მყოფ.), élūsā (აორისტი) და ა.შ. ანალოგიამ ისეთ ფორმებთან, როგორებიცაა tūpsō, étupsa რომლებშიც s არ ამოვარდნილა, შემოგვინახა ხსოვნა s-ზე დაბოლოებული მყოფადისა და აორისტისა. თუ გერმანულ ენაში ფორმები Gast („სტუმარი“): Gäste („სტუმრები“), Balg („ტყავი“): Bälge („ტყავები“) და ა.შ. ფონეტიკური წარმოშობისაა, Kranz („გვირგვინი“): Kränze („გვირგვინები“) ძველად kranz:kranza), Hals („კისერი“): Hälse („კისრები“) ძველად: halsa) და ა.შ. იმიტაციის საფუძველზე არიან წარმოქმნილი.

ანალოგია რეგულარობის სასარგებლოდ ხორციელდება და ცდილობს სიტყვათწარმოებისა და ფლექსიათა ფორმების უნიფიცირებას. მაგრამ, მას თავისი კაპრიზები აქვს: Kranz : Kränze-ს და ა. შ. პარალელურად გვაქვს Tag („დღე“) : Tage („დღეები“), salz („მარილი“) : salze („მარილები“) და ა.შ., რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით წინააღმდეგობა გაუწიეს ანალოგიას. ამრიგად, წინდანი შეუძლებელია ითქვას, სადამდე გავრცელდება ამა თუ იმ მოდელის იმიტაცია, ან როგორია მის გამოსაწვევად განკუთვნილი ტიპები. მაგალითად, ყოველთვის მრავალრიცხოვანი ფორმები არ გვევლინებიან ამგვარ როლში. ბერძნ. პერფექტში მოქმედებითი გვარის pépheuga („გავიქეცი“), pépheugas („გავიქეცი“), pephégamen („გავიქეცი“) და ა. შ. ფორმების გვერდით მთელი საშუალო გვარის ფორმები a-ს გარეშე იულღება: péphugmai („გავიქეცი“), pephúgmetha („გავიქეცი“) და ა.შ. ჰომეროსის ენაც გვიჩვენებს, რომ ეს a წინათ მრ. რიცხვსა და მოქმედებითი გვარის ორობით რიცხვში არ არსებობდა (მაგ. ídmen „ვიცი“, éīkton „ჩვენ რიცხვის პირველი პირიდან და მოიცვა თხრობითი კილოს პერფექტის თითქმის მთელი პარადიგმა. ეს შემთხვევა აღსანიშნავია იმიტომაც, რომ აქ ანალოგიას ფუძეში გადაჰყავს -a- ელემენტი, რომელიც თავდაპირველად ფლექსიას ეკუთვნოდა. ამიტომაც მივიღეთ pepheúga-men; როგორც ქვემოთ დავინახავთ (გვ. 177), საპირისპირო შემთხვევა — ფუძისეული ელემენტის მიბმა ფლექსიასთან ბევრად უფრო გავრცელებული მოვლენაა.

ხშირად ორი-სამი იზოლირებული სიტყვაც საკმარისია ზოგადი ფორმის, მაგ. დაბოლოების შესაქმნელად. ძველ ზემოგერმანულში habēn („ქონა“), lobōn („ქება“) ტიპის სუსტ ზმნებს ანმყო დრ. მხ. რ. I პირში აქვთ -m : habēm, lobōm. ეს -m მომდინარეობს ბერძნული -mi დაბოლოებიანი ფორმების ანალოგიური რამდენიმე ზმნიდან, როგორებიცაა bim („ვარ“), stām („ვდგავარ“), gēm („მივიდვარ“), tuom („ვაკეთებ“). მათ მოახვიეს თავს ეს დაბოლოება მთელს სუსტ უღლებას. აღვნიშნავთ, რომ ანალოგიამ ამ


შემთხვევაში კი არ ნაშალა ფონეტიკური მრავალფეროვნება, არამედ განაზოგადა ფორმათწარმოქმნის ხერხი.

§2. ანალოგიის მოვლენები ცვლილებას არ წარმოადგენენ

პირველმა ენათმეცნიერებმა ვერ გაიგეს ანალოგიის მოვლენის ბუნება და „ყალბ ანალოგიას“ ეძახდნენ მას. მათ მიაჩნდათ, რომ პროტოტიპი *honōs-*ის („პატივი“) ნაცვლად ფორმა *honor*-ის შემოტანით ლათინური ენა „შეცდა“. მათთვის ყველაფერი, რაც მოცემულ წესებს სცილდებოდა, იყო არასწორი, წარმოადგენდა რაღაც იდეალური ფორმის დარღვევას. იმ ეპოქისათვის ძალზე ნიშანდობლივი ილუზიის თანახმად, ენის თავდაპირველ მდგომარეობას უყურებდნენ როგორც რაღაც უმაღლესს, სრულყოფილს და არ უჩნდებოდათ კითხვა, უსწრებდა თუ არა ამ მდგომარეობას წინ რომელიმე სხვა. ყოველი „თავისუფლება“, თავის მხრივ, ანომალიად განიხილებოდა. ნეოგრამატიკოსთა სკოლამ პირველმა მიუჩინა ანალოგიის მისი ნამდვილი ადგილი და გვიჩვენა, რომ ფონეტიკურ ცვლილებებთან ერთად იგი წარმოადგენს ენათა ევოლუციის მნიშვნელოვან ფაქტორს, მოვლენას, რომლის მოქმედებით ენები ორგანიზაციის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადიან.

როგორია ანალოგიურ ქმედებათა ბუნება? წარმოადგენენ თუ არა ისინი ცვლილებებს?

როგორც ჩვეულებრივ მიაჩნიათ, ანალოგიის ყოველი ფაქტი სამპერსონაჟიანი დრამაა. ეს პერსონაჟებია: 1. ტრადიციული, კანონიერი, მემკვიდრეობითი (მაგ. *honōs*), 2. კონკურენტი (*honor*), 3. კოლექტიური პერსონაჟი, შედგენილი იმ ფორმებისაგან, რომლებმაც შექმნეს კონკურენტი (*honōrem, orator, oratorem* და ა.შ.). *honor* ფორმას დაუბრკოლებლად მიიჩნევენ მოდიფიკაციად, *honōs*-ის „მეტაპლაზმად“. თითქოსდა ამ სიტყვიდან უნდა ამოეღო *honor*-ს თავისი სუბსტანციის უმეტესი ნაწილი. სინამდვილეში კი, ერთადერთი ფორმა, რომელსაც არავითარი წვლილი არ მიუძღვის *honor*-ის წარმოქმნაში, ესაა *honōs*! ეს მოვლენა შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ:



როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს „პარაპლაზმასთან“, ტრადიციული ფორმის პარალელურად კონკურენტის დამკვიდრებასთან, ერთი სიტყვით, შექმნასთან. თუ ფონეტიკურ ცვლილებებს წინამავალი ფორმის ანულირების გარეშე არაფერი შემოაქვთ ახალი (*honōrem* შეცვალა *honōsem*), ანალოგიური ფორმა აუცილებლად არ იწვევს იმის გაქრობას, რის დაუბლირებასაც ახდენს. *honor* და *honōs* გარკვეული დროის მანძილზე თანაარსებობდნენ და შეიძლებოდა ერთის გამოყენება მეორის მაგიერ. რადგან ენა ერიდება ერთი ცნებისთვის ორი აღმნიშვნელის შემონახვას, ხშირად, ნაკლებ რეგულარული პირველადი ფორმა გამოდის ხმარებიდან და ქრება. ასეთი შედეგი ტრანსფორმაციას გვაფიქრებინებს: როგორც კი დასრულდება ანალოგიის მოქმედება, ძველი (*honōs : honōrem*) და ახალი (*honor : honōrem*) მდგომარეობა ერთი შეხედვით ისეთ ოპოზიციის იმყოფებიან, რომელიც ბგერათა ევოლუციის შედეგია. მაშინ, როცა წარმოიშვა *honōr*, არაფერი შეცვლილა, რადგან მას სხვა სიტყვა არ შეუცვლია. *honōs*-ის გაქრობა ცვლილებას არ წარმოადგენს, რადგან ეს მოვლენა *honor*-ისგან დამოუკიდებელია. ყველგან, სადაც კი შეიძლება მიეყვებოთ ლინგვისტურ მოვლენათა მსვლელობას, ვხედავთ, რომ ანალოგიური ინოვაცია და ძველი ფორმის გაქრობა ორი განსხვავებული რამეა და აქ არავითარ ტრანსფორმაციასთან არა გვაქვს საქმე.

ანალოგიისათვის იმდენად ნაკლებ დამახასიათებელია ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა, რომ ეს ხშირად კარგად ჩანს ახალი ფორმის წარმოქმნისას, რომელიც არაფერს ენაცვლება. გერმანულში ნებისმიერი კონკრეტული მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელისგან შეიძლება ვანარმოოთ კნინობითი *-chen*-ის საშუალებით. გერმანული ფორმა *Elephantchen* („პატარა სპილო“) რომ შექმნილიყო, ენაში იგი არაფერს არსებულს არ შეცვლიდა. ასევე ფრანგულში, მოდელით — *pension* („პანსიონი“): *pensionnaire* („პანსიონერი“), *réaction* („რეაქცია“): *réactionnaire* („რეაქციონერი“) ვინმეს შეეძლო შეექმნა *interventionnaire* („ინტერვენციის მომხრე“) ან *répressionnaire* („რეპრესიების მომხრე“). აშკარაა, რომ ეს ისეთივე პროცესია, რომელმაც ახლახან წარმოიშვა *honōr*. ორივე მათგანი ერთსა და იმავე ფორმულას შეესატყვისება:

$$\text{réaction} : \text{réactionnaire} = \text{répression} : x$$

$$x = \text{répressionnaire}$$

არც ერთ, არც მეორე შემთხვევაში არავითარი საბაბი არა გვაქვს ვილაპარაკოთ შეცვლაზე. *répressionnaire* არაფერს ცვლის. მოვიყვანოთ სხვა მაგალითს. ერთი მხრივ, გვხვდება ანალოგიით ნაწარმოები *finaux* („საბოლოო“ მრ. რ.) ნაცვლად *finals* ფორმისა, რომელიც (ეს უკანასკნელი) უფრო კანონიერად ითვლება. მეორე მხრივ, ვინმემ შეიძლება აწარმოოს ზედსართავი *firmamental*, ხოლო ამ უკანასკნელისგან მრ. რ-ის ფორმა *firmementaux*. ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ *finaux*-ს შემთხვევაში საქმე

გვაქვს ცვლილებასთან, firmamentaux-ს შემთხვევაში კი ახლის შექმნასთან? ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ახლის შექმნასთან. ყალიბით mur („კედელი“) : emmurer („შემოზღუდა“) არის ნაწარმოები tour („გარშემოწერილობა“) : entourer („გარშემორტყმა“) და jour („აჟური“, „ნახვრეტი“) : ajourer გამოონათქვამში un travail ajouré („დახვეწილი ნამუშევარი“). ეს შედარებით ახალი წარმოებანი ჩვენ შექმნილად გვეჩვენება. მაგრამ, თუ მე შევნიშნე, რომ წინა ეპოქაში გააჩნდათ ფორმები entourer და ajourer, ნაწარმოები სიტყვებისაგან torn და jour, უნდა შევიცვალოთ თუ არა შეხედულება და განვაცხადო, რომ entourer და ajourer წარმოადგენენ ამ უფრო ძველი სიტყვების მოდიფიკაციას? ასე რომ, ცთომილება ანალოგიური „ცვლილების“ შესახებ იქიდან მომდინარეობს, რომ მყარდება მიმართება გაძევებულ და ახალ ელემენტს შორის. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია, რადგან ცვლილებებზე კვალიფიცირებული წარმოებანი (honor-ის ტიპისა) იმავე ბუნებისაა როგორც ისინი, რომლებსაც ჩვენ ახლადწარმოქმნილებს ვუწოდებთ (répressionnaire-ის ტიპისა).

§3. ანალოგია, როგორც შიშველობის პრინციპი ანაში

თუ იმის ჩვენების შემდეგ, რა არ არის ანალოგია, ჩვენ პოზიტიური თვალსაზრისით შევუდგებით მის შესწავლას, უმაღლეს შემთხვევაში, რომ ანალოგიის პრინციპი უბრალოდ აღრეულია ზოგადად ლინგვისტური შემოქმედების პრინციპთან. როგორია იგი?

ანალოგია ფსიქოლოგიური რიგის მოვლენაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მის განსახვავებლად ფონეტიკური მოვლენებისაგან, რადგან ეს უკანასკნელნიც შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ფსიქოლოგიური (გვ. 158). საჭიროა უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ, რომ ანალოგია გრამატიკული რიგის მოვლენაა. იგი გულისხმობს იმ ურთიერთდამოკიდებულებათა შეცნობასა და გაგებას, რომლებიც ფორმებს ერთმანეთთან აკავშირებს. მაშინ როცა ფონეტიკურ მოვლენაში მნიშვნელობა არავითარ როლს არ თამაშობს, ანალოგიის საკითხში მისი ჩარევა აუცილებელია.

ლათინური ხმოვანთშორისი s-ს r-დ ფონეტიკურ გადასვლაში (honōsem→honōrem) არც ჩარევა, არც შედარება სხვა ფორმებისა, არც სიტყვათა მნიშვნელობა არ ჩანს. ესაა ნაშთი honōsem სიტყვისა, რომელიც გადადის honōrem-ში. იმისათვის კი, რომ გავიგოთ honōr ფორმის გამოჩენა honōs-ის გვერდით, უნდა მოვუხმოთ სხვა ფორმებს, როგორც ამას გვიჩვენებს პროპორციის მეოთხე წევრის ფორმულა:

$$\begin{aligned} \text{ōrātōrem} : \text{ōrātor} &= \text{honōrem} : x \\ x &= \text{honor} \end{aligned}$$

ეს მიმართება ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული იქნებოდა, მასში შემავალ ფორმებს აზრობრივად გონება რომ არ აკავშირებდეს ერთმანეთთან.

ამრიგად, ანალოგიის მოვლენაში ყველაფერი გრამატიკულია. ოღონდ, უნდა დავძინოთ, რომ წარმოქმნის ყველა შედეგი თავდაპირველად მეტყველების კუთვნილებაა, ცალკეულ ინდივიდთა შემთხვევითი შემოქმედებაა. თავიდან სწორედ ამ სფეროში და ენის მიჯნაზე უნდა შევამჩნიოთ ეს მოვლენა. ამავე დროს, უნდა განვასხვავოთ ორი რამ: 1. გაგება მიმართებისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წარმოქმნილ ფორმებს. 2. შედარებით ნაკარნახევი შედეგი, მოლაპარაკე ინდივიდის მიერ აზრის გამოსახატავად იმპროვიზებული ფორმა. მხოლოდ ეს შედეგი ეკუთვნის მეტყველების სფეროს.

ანალოგია კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ენისა და მეტყველების (გვ. 29) გამიჯვნის საჭიროებაში. გვიჩვენებს, რომ მეტყველება დამოკიდებულია ენაზე და საშუალებას გვაძლევს დავწინააღმდეგოთ ლინგვისტური მექანიზმის მოქმედებაში, როგორც ეს გვ. 136-ზეა აღწერილი. ყოველ წარმოქმნას წინ უნდა უსწრებდეს გაუცნობიერებელი შედარება მასალისა, რომელიც ჩადებულია ენობრივ საგანძურში, სადაც წარმოქმნილი ფორმები განლაგებულიან არიან მათი სინტაგმატური და ასოციაციური მიმართებების მიხედვით.

ამრიგად, მოვლენის გარკვეული ნაწილი სრულდება მანამდე, სანამ ახალი ფორმა გამოჩნდებოდეს. სამეტყველო ქმედების უწყვეტობა, რაც მასში მოცემული ერთეულების დანაწევრებაში მდგომარეობს, შეიცავს არა მხოლოდ მეტყველების ფუნქციონირებისათვის შესაფერ ყველა შესაძლო პირობას, არამედ ანალოგიური წარმოქმნის ყველა პირობასაც. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სიტყვის წარმოქმნის პროცესი ხორციელდება მხოლოდ სიტყვათშემოქმედების მომენტში. მისი ელემენტები წინასწარვეა მოცემული. ჩემს მიერ იმპროვიზებული სიტყვა, მაგ. in-décor-able („მოურთავი“) უკვე არსებობს ენის პოტენციაში. მისი ყველა ელემენტი გვხვდება ისეთ სინტაგმატებში, როგორებიცაა décor-er („მორთვა“), décor-ation („მორთულობა“): pardonn-able („საპატიებელი“), mani-able („გამოსაყენებელი“): in-connu („უცნობი“), in-sensé („უგუნური“) და ა.შ. მისი რეალიზაცია მეტყველებაში უმნიშვნელო ფაქტია მისი შექმნის შესაძლებლობასთან შედარებით.

დასკვნა: ანალოგია, თავისთავად, ინტერპრეტაციის ფენომენის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია, ზოგადი მოვლენების გამოვლენაა, რომელიც განასხვავებს ენობრივ ერთეულებს მათი შემდგომი გამოყენებისათვის. აი, რატომ მოგვაჩნია ანალოგია მთლიანად გრამატიკულ და სინქრონულ მოვლენად.

ანალოგიის ასეთ მოვლენას მივყავართ ორ დაკვირვებამდე, რომლებიც ადასტურებენ ჩვენს შეხედულებას აბსოლუტურ ნებისმიერობაზე და ფარდობით ნებისმიერობაზე (გვ. 137).

1. სიტყვები შეიძლება დაეჯგუფოთ მათი შესაძლებლობის მიხედვით, წარმოშვან სხვა სიტყვები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაყოფადნი არიან (მაგ. magasin „სანყოფი“, arbre „ხე“, racine „ფესვი“ და ა.შ.). magasinier („სანყოფის გამგე“) სიტყვა magasin-იდან კი არ წარმოქმნილა, არამედ შექმნილია მოდელით prisonnier („ტუსალი“): prison („სატუსალი“) და ა.შ. ასევე, emmagasiner („სანყოფში მოთავსება“) წარმოქმნილია ანალოგიით სიტყვებთან emmailleter („შეხვევა“), encadrer („ჩარჩოში ჩასმა“), encapuchonner („კაპიუშონის დახურვა“) და ა.შ. რომლებიც თავიანთ შედგენილობაში შეიცავენ სიტყვებს maillot („საფენი“), cadre („ჩარჩო“), capuchon („კაპიუშონი“) და ა.შ.

ამრიგად, ყოველ ენაში არსებობს პროდუქტული და უნაყოფო სიტყვები, მაგრამ მათი თანაფარდობა მერყეობს. განსხვავება მათ შორის დაიყვანება გვ. 139-ზე მოცემულ განსხვავებაზე „ლექსიკოლოგიურ“ და „გრამატიკულ“ ენებს შორის. ჩინურ ენაში სიტყვათა უმრავლესობა დაუშლადია. ხელოვნურ ენაში კი პირიქით, თითქმის ყველა სიტყვა დაშლადია. ესპერანტისტის სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული მოცემული ძირისგან აწარმოოს ახალი სიტყვები.

2. 168-ე გვ.ზე აღვნიშნეთ, რომ ყოველგვარი ანალოგიური წარმოება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პროპორციის მეოთხე სიდიდის გამოთვლა. ამ ფორმულას ხშირად იყენებენ თვით ანალოგიის მოვლენის ასახსნელად; ჩვენ კი მის საფუძველს ვეძებთ ანალიზსა და ენაში არსებული ელემენტების რეკონსტრუქციაში.

ეს ორი კონცეფცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ პროპორციის მეოთხე სიდიდე საკმარის ახსნას გვაძლევს, რაღა საჭიროა ელემენტთა ანალიზის ჰიპოთეზა? იმისათვის, რომ ვაწარმოოთ indécorable, საჭირო არაა მისი ელემენტების (in-décor-able) გამოყოფა; საკმარისია ავილოთ იგი მთლიანად და ჩავსვათ ტოლობაში

pardonner : impardonnable და ა.შ. = décorer : x
x = indécorable

ამრიგად, მოლაპარაკე ინდივიდებში ისეთი რთული ოპერაციის არსებობა არ იგულისხმება, რომელიც გრამატიკოსის ცნობიერ ანალიზს ნააგავს. ისეთ შემთხვევაში, როგორცაა Krantz („ყვავილების გვირგვინ“): Kränze („გვირგვინები“), Gast („სტუმარი“): Gäste („სტუმრები“) შემადგენელ ელემენტებად დაყოფა უფრო ნაკლებ სავარაუდო ჩანს, ვიდრე პროპორციის მეოთხე წევრის გამოთვლა, რადგან მოდელის ფუძედ გვევლინება ხან Gast, ხან Gäst-; ბგერითი თვისება უბრალოდ, Gäste-დან Kranze-ზე უნდა იქნეს გადატანილი.

ამ თეორიებიდან რომელი შეესაბამება სინამდვილეს? უპირველეს ყოვლისა, შევნიშნავთ, რომ Kranz-ის შემთხვევა არ გამოორიცხავს ანალიზის საჭიროებას. ჩვენ დავაფიქსირეთ ძირებისა და პრეფიქსების მონაცვლეობა

(გვ. 165), მონაცვლეობის შეგრძნებას კი პოზიტიურ ანალიზთან თანაარსებობა მშვენივრად შეუძლია.

ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული კონცეფცია ორ განსხვავებულ გრამატიკულ მოძღვრებაში აირეკლება. ჩვენი ევროპელი გრამატიკოსები პროპორციის მეოთხე წევრით ოპერირებენ. ასე მაგალითად, გერმანული ენის წარსული დროის წარმოებას ისინი ხსნიან მთლიანი სიტყვებიდან ამოსვლით; მონაფეს ეუზნებიან setzen („დადგმა“): setzte („დადო“) მოდელის მიხედვით აწარმოოს lachen-ის („სიცილი“) წარსული დრო და ა.შ. ინდური გრამატიკა კი ცალკე თავში განიხილავდა ძირებს (setz -, lach -, და ა.შ.) და სხვა თავში შეეხებოდა წარსულის დაბოლოებებს (-te და ა.შ.). ის მოგვეცემა ანალიზიდან გამომდინარე ელემენტებს და მთელი სიტყვის თავიდან შედგენის შესაძლებლობა გვექნებოდა. სანსკრიტის ყველა ლექსიკონში ზმნები ძირების მიერ განსაზღვრული წესით არის განაწილებული.

ყოველ ლინგვისტურ ჯგუფში გაბატონებული ტენდენციების შესაბამისად, გრამატიკის თეორეტიკოსები ხან ერთი, ხან მეორე მეთოდისკენ იხრებიან.

ძველ ლათინურ ენას, როგორც ჩანს, უფრო ესადაგება ანალიზური მეთოდი. აი, ამის აშკარა საბუთი: ხმოვანთა კვანტიტეტის მიხედვით სიტყვები factus („კარგად დამუშავებული“) და factus („ამოძრავება“) არაა ერთგვარი, განსხვავებით სიტყვათაგან factio („ვაკეთებ“) და factio („ვამოძრავებ“). სავარაუდოა, რომ factus მომდინარეობს *factus-ისგან და ხმოვნის დაგრძელება მის მომდევნო მჟღერ თანხმოვანს მიეწერება. ამ ჰიპოთეზას სავსებით ადასტურებენ რომანული ენები. ოპოზიცია spectio („ვუყურებ“): spectus (spectio-ს ნამყოს მიმღეობა), საპირისპიროდ ოპოზიციისა tectio („ვხურავ“): tectus („დახურული“) აირეკლება ფრანგულ ფორმებში dépit („წყენა“ = despectus) და toit („სახურავი“ = tectum); შდრ. conficio („ვაკეთებ“): confectus („გაკეთებული“, ფრანგული confit „შაქარში მოხარშული“) საპირისპიროდ ფორმებისა rectio („ვმართავ“): rectus („სწორი, პირდაპირი“, dirigent „პირდაპირი“ → ფრანგ. droit „სწორი“). მაგრამ სიტყვები *agtos, *tegtos, *regtos ლათინურ ენას ინდოევროპულისგან არ მიუღია.

ინდოევროპულში იქნებოდა *aktos, *tēktos და ა.შ. ისინი წინარეისტორიულ ლათინურში უნდა შემოსულიყვნენ, მიუხედავად მჟღერი ბგერის წარმოქმნის სიძნელისა ყრუს წინ. აშკარაა, რომ ლათინთა ცნობიერებაში მკაფიოდ იყო აღბეჭდილი ag-, teg-, ძველი ლათინური ხელს უწყობდა სიტყვის ნაწილების (ძირების, სუფიქსების და ა.შ.) და მათი ურთიერთქმედების გაცნობიერებას. თანამედროვე ენებზე მოლაპარაკე ინდივიდებში ეს გრძნობა ნაკლებად ჩანს განვითარებული, თუმცა გერმანულში იგი უფრო მეტადაა, ვიდრე ფრანგებში (გვ. 193).

თავი V

ანალოგია და ევოლუცია

§1. როგორ შედის ენაში ანალოგიური ინოვაცია

ენაში არაფერი შედის მეტყველებაში წინასწარი გამოცდის გარეშე და ყოველ ინოვაციურ ელემენტს ძირი ინდივიდში აქვს. პრინციპი, რომლის შესახებაც 104-ე გვერდზე გვქონდა საუბარი, განსაკუთრებით გამოსადეგია ანალოგიური ინოვაციების მიმართ. სანამ honor-ი honōs-ს კონკურენციას გაუწევდა, საჭირო იყო რომელსამე ინდივიდს ეხმარა იგი, შემდეგ სხვებს მიეზღვა და გაემეორებინათ, სანამ საბოლოოდ დამკვიდრდებოდა ხმარებაში.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველ ანალოგიურ ინოვაციას ასეთი ბედნიერი ხვედრი აქვს. ხშირია ისეთი კომბინაციები, რომლებსაც მომავალი არ უწერიან და რომლებსაც, ალბათ, ენა არ მიიღებს. ბავშვების მეტყველება მდიდარია ასეთი კომბინაციებით, რადგან მათ კარგად არ ესმით წესები და არც ემორჩილებიან მათ. venir-ის („მოსვლა“) ნაცვლად viendre-ს ამბობენ, mort-ის („მკვდარი“) ნაცვლად mouru-ს და ა.შ. მსგავს მოვლენას მოზრდილებშიც ვხვდებით. ბევრი ადამიანი trayait-ს (traire „წველა“-ს ნამყოფს) ნაცვლად ხმარობს traisait-ს (რაც, სხვათა შორის, რუსოსთანაც გვხვდება); ყველა ეს ინოვაცია თავისთავად სავსებით რეგულარულია და ისევე აიხსნება, როგორც ენაში დამკვიდრებული სხვა ინოვაციები. ამრიგად, viendre შემდეგ პროპორციას ემყარება:

éteindrai : éteindre = viendrai : x
x = viendre,

ხოლო traisait ნაწარმოებია მოდელით plaire : plaisait და ა.შ.

მეტყველებაში გაჩენილი სიახლეების მხოლოდ მცირე ნაწილი იკიდებს ფეხს ენაში. თუმცა, ეს მცირე ნაწილიც საკმარისია იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში სავსებით განსხვავებული სახე მისცეს ლექსიკასა და გრამატიკას.

მთელი წინა თავი აშკარად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ანალოგია ვერ იქნება ევოლუციის ფაქტორი. არანაკლებ აშკარაა, რომ ძველი ფორმების მუდმივი ჩანაცვლება ახლებით ენის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მოვლენაა. მაგრამ, როცა სიახლე საბოლოოდ იკიდებს ფეხს და თავის კონკურენტს გამოდევნის, იქმნება რალაც ახალი და ამოვარდება ძველი. ამის გამო ანალოგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევოლუციის თეორიაში.

ჩვენც, სწორედ ამ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

§2. ანალოგიური ინოვაცია, როგორც ინტარაპატისის ცვლილებათა ნიშნავი.

ენა მასში შემავალ ერთეულებს განუწყვეტილად უკეთებს ინტერპრეტაციას და შლის შემადგენელ ელემენტებად. რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ ერთეულთა გაგება თაობიდან თაობამდე იცვლება?

ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ მრავალრიცხოვან ფაქტორებში, რომლებიც მუდმივად ახდენენ გავლენას ენის მოცემულ ეტაპზე მიღებული ანალიზის სახეზე. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

პირველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებაა (იხ. თავი II). მისი წყალობით ანალიზის ზოგი სახე ორპირიანი ხდება, ზოგიც კი — შეუძლებელი, რადგან იცვლება შემადგენელ ელემენტებად დაშლის პირობები და ამასთან ერთად, მისი შედეგებიც. აქედან გამომდინარე, ხდება ერთეულთა საზღვრების გადაწევა და მათი ბუნების შეცვლა. გაიხსენეთ ის, რაც 148-ე გვერდზე ითქვა ისეთ კომპოზიტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა beta-hūs და redo-līch, აგრეთვე 141-ე გვერდზე, ინდოევროპული ენების ნომინალურ ფლექსიასთან დაკავშირებით.

მაგრამ, ყველაფერი ფონეტიკურ ფაქტორზე როდი დაიყვანება. არსებობს აგლუტინაციაც, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ. აგლუტინაციის შემთხვევაში ერთიანობას ცალკეულ ელემენტთა კომბინაცია ქმნის. შემდეგ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის გარეგანი ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ სიტყვის ანალიზი. რადგან შემადგენელ ნაწილებად დაშლა მთელი რიგი შეპირისპირებებიდან გამომდინარეობს, სავსებით ცხადია, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში იგი დამოკიდებულია კონკრეტული სიტყვის ასოციაციურ კავშირებზე. ამრიგად, ინდოევროპული აღმატებითი ხარისხი *swād-is-to-s ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუფიქსს მოიცავდა: -is-, რომელიც შედარების იდეას გადმოსცემდა (შდრ. ლათინური mag-is „უფრო“) და -to-, რომელიც საგნის გარკვეულ ადგილს აღნიშნავდა იმავე რიგის სხვა საგანთა შორის (შდრ. ბერძნ. trī-to-s „მესამე“). მოხდა ამ ორი სუფიქსის აგლუტინაცია (შდრ. ბერძნ. héd-isto-s ან უფრო სწორად, héd-ist-os „ყველაზე სასიამოვნო“). თავის მხრივ, ამ აგლუტინაციას ხელი შეუწყო აღმატებითი ხარისხისთვის უცხო მოვლენამ: ხმარებიდან გამოვიდა is-ზე დამთავრებული შედარებითი ხარისხის ფორმები, რომლებიც -jōs-ით წარმოებულმა ფორმებმა შეცვალა. -is- დამოუკიდებელ ელემენტად აღარ აღიქმებოდა და -isto-ში აღარ გამოიყოფოდა.

ისიც აღვნიშნოთ, რომ არსებობს ზოგადი ტენდენცია, მანარმოებელი ელემენტის საფუძველზე შემცირდეს ფუძისეული ელემენტი, მითუმეტეს, თუ იგი ხმოვანზე მთავრდება. ამის გამო, ლათინურში სუფიქსმა -tāt- (véritāt-em „სიმართლე“) ნაცვლად *vērō-tāt-em-ისა, შდრ. ბერძნ. dein-tēt-a

„ძალას“) მიიზიდა ფუძისეული i და სიტყვა vēr-itāt-em-ად დაშალა. ასევე, Rōmā-nus „რომაული“, Albā-nus „ალბანური“ (შდრ. aēnus „სპილენძის“ ნაცვლად *aes-no-s-ისა) Rōm-ānus და ა.შ. იქცა.

რაც არ უნდა იყოს მიზეზი ინტერპრეტაციის ასეთი ცვლილებებისა, ისინი მუდამ იჩენენ თავს ანალოგიური ფორმების წარმოებისას. არა მხოლოდ მოლაპარაკის მიერ გარკვეულ პერიოდში აღქმად ცოცხალ ერთეულებს შეუძლიათ მოგვეტონ ანალოგიური წარმონაქმნები, არამედ ერთეულთა ყოველი განსაზღვრული დანაწილება გულისხმობს მათი ხმარების გაფართოების შესაძლებლობას. ანალოგია გვევლინება იმის საბუთად, რომ მოცემულ მომენტში მანარმოებელი ელემენტი არსებობს როგორც მნიშვნელობის მქონე ერთეული. Meridiōnālis-ს („შუადღისა“) ხმარება (ლატინსთან) ნაცვლად ფორმის meridiālis, გვიჩვენებს, რომ რომაელთა ეპოქაში ხდებოდა დაშლა septentri-ōnālis („ჩრდილოეთის“) regi-ōnālis („რეგიონალური“) და იმის საჩვენებლად, რომ სუფიქსმა -tāt- ერთი ელემენტი, ფუძისგან ნასესხები i მიიერთა, საკმარისია დავიმონწიოთ celer-itātem („სიჩქარე“); pāg - us-დან („სოფელი“) ნაწარმოები pāg - ānus („სოფლისა“) აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ შლიდნენ ლათინელები Rōm-ānus-ს. გერმანული redlich-ის („პატიოსანი“) ანალიზი (იხ. გვ. 148) დადასტურებულია ზმნის ძირისაგან ნაწარმოები sterblich-ის არსებობით და ა.შ.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი მოწმობს, როგორ ებმება დრო და დრო ანალოგიაში ახალი ერთეულები. თანამედროვე ფრანგულში somnolent („მთვლემარე“) იშლება somnol-ent-ად, თითქოს იგი აწმყოს მიმღობა იყოს. ამას მოწმობს ზმნა somnoler-ს („მთვლემა“) არსებობა. ლათინურში somnolentus იყოფოდა somno - lentus-ად, ისევე, როგორც succu - lentus („წვნიანი“) და ა.შ. კიდევ უფრო ადრე კი somn - olentus-ად („რომელსაც ძილის სუნი ასდის“), რასაც განაპირობებდა ზმნა olēre („სუნის ასვლა“), როგორც მაგ. vin - olentus („ვისაც ღვინის სუნი ასდის“).

ამრიგად, ანალოგიის ყველაზე ხელშესახებ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ ძველი, არარეგულარული და გაცვეთილი ფორმების შეცვლა ცოცხალი ელემენტებისაგან შემდგარი, ახალი, უფრო მართებული ფორმებით.

რასაკვირველია, ყოველთვის ასე მარტივად როდია საქმე: ენის ფუნქციონირებისას ძალიან ხშირია ყოყმანი, მიახლოებითი და არასრული დაშლა. არასოდეს, არც ერთ ენას არ ჰქონია აბსოლუტურად ფიქსირებულ ერთეულთა სისტემა. გავიხსენოთ, რა ითქვა (იხ. გვ. 162) *ekwos-ის ბრუნების შესახებ *pods-ის ბრუნებასთან შედარებით. ასეთი არასრულყოფილი დაშლა ზოგჯერ მცდარ ანალოგიებსაც წარმოშობს. ინდოევროპული ფორმები *geus-etai, *geus-tos, *geus-tis საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ძირი geus-, geus- („გასინჯვა“); ბერძნულში ხმოვანთშორისი s ვარდება, რაც ართულებს geúomai, geustós დაშლას და საჭოჭმანო მდგომარეობაში გვაგადებს, რის გამოც ხან geus- გამოიყოფა, ხან კი geu-. თავის მხრივ, ანალოგიური წარმონაქმნებიც ექცევიან ასეთი გავლენის ქვეშ და გვხვდება eu-ზე

დამთავრებული ფუძეები, რომლებიც ბოლოში s-ს იმატებენ. მაგ. pneu-, pneuma („სუნთქვა“), ნაზმნარი ზედსართავი pneus - tós.

ანალოგია ამ მერყეობაშიც კი ახდენს გავლენას ენაზე. თუმცა თავად ევოლუციის ფაქტორი არ არის, იგი დრო და დრო აირეკლავს ენის სისტემაში მომხდარ ცვლილებებს და ძველ ელემენტთა ახალი კომბინაციებით აფიქსირებს მათ. იგი აქტიურად მონაწილეობს ყველა იმ ძალაში, რომლებიც განუწყვეტილად ცვლიან ენის შედგენილობას და ამ თვალსაზრისით, იგი ევოლუციის მძლავრი ფაქტორია.

§3. ანალოგია, როგორც განახლებისა და კონსერვაციის პრინციპი

ზოგჯერ ეჭვი გვეპარება, მართლაც ისე მნიშვნელოვანია თუ არა ანალოგია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, აქვს თუ არა მას ისეთივე ვრცელი მოქმედების არეალი, როგორც ფონეტიკურ ცვლილებებს? ფაქტიურად, ყოველი ენის ისტორია საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ანალოგიური ფაქტორების ერთმანეთზე დახვავებული გროვა. ერთად აღებული, ეს განუწყვეტელი გარდაქმნები ენის ევოლუციაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე ბევრათა ცვალებადობა.

მაგრამ, ენათმეცნიერს ყველაზე მეტად ის აინტერესებს, რომ განვითარების მთელი ასნლეულების მანძილზე ანალოგიით გამოწვეულ ცვლილებათა ამ აურაცხელ სიმრავლეში თითქმის ყველა ძველი ელემენტი შენარჩუნებულია, ოღონდ, მათი განაწილებაა სხვაგვარი. ანალოგიით მიღებული ინოვაციები უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური. ენა თავისივე საკერებლით დაკერებულ სამოსს მოგვაგონებს. თუ მხედველობაში მივიღებთ მეტყველების სუბსტანციას, ფრანგული ენის ოთხი მეხუთედი ინდოევროპულია, მაშინ როცა წინარე ენიდან სუფთა სახით დღემდე მოღწეული ყველა სიტყვა შეიძლება ერთ გვერდზე დაეტიოს (მაგ. est=*esti, რიცხვითი სახელები და რამდენიმე ისეთი სიტყვა, როგორიცაა ours „დათვი“, nez „ცხვირი“, père „მამა“, chien „ძაღვი“ და ა.შ.). ბევრი მათგანი ძველი ფორმებიდან ამოგლეჯილ ფონეტიკურ ელემენტთა ახალი კომბინაციაა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ, რადგან ანალოგია მუდამ ძველ მასალას იყენებს, ინოვაციისთვის იგი აშკარად კონსერვატულია.

ხშირად, ანალოგია წმინდა კონსერვატულ ფაქტორადაც გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავს იჩენს არა მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ადრე არსებული მასალის ახალ ერთეულებად გადანაწილება, არამედ მაშინაც, როცა ფორმები საკუთარი თავის იდენტურნი რჩებიან. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ პროცესს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ მისი პრინციპი სამეტყველო ქმედების მექანიზმის იდენტურია (გვ. 172).

ლათინური agunt („ამოძრავებენ“) წინარეისტორიული ეპოქიდან (მაშინ ამბობდნენ *agonti) თითქმის უცვლელად შემოგვრჩა რომანული ეპოქის დამდეგამდე. მაშინ ასე მიიღეს იგი და შემდეგ სხვა კონკურენტულ

ფორმას არ გამოვლენია. ამ ძველი სიტყვის შემონახვაში ანალოგიამ ხომ არ ითამაშა რაიმე როლი? agunt-ის სტაბილურობა ისევე ანალოგიის შედეგი, როგორც ნებისმიერი ინოვაცია. Agunt სისტემაში ჩაჯდა. იგი ისეთ ფორმებს დაუკავშირდა, როგორებიცაა dicunt („ამბობენ“), legunt („კითხულობენ“) და ა.შ., ისეთებსაც, როგორებიცაა agimus („ვამოძრავებ“), agitis („ამოძრავებ“) და ა.შ. ამ გარემოცვის გარეშე იგი ადვილი შესაძლებელია, ახალი ელემენტებისგან შედგენილი ფორმით შეცვლილიყო. შემორჩა არა agunt, არამედ ag-unt; ფორმა არ იცვლება, რადგან ag-სა და -unt-ს სხვა რიგებში ეძებნებოდათ რეგულარული შესატყვისობანი და ასოცირებულ ფორმათა ამ ჯგუფმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა agunt. შეადარეთ აგრეთვე sextus („მექესი“), რომელიც ასევე ეყრდნობა კომპაქტურ რიგებს: ერთი მხრივ sex („ექესი“), sex-āginta („სამოცი“) და ა.შ. და მეორე მხრივ quartus („მეოთხე“), quin-tus („მეხუთე“) და ა.შ.

ამრიგად, ფორმები იმიტომ შემოინახებიან, რომ ისინი ერთთავად ახლდებიან ინოვაციით. სიტყვა აღიქმება როგორც ერთეული და როგორც სინტაგმა და შემოინახება იმდენად, რამდენადაც მისი ელემენტები არ იცვლება. მის არსებობას საშიშროება მაშინ ემუქრება, როცა მისი შემადგენელი ელემენტები ხმარებიდან გამოდის. ნახეთ, რა დამართა ფრანგულ სიტყვებს dites („თქვით“) და faites („გააკეთეთ“), რომლებიც უშუალოდ შესატყვისებიან ლათინურ dic-itis და fac-itis-ს და რომლებსაც თანამედროვე ზმნის უღლებაში საყრდენი აღარ გააჩნიათ. ენა ცდილობს შეცვალოს ისინი მოდელით plaisez („მოსწონხართ“), lisez („კითხულობთ“) და ა.შ. ამბობენ კიდევ disez, faisez. ეს ახალი ფორმები უკვე დამკვიდრდა მრავალ წარმოებულ სიტყვაში (contredisez „ენინააღმდეგებით“ და სხვ.).

ერთადერთი ფორმები, რომლებზედაც ანალოგია ვერ გავრცელდა, ისეთი იზოლირებული სიტყვებია, როგორიცაა საკუთარი სახელები. კერძოდ, გეოგრაფიული, ადგილთა სახელები (მაგ. Paris, Genève, Agen და ა.შ.), რომლებიც არ იშლებიან და აქედან გამომდინარე, არც შემადგენელ ელემენტთა ინტერპრეტაცია ეხებათ. მათი კონკურენტი სიახლენი მათ გვერდით თავს ვერ იჩენენ.

ამრიგად, მოცემული ფორმის კონსერვაცია განპირობებულია ორი საპირისპირო მიზეზით: აბსოლუტური იზოლირებით ან მჭიდრო კავშირით სისტემასთან, რომლის ძირითადი ნაწილებიც უცვლელია და რომელიც მუდმივად ეხმარება მას. ანალოგიის გარდამქმნელი ძალა შეიძლება გამოვლინდეს იმ გარდამავალ სფეროში, რომლის შემადგენელ ფორმებს ასოციაციური კავშირებით გამაგრებული საყრდენი არა აქვთ.

მაგრამ, რამდენიმე ელემენტისაგან შემდგარი ფორმის შენარჩუნებას ეხება საქმე თუ ენობრივი მასალის ახალი კონსტრუქციის მიხედვით დალაგებას, ანალოგიის როლი განუზომლად დიდია, მისი გამოვლენა ყველგან აშკარაა.

თავი VI

ხალხური ეტიმოლოგია

ზოგჯერ სიტყვებს, რომელთა ფორმა და შინაარსი ჩვენთვის ნაკლებად გასაგებია, ვამახინჯებთ და ეს დეფორმაცია ენაში ფხვს იკიდებს. ასე მაგალითად, ძველი ფრანგული coute-pointe („დალიანდაგებული საბანი“) (coute ვარიანტია სიტყვისა couette „საბანი“ ხოლო pointe – poindre-ის „დალიანდაგება“ ნამყოს მიმღებობა), შეიცვალა coute-pointe-ით, თითქოს იგი ზედსართავი court („მოკლე“) და არსებითი სახელის pointe-საგან („წერტილი“) შედგენილი სიტყვა ყოფილიყო. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ასეთი სახის ინოვაციები შემთხვევითი არაა. ესაა მცდელობა, დაახლოებით მაინც ახსნან გაუგებარი სიტყვა და რაღაც ნაცნობს დაუკავშირონ იგი.

ამ მოვლენას ხალხური ეტიმოლოგია დაარქვეს. ერთი შეხედვით იგი ანალოგიისგან არ განსხვავდება. როცა მოლაპარაკე ინდივიდს ავიწყდება surdité-ს („სიყრუე“) არსებობა და ანალოგიით ქმნის სიტყვას sourdité ისეთი შედეგი გვაქვს, თითქოს მას ცუდად ესმის surdité და ზედსართავ sourd-ის („ყრუ“) ანალოგიით ამახინჯებს სიტყვას. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ანალოგიით ნაწარმოები კონსტრუქციები რაციონალურია, ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე ნაწარმოები კი შემთხვევითი და მათ აბსურდამდე მივყავართ.

მიუხედავად ამისა, ეს განსხვავება, რომელიც მხოლოდ შედეგებს ეხება, არაარსებითია. არსებობს უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება და მის წარმოსაჩენად მოვიყვანთ ხალხური ეტიმოლოგიის რამდენიმე ტიპურ მაგალითს.

არის შემთხვევები, როცა სიტყვა ფორმის შეუცვლელად იძენს ახალ მნიშვნელობას. გერმანული durchbläuen („ცემა“) ეტიმოლოგიურად უკავშირდება bliuwan-ს („გაშოლტვა“), მაგრამ მას აკავშირებენ სიტყვასთან blau („ლურჯი“), დარტყმისაგან მიღებული ჩალურჯების გამო. შუა საუკუნეებში გერმანულმა ენამ ფრანგულისგან ისესხა aventure („თავგადასავალი“), რომელმაც გერმანულში მიიღო ფორმა ābentüre, შემდეგ კი Abenteuer. სიტყვის დეფორმაციის გარეშე იგი იმდენად დააკავშირეს სიტყვასთან Abend („ის, რასაც საღამოს ყვებიან“), რომ XVIII ს-ში წერდნენ Abendteuer. ძველმა ფრანგულმა souffraite („ხელმოკლეობა“=ლათინურ souffracte-ს, რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან subfrangere) მოგვცა ზედსართავი souffreteux („უძლური“), რომელსაც ახლა ზედსართავ souffrit-თან („ტანჯვა“) აკავშირებენ და რომელთანაც სინამდვილეში მას არაფერი აქვს საერთო. Lais („ანდერძის უგულვებელყოფა“) ნაწარმოებია ზმნიდან laisser („დატოვება“), დღეს კი მასში ხედავენ léguer-ს („ანდერძით გადაცემა“) წარმოებულს და წერენ კიდევ legs; არის ხალხი, რომელიც წარმოთქვამს

თავი VII

აგლუტინაცია

§1. აგლუტინაციის განსაზღვრა

გარდა ანალოგიისა, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ახალი ერთეულების შექმნაში სხვა ფაქტორიც მონაწილეობს. ესაა აგლუტინაცია.

ამ ორ ფაქტორს სიტყვათწარმოების ვერცერთი სხვა საშუალება ვერ შეედრება. ხმამობაძვით სიტყვებსა (იხ. გვ. 76) და ახალ, ცალკეულ პირთა მიერ ანალოგიის გარეშე შექმნილ სიტყვებს (მაგ. gaz „აირი“) და თვით ხალხური ეტიმოლოგიით შექმნილთაც კი, ამ თვალსაზრისით მეტად მცირე, თითქმის მინიმალური მნიშვნელობა აქვთ.

აგლუტინაცია იმაში მდგომარეობს, რომ ორი ან რამდენიმე სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვა, რომლებიც წინადადებაში ხშირად გვხვდებიან ერთი სინტაგმის ფარგლებში, ერთმანეთს ერწყმიან და ქმნიან აბსოლუტურ ან ძნელად დასაშლელ მთელს. ასეთია აგლუტინაციის პროცესი. ვამბობთ პროცესი და არა ხერხი, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ნებას, სურვილს, აგლუტინაციას კი სულაც არ ახასიათებს წინასწარგანზრახული წარმოება.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. ფრანგულში ჯერ ამბობდნენ *ce ci* („აი ეს“), ორ სიტყვად, მოგვიანებით კი ახალ სიტყვას *ceci*, თუმცა მისი მასალა და შემადგენელი ელემენტები უცვლელი დარჩა. შეადარეთ აგრეთვე, ფრანგული *tous jours* → *toujours* („მუდამ“), *au jour d' hui* → *aujourd' hui* („დღეს“), *dès jà* → *déjà* („უკვე“), *vert jus* → *verjus* („დაძმარებული ღვინო“). აგლუტინაციის შედეგად შეიძლება მოხდეს სიტყვის უფრო დაბალი რანგის ელემენტების შერწყმა, როგორც ეს დავინახეთ (გვ. 177) ინდოევროპულის აღმატებითი ხარისხისა **swād-is-to-s* და ბერძნული ენის შედარებითი ხარისხის *hēd -isto-s* შემთხვევაში.

ამ მოვლენის უფრო ყურადღებით განხილვის შემთხვევაში სამი ფაზა გამოიყოფა:

1. მრავალი ელემენტის კომბინაცია ერთ სინტაგმაში.

2. თვით აგლუტინაცია, ანუ სინტაგმის ელემენტების ერთ, ახალ ერთეულად შერწყმა: ეს სინთეზი მექანიკური ტენდენციის გამო თავისთავად ხდება. როცა შედგენილი ცნება მნიშვნელობის მქონე ჩვეული ერთეულებით გამოიხატება, გონება ირჩევს ე.წ. პირდაპირ გზას, უარს ამბობს ანალიზზე და მთელ ცნებას იმ ნიშანთა ჯგუფს უსადაგებს, რომელიც ამის შედეგად ერთეულად გადაიქცევა.

3. ყველა სხვა ცვლილება, რომელთაც ძალუძთ ძველი სიტყვათშეხამება ახალ, მარტივ სიტყვად გარდაქმნა: მახვილის უნიფიცირება (*vert-jūs* → *verjūs*),

სპეციალური ფონეტიკური ცვლილებები და ა.შ.

ხშირად ამბობენ, რომ ეს ფონეტიკური და აქცენტუალური (3) ცვლილებები წინ უსწრებენ გონებაში მომხდარ ცვლილებებს (2), და რომ სემანტიკური სინთეზი აგლუტინაციითა და მატერიალური სინთეზით უნდა აიხსნას. მაგრამ, მთლად ასე არ უნდა იყოს. ალბათ *vert jus, tous jours* და ა.შ. იმიტომ იქცნენ ერთ მარტივ სიტყვად, რომ მათში ერთ იდეას ხედავდნენ და შეცდომა იქნებოდა ამ მიმართების ნევრთა ადგილის შეცვლა.

§2. აგლუტინაცია და ანალოგია

ანალოგიასა და აგლუტინაციას შორის გასაოცარი კონტრასტი არსებობს.

1. აგლუტინაციის შემთხვევაში ორი ან რამდენიმე ელემენტი ერთ ერთეულად შეირწყმის (მაგ. *encore „ჯერ“* ← *hanc horam*), ანდა, ორი, უფრო დაბალი რიგის ერთეული ერთ, იმავე რიგის ერთეულად შეირწყმება (მდრ. *hēd-isto-s* „ყველაზე სასიამოვნო“ ← **swād-is-to-s*). ანალოგია პირიქით, დაბალი რიგის ერთეულიდან ამოდის და უფრო მაღალი რიგის ერთეულს ქმნის. ლათინური *pāg-ānus*-ის („სოფლური“) შესაქმნელად ანალოგიამ შეაერთა ფუძე *pāg-* და ბოლოსართი *-ānus*.

2. აგლუტინაცია მხოლოდ სინტაგმატიკის სფეროში მოქმედებს. მისი მოქმედება მხოლოდ მოცემულ სიტყვათა ჯგუფზე ვრცელდება. ის სხვას არაფერს ეხება. ანალოგია კი, როგორც ასოციაციურ კავშირებს, ისე სინტაგმებსაც იყენებს.

3. აგლუტინაციაში არაფერია წინასწარგანზრახული, აქტიური. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მექანიკური პროცესია, სადაც შერწყმა თავისუფლად ხდება. ანალოგია კი დანაწევრებასა და კომბინაციებს, გონებრივ აქტიურობასა და წინასწარგანზრახვას გულისხმობს.

ახალი სიტყვების საწარმოებლად ხშირად მიმართავენ ტერმინებს „კონსტრუქცია“ და „სტრუქტურა“. მაგრამ, როგორც კი ეს სიტყვები აგლუტინაციას ან ანალოგიას უკავშირდებიან, მნიშვნელობას იცვლიან. პირველ შემთხვევაში ისინი იმ ელემენტთა ნელ შედუღებას მოგვაგონებენ, რომლებმაც სინტაგმაში კონტაქტით განიცადეს ასეთი სინთეზი და რომლებმაც, შეიძლება, სავსებით ნაშალონ პირველადი ერთეულები. ანალოგიის შემთხვევაში კი კონსტრუქცია მეტყველების პროცესში სხვადასხვა ასოციაციური რიგისგან ნასესხები ელემენტების საშუალებით ერთბაშად მიღებულ დაჯგუფებას ნიშნავს.

ჩვენ დავინახეთ რაოდენ მნიშვნელოვანია განსხვავება სიტყვათწარმოების ამ ორ ფორმას შორის: ამრიგად, ლათინურში *possum* („შემიძლია“) წარმოადგენს ორი სიტყვის, *potis sum* („ვარ ბატონი“) შერწყმას, იგი აგლუტინაციითაა მიღებული. *signifer* („მედროშე“), *agricola* („მინათმოქმედი“) და სხვ. ანალოგიის პროდუქტებია. ეს კონსტრუქციები ენაში არსებული მოდელებით იწარმოება. მხოლოდ ანალოგიით წარმოებ

სიტყვებს შეიძლება მივაკუთვნოთ ტერმინები „კომპოზიტი“ და „დერივატი“. სწორად, ძნელი სათქმელია განსახილველი ფორმა აგლუტინაციის შედეგია თუ ანალოგიური კონსტრუქციითაა წარმოქმნილი. ლინგვისტები ერთთაფად კამათობენ ინდოევროპულ ფორმებზე *es-mi, *es-ti, *ed-mi და ა.შ. უძველეს ხანაში ელემენტები es-, ed- და ა.შ. ხომ არ წარმოადგენდნენ სრულფასოვან სიტყვებს, რომლებიც მოგვიანებით აგლუტინირებულ იქნენ სხვა სიტყვებთან, როგორებიცაა mi, ti და ა.შ. თუ *es-mi, *es-ti და ა.შ. წარმოიქმნენ იმავე რიგის სხვა, რთული ერთეულების შემადგენელ ელემენტებთან შეერთებით, რაც აგლუტინაციის დასაბამს ინდოევროპულ ბრუნვის ნიშანთა წარმოქმნამდე გადაწვდა. ისტორიულ დამონმებათა არქონის გამო, საკითხი, როგორც ჩანს, გადაუჭრელია.


მხოლოდ ისტორიას შეუძლია უპასუხოს ამ კითხვას. მუდამ, როცა საშუალება გვეძლევა ვამტკიცოთ, რომ რომელიმე მარტივი ელემენტი წინათ წინადადების ორ-სამ ელემენტს წარმოადგენდა, — აგლუტინაციამდე მივდივართ. ამრიგად, ლათინური hunc („ეს“) მომდინარეობს hom ce-დან (ce ეპიგრაფიკულადაა დამონმებული). მაგრამ, როგორც კი ისტორიული ინფორმაცია არასაკმარისად გვაქვს, რთულდება იმის განსაზღვრა, თუ რა არის აგლუტინაცია და რა ანალოგია.

¹ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორ მოვლენას ენის ისტორიაში საკუთარი მოქმედება გააჩნია. აგლუტინაცია მუდამ წინ უსწრებს და მოდელს აწვდის ანალოგიას. მაგ. კომპოზიტების ტიპი, რომლებმაც ბერძნულში მოგვცა hippo-dromo-s და ა.შ. შეიქმნა ნაწილობრივი აგლუტინაციით ინდოევროპულ ეპოქაში, როცა ბრუნვის ნიშნები ჯერ კიდევ უცნობი იყო (ekwo dromo მაშინ უდრიდა ისეთ კომპოზიტს, როგორიცაა country house); ანალოგიამ პროდუქტული წარმონაქმნები მოგვცა ელემენტთა აბსოლუტურ შერწყმამდე. ასევეა ფრანგული მომავალი დროც (je ferai და ა.შ.), რომელიც ხალხურ ლათინურში შეიქმნა ინფინიტივის აგლუტინაციით ზმნა habere-ს ანმყო დროსთან (facere habere „გასაკეთებელი მაქვს“). ამრიგად, ანალოგიის ჩარევით აგლუტინაციამ შექმნა სინტაქსური ტიპები და ხელი შეუწყო გრამატიკას. ორი თავისუფალი ელემენტის სინთეზს აბსოლუტურ ერთიანობამდე და დაუშლადი და არაპროდუქტული სიტყვების შექმნამდე მივყავართ (მაგ. ისეთისა, როგორიცაა hanc hōram → encore), ე. ი. იგი ლექსიკის სასარგებლოდ მოქმედებს (გამომცემლები).


თავი VIII

ერთეული, იზივიოვა და რეალოვა დიაქრონიაში

სტატიკური ლინგვისტიკა სინქრონული რიგის ერთეულებით მოქმედებს. ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს, რომ დიაქრონიულ თანმიმდევრობაში საქმე არა გვაქვს სამუდამოდ გათიშულ ელემენტებთან, რომლებსაც გრაფიკულად ასე გამოვსახავდით:



ენაში მიმდინარე პროცესების გამო სხვადასხვა ეპოქაში ეს ელემენტები სულ სხვაგვარად გადანაწილდებიან და მათი გრაფიკული გამოსახულება შემდეგნაირი იქნება:



ყოველივე ეს ფონეტიკური ევოლუციის, ანალოგიის, აგლუტინაციისა და ა.შ. ზემოთ მითითებული შედეგებიდან გამომდინარეობს.

თითქმის ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი სიტყვათწარმოებას ეხებოდა. მოვიყვანოთ მაგალითის სინტაქსიდან. ინდოევროპული ენისათვის უცხო იყო წინდებულები. მათ ფუნქციას ასრულებდნენ ბრუნვები, რომლებსაც მნიშვნელობათა ფართო სფერო გააჩნდათ. არც ზმნისწინებით ნაწარმოები ზმნები არსებობდა. იყო მხოლოდ ნაწილაკები, მოკლე სიტყვები, რომლებიც წინადადებას ზმნის მიერ გადმოცემული მოქმედების დასაზუსტებლად თუ გარკვეული ნიუანსის გადმოსაცემად ერთვოდნენ. ამრიგად, არაფერი შეესაბამებოდა ლათინურ *ire ob mortem*-სა თუ *obire mortem*-ს („სიკვდილის შესახვედრად წასვლა“), შეეძლოთ ეთქვათ *ire mortem ob*. ასევე იყო ძველ ბერძნულშიც: 1. *óreos baínō káta*, *óreos baínō* თავისთავად ნიშნავდა „მთიდან მოვდივარ“-ს, სადაც ნათესაობით ბრუნვას აბლატივის მნიშვნელობა აქვს. *káta* მიუთითებს მიმართულებას ქვემოთ. მოგვიანებით მივიღეთ: 2. *katà óreos baínō* სადაც *katà* წინდებულის როლს ასრულებს. ასევე,

3. kata-bainō óreos ზმნისა და ზმნისწინად ქცეული ნაწილაკის აგლუტინაციით.

აქ ორი თუ სამი განსხვავებული მოვლენაა, მაგრამ ყველა ერთეულთა ინტერპრეტაციას ეხება: 1. ახალი რიგის სიტყვათა, წინდებულთა შექმნა, არსებულ ერთეულთა უბრალო გადაადგილების საფუძველზე. თავდაპირველად ინდიფერენტულმა, განსაკუთრებულმა რიგმა, რომელიც შესაძლოა შემთხვევით იქნა მიღებული, შექმნა ახალი ერთეული kata. დამოუკიდებლად წარსებული, იგი არსებით სახელ óreos-ს დაუკავშირდა, ხოლო ორივე ერთად, დამატების სახით — bainō-ს. 2. ახალი ზმნური ტიპის წარმოქმნა (katabainō). ეს ფსიქოლოგიურად სხვა შენაერთია, რომელიც შექმნილია ერთეულთა სპეციფიური განაწილებით და განმტკიცებულია აგლუტინაციით. 3. ბუნებრივი შედეგი: ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესუსტება (óre-os); kata-მ უნდა გამოხატოს ის ძირითადი აზრი, რასაც წინათ მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავდა. ამრიგად, სათანადოდ შემცირდა ბრუნვის ნიშნის -os მნიშვნელობაც და აქედან დაიწყო მისი გაქრობა.

სამივე შემთხვევაში საქმე ეხება ერთეულთა ახალ გადაწინააღმდეგობას. ძველი სუბსტანცია ახალ ფუნქციებს იძენს, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი გადაადგილებანი ფონეტიკური ცვლილებებით არაა გამოწვეული. მეორე მხრივ, თუმცა ბგერით მასალას ცვლილებები არ განუცდია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი მნიშვნელობის სფეროში მოხდა: არ არსებობს სინტაქსური მოვლენები მნიშვნელობის გარკვეული ჯაჭვისა და გარკვეული ბგერითი ერთეულების ჯაჭვის კავშირის გარეშე (გვ. 145). მოხდა სწორედ ამ მიმართების შეცვლა. ბგერები ძველია, მაგრამ შეიცვალა მნიშვნელობის მქონე ერთეულები.

როგორც ვნახეთ (იხ. გვ. 81), ენობრივი ნიშნის ცვლილება სხვა არა არის რა, თუ არა აღსანიშნავი და აღმნიშვნელს შორის მიმართების გადაწევა. ეს განსაზღვრება ეხება არა მხოლოდ სისტემაში შემავალ ელემენტებს, არამედ თვით სისტემის ევოლუციასაც; სწორედ ამაში მდგომარეობს მთლიანად დიაქრონიაც.

სინქრონულ ერთეულთა გარკვეული გადაადგილების კონსტატაცია არასაკმარისია იმის დასადგენად, თუ რა მოხდა ენაში. არსებობს დიაქრონიული ერთეულები პრობლემა: ყოველ მოვლენასთან დაკავშირებით საჭიროა დადგინდეს, კერძოდ, რომელი ელემენტი ტრანსფორმირდება. ამგვარ პრობლემებს უკვე შევეჯახეთ ფონეტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით (იხ. გვ. 100); ისინი ეხებოდნენ მხოლოდ ცალკეულ ფონემებს და არა სიტყვებს, როგორც ერთეულებს. რადგან დიაქრონიული მოვლენები მრავალგვარია, მრავალი ანალოგიური საკითხის გადაჭრა მოგვიხდება. ამავე დროს, აშკარაა, რომ აუცილებელი არაა ამ სფეროში შემავალი ერთეულები სინქრონული რიგის ერთეულებს შეესაბამებოდნენ. ამ ნაშრომის პირველ ნაწილში წამოყენებული პრინციპის თანახმად, ერთეულის ცნება სინქრონიასა და დიაქრონიას ერთნაირი ვერ

იქნება. ყოველ შემთხვევაში, მისი საბოლოო დადგენა ვერ მოხერხდება, სანამ მას სტატიკურსა და ევოლუციურ ასპექტებში არ შევისწავლით. მხოლოდ დიაქრონიული ერთეულის პრობლემის გადაჭრა მოგვცემს საშუალებას გადავლახოთ ევოლუციის გარეგანი მხარე და ჩავწვდეთ მის არსს. აქაც, ისევე როგორც სინქრონიასში, აუცილებელია ერთეულთა შესწავლა, რათა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ წარმოსახვითი და რეალური (გვ. 116).

სხვა, განსაკუთრებით ფაქიზი საკითხია დიაქრონიული იგივეობის საკითხი. იმისათვის, რომ ვთქვათ, ერთეული უცვლელი დარჩა ან საკუთარი თავისადმი იგივეობა შეინარჩუნა, მაგრამ ფორმა და შინაარსი შეიცვალაო (ასეთი შემთხვევები დასაშვებია), უნდა ვიცოდეთ, რას დავეყრდნობით იმის მტკიცებისას, რომ გარკვეული ეპოქიდან აღებული ელემენტი, მაგ. ფრანგული chaud („თბილი“) იგივეა, რაც უფრო ადრეული ეპოქის ელემენტი, მაგ. ლათინური calidum (calidus-ის ნათესაობითი ბრუნვა).

ამ კითხვაზე ალბათ, უპასუხებენ, რომ calidum chaud-ში ფონეტიკური კანონების მოქმედების შედეგად უნდა გადასულიყო, და რომ აქედან გამომდინარე chaud=calidum-ს. ამას ფონეტიკურ იგივეობას უწოდებენ. ასევეa sevrer-სა („მკერდიდან მოგლეჯა“) და separare-ს („გამოყოფა“) შემთხვევაშიც. და პირიქით, შეგვნიშნავენ, რომ fleurir („აყვავება“) იგივე არაა, რაც flōrēre (რომელსაც უნდა მოეცა *flouir) და ა.შ.

შესატყვისობის ეს ტიპი პირველ რიგში ზოგადად, დიაქრონიული იგივეობის ცნებას უნდა ეხებოდეს. მაგრამ, სინამდვილეში, შეუძლებელია, რომ მხოლოდ ბგერას, თავისთავად შეეძლოს იგივეობის დადასტურება. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ლათინური mare („ზღვა“) ფრანგულში mer უნდა იყოს, რადგან, ნებისმიერი a გარკვეულ პირობებში e-ში გადადის, ბოლოკიდური უმავილო e იკარგება და ა.შ. იმის მტკიცება, რომ სწორედ მიმართებანი a→e. e→ნული შეადგენენ იგივეობას, ყველაფრის თავდაყირა დაყენება იქნებოდა. სწორედ, mare : mer შესატყვისობის წყალობით ვასკენით, რომ a e-ში გადავიდა, რომ ბოლოკიდური e ამოვარდა და ა.შ.

თუ საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ორი ადამიანიდან ერთი იტყვის se fâcher („გაბრაზება“), მეორე კი — se ficher, განსხვავება მათ გამოთქმაში უმნიშვნელო იქნება იმ გრამატიკულ ფაქტებთან შედარებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ამ ორ შემთხვევაში ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ორი განსხვავებული ფორმა დავინახოთ. ისეთი ორი განსხვავებული სიტყვის დიაქრონიული იგივეობა, როგორებიცაა calidum და chaud იმის მანიშნებელია, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა მოხდა მეტყველებაში მთელ რიგ სინქრონულ იგივეობათა გავლით, ისე რომ, მიუხედავად თანმიმდევრული ფონეტიკური ცვლილებებისა, მათ შორის კავშირი არასოდეს დარღვეულა. ამიტომაც, 114-ე გვერდზე შევძელით გვეთქვა, რომ საინტერესოა დავადგინოთ, როგორ ხდება, რომ ერთსა და იმავე მეტყველებაში რამდენჯერმე გამეორებული სიტყვა Messieurs („ბატონებო“) საკუთარი თავის იდენტური რჩება. რატომაა, რომ ფრანგული

უაყოფა pas არსებითი სახელი pas-ს („ნაბიჯი“) იდენტურია, ანდა რატომაც, ფრანგული chaud calidum-ის იდენტური. მეორე პრობლემა მართლაც, პირველის გაგრძელება და გართულებაა.

III და IV ნაწილების დამატება

ა. სუბიექტური ანალიზი და ობიექტური ანალიზი

მოლაპარაკე ინდივიდთა მიერ მუდმივად ჩატარებულ ენობრივ ერთეულთა ანალიზს შეიძლება სუბიექტური ანალიზი ვუნოდოთ. იგი არ უნდა ავუროთ ობიექტურ ანალიზში, რომელიც ისტორიას ეფუძნება. ისეთ ფორმაში, როგორიცაა ბერძნული ἵππος („ცხენი“) გრამატიკოსი სამ განსხვავებულ ელემენტს გამოყოფს: ფუძეს, სუფიქსსა და ბრუნვის ნიშანს (hipp-o-s). ძველი ბერძენი მხოლოდ ორ ნიშანს აღიქვამდა (hipp-os იხ. გვ. 162). ობიექტური ანალიზი ლათინურ სიტყვაში amābās („მიყვარდა“) გამოყოფს ოთხ ერთეულს (am-ā-bā-s). ძველი ლათინელები მას ასე ანაწევრებდნენ — amā-bā-s. შესაძლოა, ისინი -bās-ს ფუძის საპირისპირო, ფორმაშეცვლილ მთელად მიიჩნევდნენ. ფრანგულ სიტყვებში entier („მთელი“, ლათინური integer „ხელუხლებელი“), enfant („ბავშვი“, ლათინური in-fans „ვინც არ ლაპარაკობს“), enceinte („ფეხმძიმე“, ლათინური in-cincta „უქამრო“) ისტორიკოსი გამოპყოფს საერთო პრეფიქსს en, რომელიც ლათინური უარყოფის პრეფიქსის, in-ის შესატყვისი იქნება. მოლაპარაკე ინდივიდთა სუბიექტური ანალიზი მას სავსებით იგნორირებს.

გრამატიკოსი ხშირად ხედავს შეცდომებს ენის სპონტანურ ანალიზში. მართლაც, სუბიექტური ანალიზი „ყალბ“ ანალოგიაზე უფრო ყალბი არაა (იხ. გვ. 170). ენა არ ცდება; უბრალოდ, მისი თვალსაზრისი სხვაგვარია. მოლაპარაკე ინდივიდთა ანალიზსა და ისტორიკოსის ანალიზს შორის საერთო საზომი არ არსებობს, თუმცა ორივე მათგანი ერთი და იმავე ხერხით სარგებლობს: ერთი და იმავე ელემენტის შემცველ სერიებს შეაპირისპირებს. ერთიცა და მეორეც გამართლებულია და თითოეული მათგანი საკუთარ ღირებულებას ინარჩუნებს. მაგრამ, საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მოლაპარაკე ინდივიდთა ანალიზს ენიჭება, რადგან იგი უშუალოდ ენობრივ ფაქტებს ემყარება.

ისტორიული ანალიზი მხოლოდ წარმოებულ ფორმაა. იგი, ფაქტიურად, სხვადასხვა ეპოქის კონსტრუქციების ერთ სიბრტყეზე პროექტირებას ახდენს. როგორც ენის სპონტანური ანალიზი, იგი მიისწრაფის შეიმცნოს სიტყვის შემადგენელი, უფრო დაბალი რიგის ერთეულები. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მისი მიზანია სიტყვის დაყოფა უძველეს შემადგენელ ნაწილებად, საუკუნეთა მანძილზე მომხდარი სუბიექტური ანალიზის სინთეზი. სიტყვა მოგვაგონებს სახლს, რომლის ინტერიერის განლაგება და დანიშნულება მრავალჯერ შეიცვალა.

ობიექტური ანალიზი აჯამებს ამ ცვლილებებს და ერთმანეთზე ალაგებს ამ თანმიმდევრულ დისტრიბუციებს. სახლში მცხოვრებთათვის კი მხოლოდ ერთი ვითარება არსებობს. ზემოთ განხილული hipp-o-s-ის ანალიზი მცდარი არაა, რადგან მოლაპარაკენი სიტყვის მნიშვნელობას სწორედ ასე აღიქვამდნენ. იგი უპირველესად „ანაქრონულია“ და იმ ეპოქას არ მიეკუთვნება, რომლიდანაც ეს სიტყვა აიღეს. hipp-o-s მართალია, კლასიკური ბერძნულის hipp-os-ს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მას სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ. ე.ი. კვლავ უნდა მივუბრუნდეთ სინქრონიალიაქრონიის ძირეულ განსხვავებას.

ეს საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ენათმეცნიერებისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი. ძველი სკოლა სიტყვებს ყოფდა ფუძედ, თემად, სუფიქსად და ა.შ. და თითოეულ მათგანს აბსოლუტურ ღირებულებას ანიჭებდა. ბოპისა და მის მიმდევართა გაცნობამ შეიძლება გაფიქრებინოთ, რომ ბერძნებმა უძველესი დროიდან თან მოიტანეს ძირებისა და სუფიქსების ურიცხვი რაოდენობა, რომ ისინი სიტყვებს ლაპარაკის მომენტში ქმნიდნენ, რომ patr-ში („მამა“) მათთვის იყო ძირი pa+ სუფიქსი ter, ხოლო მათი წარმოქმნილი ძნსō („მოგცემ“) წარმოადგენდა ძნ+so+ პირის მაჩვენებლის ჯამს და ა.შ.

ცხადია, ასეთ შეცდომებზე რეაგირება იყო საჭირო და ამ რეაქციის სამართლიან ლოზუნგად იქცა — დავაკვირდეთ იმას, რაც დღეს ხდება ენებში, ყოველდღიურ მეტყველებაში და დღეისათვის ენაში დაფიქსირებულ ნურავითარ პროცესს, ნურავითარ მოვლენას ენის ძველ პერიოდებს ნუ მივანერთ. რადგან ხშირად ცოცხალი ენა არ იძლევა ისეთი ანალიზის საშუალებას, როგორსაც ატარებდა ბოპი, ნეოგრამატიკოსებმა თავიანთი პრინციპების საფუძველზე განაცხადეს, რომ ძირები, თემები, სუფიქსები და ა.შ. ჩვენნი გონების აბსტრაქციაა და მხოლოდ გადმოცემის მოხერხებულობისთვის ვიყენებთ მათ. მაგრამ, თუ არ არსებობს ამ კატეგორიების დამკვიდრების გამართლება, რატომ უნდა დავამკვიდროთ ისინი? და თუ ისინი დავამკვიდრეთ, მაშინ რის საფუძველზე ვამტიკებთ, რომ დაყოფას hipp-o-s რაიმე უპირატესობა აქვს დაყოფასთან hipp-os?

ახალმა სკოლამ აღიარა ძველი მოძღვრების ნაკლი, რაც ძნელი საქმე არ იყო და მისი თეორიული უარყოფით დაკმაყოფილდა, მაშინ, როდესაც პრაქტიკაში იგი კვლავ იმ სამეცნიერო აპარატის ტყვეობაში დარჩა, ურომლისობაც მას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო. საკმარისია ამ „აბსტრაქციებს“ ჩავუკვირდეთ, რომ დავინახოთ მათი შესატყვისობის ხარისხი რეალურობასთან, უმნიშვნელო კორექტივიც საკმარისია გრამატიკოსთა ამ ხელოვნური ქმნილებების სწორი და ზუსტი გააზრებისთვის. სწორედ ამას შევეცადეთ ზემოთ, როცა გაჩვენეთ, რომ ცოცხალი ენის სუბიექტურ ანალიზთან შინაგანი კავშირით დაკავშირებულ ობიექტურ ანალიზს კანონიერი და განსაზღვრული ადგილი უჭირავს ლინგვისტურ მეთოდთა შორის.

ბ. სუბიექტური ანალიზი და დაბალი დონის ერთეულთა განსაზღვრა.

ანალიზის მეთოდ და განსაზღვრებანი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დავადგინოთ, რაც სინქრონულ თვალსაზრისზე დავდგებით. გვსურდა ეს სიტყვის შემადგენელ ნაწილებზე — პრეფიქსებზე, ფუძეზე, ძირებზე, სუფიქსებსა და ბრუნვის ნიშნებზე დაკვირვებით გვეჩვენებინა.¹

დავინყოთ ბრუნვის ნიშნებით, ე.ი. ფლექსიის მახასიათებლებით, ანუ სიტყვის ბოლოს დართული ცვალებადი ელემენტებით, რომლებიც სახელადი და ზმნური პარადიგმის ფორმებს განასხვავებენ. სიტყვებში *zeúgnū-mi*, *zeúgnū-s*, *zeúgnū-si*, *zeúgnu-men* და ა.შ. („ვაბამ“, აბამ“ და ა.შ.) დაბოლოებები *-mi*, *-s*, *-si* და ა.შ. იმით განირჩევიან, რომ ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთსა და სიტყვის შიდა ნაწილსაც (*zeugnū*)- როგორც ჩეხური გენეტივის *žen*-ის (გვ. 92, 124) სახელობითი ბრუნვის *žena*-სთან შედარებით დავინახეთ, ბრუნვის ნიშნის უქონლობამ შეიძლება ისეთივე როლი ითამაშოს, როგორც ჩვეულებრივმა დაბოლოებამ. ამგვარად, ბერძნული *zeúgnū* („შეაბი“) უპირისპირდება *zeúgnu-te!*-ს („შეაბით“) და ა.შ. ასევე, ნოდებითი *rhétor* („ორატორი“) უპირისპირდება *rhétor -os*-ს და ა.შ., ფრანგული *marš* (ინერება *marche!* „იარე“) *marš*-თან (ინერება *marchons* „ვიართ“) შეპირისპირებით ნულოვანი დაბოლოების მქონე უღლებადი ფორმებია.

დაბოლოების ჩამოშორებით მივიღებთ ფლექსიის თემას, ანუ ფუძეს, რომელიც საერთო ელემენტია და მონათესავე სიტყვათა რიგის შედარებისას სპონტანურად გამოიყოფა, მიუხედავად იმისა, ფორმაცვალებადნი არიან ეს სიტყვები თუ არა. მას უკავშირდება ამ სიტყვებისთვის საერთო ცნება. მაგ. ფრანგულის სერიაში *roulis* („რყევა“), *rouleau* („გრაგნილი“), *rouler* („გორება“), *roulage* („ტკეპნა“), *roulement* („დაგორგოლება“) ფუძე *roul-* ადვილი აღსაქმელია. მოლაპარაკე ინდივიდთა ანალიზი სიტყვების ერთსა და იმავე ოჯახში ხშირად სხვადასხვა, უფრო სწორად, სხვადასხვა დონის ფუძეს გამოიყოფს. ზემოთ, *zeúgnū-mi*, *zeúgnū-s* და ა.შ. სიტყვებიდან გამოყოფილი ელემენტი *zeugnū-* პირველი დონის ფუძეა. იგი დაუშლადი არაა, რადგან სხვა დონეებთან შედარებისას (*zeúgnūmi* „ვაბამ“, *zeuktós* „შებმული“, *zeúksis* „შებმა“, *zeuktēr* „შებმელი“, *zugiti* „უღელი“ და ა.შ. ერთი მხრივ, და მეორე

¹ ფ. დე სოსიურს შედგენილი სიტყვები სინქრონული თვალსაზრისით არ განუხილავს. პრობლემის ეს მხარე შეუსწავლელი უნდა იყოს. თავისთავად ცხადია, რომ კომპოზიტთა და აგლუტინირებულ ერთეულთა შორის, ზემოთ დადგენილი დიაქრონიული განსხვავება არ შეიძლება შექანიკურად გადმოვიტანოთ სფეროში, სადაც საქმე ეხება ენის მდგომარეობის ანალიზს. განა საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომს, რომელიც დაბალი დონის ერთეულებს ეხება, პრეტენზია არა აქვს გადაჭრას გვ. 111 და 117-ზე ნამოჭრილი ერთეულად მიჩნეული სიტყვის განსაზღვრის დელიკატური საკითხი (გამომცემლები).

მხრივ *zeúgnūmi* „ვაბამ“, *deíknūmi* „ვაჩვენებ“, *orūmi* „აწვე“ და ა.შ.) თავისთავად გამოიყოფა დანაწევრება *zeug-nu*. ამრიგად, *zeug-* (თავის მონაცვლე ფორმებთან *zeug-*, *zeuk-*, *zug-* თან ერთად, იხ. გვ. 175) მეორე დონის ფუძეა. იგი დაუნაწევრებადია, რადგან შემადგენელ ნაწილებად ვეღარ დაეშლით.

ძირი ენოდება ერთი ოჯახის სიტყვათა დაუშლად და საერთო ელემენტს. მეორე მხრივ, რადგან ყოველ სუბიექტურ და სინქრონულ დანაწევრებას მხოლოდ თითოეული მათგანის შესაბამისი მნიშვნელობის გათვალისწინებით შეუძლია გამოყოს მატერიალური ელემენტები, ძირი გვევლინება ელემენტად, სადაც ყველა მონათესავე სიტყვის მნიშვნელობა აბსტრაქციისა და განზოგადების მაქსიმუმს აღწევს. ბუნებრივია, ეს აზრობრივი განუსაზღვრელობა ყველა ძირისთვის განსხვავებულია. იგი გარკვეულად, ძირის დანაწევრების უნარზეცაა დამოკიდებული. რაც უფრო მეტად იყოფა იგი, მის მნიშვნელობას აბსტრაქტირების მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს. ამრიგად, *zeugmátion* „პატარა შებმას“, *zeúgma* „შებმას“ განსაკუთრებული დაზუსტების გარეშე, *zeug-* კი, ზოგადად, „შებმას“ განუსაზღვრელ ცნებას მოიცავს.

აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი ძირი ვერ შეადგენს სიტყვას და უშუალოდ ვერ დაიმატებს დაბოლოებას. მართლაც, სიტყვა ყოველთვის გამოხატავს შედარებით განსაზღვრულ აზრს, ყოველ შემთხვევაში, გრამატიკის თვალსაზრისით მაინც, რაც ენინალმდეგება ფუძისთვის დამახასიათებელ განზოგადებასა და აბსტრაქციას. რა უნდა ვიფიქროთ ფლექსიის ისეთ განზოგადებულ შემთხვევაზე, როცა ძირი და სიტყვათწარმოების საფუძველი ერთმანეთს ემთხვევა, მაგალითად, ბერძნული *philós* („ალი“), *phlogós* („ალის“) შედარებით ძირთან *phleg-* : *phlog-*, რომელიც იმავე ოჯახის ყველა სიტყვაში გვხვდება (მაგ. *philégō* „ენვავ“ და ა.შ.)? ზომ არ ენინალმდეგება ეს ჩვენს მიერ ახლახან დადგენილ განსხვავებას? სულაც არა, რადგან, თუ არ გვინდა, რომ ბგერითი ფორმები აზრისაგან მოწვეტილად განვიხილოთ, უნდა განვასხვავოთ *phleg-* = *phlog-* ზოგადი მნიშვნელობით, და *phlog-* კერძო მნიშვნელობით. ერთსა და იმავე ბგერით ელემენტს აქ ორი განსხვავებული ღირებულება გააჩნია, რადგან იგი ორ განსხვავებულ ენობრივ ელემენტს შეადგენს (იხ. გვ. 111). ზემოთ განვიხილეთ *zeúgnū* („შეაბი“), როგორც ნულოვანი დაბოლოების მქონე უღლებადი სიტყვა. ანალოგიურად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში *philég-* („ალი“) წარმოადგენს ბაზას „ნულოვანი სუფიქსისთვის“. აქ ყოველგვარი აღრევა გამორიცხებულია, ძირი მაშინაც კი განსხვავდება ფუძისგან, როცა ბგერადობის თვალსაზრისით ემთხვევა მას. ე.ი. მოლაპარაკე ინდივიდისთვის ძირი რეალურია. თუმცა, იგი მას მუდამ ერთნაირი სიზუსტით ვერ გამოიყოფს. ამ მხრივ, არსებობს განსხვავებანი ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა ენებში.

ზოგ ენაში მოლაპარაკეთა ყურადღებას იქცევს ძირის გარკვეული მახასიათებლები. მაგ. გერმანულში ძირს ერთგვაროვანი მახასიათებლები გააჩნია. იგი თითქმის ყოველთვის ერთმარცვლიანია (მაგ. *streit-*, *bind-*, *haft-*,

და ა.შ.). მისი შედგენილობა გარკვეულ ნესებს ემორჩილება — ფონემები მასში ნებისმიერი რიგით ვერ განლაგდებიან. თანხმოდანა ზოგი შეთანხმება, მაგ. ხშული + ნარნარა ძირის ბოლოს დაუშვებელია: werk- შესაძლებელია, wekr- კი არა. ვხვდებით help-, werd-, მაგრამ არ ვხვდებით help-, wedr-.

შეგახსენებთ, რომ რეგულარული მონაცვლეობები, განსაკუთრებით ხმოვნებს შორის, უფრო ამყარებენ, ვიდრე ასუსტებენ ძირისა და საერთოდ, დაბალი დონის ერთეულთა განცდას. ამ მხრივ, გერმანული აბლაუტის სხვადასხვაგვარი გამოყენება (იხ. გვ. 165) დიდად განსხვავდება ფრანგული-საგან. სემიტურ ძირებს კიდევ უფრო მეტად ახასიათებს ეს თვისებები. მათში მონაცვლეობა ძალზე რეგულარულია და მრავალ რთულ შეპირისპირებას განსაზღვრავს (მაგ. ებრაული qāḏal „მოკლა“, qāḏtem „თქვენი, მამაკაცებმა მოჰკალით“), qāḏi „მოკვლა“, „მოკალი კაცო“, qāḏim „მოკალით კაცებო“ და ა.შ. — ყველა ეს ზმნა ერთი და იმავე „კვლა“ ზმნიდანაა ნაწარმოები; ამას გარდა, ეს ფორმები გვაგონებს გერმანულ ერთმარცვლიანებს, მაგრამ უფრო გასაოცარია ის, რომ სემიტური ძირები მუდამ სამთანხმოვნია (იხ. გვ. 236).

ამ თვალსაზრისით ფრანგული ენა აბსოლუტურად განსხვავებულია. მასში ნაკლებია მონაცვლეობა და ერთმარცვლიანი ფუძეების გვერდით (roul-, marche-, mang-) მრავლადაა ორ და სამმარცვლოვანიც (commenc-, hésit-, épouvant-). ამ ძირებს სხვადასხვაგვარი დაბოლოებები აქვთ და მათი ერთ ნესზე დაყვანა შეუძლებელია (მაგ. tu-er „მოკვლა“, régn-er „მეფობა“, guid-er „წარმართვა“, grond-er „დატყუება“, souffl-er „შებერვა“, tard-er „დაგვიანება“ entr-er „შესვლა“ hurl-er „ღრიალი“ და ა.შ.). ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ფრანგულში ძირის განცდა სუსტია.

ძირის გამოყოფას თავისთავად მოსდევს თავსართ-ბოლოსართის გამოყოფა. თავსართი წინ უძღვის ფუძედ აღიარებულ ნაწილს, მაგ. hupo-ბერძნულ hupo-zeugnūmi-ში („ვაბამ“). ბოლოსართი წარმოადგენს ელემენტს, რომელიც ერთვის ძირს, ფუძედ რომ აქციოს იგი (მაგ. zeug-mat-), ან პირველ ფუძეს, რათა იგი მეორე ხარისხის ფუძედ აქციოს (მაგ. zeugmat-io-). ზემოთ დავინახეთ, რომ ეს ელემენტი, ისევე, როგორც დაბოლოება, შეიძლება ნულოვანი იყოს. ბოლოსართის გამოყოფა ფუძის ანალიზის მეორე მხარეა.

სუფიქსს ზოგჯერ კონკრეტული მნიშვნელობა, სემანტიკური ღირებულება აქვს, როგორც zeuk-tēr-ის („შემბმელი“) შემთხვევაში გვაქვს, სადაც -ter- მოქმედ პირს, მოქმედების სუბიექტს აღნიშნავს. ზოგჯერ კი სუფიქსი გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, მაგ. zeug-nū („ვაბამ“), სადაც -nū- აწმყო დროის ცნებას გამოხატავს. თავსართსაც შეუძლია ორივე როლის შესრულება, მაგრამ ჩვენი ენები მას იშვიათად ანიჭებენ გრამატიკულ ფუნქციას. მაგ. გერმანული ნამყოფი მიმღობის ge- (ge-setzt და ა.შ.), სლავურის პერფექტული თავსართები (რუსული na-pisat' და ა.შ.).

პრეფიქსი სუფიქსისგან განირჩევა კიდევ ერთი თვისებით, რომელიც, მართალია, აბსოლუტური არ არის, მაგრამ ძალიან განსხვავებულია: იგი უკეთესადაა შემოსაზღვრული, ე.ი. ადვილად გამოიყოფა მთელი სიტყვისგან. ეს ამ ელემენტის ბუნებიდან გამომდინარეობს. უმეტეს შემთხვევაში,

თავსართების მოშორების შემდეგ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს შედგენილ სიტყვასთან (შდრ. recommencer „კვლავ დაწყება“; commencer „დაწყება“, indigne „უღირსი“; digne „ღირსეული“, maladroit „მოუხერხებელი“; adroit „მარჯვე“, contrepoids „საპირნონე“; poids „წონა“ და ა.შ.). ეს კიდევ უფრო მეტად ვლინდება ლათინურში, ბერძნულსა და გერმანულში. დავძენდით, რომ მრავალი თავსართი დამოუკიდებელ სიტყვადაც გვევლინება, მაგ. ფრანგული contre („წინააღმდეგ“), mal („ცუდად“), avant („წინ“), sur („ზე“), გერმანული unter („ქვე“), vor („წინ“) და ა.შ. ბერძნული κατά („გან“), πρό („წინ“) და ა.შ. ბოლოსართებში საქმე სხვაგვარადაა. მათი ჩამოშორებით მიღებული ფუძე არასრული სიტყვაა, მაგ. ფრანგული organisation („ორგანიზაცია“): organis-, გერმანული Trennung („დაშლა“): trenn-, ბერძნული zeúgma („შებმა“): zeug- და ა.შ. ამასთანავე, თვით ბოლოსართი დამოუკიდებლად არ არსებობს.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ძირი ძირითადად, წინდანინვე გამიჯნულია. მოლაპარაკემ იცის სად დადოს ზღვარი თავსართსა და მის შემდეგ მომავალ ნაწილს შორის. სიტყვის ბოლოსთვის კი საქმე სხვაგვარადაა: აქ არავითარი ზღვარი არ დაიდება. იმავე ძირის თუ ბოლოსართის მქონე ფორმების შეპირისპირების შედეგად მივიღებთ ისეთ გამიჯვნებს, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულნი არიან შეპირისპირებული ელემენტის თვისებებზე.

სუბიექტური ანალიზის თვალსაზრისით სუფიქსებსა და ძირებს მნიშვნელობა მხოლოდ სინტაგმატურ და ასოციაციურ შეპირისპირებაში აქვთ: გარემოების მიხედვით, სიტყვის ორივე შესაპირისპირებელ ნაწილში შეიძლება მოვებნოთ მანარმოებელი ელემენტი და ძირეული ელემენტი, რა სახისაც არ უნდა იყვნენ ისინი. მთავარია, შეიძლებოდეს მათი შეპირისპირება. ლათინურ სიტყვაში dictātōrem („დიქტატორის“) დავინახავთ ძირს dictātōr-(em) თუკი მას შევადარებთ consul-em-ს („კონსულის“), ped-em-ს („ფეხის“) და ა.შ. ძირს dictā-(tōrem) თუ მას შევადარებთ სიტყვებთან lic-tōrem („დიქტორის“), scrip-tōrem („მწერლის“) და ა.შ. და ბოლოს, ძირს dic-(tātōrem), თუ გავითვალისწინებთ სიტყვებს pō-tātōrem („მსმელის“), can-tātōrem („მომღერლის“) და ა.შ. მოკლედ, სათანადო ვითარებაში მოლაპარაკე ინდივიდს შეუძლია ყველა შესაძლო დანაწევრების გაკეთება (მაგ. dictāt-ōrem „დიქტატორის“, am-ōrem „სიყვრულის“, ard-ōrem „ცეცხლის“ და ა.შ. dict-ātorem „დიქტატორის“, ōr-ātōrem „ორატორის“, ar-ātōrem „მხეველის“) და ა.შ. მიხედვით. როგორც 177-ე გვერდზე დავინახეთ, სპონტანური ანალიზის შედეგები ყოველი ეპოქის ანალოგიურ წარმოებაში გამოვლინდა. ისინი საშუალებას იძლევიან განვასხვავოთ დაბალი დონის ერთეულები (ძირი-თავსართი-ბოლოსართი), რომლებიც შეიცნობა ენაში და ენის მიერ მათთვის მინიჭებული ღირებულებები.

გ. ეტიმოლოგია

ეტიმოლოგია არც ცალკე დისციპლინაა და არც ევოლუციური ლინგვისტიკის ნაწილი. ესაა სინქრონულ და დიაქრონიულ ფაქტებთან

დაკავშირებული პრინციპების გამოყენება. ეტიმოლოგია იკვლევს სიტყვების წარსულს მანამ, სანამ რაიმე ამხსნელს არ დაუძებნის მათ.

როცა სიტყვის წარმოქმნაზე ლაპარაკობენ, ამბობენ, რომ იგი „მომდინარეობს“ სხვა სიტყვიდან და ამაში სხვადასხვა რამეს გულისხმობენ. მაგ. ფრანგული sel („მარილი“) მიმდინარეობს ლათინური sal-იდან, უბრალო ბგერათმონაცვლეობის საფუძველზე. labourer („მინის დამუშავება“) მოდის ძვ. ფრანგული labourer-დან („მუშაობა“), იცვლება მხოლოდ მნიშვნელობა; couvrir („კვერცხზე ჯდომა“) მოდის ლათინური cubare-დან („დანოლილი“) მნიშვნელობის შეცვლისა და ბგერათმონაცვლეობის საფუძველზე. როცა ამბობენ, რომ pomme („ვაშლის ხე“) pomme-დან („ვაშლი“) მოდისო, გრამატიკულ წარმოებას გულისხმობენ. პირველ სამ შემთხვევაში მოქმედებენ დიაქრონიული იგივეობით, მეოთხე შემთხვევა კი განსხვავებულ სიტყვათა სინქრონულ მიმართებას ემყარება. ყველაფერი, რაც ანალოგიასთან დაკავშირებით მოგახსენეთ, მონაშობს, რომ იგი ეტიმოლოგიური ძიებების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს.

ლათინური bonus-ის („კეთილი“) ეტიმოლოგია ვერ დადგინდება, თუკი იმის მტკიცებით შემოვიფარგლებით, რომ იგი divinos-დან მომდინარეობს. მაგრამ თუ დავადგენთ, რომ bis („ორჯერ“) მომდინარეობს divis-დან, აქედან შეიძლება დავადგინოთ მიმართება duo-სთან, რაც უკვე ეტიმოლოგიური ოპერაცია იქნება. ასევეა ფრანგული oiseau („ფრინველი“) ლათინურ avicellus-თან მიმართებით, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს მივაკვლიოთ კავშირს oiseau-სა და avis-ს შორის.

ე. ი. ეტიმოლოგია უპირველეს ყოვლისა სიტყვების ახსნა მათი სხვა სიტყვებთან მიმართების საფუძველზე. ახსნა ნიშნავს: უკვე ცნობილ ელემენტებზე დაყვანას. ენათმეცნიერებაში „სიტყვის ახსნა“ ნიშნავს მის დაყვანას სხვა სიტყვებზე, რადგან არ არსებობს აუცილებელი მიმართება ბგერასა და მნიშვნელობას შორის (ნიშნის პირობითობის პრინციპი, იხ. გვ. 75).

ეტიმოლოგია მხოლოდ ცალკეული სიტყვების ახსნით როდი კმაყოფილდება. იგი არკვევს მონათესავე სიტყვათა, მანარმოებელთა, პრეფიქსების, სუფიქსებისა და ა.შ. ისტორიას.

როგორც სტატიკური და ევოლუციური ლინგვისტიკა, ეტიმოლოგიაც აღწერს ფაქტებს, მაგრამ ეს აღწერა მეთოდური არაა, რადგან არავითარი გარკვეული მიმართულებით არ წარმოებს. ეტიმოლოგია საკვლევ ობიექტად აღებულ სიტყვასთან დაკავშირებით საჭირო მონაცემებს კრებს ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სემანტიკიდან და ა.შ. მიზნის მისაღწევად იგი იყენებს ენათმეცნიერების ნებისმიერ ხერხს, თანაც ყურადღებას არ ამახვილებს მის მიერ გამოყენებული ოპერაციების თვისებებზე.

ნაწილი IV

გეოგრაფიული ლინგვისტიკა

თავი I

ენათა სხვაობის შესახებ

გადავდივართ რა ენის სივრცეში განვითარების საკითხზე, ვცილდებით შინაგან ლინგვისტიკას და გადავდივართ გარე ლინგვისტიკაზე, რომლის მოცულობასა და ნაირფეროვნებაზეც შესავლის V თავში გესაუბრეთ.

ენების შესწავლაში ყველაზე საოცარი მათი მრავალფეროვნებაა, ის ლინგვისტური განსხვავებებია, რომლებსაც ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნებს, თუნდაც ერთი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის. თუ ზოგჯერ, დროში განსხვავება დამკვირვებლის ყურადღების მიღმა რჩება, სივრცობრივი განსხვავება უმალ თვალში საცემია. სხვა ენაზე მოლაპარაკე ტომთან კონტაქტის წყალობით ველურებიც კი ამჩნევენ ამას. სწორედ ამ შედარებებით შეიმეცნებს ხალხი საკუთარ ენას.

სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ ეს შეგარძნება პირველყოფილ ხალხებში წარმოშობდა აზრს, რომ ენა და ადამიანი ისეთივე ჩვევაა, როგორც ტანსაცმელი და იარაღი. ფრანგული ტერმინი idiole შესანიშნავად აღნიშნავს ენას, როგორც ერთი კოლექტივისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებას (ჯერ კიდევ ბერძნული idíoma ნიშნავდა „განსაკუთრებულ თვისებას“). ეს სწორი აზრია, მაგრამ მცდარად იქცევა, როგორც კი ენას განიხილავენ არა როგორც ხალხის, არამედ რასის თვისებას, ისევე როგორც კანის ფერს ან თავის ქალის ფორმას.

იმასაც დავძენთ, რომ ყოველი ხალხი დარწმუნებულია თავისი ენის უპირატესობაში. ხშირად სხვა ენაზე მოლაპარაკე მეტყველების უნარს მოკლებულად ითვლება. ბერძნული სიტყვა bárbaros „ბარბაროსი, არა ბერძენი“ თავდაპირველად „ენაბლუს“ ნიშნავდა და ლათინურ balbus-ს უნათესავებოდა. რუსები გერმანელებს Némtsy-ს, ე. ი. „მუნჯებს“ უწოდებენ.

ლინგვისტიკაში, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა გეოგრაფიული ნაირგვარობა. მან განაპირობა ენის მეცნიერული კვლევის საწყისი სახე, ჯერ კიდევ ბერძნებთან. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ ელინურ დიალექტთა შორის არსებულ განსხვავებებზე, რადგან, მათი ინტერესი საბერძნეთის საზღვრებს არ სცილდებოდა.

მას შემდეგ, რაც დაადგინეს ორი ენის განსხვავება, ინსტიტუტურად დაიწყეს მათი მსგავსების ძიება. ეს მოლაპარაკე ინდივიდთა ბუნებრივი სწრაფვაა. გლეხებს უყვართ თავიანთი მეტყველების მეზობელი სოფლის მეტყველებასთან შედარება. რამდენიმე ენაზე მოლაპარაკე ინდივიდები ამ ენების საერთო თვისებებს ამჩნევენ. საოცარია, მაგრამ მეცნიერებას უზარმაზარი დრო დასჭირდა ამ რიგის კონსტატაციათა გამოსაყენებლად. ბერძნებმა, მართალია შენიშნეს მსგავსებები ლათინურსა და თავიანთ ლექსიკას შორის, მაგრამ ვერავითარი ლინგვისტური დასკვნის გაკეთება ვერ მოახერხეს.

მეცნიერთა დაკვირვება ამ ანალოგიებზე, რიგ შემთხვევებში საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ორ ან რამდენიმე ენას შორის არსებობს ნათესაური კავშირი და ისინი საერთო წარმომავლობისანი არიან. ასე დაკავშირებული ენები ერთი ოჯახის ენებია. თანამედროვე ენათმეცნიერებამ თანმიმდევრულად აღმოაჩინა ინდოევროპული, სემიტური, ბანტუ¹ და ა.შ. ეს ოჯახები, თავის მხრივ, შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ, რაც ზოგჯერ, კიდევ უფრო ფართო და ძველი კავშირების გამოვლენის საშუალებას იძლევა. უნდოდათ დაედგინათ მსგავსება უგრო-ფინურსა² და ინდოევროპულს, ინდოევროპულსა და სემიტურს და ა.შ. ჯგუფებს შორის. ასეთი შედარებები მალე ეჯახებიან გადაულახავ ბარიერს. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ რეალური და ჰიპოთეტური. ენათა საერთო ნათესაობა შეუძლებელია, მაგრამ რეალურიც რომ იყოს, როგორც ეს იტალიელ მეცნიერს მ. ტრომბეტის³ მიაჩნია, მას ვერ დავასაბუთებდით ენაში მომხდარი მრავალრიცხოვანი ცვლილებების გამო.

ამრიგად, მონათესავე ენებში არსებული განსხვავებების გვერდით არსებობს აბსოლუტური განსხვავება, როცა ძნელდება ნათესაობის დადგენა თუ დამტკიცება. როგორ მეთოდს უნდა მიმართოს ლინგვისტიკამ ორივე შემთხვევაში? დაიწყეთ მეორე, უფრო გავრცელებული შემთხვევით; როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ენებისა და ენათა ოჯახების უსასრულო რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთზე არ დაიყვანება. ასეთია მაგალითად, ჩინური ინდოევროპულ ენებთან მიმართებაში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ შედარებაზე. იგი მუდამ შესაძლებელი და საჭიროა. შეიძლება შევადაროთ როგორც გრამატიკული ნწყობა და აზრის გამოხატვის ზოგადი ტიპები, ასევე ბგერათა სისტემებიც. შეიძლება შევადაროთ დიაქრონიული ტიპის მოვლენებიც — ორივე ენის ფონეტიკური ევოლუცია და ა.შ. ამ მხრივ, თუმცა შესაძლებლობები უთვალავია, იგი მაინც შეზღუდულია ბგერითი და

ფსიქიკური ხასიათის ზოგი მუდმივი მონაცემით, რაც განაპირობებს ენის ნწყობას და პირიქით, ამ მუდმივი მონაცემების აღმოჩენა წარმოადგენს ერთმანეთზე დაუყვანადი ენების ყოველგვარი შედარების ძირითად მიზანს.

რაც შეეხება სხვა ხასიათის განსხვავებებს, რომლებიც თვით ენათა ოჯახებში არსებობს, ისინი შედარების უსაზღვრო შესაძლებლობას გვაძლევს. ორი ენა ნებისმიერ დონეზე შეიძლება სხვაობდეს. საოცარად ჰგავდეს ერთმანეთს, როგორც ავესტა და სანსკრიტი ან აბსოლუტურად სხვაობდნენ, როგორც სანსკრიტი და ირლანდიური. არსებობს შუალედური შემთხვევებიც: მაგ. ბერძნული და ლათინური უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე სანსკრიტთან და ა.შ. თქმებს, რომლებიც უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, დიალექტები ეწოდება. ეს ტერმინი ვინრო მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. 210-ე გვერდზე დავინახავთ, რომ ენებსა და დიალექტებს შორის სხვაობა რაოდენობრივია და არა თვისობრივი.

¹ ბანტუ არის ენათა ჯგუფი, რომელზედაც ლაპარაკობს სამხრეთ ეკვატორული აფრიკის მოსახლეობა, კერძოდ, კაფრები (გამომც.).

² უგრო-ფინური მოიცავს ფინურს ანუ სუომას, მორდინურს, ლაპონს და ა.შ. ამ ენაზე ლაპარაკობენ ჩრდ. რუსეთსა და ციმბირში. ისინი საერთო პირველადი ენიდან უნდა მომდინარეობდნენ. მას აკავშირებენ ურალურ-ალათაურ ენათა ვრცელ ჯგუფთან, რომელთა საერთო წარმომავლობა, მიუხედავად ყველა ენისათვის დამახასიათებელი ზოგი საერთო თვისებისა, დადასტურებული არაა (გამომც.).

³ იხ. მისი ნაშრომი *L'Unita d'origine del linguaggio*, Bologna, 1905 (გამომც.)

თავი II

ენათა გეოგრაფიულ ნაირგვარობასთან დაკავშირებული სირთულეები

§1. რამდენიმე ენის თანაარსებობა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე

აქამდე გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას იდეალური ფორმით წარმოვიდგენდით: რამდენი ტერიტორიაცაა, იმდენი განსხვავებული ენაა. ჩვენ სრული უფლება გვქონდა ასე მოვქცეულიყავით, რადგან გეოგრაფიული დაყოფა ლინგვისტური მრავალფეროვნების ყველაზე ზოგად ფაქტორად რჩება. ახლა, განვიხილოთ მეორადი ხასიათის ფაქტორები, რომლებიც არღვევენ ამ შესაბამისობას და რომლებსაც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მრავალი ენის არსებობა მოსდევს.

აქ არ ვგულისხმობთ ორი ენის რეალურ, ორგანულ აღრევას, რაც ენობრივი სისტემის შეცვლით მთავრდება (მაგ. ინგლისური, ნორმანდიის მიერ დაპყრობის შემდეგ). ეს არც ტერიტორიულად აშკარად გაყოფილ მრავალ ენას ეხება, რომლებიც პოლიტიკურად ერთი სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული, როგორც ეს შვეიცარიის შემთხვევაშია. მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორი ენა შეიძლება არსებობდეს გვერდიგვერდ, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და ერთმანეთში აღურევლად თანაარსებობდეს. ასეთი შემთხვევები ხშირია და საჭიროა მათი გამოიყვანა.

ჯერ ერთი, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ახალი მოსახლეობის ენა დაშრევდეს ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე. მაგ. სამხრეთ აფრიკაში ადგილობრივი ენების გვერდით აღინიშნება ჰოლანდიური და ინგლისური ენების არსებობა, რაც ორი თანმიმდევრული კოლონიზაციის შედეგია. ასევე დამკვიდრდა ესპანური მექსიკაში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სახის ლინგვისტური შეჭრა მხოლოდ თანამედროვე ეპოქას ახასიათებს. ერები მუდამ ირეოდნენ ერთმანეთში ენის აღურევლად. ამაში დასარწმუნებლად, საკმარისია თვალი გადავაგვლოთ თანამედროვე ევროპის რუკას. ირლანდიაში ლაპარაკობენ კელტურად და ინგლისურად. ბევრი ირლანდიელი ორივე ენას ფლობს. ბრეტანში იყენებენ ბრეტონულსა და ფრანგულს, ბასკების რეგიონში კი ბასკურთან ერთად ფრანგულს ან ესპანურს. ფინეთში კარგა ხანია თანაარსებობენ შვედური და ფინური. ახლახან მათ რუსულიც დაემატა. კურლანდია და ლიფლანდიაში ლატვიურად, გერმანულად და რუსულად ლაპარაკობენ. გერმანული, რომელიც იქ შუა საუკუნეებში ჰანზამის საქმიანობასთან დაკავშირებით შეიტანეს კოლონიზატორებმა, გავრცელებულია მოსახლეობის გარკვეულ ფენაში. რუსული იქ მოგვიანებით,

დაპყრობის გამო გავრცელდა. პოლონეთთან ხანგრძლივი კავშირის შედეგად ლიტვაში ლიტვურის გვერდით დამკვიდრდა პოლონური და რუსული, რუსეთის იმპერიასთან შეერთების გამო. XVIII ს-მდე ელბიდან დაწყებული, გერმანიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში ლაპარაკობდნენ სლავურად და გერმანულად. ზოგ ქვეყანაში ენათა აღრევა კიდევ უფრო დიდია. რომელ ენას არ შეხვდებით მაკედონიაში: თურქულს, ბულგარულს, სერბულს, ბერძნულს, ალბანურს, რუმინულსა და ა.შ., რომლებიც რეგიონების მიხედვით სხვადასხვაგვარად არიან აღრეულნი.

ეს ენები მუდამ აბსოლუტურად აღრეული როდია. მათი არსებობა მოცემულ რეგიონში არ გამოორიცხავს შედარებით ტერიტორიულ გადანაწილებას. ხდება, მაგალითად, რომ ორი ენიდან ერთი იხმარება ქალაქებში, მეორე სოფლებში, მაგრამ ასეთი განაწილება მუდამ აშკარა არაა.

ანალოგიური სურათი იყო ძველადაც. რომის იმპერიის ლინგვისტური რუკა რომ გაგვანდეს, დღევანდელი ეპოქის მსგავს ფაქტებს დავინახავდით. კამპანში რომის რესპუბლიკის მიწურულისთვის ლაპარაკობდნენ: ოსკურად, რასაც ადასტურებს პომპეუსის წარწერები; ბერძნულად, ნეაპოლის და ა. შ. დამაარსებელთა ენაზე, ლათინურად, შესაძლოა ეტრუსკულადაც, ენაზე, რომელიც ამ ტერიტორიაზე რომაელთა მოსვლამდე იყო გავრცელებული. კართაგენში პუნიკური ანუ ფინიკიური ლათინურის პარალელურად არსებობდა (იგი არსებობდა ჯერ კიდევ არაბთა შემოსევისას); არას ვამბობთ იმაზე, რომ კართაგენის ტერიტორიაზე ნუმიდურადაც ლაპარაკობდნენ. შეიძლება თითქმის დავუშვათ, რომ ძველად, ხმელთაშუა ზღვის აუზის ირგვლივ ერთენოვანი ქვეყნები გამოჩაკლისს წარმოადგენდნენ.

ენათა ასეთი დაშრევა უმეტესწილად გამოწვეული იყო უფრო ძლიერი ხალხის მიერ დაპყრობით, კოლონიზაციით, მშვიდობიანი შეჭრით; მოხეტიალე ტომებით, რომლებსაც თან გადაჰქონდათ თავიანთი ენა. ასე იყო ბოშათა შემთხვევაში, რომლებიც, ძირითადად, უნგრეთში დამკვიდრდნენ და მჭიდროდ დასახლებული სოფლები შექმნეს. მათი ენის შესწავლამ დაგვანახა, რომ ოდესღაც ისინი ინდოეთიდან უნდა წამოსულიყვნენ დუნაის შესართავში. დობრუჯაში გაფანტულია თათრული სოფლები, რომლებიც ამ რეგიონის ლინგვისტურ რუკაზე პატარა წერტილებს წარმოადგენენ.

§2. სალიტერატურო ენა და ადგილობრივი მიტყველება

ლინგვისტური მთლიანობა შეიძლება დაიშალოს, როცა ბუნებრივი მიტყველება სალიტერატურო ენის გავლენას განიცდის. როცა ხალხი ცივილიზაციის გარკვეულ დონეს აღწევს ეს გარდუვალი ხდება ხოლმე. გამოთქმაში „სალიტერატურო ენა“ ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ლიტერატურის ენას, არამედ ზოგადად, ყოველგვარ დამუშავებულ ენას, რომელიც მთელი ერის სამსახურადაა მონოდებული, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ენა იქნება იგი თუ არა. თავისთავად ენა მხოლოდ დიალექტებს იცნობს, რომელთაგან არც ერთი არ შეიჭრება მეორეში და ამიტომ მას უსასრულოდ დაყოფაც შეუძლია. მაგრამ, რადგან ცივილიზაციის

განვითარება ზრდის კომუნიკაციას, უსიტყვო შეთანხმების საფუძველზე ერთ-ერთი დიალექტი იქცევა ყოველივე იმის გადმოცემის საშუალებად, რაც მთელი ერის ინტერესებს ეხება. ამ არჩევანის მიზეზი მრავალგვარია: ზოგჯერ, უპირატესობას ანიჭებენ იმ რეგიონის დიალექტს, რომლის ცივილიზაციაც უფრო მაღალ დონეზეა, ზოგჯერ, იმ პროვინციისას, რომელსაც პოლიტიკური ჰეგემონია უპყრია და სადაც ცენტრალური ხელისუფლებაა დაფუძნებული. ზოგჯერ, სამეფო კარი ახვევს ხალხს თავის მეტყველებას. ოფიციალურ და საზოგადო ენად აღიარებული პრივილეგირებული დიალექტი იშვიათად რჩება უცვლელი. მას სხვა რეგიონის დიალექტთა ელემენტები ერევა, სულ უფრო და უფრო რთული ხდება, მაგრამ პირველად სახეს არ კარგავს. მაგალითად, სალიტერატურო ფრანგულში ამკარად შეიცნობა ილ დე ფრანსის დიალექტი, იტალიურში — ტოსკანური. ასეა თუ ისე, სალიტერატურო ენა მთელ ტერიტორიაზე ერთბაშად როდი ვრცელდება და მოსახლეობის დიდი ნაწილი ორენოვანი ხდება, ლაპარაკობს როგორც საყოველთაო ენაზე, ისე ადგილობრივ დიალექტზე. ასეა საფრანგეთის ბევრ რეგიონში, მაგალითად სავუაში, სადაც ფრანგული შემოტანილი ენაა და ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს ადგილობრივი მეტყველება. ასეთივე მოვლენა შეინიშნება გერმანიასა და იტალიაშიც, სადაც ოფიციალური ენის გვერდით შენარჩუნებულია დიალექტებიც.

ასეთ მოვლენებს მუდამ ხვდებით ცივილიზაციის გარკვეულ დონეს მიღწეულ ყოველ ხალხთან. ბერძნებს საკუთარი „კოინე“ ჰქონდათ, ატიკურიდან და იონურიდან ამოსული და მის გვერდით არსებობდნენ ადგილობრივი დიალექტები. როგორც ჩანს, ძველ ბაბილონშიც, ადგილობრივი დიალექტების გვერდით შეიძლება გამოიყოს ოფიციალური ენა.

საერთო ენის არსებობა დამწერლობის არსებობას ხომ არ გულისხმობს? ჰომეროსის პოემები საპირისპიროზე უნდა მეტყველებდნენ. მართალია ისინი მაშინ შეიქმნა, როცა დამწერლობას არ იყენებდნენ, ან თითქმის არ იყენებდნენ, მათი ენა პირობითია და სალიტერატურო ენის თვისებები აქვს.

ამ თავში განხილული ფაქტები ისე ფართოდაა გავრცელებული, რომ ისინი ენათა ისტორიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენენ და მაინც, ჩვენ შევეცდებით ჩამოვიშოროთ ის, რაც ნიღბავს ენათა ბუნებრივი გეოგრაფიული მრავალფეროვნების სურათს და ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად მოვლენაზე, როცა არა გვაქვს არც სხვა ენის შემოჭრა და არც სალიტერატურო ენის შექმნა. ასეთი სქემატური გამარტივება თითქოს, რეალურობას უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ბუნებრივი მოვლენა უპირველეს ყოვლისა, სუფთა სახით უნდა შევისწავლოთ.

ჩვენს მიერ მიღებული პრინციპის მიხედვით ვიტყვით, მაგალითად, რომ ენობრივად ბრიუსელი გერმანული ქალაქია, რადგან იგი ბელგიის ფლამანდიურ ნაწილში მდებარეობს. იქ ფრანგულად ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა სწორედ სადემარკაციო ხაზი ფლამანდიურისა და ვალონურის გავრცელების ტერიტორიებს შორის. მეორე მხრივ, ამავე თვალსაზრისით, ლიეჟი რომანული იქნება, რადგან იგი ვალონურ

ტერიტორიაზეა. ფრანგული მისთვის მონათესავე დიალექტზე დაფენილი უცხო ენაა. ბრესტი ლინგვისტურად ბრეტონს ეკუთვნის. იქაურ ფრანგულს არაფერი აქვს საერთო ბრეტანის ადგილობრივ დიალექტთან. ბერლინი, სადაც თითქმის მხოლოდ ზემოგერმანული ისმის, იქვემო გერმანიას მიეკუთვნება და ა.შ.

თავი III


ენათგეოგრაფიული ნაირგვარობის მიზეზები

§1. ძირითადი მიზეზი — დრო

ენათა აბსოლუტური მრავლფეროვნება (იხ. გვ. 198) წმინდა თეორიულ პრობლემას წამოჭრის. მონათესავე ენათა მრავალფეროვნება კი პირიქით, კონკრეტული დამკვირვებლის მდგომარეობაში გვაყენებს და ეს მრავალფეროვნება ერთობლიობაზე დაიყვანება. ფრანგული და ლათინური სათავეს იღებენ ხალხური ლათინურიდან, რომლის ევოლუციაც გალიის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებში განსხვავებული იყო. მათი საერთო წარმომავლობა მატერიალურადაა დადასტურებული.

ყოველივე ამის კარგად გასაგებად, წარმოვიდგინოთ უმარტივესი თეორიული პირობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ენის სივრცობრივი დიფერენციაციის ძირითადი მიზეზი და დავინტერესდეთ რა მოხდებოდა, გარკვეულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაგ. პატარა კუნძულზე გავრცელებული რომელიმე ენა კოლონისტებს ასევე შემოსაზღვრულ სხვა პუნქტში, მაგ. სხვა კუნძულზე რომ გადაეტანათ. გარკვეული დროის შემდეგ პირველი კერის ენასა (F) და მეორე კერის ენას (F') შორის თავს იჩენდა განსხვავებები როგორც ლექსიკაში, ასევე გრამატიკაში, წარმოთქმაში და ა.შ.


არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შეიცვლება მხოლოდ გადატანილი ენა, ადგილობრივი კი უცვლელი დარჩება. აბსოლუტური სახით არც სანიანა-აღმდეგო ხდება ხოლმე. ინოვაცია შეიძლება წარმოიშვას როგორც ერთგან, ისევე მეორეგან, ან ორივეგან ერთდროულად. რადგან ნებისმიერი ლინგვისტური მოვლენა a შეიძლება შეცვალოს სხვა (b, c, d და ა.შ.) მოვლენამ, დიფერენციაცია სამი სხვადასხვა სახით შეიძლება მოხდეს.



ე.ი. ცვლილებათა კვლევა ცალმხრივი არ უნდა იყოს. ორივე ენის ინოვაციებს ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.

რამ განაპირობა ეს დიფერენციაცია? მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს სივრცის ბრალია. თავისთავად აღებული, სივრცე ენაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. F'-ში გადასვლისთანავე F-დან წასული კოლონისტები ზუსტად იმავე ენაზე ილაპარაკებენ, რომელზედაც წინა დღეს ლაპარაკობდნენ. თვალთახედვიდან გვჩნება დროის ფაქტორი, რადგან იგი ნაკლებ კონკრეტულია, ვიდრე სივრცისა; რეალურად კი დროის ფაქტორი განაპირობებს ლინგვისტურ დიფერენციაციას. გეოგრაფიული განსხვავება დროში განსხვავებაზე უნდა დაიყვანოს.

ავილოთ ორი დიფერენციალური შახსიათებელი b და c. არასოდეს ჰქონია ადგილი პირველიდან მეორეში, ან პირიქით გადასვლას. ერთიანობიდან განსხვავებისკენ მიმავალი გზის მოსაძებნად საჭიროა დაუზბურუნდეთ ამოსავალ ა ფორმას, რომელიც b და c ფორმებმა შეცვალა. მან ადგილი დაუთმო შემდგომ ფორმებს. აქედან გამომდინარე, გეოგრაფიული დიფერენციაციის სქემა, რომელიც ყველა ანალოგიური შემთხვევისთვის გამოდგება, იქნება



ორი მეტყველების გეოგრაფიული გაყოფა მათი ენობრივი განსხვავების აშკარა გამოსახულებაა, მაგრამ ვერ ხსნის ამ მოვლენას. ეს ლინგვისტური ფაქტი ვერ იქნებოდა დიფერენცირებული თუნდაც მინიმალური სივრცობრივი გაყოფის გარეშე. თავისთავად აღებული, დაშორებაც ვერ ქმნის განსხვავებას. ისევე, როგორც შეუძლებელია ვიმსჯელოთ მოცულობაზე ზედაპირის მიხედვით და საჭიროა მოვუხმოთ მესამე განზომილებას, სიღრმეს, ასევე, მხოლოდ დროში განფენილი გეოგრაფიული დიფერენციაციის სქემა ვერ იქნება სრულყოფილი.

შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მრავალფეროვნება გარემომ, ჰავამ, ლანდშაფტმა, ადათ-წესებმა (რომლებიც განსხვავებულია ზღვისპირეთისა და მთიელ მოსახლეობაში) შეიძლება გავლენა იქონიონ ენაზე და ამ შემთხვევაში, აქ შესწავლილი ცვლილებები გეოგრაფიულად იქნებოდა განპირობებული. ეს გავლენები სადავოა (გვ. 154). კიდევაც რომ დავამტკიცოთ ისინი, საჭირო იქნებოდა მათი განსხვავება. მოძრაობის მიმართულება განპირობებულია გარემოთი. განპირობებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძნელად მისაგნები და აღსანერად მიუწვდომელი მიზეზებით. გარკვეულ მომენტში და გარკვეულ გარემოში u იქცევა u-დ. რატომ შეიცვალა იგი ამ დროს და ამ ადგილას, ან რატომ იქცა u-დ და არა თუნდაც o-დ? ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ თვით ცვლილება, თუ გამოვრიცხავთ მის მიმართულებასა და სპეციალურ გამოვლენებს, ერთი


სიტყვით, ენის არამდგრადობას — მხოლოდ დროის მოქმედებით განისაზღვრება. გეოგრაფიული ნაირგვარობა საერთო მოვლენის მეორადი ასპექტია. მონათესავე ენათა ერთიანობა მხოლოდ დროში შეინიშნება — ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს კომპარატივისტმა, თუ არ უნდა, რომ საშიშ ილუზიებს ემსხვერპლოს.

§2. დროის გავლენა ენაზე ერთიანი ტერიტორიის ფარგლებში


ავილოთ ერთენოვანი ქვეყანა, ე.ი. სადაც მხოლოდ ერთ ენაზე ლაპარაკობენ და რომლის მოსახლეობაც სტაბილურია. მაგალითად, გალია ახ. წ. 450 წლის მახლობლად, სადაც ლათინური ყველგან მკვიდრად იყო ფეხმოკიდებული. რა მოხდა შემდეგ?

1. რადგან ენაში არ არსებობს აბსოლუტური უძრავობა (გვ.83), გარკვეული დროის შემდეგ ენა საკუთარი თავის იდენტური აღარ იქნება.

2. განვითარება მთელ ტერიტორიაზე ერთნაირი ვერ იქნება, იგი ადგილის მიხედვით შეიცვლება. ჯერ არავის შეუნიშნავს, რომ ენა ერთნაირად იცვლებოდა მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, ე.ი. ვერ მოგვცემს სქემას



არამედ, გვექნება სქემა




რომელიც რეალობას შეესაბამება.


საიდან იწყება და ვითარდება ის მრავალფეროვნება, რომელსაც ათასგვარი დიალექტური ფორმის შექმნამდე მივყავართ? საკითხი გაცილებით მარტივია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. ამ მოვლენას ორი ძირითადი თვისება გააჩნია:

1. ევოლუცია მიმდინარეობს თანდათანობითი და ზუსტად განსაზღვრული ინოვაციების სახით, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით ადვილად ჩამოსათვლელი, აღსანიერი და დასაჯგუფებელი (ფონეტიკური, ლექსიკოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ა.შ.) ფაქტებისგან შედგება.

2. თითოეული ამ ინოვაციათაგანი სრულდება გარკვეულ ადგილას და საკუთარი გავრცელების არე გააჩნია. ინოვაციით მოცული ზონა ან ფარავს ენის გავრცელების მთელ ტერიტორიას და არ ქმნის არავითარ დიალექტურ განსხვავებას (რაც იშვიათი შემთხვევაა), ანდა, როგორც ჩვეულებრივ ხდება, ტრანსფორმაცია ტერიტორიის მხოლოდ ნაწილს ეხება და ყოველ დიალექტურ მოვლენას თავისი გავრცელების არე აქვს. ქვემოთ მოყვანილი ფონეტიკური ცვლილებების მაგალითები სამართლიანია ნებისმიერი სახის ინოვაციისათვის; თუ მაგალითად, ტერიტორიის ერთ ნაწილში a გადავიდა e-ში



შესაძლებელია s-ის z-ში გადასვლა იმავე ტერიტორიის სხვა ფარგლებში მოხდეს.



გავრცელების ამ სპეციალური არეების არსებობა ხსნის დიალექტთა მრავალფეროვნებას მოცემული ენის გავრცელების ტერიტორიაზე, თუკი ეს ენა ბუნებრივად ვითარდება. ცვლილებათა არეები არ შეიძლება წინასწარ იქნას გათვალისწინებული; წინასწარ ვერაფერი განსაზღვრავს მათ ფართობს, მხოლოდ მათი აღნიშვნით უნდა შემოვიფარგლოთ. თუ მათ


ერთმანეთზე დაავაფენტო რუკაზე, სადაც მათი საზღვრები ერთმანეთს გადაკვეთენ, ისინი მეტად რთულ კომბინაციებს მოგვცემენ. მათი კონფიგურაციები ზოგჯერ პარადოქსულია. ასე მაგ.: ლათინური c და g-a-ს წინ შეიცვალენ შესაბამისად *č*-დ და *dž*-დ, შემდეგ — *š*, *ž*-დ (მაგ. *cantum* „სიმღერა“ → *chant*, *virga* „წიწკილი“, „ვაზი“ → *verge*), რაც მთელს ჩრდ. საფრანგეთში გავრცელდა გარდა პიკარდიისა და ნორმანდიის ნაწილისა, სადაც c, გუცვლელი დარჩა (მაგ. პიკარდიული *cat* „კატა“ ნაცვლად *chat*-ისა, ცოტა ხნის წინ სალიტერატურო ტრანგულში შესული *rescapé* ნაცვლად ფორმისა *réchappé* „გადარჩენილი“, *vergue* ზემოთ მოყვანილი *virga*-ს ნაცვლად და ა.შ.).

რა შედეგებს მოგვცემს ეს მოვლენები? თუ განსაზღვრულ მომენტში ერთი და იგივე ენა გავრცელებულია რომელიმე ერთიან ტერიტორიაზე, ნ-ს საუკუნის შემდეგ ორი უკიდურესად დამორბეული მხარის მოსახლეობამ შესაძლოა ერთმანეთს ვეღარ გაუგოს. მეორე მხრივ, ზოგი მხარის მოსახლეობისთვის სავსებით გასაგები იქნება მეზობელი რეგიონების მოსახლეობის მეტყველება. მოგზაური, რომელიც ამ ქვეყანას გადაკვეთს ერთი ბოლოდან მეორემდე, მხოლოდ უმნიშვნელო დიალექტურ განსხვავებებს შენიშნავს, მაგრამ მის წინ გადაადგილებასთან ერთად ეს განსხვავებები გაიზრდება და ბოლოს ის შეეხაჯება ენას, რომელიც გაუგებარი იქნება იმ რეგიონის მკვიდრთათვის, საიდანაც მან მოგზაურობა დაიწყო. თუ ამავე ტერიტორიის რომელიმე პუნქტიდან სხვადასხვა მიმართულებით წავალთ, აღმოჩნდება, რომ განსხვავებათა ჯამი ყოველი მიმართულებით გაიზრდება, თუმცა სხვადასხვაგვარად.

ამა თუ იმ სოფლის თქმაში შენიშნული თავისებურებანი მეზობელ ადგილებშიც შეგვხვდება, მაგრამ შეუძლებელია ვინინასწარმეტყველოთ, სადამდე გავრცელდება თითოეული მათგანი. მაგ. ზემო სავუას დეპარტამენტის ქალაქ დუვენში „ჟენევა“ წარმოითქმის როგორც *denva*; ასეთი გამოთქმა ვრცელდება დიდ მანძილზე აღმოსავლეთით და სამხრეთით; ლემანის ტბის მეორე ნაპირზე კი ამბობენ *dzenva*; მიუხედავად ამისა, ეს ორი მკვეთრად გამიჯნული დიალექტი არაა, რადგან სხვა მოვლენისთვის საზღვრები განსხვავებული იქნება. ასე მაგ. დუვენში *deux*-ს („ორი“) ნაცვლად ამბობენ *daue*. ამგვარი წარმოთქმა გაცილებით უფრო მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული, ვიდრე *denva*. სულ რამდენიმე კილომეტრის დამორებით, სალევის ძირას ამბობენ *due*-ს.

§3. დიალექტებს გუნდებში საზღვრები არ გააჩნიათ

ჩვეულებრივ, დიალექტებზე სულ სხვაგვარი წარმოდგენა აქვთ. მაგ. მათ წარმოდგენენ სავსებით განსაზღვრულ, ერთმანეთისაგან ყოველმხრივ გამიჯნულ ენობრივ ტიპებად, რომლებსაც რუკაზე სავსებით გამოყოფილი, მაგრამ მომიჯნავე ტერიტორიები a, b, c, d და ა.შ. უჭირავთ.



ბუნებრივი დიალექტური გარდაქმნები კი განსხვავებულ შედეგს გვაძლევს. როგორც კი შევუდებით თითოეული ენობრივი მოვლენის ცალკე შესწავლასა და მისი გავრცელების არის განსაზღვრას, საჭირო გახდება ძველი ცნების ახლით შეცვლა, რაც შემდეგში მდგომარეობს: არსებობს მხოლოდ ბუნებრივი დიალექტური თავისებურებანი, მაგრამ არა ბუნებრივი დიალექტები. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმდენივე დიალექტი გვაქვს, რამდენიც ადგილი.


ამრიგად, ბუნებრივი დიალექტის ცნება პრინციპში შეუთავსებელია მეტ-ნაკლებად ვრცელი რეგიონის ცნებასთან. ორიდან ერთი უნდა ავირჩიოთ: დიალექტი ან მისი თავისებურებების ჯამით უნდა განვსაზღვროთ, ავირჩიოთ რომელიმე წერტილი რუკაზე და ამ ერთი დასახლებული პუნქტის მეტყველება მივიჩნიოთ დიალექტად. როგორც კი ამ წერტილს დავშორდებით, ზუსტად იმავე თავისებურებების ჯამს ვეღარ შევხვდებით. ან კიდევ, დიალექტი მისი ერთი რომელიმე მახასიათებლით უნდა განვსაზღვროთ. ამ შემთხვევაში მივიღებთ სივრცეს, რომელიც მოიცავს ხსენებული მოვლენის გავრცელების არეს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ხალხთ, ასეთი მეთოდი ხელოვნური იქნება და მისი საშუალებით გავლელი საზღვრები არავითარ დიალექტურ რეალობას არ შეესაბამება.

დიალექტურ მახასიათებელთა კვლევა ამოსავალი წერტილი იყო ლინგვისტური კარტოგრაფიის სამუშაოებისთვის, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენს ჟილიერონის „საფრანგეთის ლინგვისტური ატლასი“. დავასახელებთ აგრეთვე ვენკერის გერმანული ენის ლინგვისტურ ატლასსაც¹; ამგვარი კვლევისთვის ყველაზე უფრო მოხერხებულია ატლასის ფორმა, რადგან ქვეყანა უნდა შევისწავლოთ რეგიონების მიხედვით და თითოეული მათგანისთვის ცალკე რუკა რომ შეგვექმნა, იგი მოიცავდა თავისებურებათა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობას. ერთი და იგივე რეგიონი მრავალჯერ უნდა აისახოს, რათა წარმოდგენა შეგვექმნას მასში დალექილ ფონეტიკურ, ლექსიკოლოგიურ, მორფოლოგიურ და სხვა თავისებურებებზე. მსგავსი ძიებანი მოითხოვენ დიდ ორგანიზაციას, სისტემურ გამოკვლევებს კითხვარების საშუალებით, ადგილებზე კორესპონდენტთა დახმარებას და სხვ. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ რომანული შვეიცარიის დიალექტთა შესწავლა. ლინგვისტური ატლასების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ისინი გვაძლევენ მასალას დიალექტოლოგიური კვლევისათვის:

¹ იხ. აგრეთვე Weigand; Linguistischer Atlas des dakorumänischen Gebiets (1909) და Millardet; Petit atlas linguistique d'une région des Landes (1910).

ბოლო დროს გამოცემული მრავალი მონოგრაფია სწორედ ჟილიერონის ატლასს ემყარება.

დიალექტური მახასიათებლების საზღვრებს „იზოგლოსურ ხაზებს“, ანუ „იზოგლოსებს“ უწოდებენ. ეს ტერმინი „იზოთერმის“ მოდელით შეიქმნა. იგი ბუნდოვანი და არაზუსტია, რადგან ფაქტიურად, „ერთნაირენოვანს“ აღნიშნავს. თუ დავუშვებთ, რომ გლოსემა „ენის ან დიალექტის თვისებებს“ აღნიშნავს, მაშინ უფრო თამამად ვილაპარაკებთ იზოგლოსურ ხაზებზე, თუკი ასეთი ტერმინი გამოდგება. დავესესხებით რა ი. შმიდტს, ჩვენი აზრით უმჯობესია ვთქვათ „ინოვაციის ტალღები“, რასაც მომდევნო თავიც დაადასტურებს. ლინგვისტურ რუკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ორი-სამი ამ ტალღათაგანი თითქმის ემთხვევა და ზოგჯერ ერწყმის კიდევ ერთმანეთს.



ამკარაა, რომ ამგვარი ზონით გაყოფილი A და B ნერტილები განსხვავებათა გარკვეულ რაოდენობას გვაძლევენ და ქმნიან ორ, საკმაოდ განსხვავებულ დიალექტს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს დამთხვევები უკვე აღარ ატარებდნენ კერძო ხასიათს და ორი ან რამდენიმე არის მთელ პერიმეტრს ეხებოდეს.



როცა ეს დამთხვევები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, შეიძლება ვილაპარაკოთ დიალექტის არსებობაზე. დამთხვევები აიხსნება სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა ფაქტორებით, რომლებსაც ქვემოთ განვაზოგადებთ. ისინი საბოლოოდ კი არ შლიან, არამედ მხოლოდ

ფარავენ ენობრივი დიფერენციაციის უმთავრეს და ბუნებრივ მოვლენას ცალკეულ არეებში.

§4. ენას ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნიათ

ძნელია ითქვას, რაში მდგომარეობს განსხვავება ენასა და დიალექტს შორის. ხშირად, დიალექტს ენას უწოდებენ, რადგან ამ დიალექტზე ლიტერატურა შექმნილა. ასე დავმართა პორტუგალურსა და ჰოლანდიურს. გარკვეულ როლს ასრულებს ურთიერთგაგების საკითხიც. იმ პიროვნებებზე, რომლებსაც ერთმანეთისა არ ესმით, ამბობენ, ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენო. ასეა თუ ისე, ენები, რომლებიც გარკვეულ, შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, მკვიდრი მოსახლეობის წიაღში განვითარდნენ, ისეთსავე თვისებებს ამჟღავნებენ, როგორც დიალექტები, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით. მათში გვხვდება ინოვაციის ტალღები, რომლებიც რამდენიმე ენისთვის საერთო ტერიტორიას მოიცავენ.

იდეალურ პირობებშიც კი, ისევე შეუძლებელია დავადგინოთ საზღვრები მონათესავე ენებს შორის, როგორც დიალექტებს შორის. ტერიტორიის სიდიდეს მნიშვნელობა არა აქვს. ასევე შეუძლებელია ითქვას, სად მთავრდება ზემოგერმანული და სად იწყება ქვემოგერმანული. შეუძლებელია სადემარკაციო ხაზი გავავლოთ გერმანულსა და ჰოლანდიურს, ფრანგულსა და იტალიურს შორის. არსებობს უკიდურესი საზღვრები, რომელთა შესახებაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას „აქ გაბატონებულია ფრანგული, იქ — იტალიური“; მაგრამ, როგორც კი შუალედურ რეგიონს ვეხებით, ეს განსხვავება იშლება. ორ ენას შორის გარდამავალი ისეთი ვიწრო, კომპაქტური ზონაც კი, როგორცაა პროვანსული ფრანგულსა და იტალიურს შორის, არარეალურია. როგორ წარმოვიდგინოთ ზუსტი ლინგვისტური ზღვარი ტერიტორიაზე, რომელზედაც მთლიანად გავრცელებულია ერთმანეთში გარდამავალი დიალექტები? საზღვრები ენებს, ისევე როგორც დიალექტებს შორის გარდამავალ მოვლენებში იძირება. ისევე, როგორც დიალექტები წარმოადგენენ თავისუფალ დაყოფას ამა თუ იმ ენის გავრცელების ტერიტორიაზე, ასევე, ორი ენის გამყოფი ზღვარიც მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს.

მიუხედავად ამისა, ძალზე ხშირად გვხვდება ერთი ენიდან მეორეზე მკვეთრი გადასვლის შემთხვევები. რითი აიხსნება ისინი? იმით, რომ არახელსაყრელმა პირობებმა ხელი შეუშალეს შეუმჩნეველი გადასვლების შემონახვას. აქ მთავარ ფაქტორად გვევლინება მოსახლეობის გადაადგილება. ადამიანები ოდიტგანვე მოძრაობდნენ სხვადასხვა მიმართულებით. საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთზე დაშრევენით ამ მოძრაობამ ყველაფერი აღრია და ბევრგან ერთი ენიდან მეორეზე გარდამავალი მოვლენების შესახებ კვალიც კი არ დატოვა. ამის აშკარა მაგალითია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ეს ენები თავიდან მჭიდროდ უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და ლინგვისტურ არეთა უწყვეტი ჯაჭვი უნდა შეექმნათ. ჩვენ შეგვიძლია ძირითადი მათგანის ზოგადი სახით აღდგენა. თავისი თვისებებით სლავური ჯგუფი კვეთს ირანულსა და გერმანიკულ ჯგუფებს, რაც ემთხვევა ამ ენათა გეოგრაფიულ

განანილება. ასევე, გერმანიკული ჯგუფი შეიძლება განვიხილოთ როგორც შუალედური რგოლი სლავურსა და კელტურ ენებს შორის. კელტური, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება იტალიურს; იტალიური შუალედურია კელტურსა და ბერძნულს შორის, იმდენად, რომ ამ ენათა გეოგრაფიული განლაგების ცოდნის გარეშე, ენათმეცნიერი უყოყმანოდ შეძლებდა ამ ენათა ურთიერთმიმართებას დადგენას. ამასთანავე, როგორც კი განვიხილავთ საზღვარს ორი ჯგუფის ენებს შორის, მაგ. გერმანიკულსა და სლავურ ენებს შორის, აღმოვაჩინებთ სხვათა ნახტომს გარდამავალი საფეხურის გარეშე: ორი ენა კი არ ერწყმის, არამედ ეჯახება ერთმანეთს. ეს იმიტომ, რომ დაიკარგა შუალედური დიალექტები. არც სლავები და არც გერმანელები უძრავად არ დარჩენილან. ისინი გადასახლდებოდნენ, იპყრობდნენ ერთმანეთის ტერიტორიას. დღეს მეზობელი სლავური და გერმანული მოსახლეობა შეიცვალა. წარმოიდგინეთ, რომ კალაბრელი იტალიელები დამკვიდრდნენ საფრანგეთის საზღვრებთან. ეს გადაადგილება, ბუნებრივია, დაარღვევდა იმ შეუმჩნეველ გადასვლას, რომელიც იტალიურსა და ფრანგულს შორის აღვნიშნეთ. ინდოევროპული ოჯახიც ანალოგიური ფაქტების ერთობლიობას წარმოგვიდგენს.

არსებობს სხვა მიზეზებიც, რომლებიც ხელს უწყობენ გარდამავალ მოვლენათა წაშლას, მაგ. საერთო ენების გავრცელება კილოკავების საზიანოდ (იხ. გვ. 201). დღეს სალიტერატურო ფრანგული (ყოფილი ილ დე ფრანსის ენა) საზღვარზე ეჯახება ოფიციალურ იტალიურს (განზოგადებულ ტოსკანურ დიალექტს) და ბედნიერ შემთხვევითობას უნდა ვუმაძღოდეთ, რომ გარდამავალ მეტყველებას დღესაც ვხვდებით დასავლეთის ალპებში, მაშინ, როცა სხვა ლინგვისტურ საზღვრებზე შუალედური მეტყველების თითქმის ყველა კვალი წაშლილია.

თავი IV

ლინგვისტური ტალღების გავრცელება

§1. ურთიერთობის ძალა¹ და „საკუთარი სამრეკლოს სული“

ენობრივი ფაქტების გავრცელება იმავე კანონს ექვემდებარება, რასაც ნებისმიერი ჩვევა, თუნდაც მოდა. ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფში მუდმივად მოქმედებს ორი ერთდროული და სანინააღმდეგო მიმართულების ძალა. ერთი მხრივ, პარტიკულარისტული, „საკუთარი სამრეკლოს სული“, მეორე მხრივ კი „ურთიერთობის ძალა“, რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობის საფუძველს ქმნის.

„საკუთარი სამრეკლოს სულით“ შეზღუდული ენობრივი კოლექტივი საკუთარ წიაღში განვითარებული ტრადიციების ერთგული რჩება. ამ ჩვევებს ადამიანი ბავშვობიდანვე ეზიარება; აქედან, მათი ძალა და მდგრადობა. მხოლოდ ამ ძალებს რომ ემოქმედათ, ისინი მეტყველებაში შექმნიდნენ უსასრულოდ განსხვავებულ თავისებურებებს.

მაგრამ, მათი შედეგები განოხანსწორებულია საპირისპირო მოქმედების ძალით. თუ „საკუთარი სამრეკლოს სული“ ადამიანებს ერთ ადგილას ბინადართ ხდის, ურთიერთობის ძალა მათ ურთიერთკავშირს აიძულებს. მას მიჰყავს გამვლელი სოფელში, მოსახლეობის ნაწილს გადაადგილებს დღესასწაულისა თუ ბაზრობების გამო, სხვადასხვა პროვინციების მამაკაცებს აერთიანებს ჯარში და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს გამაერთიანებელი პრინციპია და ენინააღმდეგება „საკუთარი სამრეკლოს სულის“ გამთიშველ მოქმედებას.

ენის გავრცელება და შინაგანი მთლიანობა დამოკიდებულია ურთიერთმოქმედებაზე. იგი ორგვარად მოქმედებს, ხან უარყოფითად, ხელს უშლის დიალექტურ დაყოფას და ნებისმიერი ინოვაციის გავრცელებას მისი წარმოშობის ნებისმიერ მომენტსა და ადგილას, ხანაც დადებითად — ხელს უწყობს ენათა გაერთიანებას ინოვაციების მიღებისა და გავრცელების გზით. ურთიერთმოქმედების ეს მეორე ფორმა ამართლებს ტერმინს „ტალღა“, რომელიც დიალექტური ფაქტის გეოგრაფიული საზღვრების აღსანიშნად იხმარება (იხ. გვ. 210). იზოგლოსური ხაზი იმ უკიდურეს ზღვარს მოგვაგონებს, რომელსაც მიაღწია წყალდიდობამ, ნაპირებიდან გადმოსვლას რომ ლამობს.

ზოგჯერ, გაცილებული ვამჩნევთ, რომ ერთი ენის ორ დიალექტს, რომლებიც ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულნი არიან, საერთო

¹ გვსურდა შეგვეწინააღმდეგებინა ავტორის ეს ხატოვანი გამოთქმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნასესხებია ინგლისურიდან (intercourse გამოითქმება interkors „სოციალური, კომერციული და საკომუნიკაციო ურთიერთობები“), რომელიც თეორიულ წარმოდგინაში უფრო ნაკლებ უპირიანია, ვიდრე ზეპირმეტყველებაში (გამომცემლები).

ლინგვისტური თვისებები გააჩნიათ. ეს იმიტომ, რომ ცვლილება, რომელმაც თავი იჩინა ტერიტორიის ერთ, გარკვეულ ადგილას, არ შეხვედრია წინააღმდეგობას და ნელ-ნელა ამოსავალი წერტილიდან საკმაოდ შორს გავრცელდა. არაფერი ეწინააღმდეგება ურთიერთობის ძალას ლინგვისტურ გარემოში, სადაც მხოლოდ შეუმჩნეველი, თანდათანობითი გადასვლებია.

კერძო შემთხვევის ეს განზოგადება, მისი საზღვრების მიუხედავად მოითხოვს დროს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება გამოვთვალოთ კიდეც. მაგ. t -ს d -ში გადასვლა, რაც განაპირობა კონტინენტურ გერმანიაში მიმოსვლამ, დაიწყო სამხრეთით, 800 და 850 წწ შორის. გამონაკლისს შეადგენდა ფრანცისკანული, სადაც t -ს სახით დარჩა და მოგვიანებით ადგილი დაუთმო d -ს. t -ს z -ში გადასვლა (გამოითქმება ts) უფრო ვიწრო საზღვრებში მოხდა და დაიწყო წერილობითი ძეგლების შექმნამდე. იგი ალპებიდან უნდა დაწყებულიყო 600 წ. მახლობლად და ერთდროულად გავრცელებულიყო ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ლომბარდიაში. t დღესაც გვხვდება VIII ს-ის ტიურინგიის ქარტიაში. მოგვიანებით გერმანიკული i და u დიფთონგებად იქცნენ (მაგ. *mein* ნაცვლად *min*-ისა „ჩემი“, *braun* ნაცვლად *brün*-ისა „ყავისფერი“). ბოჰემიაში 1400 წ. მახლობლად დაწყებულ ამ მოვლენას 300 წელი დასჭირდა რეინამდე რომ მიეღწია და თანამედროვე არე მოეცვა.

ეს ლინგვისტური ფაქტები გადაცემით ვრცელდებოდა და ალბათ ასე იყო ყოველი ძალის შემთხვევაში. ისინი ერთი წერტილიდან ამოდიან და იშლებიან, რასაც სხვა, მნიშვნელოვან კონსტატაციამდე მივყავართ.

როგორც ვნახეთ, დროის ფაქტორი საკმარისია გეოგრაფიული ნაირგვარობის ასახსნელად. ეს პრინციპი აბსოლუტურად სარწმუნო მხოლოდ იმ ადგილის მიმართაა, სადაც ინოვაცია დაიწყო.

მივმართოთ გერმანულ თანხმობანთა სისტემის მუტაციის მაგალითს. თუ ფონემა t გერმანული ტერიტორიის ერთ პუნქტში ts -დ იქცა, ახალი ბგერა გავრცელდა მისი სანჯისი ტერიტორიის ირგვლივ და ამ სივრცული გავრცელების მიხედვით იგი ებრძოდა ჯერ t -ს, ან სხვა ბგერებს, რომლებსაც შეეძლოთ მისი წარმოქმნა სხვა პუნქტებში. იქ, სადაც ასეთი სახის ინოვაცია წარმოიშვა, ადგილი ჰქონდა წმინდა ფონეტიკურ მოვლენას; მოგვიანებით იგი გადაცემით გავრცელდა ახალ რეგიონებში, ამიტომაც სქემა



მთელი თავისი სიმარტივის მიუხედავად, მხოლოდ ინოვაციის კერისთვის თუ გამოდგება; მის გავრცელებასთან დაკავშირებით, ჩვენ მხოლოდ დავამახინჯებდით სურათს.

ფონეტიკოსი მკვებრად განასხვავებს ინოვაციის კერებს, სადაც მოვლენა მხოლოდ დროის ღერძზე ვითარდება და „ინფექციის გადაცემის“ არეებს, სადაც დროის ფაქტორთან ერთად სივრცის ფაქტორიც მოქმედებს და რომელთა მიმართაც წმინდა ფონეტიკურ ფაქტორთა თეორია სამართლიანი არაა. ტრადიციული t -ს გარედან შემოტანილი ts -თი შეცვლისას

საქმე გვაქვს არა ტრადიციული პროტოტიპის შეცვლასთან, არამედ მეზობელი მეტყველების მიბაძვასთან. როცა ალპებიდან მოსულმა ფორმამ *herza* („გული“) შეცვალა უფრო ძველი ტიურინგიული ფორმა *hera* ფონეტიკურ ცვლილებებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ფონემის სესხებაზე.

§2. ორი ურთიერთმოქმედი ძალის ერთ პრინციპზე დაყვანა

ტერიტორიის მოცემულ პუნქტში — აქ ჩვენ ვგულისხმობთ მინიმალურ ტერიტორიას, რომელიც წერტილთან შეიძლება გავაგივივოთ (იხ. გვ. 209), მაგ. სოფელს, — ძალზე ადვილია დავადგინოთ, რას განაპირობებს „საკუთარი სამრეკლოსა“ და ურთიერთმოქმედების ძალები. ფაქტი შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ ძალაზე და გამოირიცხოს მეორე. ყოველგვარი საერთო თვისება სხვა მეტყველებასთან ურთიერთმოქმედების შედეგია. ყოველგვარი თვისება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ მოცემული პუნქტის მეტყველებას, „საკუთარი სამრეკლოს სულითა“ გამოწვეული.

მაგრამ, როგორც კი საქმე შეეხება უფრო მოზრდილ ტერიტორიას, მაგ. კანტონს, თავს იჩენს ახალი სირთულე: შეუძლებელია დავადგინოთ ამ ორი ფაქტორიდან რომელი ხსნის ამა თუ იმ მოვლენას. ორივე მათგანი, თუმცა ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან, შეინიშნება ენის ნებისმიერ თავისებურებაში. ის, რაც A კანტონის განმასხვავებელი თვისებაა, მის ყველა კუთხეს ახასიათებს. აქ მოქმედებს პარტიკულარისტული ძალა, რომელიც ხელს უშლის ამ კანტონს რაიმეში მიბაძოს მეზობელ B კანტონს და პირიქით. მაგრამ, აქ მოქმედებს მაუნიციპალიტეტული, ე.ი. ურთიერთმოქმედების ძალა, რადგან იგი გამოვლინდება A კანტონის სხვადასხვა ნაწილებში (A^1, A^2, A^3 და ა.შ.); ამრიგად, როგორც კი უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გადავდივართ, ორი ძალა ერთად მოქმედებს, თუმცა განსხვავებული პროპორციებით. რაც უფრო ხელს უწყობს ინოვაციას, მით უფრო ფართოვდება ურთიერთმოქმედების არე. რაც შეეხება „საკუთარი სამრეკლოს სულს“, მისი მოქმედება ლინგვისტური მოვლენის მიღებული საზღვრების შენარჩუნებაში მდგომარეობს და იცავს მას გარეგანი კონკურენციისაგან. შეუძლებელია ვინინასწარმეტყველოთ, რა მოჰყვება ამ ორი ძალის მოქმედებას. 214 გვ-ზე დავინახეთ, რომ გერმანულ-ენოვან სფეროში, რომელიც ალპებიდან ჩრდილოეთის ზღვამდე ვრცელდება, t -ს d -ში გადასვლა საერთო ხასიათს ატარებდა, ხოლო t -ს ts (z)-თი შეცვლა მხოლოდ სამხრეთს შეეხო. „საკუთარი სამრეკლოს სულმა“ ერთმანეთს დაუპირისპირა ჩრდილოეთი და სამხრეთი, მაგრამ ამ ფარგლებში, ურთიერთ-მოქმედების ძალის გავლენით, ლინგვისტურ ერთიანობასთან გვაქვს საქმე. პრინციპში, ამ ორ მოვლენას შორის არსებითი განსხვავება არაა. საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ძალებთან, განსხვავდება მხოლოდ მათი მოქმედების ინტენსივობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად, ერთ ტერიტორიაზე მიმდინარე ლინგვისტური ევოლუციის შესწავლაში შეიძლება განვაზოგადოთ პარტიკულარისტული ძალა, ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი განვიხილოთ როგორც გამართიანებელი ძალის უარყოფითი ასპექტი. თუ იგი

საკმაოდ ძლიერია, ვრცელდება მთელს ტერიტორიაზე. თუ არა და, მოვლენა შეწყდება და მხოლოდ ტერიტორიის ნაწილს შეეხება. ეს შეზღუდული არე თავის ნაწილებთან მიმართებაში მაინც მთელად დარჩება. ამიტომაც შეიძლება ყველაფერი დავიყვანოთ მხოლოდ მაუნიციპალიტეტული ძალის მოქმედებაზე, გამოვიყვანოთ „საკუთარი სამრეკლოს სული“, რომელიც ნებისმიერი რეგიონისთვის დამახასიათებელი ურთიერთმოქმედების ძალაა.

§3. ენობრივი დიფერენციაცია გამიჯნულ ტერიტორიაზე

მას შემდეგ რაც დავრწმუნდით, რომ ერთენოვან მასაში კავშირის ძალა ენობრივ მოვლენათა მიხედვით იცვლება, რომ ყველა ინოვაცია ვერ ვრცელდება ენაში, რომ ტერიტორიის უწყვეტი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს არ უშლის დიფერენციაციის მუდმივ პროცესს, შეგვიძლია შევეხოთ საკითხს ისეთი ენის შესახებ, რომელიც პარალელურად ვითარდება ორ გამიჯნულ ტერიტორიაზე.

ასეთი მოვლენები ხშირია. მას შემდეგ, რაც გერმანიკული ენა კონტინენტური ბრიტანეთის კუნძულებზე გადავიდა, მან ორმხრივი ევოლუცია განიცადა. ერთი მხრივ გერმანიული დიალექტები, მეორე მხრივ — ანგლო-საქსური, საიდანაც გამოვიდა ინგლისური ენა. მაგალითისთვის შეიძლება კანადაში გატანილი ფრანგულიც დავასახელოთ. ტერიტორიის გამიჯვნა მუდამ კოლონიზაციისა თუ დაპყრობის შედეგი როდია. იგი იზოლაციამაც შეიძლება გამოიწვიოს. სლავური მოსახლეობის ჩასახლების გამო რუმინულმა კავშირი განყვიტა ლათინურ მასასთან. სხვათა შორის, მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ ასრულებს თუ არა გამიჯვნა რაიმე როლს ენათა ისტორიაში და მოსდევს თუ არა მას ისეთი შედეგები, ერთიან ტერიტორიაზე გავრცელების შემთხვევაში რომ გვხვდება.

ზემოთ, დროის ფაქტორის მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილეთ ენა, რომელიც პარალელურად განვითარდა მცირე ტერიტორიის ორ წერტილში, მაგალითად, ორ პატარა კუნძულზე, სადაც არ იყო ენის თანდათანობითი გავრცელება სივრცეში. მაგრამ, საკმარისია გარკვეული ფართობის მქონე ორ ტერიტორიაზე მოხვდეს, ეს ფაქტორი კვლავ იჩენს თავს და დიალექტურ განსხვავებებს გამოიწვევს. ამრიგად, პრობლემა გამიჯნული ტერიტორიის გამო არანაირად არ მარტივდება. ტერიტორიის გამიჯვნას არ უნდა მივანეროთ ის, რაც მის გარეშეც აიხსნება.

ასეთი შეცდომა დაუშვეს პირველმა ინდოევროპეისტებმა (იხ. გვ. 13). აღმოჩნდნენ რა ძალზე განსხვავებულ ენათა დიდი ოჯახის წინაშე, მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ ასეთი დიფერენციაცია გეოგრაფიული გამიჯვნის გარეშეც შეიძლებოდა მომხდარიყო. გაცილებით მარტივი წარმოსადგენია გამიჯნულ ტერიტორიაზე არსებული განსხვავებული ენები, რაც ზედაპირული დამკვირვებლისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობაა დიფერენციაციის ასახსნელად. გარდა ამისა, ენის ცნებას ეროვნების ცნებას უკავშირებდნენ, ერთის საშუალებით ხსნიდნენ მეორეს. სლავებს,

გერმანელებს, კელტებს და ა.შ. წარმოიდგენდნენ როგორც ერთი სკიფის გამოსული ფუტკრების ოჯახს. თითქოს პირველადი ფენისგან მიგრაციით მოწყვეტილ ამ მოსახლეობას თან უნდა წაეღო საერთო ინდოევროპული ენა ამდენ განსხვავებულ ტერიტორიაზე.

ამ შეცდომის მიხედვრას დიდი დრო დასჭირდა. 18726. ი. შმიდტის ნაშრომმა Die Verwandtschaftsverhältnisse der Indogermanen თვალი აუხილა ენათმეცნიერებს და სათავე დაუდო უწყვეტობის, ანუ ტალღების თეორიას (Wellentheorie). ცხადი გახდა, რომ ინდოევროპულ ენებს შორის მიმართების ასახსნელად საკმარისია დაუშვათ მათი დიფერენციაცია ადგილზე და რომ ამისთვის საჭირო არაა ერების გადაადგილება სხვადასხვა მიმართულებით. დიალექტურ განსხვავებებს შეეძლოთ და უნდა განვითარებულიყვნენ კიდევ ერების სხვადასხვა მხარეში დასახლებამდე. ამრიგად, ტალღების თეორიას არა მხოლოდ მიყვავართ უფრო სარწმუნო თვალსაზრისამდე ინდოევროპული წინარეისტორიის შესახებ, არამედ ენობრივი დიფერენციაციის ყველა მოვლენის ძირითად კანონებსა და ენათა ნათესაობის განმსაზღვრელ პირობებსაც გვაჩვენებს.

ტალღების თეორია მიგრაციის თეორიას უპირისპირდება, მაგრამ არ გამოიციხავს მას. ინდოევროპული ენების ისტორია უამრავ მაგალითს გვანდის იმისა, რომ ხალხი გადაადგილების გამო დიდ ოჯახს მოწყვეტია და ამას სათანადო შედეგები მოჰყოლია ენისათვის. ოღონდ, ეს შედეგები ერწყმიან შემოზღუდულ ტერიტორიაზე მოქმედ ფაქტორთაგან გამომდინარე შედეგებს და ძნელი დასადგენია რაში მდგომარეობს მათი არსი. ამრიგად, ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ერთი ენის ევოლუციის პრობლემას გამიჯნულ ტერიტორიაზე.

ავიღოთ ძველი ინგლისური ენა. მიგრაციის გამო იგი გერმანიკულ ძირს გამოეყო. V ს-ში საქსონელები კონტინენტზე რომ დარჩენილიყვნენ, შესაძლოა მას დღევანდელი სახე არც ჰქონოდა. რა გამოიწვია გამიჯვნამ? ამაზე რომ ვიმსჯელოთ, ჯერ უნდა დავადგინოთ, შეიძლებოდა თუ არა ესა თუ ის ცვლილება გეოგრაფიულად ერთიან არეში წარმოქმნილიყო. დაუშვათ, ინგლისელებს ბრიტანეთის ნაცვლად იუტლანდია დაეპყროთ. ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აბსოლუტური გათიშვის არც ერთი ფაქტი არ გვექნებოდა, ტერიტორიული მთლიანობა დაცული რომ ყოფილიყო? იმის თქმა, რომ გამიჯვნით ინგლისურმა ენამ შეინარჩუნა ბგერა *þ*, რომელიც მთელს კონტინენტზე *d*-ში გადავიდა (მაგ. ინგლ. thing და გერმ. Ding „ნივთი“), იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ კონტინენტზე გერმანიკულ ენებში ეს მოვლენა გეოგრაფიული მთლიანობის მიუხედავად, იგი შეიძლება არ მომხდარიყო. ტერიტორიული მთლიანობის მიუხედავად, შეცდომა იზოლირებული დიალექტის გეოგრაფიულად დაკავშირებულ დიალექტებთან დაპირისპირებაშია. ამავე დროს, დამტკიცებულ არაა, ინგლისელები იუტლანდიაში რომ დამკვიდრებულიყვნენ „დასწეულდებოდნენ“ თუ არა *d*-ს წარმოთქმით. როგორც დაკინაზეთ, ფრანგულენოვან გარემოში *k(+a)* შენარჩუნებულია მხოლოდ პიკარდიისა და ნორმანდიის გადაკვეთაზე, სხვაგან კი ყველგან შიშინა *ç*-ში

(ch) გადავიდა. ამრიგად, იზოლაციით ახსნა არასაკმარისი და ზედაპირულია. ის, რასაც იზოლირება გააკეთებდა, გეოგრაფიული მთლიანობა აკეთებს. ჩვენთვის გაუგებარია არსებობს თუ არა ამ მოვლენებს შორის განსხვავება.

მიუხედავად ამისა, თუ ორ ენას მონათესავედ მივიჩნევთ არა მათი განსხვავების უარყოფით, არამედ ერთიანობის დადებით ასპექტში, დავადგენთ, რომ იზოლაციის შემთხვევაში ყველა შესაძლო მიმართება პოტენციურად წყდება ამ ენების გაყოფისთანავე; და პირიქით, გეოგრაფიული მთლიანობისას მკვეთრად განსხვავებული დიალექტებიც კი ინარჩუნებენ ერთიანობას, თუკი შუალედური დიალექტებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ამრიგად, ენათა ნათესაობის ხარისხის დასადგენად მკაცრად უნდა განვასხვავოთ ტერიტორიული მთლიანობა და იზოლაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორივე ენა მკვეთრად ინარჩუნებს თავისი წარსულის გარკვეულ ნიშნებს, რომლებიც მათ ნათესაობას მონიშნობენ. მაგრამ, რადგან თითოეული მათგანი დამოუკიდებლად ვითარდებოდა, ერთ-ერთ მათგანში წარმოშობილი ახალი თვისებები მეორე ენაში არ შეგვხვდება (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზოგი, გაყოფის შემდეგ წარმოქმნილი მოვლენა შემთხვევით ერთგვაროვანი აღმოჩნდება ორივე ენაში). ყოველ შემთხვევაში, გამოირიცხულია ამ თვისებათა გადაცემა „ინფიცირების“ გზით. ზოგადად რომ ვთქვათ, გაყოფის პირობებში განვითარებულ ენას მონათესავე ენებისაგან განსხვავებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების რიგი გააჩნია. როცა ეს ენა, თავის მხრივ კიდევ დაიყოფა, მისგან წარმოქმნილი დიალექტების საერთო ნიშნებს ექნებათ უფრო მჭიდრო ნათესაური კავშირი, რომელიც მათ დააკავშირებს ერთმანეთთან, მაგრამ არა სხვა ტერიტორიის დიალექტებთან. ისინი მართლაც, შექმნიან საერთო სხეულისგან მოწყვეტილ განშტოებას.

სულ სხვა მიმართებები შეინიშნება ერთიანი ტერიტორიის ენებში. აუცილებელი არაა მათში შემჩნეული საერთო ნიშნები მათ განმასხვავებელ ნიშნებზე ძველი იყოს. მართლაც, ყოველთვის შესაძლებელია, რომ ინოვაცია რომელსამე გარკვეულ წერტილში წარმოიშვას და შემდეგ მთელს ტერიტორიას მოედოს. გარდა ამისა, რადგან ინოვაციის არეები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული სიდიდისაა, ორ მომიჯნავე ენას შეიძლება საერთო თვისებებიც გააჩნდეს, თუმცა ცალკე ჯგუფი არ შექმნან. თითოეული მათგანი სხვა ნიშნებით შეიძლება დაუკავშირდეს მომიჯნავე ენებს, როგორც ეს ინდოევროპული ენების მაგალითზე დავინახეთ.

ნანილი V

რეტროსპექტული ლინგვისტიკის საკითხები დასკვნები

თავი I

ლიაქრონიული ენათმეცნიერების ორი პერსპექტივა

მაშინ, როდესაც სინქრონიული ლინგვისტიკისთვის არსებობს მხოლოდ ერთი, მოლაპარაკე ინდივიდთა პერსპექტივა და აქედან გამომდინარე — ერთადერთი მეთოდი, ლიაქრონიული ლინგვისტიკა გულისხმობს პროსპექტულ პერსპექტივასაც, რომელიც დროს მიჰყვება და რეტროსპექტულსაც, რომელიც დროის საწინააღმდეგოდაა მიმართული (იხ. გვ. 96).

პირველი მათგანი შეესაბამება მოვლენათა ქეშმარიტ მსვლელობას. სწორედ მას იყენებენ ისტორიული ლინგვისტიკის ნებისმიერი თავის დასაწერად, ენის ისტორიის ნებისმიერი წერტილის გასაშუქებლად. მეთოდი ხელთ არსებული დოკუმენტების შემონახვაში მდგომარეობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ლიაქრონიული ლინგვისტიკის გამოყენების ეს ხერხი არასაკმარისი ან გამოუსადეგარია.

ენის ისტორიის ყველა დეტალი დროში თანმიმდევრულად რომ დავაფიქსიროთ, ენის არსებობის სხვადასხვა მომენტში დაფიქსირებული მრავალი სურათი დაგვჭირდება. ეს შეუსრულებადი პირობაა. მაგალითად, რომანისტებს, რომლებსაც პრივილეგია გააჩნიათ, რადგან ფლობენ თავიანთი კვლევის სანყის წერტილს — ლათინურ ენას, ხელთა აქვთ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი დოკუმენტების დიდი რაოდენობა და მაინც დოკუმენტების უკმარისობას ჩივიან. ასეთ შემთხვევაში უარი უნდა ვთქვათ პროსპექტულ მეთოდზე, უშუალო დოკუმენტებზე და გავყვეთ დროის მსვლელობის საწინააღმდეგო მიმართულებას — რეტროსპექტულ მეთოდს. ამ შემთხვევაში, მოცემული ეპოქიდან ვეძებთ არა იმას, თუ სადამდე მიგვიყვანა მისთვის დამახასიათებელმა ამა თუ იმ ფორმამ, არამედ, რომელმა უფრო ძველმა ფორმამ განაპირობა მოცემული ფორმის წარმოშობა.

თუ პროსპექტული მეთოდი უბრალო თხრობასა და დოკუმენტთა კრიტიკაში მდგომარეობს, რეტროსპექტული საჭიროებს რეკონსტრუქციის მეთოდს, რომელიც შედარებას ეყრდნობა. შეუძლებელია დავადგინოთ ერთი იზოლირებული ნიშნის პირველადი ფორმა, მაშინ, როდესაც ორი განსხვავებული, მაგრამ საერთო წარმოშობის ნიშანი, როგორცაა, მაგ. ლათინური pater, სანსკრიტის pitar- („მამა“), ანდა ლათინური ძირი ger-მ („ვატარებ“) და

მისი ნამყოს მიმღეობა ges-tus, შედარების საფუძველზე გვაძლევს დიაქრონიულ ერთიანობას, რომელიც თითოეულ მათგანს აკავშირებს იმ პროტოტიპთან, რომლის აღდგენაც შესაძლებელია ინდუქციის მეთოდით. რაც მეტი შესაძარბელი მასალა გვექნება, მით უფრო ზუსტი იქნება ინდუქცია და საკმარისი რაოდენობის მონაცემების ფლობა კი ჭეშმარიტ რეკონსტრუქციამდე გვიყვანს.

იგივე ითქმის ტანზეც. ცალკე აღებული, ბასკური ენა არავითარ შედარებას არ დაექვემდებარება და ვერაფერს მოგვცემს. მაგრამ, ისეთ მონათესავე ენათა ჯგუფში, როგორებიცაა ბერძნული, ლათინური, ძვ. სლავური და ა.შ. შედარების საფუძველზე გამოიკვეთა მათში შემავალი პირველადი საერთო ელემენტები და აღდგენილ იქნა ინდოევროპულ ენათა ზოგადი სურათი მის სივრცეში დანაწილებამდე. ის, რაც ამ ენათა ოჯახისათვის გაკეთდა, უფრო მცირე პროპორციებითა და იმავე მეთოდის გამოყენებით გაიმეორეს მისი ყოველი ნაწილისათვის, ყველგან, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელი იყო. თუ მაგალითად, მრავალი გერმანიკული ენა უშუალოდ დოკუმენტებითა და მონემებული, ამ ენების ამოსავალი საერთო გერმანიკული ჩვენთვის არა უშუალოდ, რეტროსპექტული მეთოდითაა ცნობილი. ამ მეთოდის გამოყენებით ენათმეცნიერებმა სხვადასხვაგვარი წარმატებით შესძლეს სხვა ენათა ოჯახების პირველადი, საერთო ენის მიკვლევა (გვ. 198).

რეტროსპექტულ მეთოდს უძველესი დოკუმენტების საშუალებით ენის წარსულში შევყავართ. ლათინურის პროსპექტული ისტორია მხოლოდ ძვ. წ. III-IV სს იწყება. ინდოევროპულის აღდგენამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა აზრი იმის შესახებ, თუ რა უნდა მომხდარიყო იმ პერიოდში, რომელიც ერთიან ენასა და ჩვენთვის ცნობილ პირველ ლათინურ დოკუმენტებს შორისაა მოთავსებული. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი განვითარების პროსპექტული სურათის შექმნა.

ამ თვალსაზრისით, ევოლუციური ლინგვისტიკა შეიძლება შევადაროთ გეოლოგიას, რომელიც ასევე ისტორიული მეცნიერებაა. იგი აღწერს სტაბილურ მდგომარეობას (მაგ. ლემანის აუზის დღევანდელ მდგომარეობას) წინამავალი მოვლენების აბსტრაქციების საფუძველზე. ძირითადად შეისწავლის მოვლენებს, ტრანსფორმაციებს, რომელთა თანმიმდევრობაც დიაქრონიულ რიგებს ქმნის. თუმცა თეორიულად პროსპექტული გეოლოგიაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ რეალურად და ძირითად შემთხვევებში, მისი თვალსაზრისი რეტროსპექტულია. იმის მოთხრობამდე, რა მოხდა დედამიწის გარკვეულ წერტილში, იძულებულნი არიან აღადგინონ მოვლენათა ჯაჭვი და დაადგინონ, რამ მიიყვანა ეს ადგილი თანამედროვე მდგომარეობამდე.

არა მხოლოდ ამ ორი პერსპექტივის მეთოდები განსხვავდება ერთმანეთისგან. წმინდა დიაქტიკური თვალსაზრისით, ერთსა და იმავე ნაშრომში მათი ერთდროული გამოყენება არასასურველია; ფონეტიკური ცვლილებების შესწავლა, გამოყენებული მეთოდის შესაბამისად, ორ განსხვავებულ სურათს იძლევა. მაგალითად, პროსპექტული მეთოდის

გამოყენებით შევეცადეთ გავგეგოთ რა მოუვიდა ფრანგულში კლასიკური ლათინურის წ-ს. როგორც დავინახეთ, ამ ერთადერთმა ბგერამ ევოლუციის სხვადასხვა გზა განვლო და რამდენიმე ფონემა წარმოშვა. მაგ. pĕdem („ფეხი“) → pyc (pied „ფეხი“), vĕntum („ქარი“ ბრალდ. ბრ.) → vā (vent „ქარი“), lĕctum („საწოლი“ ბრალდ. ბრ.) → li (lit „საწოლი“), nĕcāre („კვლა“) → nwaye (noyer „დახრჩობა“) და ა.შ. თუ რეტროსპექტული მეთოდით შევისწავლით რას წარმოადგენს ლათინურში ფრანგული ლიად, აღმოჩნდება, რომ ეს ბგერა რამდენიმე, თავდაპირველად განსხვავებული ბგერის საბოლოო წერტილია: მაგ. tĕr (terre) = tĕrram („მიწა“), vĕrĕ (verge) = vĕrgam („წიწკალი“ ბრალდ. ბრ.), fĕ (fait „ფაქტი“) = factum („საქმე“ ბრალდ. ბრ.) და ა.შ. მანარმოებელ ელემენტთა ევოლუცია შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო ამ ორი მეთოდით და მიღებული სურათებიც განსხვავებული იქნებოდა. ეს აპრიორულად აშკარაა, ანალოგიურ წარმონაქმნთა შესახებ ზემოთ ნათქვამიდან (გვ. 177). თუ რეტროსპექტულად შევისწავლით ფრანგული ენის -ĕ-ზე დამთავრებული მიმღეობის მანარმოებელი სუფიქსის წარმოშობას, ლათინურ -ātum-მდე მივალთ. მისი წარმოშობა უკავშირდება ლათინური სახელიდან ნანარმოებ -are-ზე დამთავრებულ ზმნებს, რომლებიც ძირითადად -a-ზე დაბლოებული მდებარეობით სქესის არსებითი სახელებიდან (მაგ. plantāre „დარგვა“: planta „მცენარე“, ბერძნ. tĕmāō „დაფასება“: tĕmā „პატივი“ და ა.შ.) მომდინარეობენ; მეორე მხრივ, -ātum არ იარსებებდა, ინდოევროპული სუფიქსი -to- ცოცხალი და პროდუქტული რომ არ ყოფილიყო (მაგ. ბერძნ. klu-tō-s, ლათ. in-clu-tu-s, სანსკრიტის cru-ta-s „ცნობილი“ და ა.შ.) -ātum ბრალდებითი ბრუნვის მხ. რ-ის მანარმოებელ -m-საც შეიცავს (იხ. გვ. 160). თუ პირიქით (პროსპექტულად) დავინტერესდებით რომელ ფრანგულ წარმოებულში ვხვდებით პირველად სუფიქსს -to-, შეიძლება დავასახელოთ არა მხოლოდ ნამყოს მიმღეობის სხვადასხვა პროდუქტული თუ არაპროდუქტული სუფიქსები (aimĕ = ლათ. amātum (ნათ. ბრ. amātus „საყვარელი“), ფრანგ. fini = ლათ. finitum (finitus „დასრულებული“ ბრალდ. ბრ.), ფრანგ. clos = ლათ. clausum (clausus „დაკეტილი“ ბრალდ. ბრ. ნაცვლად *claudtum-სა), არამედ მრავალი სხვა ისეთი შემთხვევაც, როგორიცაა მაგალითად, ფრანგ. -u = ლათ. -ūtum (ფრანგ. cornu = ლათ. cornūtum, cornūtus „რქიანი“ ბრალდ. ბრ.), ფრანგული მნივობრული სუფიქსი -tif = ლათ. -tīvum (ფრანგ. fugitif = ლათ. fugitīvum, fugitīvūs-ის „სწრაფი“ ბრალდ. ბრ.) sensitif („მგრძობიარე“), negatif („უარყოფითი“) და ა.შ. მრავალი, დღეისათვის ძნელად გასაანალიზებელი სიტყვა, როგორიცაა ფრანგ. point („წერტილი“) = ლათ. punctum (punctus „გახვრეტილი“ ბრალდ. ბრ.), ფრანგ. dé („კამათელი“) = ლათ. datum (datus „მივცემული“ ბრალდ. ბრ.), ფრანგ. chétif („ცუდი“) = ლათ. captivum (captivus „ტყვე“ ბრალდ. ბრ.) და ა.შ.

ადრეული ენა და ფუძეენა

პირველმა ინდოევროპეისტიებმა ვერც შედარების ჭეშმარიტი მიზანი გაიგეს და ვერც რეკონსტრუქციის მეთოდის მნიშვნელობა (გვ. 15). ამით აიხსნება მათი ერთ-ერთი ყველაზე საოცარი შეცდომა: გაზვიადებული და თითქმის განსაკუთრებული როლის მინიჭება სანსკრიტისათვის შედარების პროცესში. რადგან იგი უძველესი ინდოევროპული დოკუმენტია, პროტოტიპადაც აღიარეს. სხვა საქმეა ინდოევროპულის ფუძეენის მიჩნევა სანსკრიტის, ბერძნულის, სლავურის, კელტურის, იტალიურის საფუძვლად და სულ სხვა რამაა რომელიმე ამ ენის მოთავსება ინდოევროპულის ადგილას. ამ უხეშ შეცდომას სხვადასხვაგვარი მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ალბათ ეს პიპოთეზა ასე კატეგორიულად ჯერ არავის გამოუთქვამს, მაგრამ პრაქტიკაში იგი დაშვებული იყო. უშვებდა რა, თუნდაც პრობლემატური შესაძლებლობის ვარაუდს, ბოპს „არ სჯეროდა, რომ სანსკრიტი ენათა საერთო წყაროს წარმოადგენდა“.

ეს ნამოჭრის საკითხს — რას ნიშნავს, რომ ერთი ენა მეორეზე ძველი ან ადრეულია? თეორიულად ამ საკითხის სამი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი:

1. შეიძლება ვიფიქროთ პირველსაწყისზე, ენის ამოსავალ წერტილზე, მაგრამ სულ უბრალო დაფიქრებაც გვაჩვენებს, რომ არ არსებობს ენა, რომლის ასაკის განსაზღვრასაც შევძლებდით. ნებისმიერი ენა წარმოადგენს იმ ენათა გაგრძელებას, რომელზედაც მის წარმოშობამდე ლაპარაკობდნენ. ამ მხრივ, ენათა განვითარება განსხვავდება კაცობრიობის განვითარებისგან. ენათა განვითარების სრული უწყვეტობა ხელს უშლის მასში თაობათა გამოყოფას და გასტონ პარისმაც სამართლიანად გაილაშქრა „დედა-ენებისა“ და „შვილი-ენების“ კონცეფციის წინააღმდეგ, რადგან ასეთი ვარაუდი წყვეტას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი ენა მეორეზე ძველია.

2. შეიძლება დავუშვათ, რომ ენის ერთი მდგომარეობა დამონმებულია უფრო ადრეულ ხანაში, ვიდრე მეორე მდგომარეობა. ამგვარად, აქემენიდურ წარწერათა სპარსული უფრო ძველია, ვიდრე ფირდოუსის სპარსული. რამდენადაც საქმე ეხება ორ ენას, რომელთაგან ერთი ნამდვილად მეორედანაა გამოსული, და ორივე მათგანი კარგადაა ცნობილი, თავისთავად ცხადია, რომელი მათგანი იქნება უფრო ძველი. თუ ეს ორი პირობა შესრულებული არაა, ამ სიძველეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგ. ლიტვური, რომელიც დამონმებულია მხოლოდ 1540 წლიდან ამ თვალსაზრისით არანაკლებ ძვირფასია, ვიდრე X ს-დან დამონმებული პალეოსლავური თუ რიგვედას სანსკრიტი.

3. სიტყვა „ძველი“ შეიძლება აღნიშნავდეს ენის უფრო ძველ მდგომარეობას, ანუ მდგომარეობას, რომლის ფორმებიც ყოველგვარი დათარიღების გარეშეც უფრო ახლოსაა პირველად მოდელთან. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ XVI ს-ის ლიტვური ენა უფრო ძველია, ვიდრე III ს-ის ლათინური.

თუ სანსკრიტს უფრო ძველად ჩავთვლით, ვიდრე სხვა ენებს, ეს მხოლოდ მეორე ან მესამე მნიშვნელობით შეიძლება, ან ორივე მნიშვნელობით ერთად. ერთი მხრივ, ვედური ჰიმნები უფრო ძველია, ვიდრე უძველესი ბერძნული ტექსტები, მეორე მხრივ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასში შემონახულ არქაულ ნიშანთა ჯამი მნიშვნელოვანია იმასთან შედარებით, რაც სხვა ენებმა შემოინახეს (გვ. 14).


ენათმეცნიერები მოგვიანებით გათავისუფლდნენ სიძველის შესახებ იმ საკმაოდ ბუნდოვანი შეხედულებებისაგან, რომლებიც სანსკრიტს მთელი ინდოევროპული ოჯახის ენებზე უფრო ძველად წარმოგვიდგენს. ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სანსკრიტს, როგორც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ფუძეენის ერთ-ერთ განშტოებას.

თავის ნაშრომში Origines Indoeuropéennes (გვ. 276) თუმცა ად. პიკტე აშკარად აღიარებს საკუთარ ენაზე მოლაპარაკე პირველყოფილი ინდოევროპელი ხალხის არსებობას, თვლის, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა შევისწავლოთ სანსკრიტის მონაცემები, რომლებიც გაცილებით ღირებულია, ვიდრე ინდოევროპული ენა თავის მთლიანობაში. ამ შეცდომამ წლების მანძილზე ჩრდილში დააყენა უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა მაგ. პირველადი ვოკალიზმის საკითხი.

ეს შეცდომა ხშირად მეორედებოდა. ინდოევროპული ენის განშტოებათა შესწავლისას ცნობილ უძველეს ენას ადეკვატურად და მთელი ჯგუფის საკმარის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ და არ ცდილობდნენ უფრო ზუსტად გამოეყვინათ მოცემული შტოს პროტოტიპის პირველადი მდგომარეობა. ასე მაგ., იმის ნაცვლად, რომ გერმანიკულ ენაზე ელაპარაკნათ, უბრალოდ, გოთურს ასახელებდნენ, რადგან იგი სხვა გერმანიკულ დიალექტებზე რამდენიმე საუკუნით ძველია. ამრიგად, იგი ისაკუთრებდა ყველა სხვა ენის წყაროს, პროტოტიპის მდგომარეობას. სლავურ ენებთან დაკავშირებით დიდხანს ემყარებოდნენ X ს-დან ცნობილ ძველ სლავურს, რადგან სხვა სლავური ენები უფრო გვიანდელი ეპოქიდანაა ცნობილი.

მართლაც, ძალზე იშვიათია შემთხვევა, რომ სხვადასხვა დროს წერილობით დამონმებული ენის ორი ფორმა ასახავდეს ერთსა და იმავე ენას მისი ისტორიის ორ მომენტში. ძირითადად, საქმე გვაქვს ორ დიალექტთან, რომლებიც ლინგვისტურად ერთმანეთის გაგრძელებას არ წარმოადგენენ. გამოწვევის შემთხვევები ამ წესის დადასტურებაა. ლათინურთან შეპირისპირებით ყველაზე ცნობილია რომანული ენები: ფრანგულიდან ლათინურისკენ თუ გადავინაცვლებთ, მაშინ ჩვენი მოძრაობა ვერტიკალურ ხაზზე იქნება წარმოდგენილი; ამ ენების ტერიტორია იგივე აღმოჩნდება, სადაც ლათინურად ლაპარაკობდნენ და თითოეული მათგანი განვითარებული ლათინურია. როგორც დავინახეთ, დარიუსის წარწერების სპარსული იგივე

ენაა, რაც შუა საუკუნეების სპარსული. გაცილებით ხშირია საპირისპირო შემთხვევები: როცა სხვადასხვა ეპოქის დამონმებები ერთი და იმავე ოჯახის სხვადასხვა ენებს ეკუთვნის. ამრიგად, გერმანიკული ენები თანმიმდევრულად გვხვდება ულფილას გოთურში, რომელიც აღარ გაგრძელებულა. შემდეგ, ძველ, ზემოგერმანულენოვან ტექსტებში, შემდეგ კი, ანგლოსაქსურ, ძველ სკანდინავურ და ა.შ. ენების ძეგლებში. ბევრი ამ ენათაგანი თუ ენათა ოჯახი არ წარმოადგენს ადრე დამონმებული ენის გაგრძელებას. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით, სადაც ასოები აღნიშნავენ ენებს, წყვეტილი ხაზები კი თანმიმდევრულ ეპოქებს:



ენტმეცნიერებისთვის ეს მხოლოდ სასიხარულო ფაქტია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ჩვენთვის ცნობილი პირველი (A) ენა უკვე მოიცავდა ყოველივეს, რაც შეიძლებოდა ენის შემდგომი მდგომარეობის ანალიზით მიგვეღო. სინამდვილეში კი, რეალურად წარმოდგენილ (A, B, C, D და ა.შ.) ენათა გადაკვეთის წერტილის ძებნაში მივაგნებთ A-ზე უფრო ძველ ფორმას, კერძოდ, პროტოტიპ X-ს და მაშინ A-სა და X-ის აღრევა შეუძლებელი იქნება.

თავი III

რეკონსტრუქციები

§1. რეკონსტრუქციის ხასიათი და მიზანი

თუ რეკონსტრუქცია მხოლოდ შედარების საფუძველზე ხდება, შედარების ერთადერთი მიზანი რეკონსტრუქციაა. თუ არ გვინდა, რომ ჩვენს მიერ რამდენიმე ფორმას შორის დადგინილი შესაბამისობა უშედეგოდ დარჩეს, იგი დროის პერსპექტივაში უნდა მოვათავსოთ და აღვადგინოთ მისი ამოსავალი ფორმა (გვ. 15, 205). ამრიგად, ლათინური *medius*-ის და ბერძნული *mésos*-ის („საშუალო“) შედარებისას საჭირო გახდა ინდოევროპული მდგომარეობის გამოუყენებლად დაგვედგინა უფრო ძველი სიტყვა **methyos* რომელიც შეიძლება ისტორიულად *medius*-საც და *mésos*-საც უკავშირდებოდეს. თუ განსხვავებული ენების ორ სიტყვას კი არ შევადარებთ, არამედ ერთი და იმავე ენიდან აღებულ ორ ფორმას შევუპირისპირებთ ერთმანეთს, იმავე შედეგს მივიღებთ: მაგ. ლათ. *gerō* („ვატარებ“) და *gestus* (*gerō*-ს ნამყ. მიმღ.) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამ ორი ფორმისთვის ოდესღაც საერთო ძირი **ges-*.

სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ შედარება, რომელიც ეხება ფონეტიკურ ცვლილებებს, მუდამ უნდა მიმართავდეს მორფოლოგიურ თვალსაზრისს. როცა განვიხილეთ ლათ. *patior* („ვითმენ“) და *passus* („მომთმენი“) გამოვიყენეთ *factus, dictus* და ა.შ. ფორმები, რადგან *passus* იმავე ტიპის წარმოებულია. *faciō* („ვაკეთებ“) და *factus* („ვაკეთებული“), *dīcō* („ვამბობ“) და *dictus* („ნათქვამი“) და ა.შ. მორფოლოგიურ მიმართებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ იგივე მიმართება უფრო ადრეულ ეპოქაში, *patior* და **pat-tus*-ს შორის. თავის მხრივ, თუ შედარება მორფოლოგიურია, ჩვენ იგი ფონეტიკის დახმარებით უნდა გავაშუქოთ. ლათ. *meliorē* (*melior* „უკეთესი“ ბრალდ. ბრ.) შეიძლება შევადაროთ ბერძნ. *hēdīōn*-ს („უფრო სასიამოვნო“ ბრალდ. ბრ.), რადგან ფონეტიკურად ერთი მომდინარეობს **meliose*m, **meliosm*-დან და მეორე - **hādīōa*, **hādīōsm* ფორმებიდან.

ლინგვისტური შედარება მექანიკური ოპერაცია არაა. იგი მოითხოვს ყველა იმ მონაცემის შეპირისპირებას, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ განმარტებას. მან უნდა მიგვიყვანოს გარკვეული ფორმულით გამოხატულ ვარაუდამდე, რომლის მიზანიც რაღაც, ადრე არსებულის აღდგენაა. შედარებას მუდამ მივყავართ ფორმათა რეკონსტრუქციამდე.

საჭიროა თუ არა უფრო ადრეული მდგომარეობის სრული და კონკრეტული ფორმების რეტროსპექტული შესწავლა? თუ პირიქით, იგი სიტყვათა

რომელთა რაოდენობაც ზუსტადაა განსაზღვრული (გვ. 44). ინდოევროპულში სისტემის ყველა ელემენტი დამონმებულია რეკონსტრუქციით დადგენილ თორმეტიოდე ფორმაში მაინც. ზოგჯერ მათმა რაოდენობამ რამდენიმე ათასსაც შეიძლება მიაღწიოს, ე.ი. შეიძლება დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ სისტემის ყველა ელემენტს ვიცნობთ.

და ბოლოს, იმისათვის რომ შევიმეცნოთ ენის ბგერითი ერთეულები, აუცილებელი არაა დავახასიათოთ მათი დადებითი თვისებები. საკმარისია, განვიხილოთ ისინი როგორც დიფერენციალური სიდიდეები, რომელთა არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთმანეთში არ უნდა აირიონ (გვ. 125). ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღსადგენი ენის ბგერითი ელემენტები შეიძლებოდა რიცხვებით ან რაიმე სხვა პირობითი ნიშნებით აღგვენიშნა. სიტყვაში **ḱw̥s* აზრი არა აქვს ბგერა *ḱ*-ს აბსოლუტური თვისების განსაზღვრას და იმის დადგენას, ღია იყო იგი თუ დახურული, უფრო წინ წარმოითქმებოდა თუ არა და ა.შ. რადგან დადგენილი არაა *ḱ*-ს სხვადასხვა სახეობის არსებობა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია არ აირიოს იგი ენაში არსებულ სხვა განსხვავებულ ელემენტებში (*ḱ*, *ḥ*, *ḱ* და ა.შ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, *ḱw̥s*-ის პირველი ფონემა არ განსხვავდება **m̥dhy̯s*-ის მეორე და **ǵḥ*-ს მესამე ფონემისაგან და ა.შ. შესაძლებელი იყო მისი ბუნების დაუდგენლად კატალოგიზაცია და გარკვეული ნომრით წარმოდგენა ინდოევროპულ ფონემათა ცხრილში. ამიტომ, *ḱw̥s*-ის რეკონსტრუქცია იმას ნიშნავს, რომ ლათინური *equas*-ის, სანსკრიტის *acvas*-ის და ა.შ. ინდოევროპული შესატყვისი შედგებოდა ხუთი განსხვავებული ფონემისგან, რომლებიც ალებული იყო წინარეენის ფონოლოგიური გამიდან.

ჩვენს მიერ შემოსაზღვრულ ჩარჩოებში რეკონსტრუქციები მთელ თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

თავი IV

ენის დამოწმება ანთროპოლოგიასა და წინარეისტორიაში

§1. ენა და რასა

ენათმეცნიერებას რეტროსპექტული მეთოდის საშუალებით შეუძლია ჩაჰყვეს საუკუნეებს და აღადგინოს ენები, რომლებზედაც ზოგი ხალხი ისტორიის არენაზე გამოსვლამდე ლაპარაკობდა. მაგრამ, ეს რეკონსტრუქციები ხომ არაფერს გვამცნობენ თვით ამ ხალხზე, მათ რასასა და წარმოშობაზე, სოციალურ განვითარებაზე, ადათებზე, ინსტიტუტებსა და ა.შ.? ერთის სიტყვით, ჰფენს თუ არა ენა შუქს ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიასა და წინარეისტორიას? ძირითადად ფიქრობენ, რომ ჰფენს. ჩვენი აზრით, ამაში ილუზიის დიდი წილია. მოკლედ განვიხილოთ ამ ზოგადი პრობლემის რამდენიმე ასპექტი.

ჯერ განვიხილოთ რასა: მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საერთო ენა სისხლით ნათესაობას ამტკიცებს, რომ ენათა ერთი ოჯახი ერთ ანთროპოლოგიურ ჯგუფშია გავრცელებული. სინამდვილეში ეს არც თუ ისე მარტივია. მაგალითად, არსებობს გერმანიკული რასა, რომლის ანთროპოლოგიური ნიშნებიც აშკარაა: ქერა თმა, მოგრძო თავის ქალა, მაღალი ტანი და ა.შ. სკანდინავიური ტიპი ამ რასის საუკეთესო ნიმუშია. გერმანიკულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა ამ ნიშნებს არ ექვემდებარებოდა. მაგ. ალემანები, რომლებიც ალპების ძირას ცხოვრობდნენ სკანდინავიელებისგან განსხვავებულ ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენდნენ. ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ენა ერთი რასის საკუთრებაა და თუ ამ ენაზე სხვა ხალხი ლაპარაკობდა იგი მათთვის დაპყრობით თავსმოხვეული იყო? ხშირად ვხვდებით ერებს, რომლებიც ითვისებენ ან იძულებულნი არიან შეითვისონ დამპყრობელთა ენები, როგორც ეს დაემართა გალებს რომაელთა გამარჯვების შემდეგ. მაგრამ, ამით ყველაფერი როდი აიხსნება: გერმანიკელების შემთხვევაში, კიდევაც რომ დავეუშვათ მათ მიერ ამდენი სხვადასხვა ხალხის დამორჩილება, შეუძლებელია მათ ყველა ისინი შთაენთქათ. ამას ხანგრძლივი პრეისტორიული ბატონობა და სხვა, ჯერ კიდევ დაუდგენელი გარემოებანი დასჭირდებოდა.

ამრიგად, სისხლით ნათესაობასა და საერთო ენას შორის კავშირი აუცილებელი არაა და შეუძლებელია ერთი მათგანიდან მეორის გამოყვანა. ამის შედეგად, ხშირად, როცა ანთროპოლოგიური და ენობრივი დამონმებები ერთმანეთს არ თანხვდება, აუცილებელი არაა მათი შეპირისპირება ან მათ შორის არჩევანის გაკეთება. თითოეულ მათგანს შეუძლია შეინარჩუნოს საკუთარი ღირებულება.

§2. ეთნიკურობა

რას გვამცნობს ენის დამონმება? რასობრივი ერთიანობა თავისთავად შეიძლება იყოს მხოლოდ მეორადი ფაქტორი და სულაც არაა საჭირო ენობრივი სიახლოვისთვის. მაგრამ, არსებობს სხვა ერთობლიობა, გაცილებით მნიშვნელოვანი და ერთადერთი ძირითადი, რომელიც სოციალური კავშირისგან შედგება. ჩვენ მას ეთნიკურობას ვუნოდებთ. აქ იგულისხმება ერთობლიობა, რომელიც ემყარება სხვადასხვა მიმართებებს — რელიგიას, ცივილიზაციას, საერთო თავდაცვასა და სხვ., რომლებიც შეიძლება დამყარდეს სხვადასხვა რასის ხალხთა შორის ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გარეშე.

სწორედ ეთნიკურობასა და ენას შორის მყარდება გვ. 31-ზე აღნიშნული ურთიერთკავშირი: სოციალური კავშირი ცდილობს შექმნას ენის ერთობლიობა და შესაძლოა ამ საერთო ენას რიგ საკუთარ თვისებებსაც კი ახვევს თავს. და პირიქით, ენის ერთობლიობა გარკვეული ზომით შეადგენს ეთნიკურ ერთობლიობას. ეს საკმარისია ლინგვისტური სიახლოვის ასახსნელად. მაგ. შუა საუკუნეების დამდეგს არსებობდა რომანული ეთნიკური რასა, რომელიც პოლიტიკური კავშირის გარეშე აერთიანებდა სხვადასხვა წარმომავლობის ხალხს. მეორე მხრივ, ეთნიკური ერთიანობის საკითხთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა თვით ენას უნდა მივმართოთ. მისი დამონმება ყველა სხვა დამონმებაზე მნიშვნელოვანია. მაგ. ძველ იტალიაში ლათინელების გვერდით ცხოვრობდნენ ეტრუსკები. თუ მათი საერთო წარმომავლობის დადგენის მიზნით დავინტერესდებით რა ჰქონდათ მათ საერთო, შეიძლება გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც ამ ორ ხალხს დაუტოვებია: ისტორიული ძეგლები, რელიგიური რიტუალები, პოლიტიკური ინსტიტუტები და ა.შ. მაგრამ, ეს გზა ისე სარწმუნო არაა, როგორც უშუალოდ ენობრივი მასალის შედარება. ეტრუსკული ტექსტის ოთხი სტრიქონიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი აბსოლუტურად განსხვავდებოდა ლათინურ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფისაგან.

ამ თვალსაზრისით ენა ისტორიული დოკუმენტია. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ინდოევროპული ენები ერთ ოჯახს ქმნიან, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ რაღაც პირველადი ეთნიკურობის არსებობა, რომლის მეტ-ნაკლებად უშუალო მემკვიდრეებად გვევლინებიან დღეს ამ ენაზე მოლაპარაკე ერები.

§3. ლინგვისტური პალეონტოლოგია

თუ საერთო ენა საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ სოციალური ერთიანობა, ხომ არ გვაძლევს ენა საშუალებას ამ საერთო ეთნიკურობის ბუნებაც დავადგინოთ?

კარგა ხანს ფიქრობდნენ, რომ ენები მათზე მოლაპარაკე ხალხისა და მათი პრეისტორიის უმრეტი წყაროა. ადოლფ პიკტე, კულტოლოგიის ერთ-ერთი პიონერი, განსაკუთრებით ცნობილია თავისი წიგნით „ინდოევროპულ-

თა წარმოშობა“ (1859-1863). ეს ნაშრომი ბევრი სხვა ნაშრომის მოდელია და მაინც ყველაზე საინტერესოა. პიკტეს სურს ინდოევროპულ ენათა დამონმებების საფუძველზე მიაკვლიოს „არიელთა“ ცივილიზაციის ძირითად ნიშნებს და თვლის, რომ მას შეუძლია დაადგინოს განსხვავებული ასპექტები: მატერიალური ყოფა (ხელსაწყო-იარაღები, შინაური ცხოველები), სოციალური ცხოვრება (მომთაბარენი იყვნენ თუ მინათმოქმედნი), ოჯახის ტიპი, მმართველობა; ცდილობს მიაკვლიოს არიელთა აკვანს, რომელსაც ბაქტრიანში ათავსებს. შეისწავლის იქაურ ფლორასა და ფაუნას. ეს ამ მიმართულებით შესრულებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია. აქედან განვითარებულმა მეცნიერებამ ლინგვისტური პალეონტოლოგიის სახელი მიიღო.

შემდგომში ამ მიმართულებით სხვა ცდებიც ჩატარდა. ერთ-ერთი უახლესია ჰარმან ჰირტის *Die Indogermane*, 1905-1907¹, რომელიც შმიდტის თეორიას ემყარება (იხ. გვ. 217) ინდოევროპელთა მიერ დასახლებული ადგილის განსაზღვრის საქმეში. იგი პალეონტოლოგიურ ლინგვისტიკასაც მიმართავს: ფაქტებმა დაანახა, რომ ინდოევროპელები მინათმოქმედები იყვნენ და უარყოფს, რომ მათი სამშობლო შეიძლება ყოფილიყო მომთაბარე ცხოვრებისთვის უფრო ხელსაყრელი სამხრეთი რუსეთი. ხეების, და განსაკუთრებით ზოგი ჯიშის (წაბლი, არყის ხე, ნიფელი, მუხა) სახელების სიხშირე ავტორს აფიქრებინებს, რომ მათი ქვეყანა ტყიანი იყო და ბრანდერბურგისა და ბერლინის რეგიონში, ჰარცსა და ვისტულეს შორის მდებარეობდა. პიკტემდე ადალბერტ კუნმა და სხვ. გამოიყენეს ენათმეცნიერება ინდოევროპული მითოლოგიისა და რელიგიის აღსადგენად.

უფიქრობთ, შეუძლებელია ენას ასეთი ცნობების მოწოდება მოვთხოვოთ და თუ იგი ასეთ ცნობებს ვერ მოგვანვდის, ეს შემდეგი მიზეზებით იქნება განპირობებული:

უპირველეს ყოვლისა, ეტიმოლოგიის უზუსტობა. თანდათანობით ხვდებიან რა იშვიათია სიტყვები, რომელთა წარმომავლობაც საიმედოდ და დედენილი და უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითებს: ერთმანეთს ადარებენ ლათინურ *servus*-ს („მონა“) და *servāre*-ს („დარაჯობა“) — თუმცა, შესაძლოა ამის უფლება არცა აქვთ. შემდეგ, პირველ მათგანს აძლევენ „დარაჯის“ მნიშვნელობას, რათა დაასკვნან რომ თავდაპირველად „მონა“ სახლის დარაჯი იყო. სინამდვილეში იმის მტკიცებაც არ შეიძლება, რომ *servāre*-ს თავდაპირველად „დარაჯის“ მნიშვნელობაც გააჩნდა. ამას გარდა, სიტყვების მნიშვნელობა იცვლება. ხშირად, როცა მოსახლეობა გადაადგილდება, სიტყვა მნიშვნელობას იცვლის. იმასაც კი ვარაუდობენ, რომ თავდაპირველი ცივილიზაცია არ იცნობდა ამ სიტყვით აღნიშნულ ცნებას. ეს მცდარი აზრია. მაგ. „მინის დამუშავების“ აღმნიშვნელი სიტყვა არ გვხვდება აზიის ინდოევროპულ

¹ იხ. Arbois de Jubanville: Les premiers habitants de l'Europe (1877); O. Schrader: Sprachvergleichung und Urgeschichte; Id. Reallexikon der indogermanischen Allertumskunde (ჰირტის ნაშრომზე ცოტა ადრეული ნაშრომი); S. Feist: Europa im Lichte der Vorgeschichte (1910).

ენებში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი საქმიანობა მათთვის უცხო იყო. შესაძლოა მოგვიანებით დავინწყებას მიეცა, ანდა სხვაგვარად, სხვა სიტყვებით აღინიშნებოდა.

მესამე ფაქტორი, რომელიც არყვეს ეტიმოლოგიის სარწმუნოებას არის ნასესხობათა შესაძლებლობა. საგანთან ერთად მისი აღმნიშვნელი სიტყვაც შეიძლება ერთი ენიდან მეორეში გადავიდეს. მაგ. სიტყვა *chanvre* „კანაფი“ ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზში გვიან შევიდა. კიდევ უფრო მოგვიანებით მან ტრადიციის ქვეყნებში მოიკიდა ფეხი. კანაფის სახელწოდება ყოველ ჯერზე მცენარესთან ერთად შედიოდა ქვეყანაში. ექსტრალინგვისტური მონაცემების უქონლობა ხშირად, საშუალებას არ გვაძლევს გავარკვიოთ ერთი სიტყვის მრავალ ენაში არსებობა ნასესხობითაა გამომწვეული თუ ძველი საერთო ტრადიციის მარჩენებელია.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეუძლებელია გამოიყოს რამდენიმე ზოგადი თვისება და ზოგი ზუსტი მონაცემი: მაგ. ბევრია ნათესაობის აღმნიშვნელი საერთო სიტყვა. ისინი საშუალებას იძლევიან ვამტკიცოთ, რომ ინდოევროპელებთან ოჯახი რთული და მონესრიგებული ინსტიტუტი იყო. მათ ენას ახასიათებდა ჩვენთვის უცნობი ნიუანსები. ჰომეროსთან *eináteres* ნიშნავს „რძლებს“, „ძმების ცოლებს“, ხოლო *galnōi* „რძალ-მულს“. ლათინური *janitricēs* ფორმითაც და შინაარსითაც შეესაბამება ბერძნულ *eináteres*-ს. ასევე „სიძე“, დის ქმარი განსხვავდება სიძეებისგან — დების ქმრებისგან. აქ შეიძლება მოგვეცა ურთიერთობის ზუსტი დეტალიზაცია, მაგრამ საერთო, ზოგადი მონაცემებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ასევეა ცხოველების შემთხვევაშიც: ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფისათვის, როგორცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, გვაქვს არა მხოლოდ დამთხვევა ბერძნულ *hōis* („ძროხა“), გერმ. *Kuh*, სანსკრიტის *gau-s*-სა და ა.შ. და აღდგენილ ინდოევროპულ *gōu-s*-ს შორის, არამედ შეიმჩნევა, რომ ფლექსიას ყველა ენაში ერთნაირი მახასიათებელი აქვს, რაც გამორიცხული იქნებოდა სიტყვის მოგვიანებით, სხვა ენიდან შემოტანის შემთხვევაში.

ნება მიბოძეთ, აქვე, უფრო დეტალურად განვიხილო სხვა მორფოლოგიური ფაქტი, რომელსაც გავრცელების გარკვეული არეალი აქვს და სოციალური ორგანიზაციის სფეროს მიეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რაც ითქვა *dominus*-ისა („პატრონი“) და *domus*-ის („სახლი“) კავშირზე ენათმეცნიერებისთვის ეს არასაკმარისი აღმოჩნდა, რადგან აქ გასაოცარია სუფიქს-*no*-ს ხმარება წარმოებული სახელის აღსანიშნავად. ბერძნულში არ არსებობს ისეთი წარმოება, როგორცაა **oiko-no-s* ან **oike-no-s* სიტყვიდან *oikos* („სახლი“), ანდა სანსკრიტში *acva-*დან **acva-na-*. სწორედ ეს იშვიათობა ანიჭებს *dominus*-ის სუფიქსს მთელს თავის მნიშვნელობასა და გამოხატულებას. ჩვენი აზრით, მრავალი გერმანიკული სიტყვა აღმოჩნდა ამ მხრივ საინტერესო:

1. **peuda-na-z* (**peudō*-ს „ბელადი“, „ხელმწიფე“), გოთ. *þiudans*, ძვ. საქს. *thiodan* (**þeudō*, გოთ. *þiuda*=ოსკ. *touto* „ხალხი“).

2. **dru_χti-na-z* (ნანილობრივ მიიღო ფორმა **dru_χti-na-z*), **dru_χti-z*-ის („რაზმის მეთაური“), აქედან *Dieu* ე.ი. ქრისტიანული აღნიშვნა ღმერთისა, შდრ. ძვ. სკანდინავური *Dróttinn*, ანგლოსაქსონური *Dryhten*, ორივე ფინალური *-ina-z*-ით.

3. **Kindi-na-z* („ბელადი“, **kindi-z*-ისა= ლათ. *gens*). რადგან *gens* „გვარის ბელადი“, **þeudō* „ხალხის ბელადთან“ შედარებით რაღაც მეფისნაცვლის მსგავსი რამ იყო, გერმანიკული ტერმინი *kindins* (რომელიც სხვაგან ყველგან დაიკარგა) ულფილასის მიერ გამოიყენება პროვინციის რომელიმე მმართველის აღსანიშნავად, ვინაიდან გერმანიკული თვალსაზრისით იმპერატორის ლევატი იგივე იყო, რაც ტომის ბელადი, *þiudans*-სთან („ხელმწიფე“) შედარებით. რა საინტერესოც უნდა იყოს ეს ასიმილაცია ისტორიული თვალსაზრისით, ეჭვი არაა, რომ რომაული გარემოსთვის უცხო სიტყვა *kindins* მოწმობს გერმანიკული მოსახლეობის *kindi-z*-ებად დაყოფას.

ამრიგად, მეორადი სუფიქსი *-no-* ერთვის ნებისმიერ გერმანიკულ ფუძეს, რათა „ამა თუ იმ თემის ბელადის“ მნიშვნელობა მიანიჭოს. აღსანიშნავია, რომ ლათინური *tribūnus* სიტყვასიტყვით აღნიშნავს *tribū*-ს, ტომის ბელადს ისევე, როგორც *þiudans þiuda*-ს, ანუ ხალხის ბელადს და *dominus domus*-ს ბელადს სადაც *domus touta*-სა თუ *þiuda*-ს („ხალხი“) უმცირესი დანაყოფია. *Dominus* თავისი უცნაური სუფიქსით ძნელად უგულებელსაყოფ საბუთად გვევლინება არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ სოციალური ინსტიტუტების ერთობის წარმოსაჩენად იტალიკურ ეთნიკურობასა და გერმანიკულ ეთნიკურობას შორის.

საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ენების შედარება იშვიათად გვაძლევს ესოდენ დამახასიათებელ ნიშნებს.

§4. ენობრივი ტიპი და სოციალური ჯგუფის აზროვნება

თუ ენა შედარებით ნაკლებად ზუსტ და სარწმუნო ცნობებს გვანვდის ხალხის ადათებსა და ინსტიტუტებზე, ხომ არ შეიძლება იგი მოცემული სოციალური ჯგუფის აზროვნების ტიპის დასახასიათებლად გამოგვადგეს? საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ენა აირეკლავს ერის ფსიქოლოგიურ თვისებებს, თუმცა ამ თვალსაზრისს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაც გააჩნია: აუცილებელი არაა ენობრივი საშუალებები განისაზღვროს ფსიქიკური მიზეზებით.

სემიტური ენები მსაზღვრელი არსებითის მიმართებას საზღვრულისადმი (მაგ. ფრანგული *Parole de Dieu* „უფლის სიტყვა“) უბრალოდ, ამ სიტყვების პოზიციით გამოხატავენ და საზღვრულს მსაზღვრელის წინ ათავსებენ. ებრაულში *dābār* („სიტყვა“) და *‘elōhīm* („უფალი“) იძლეოდა შესიტყვებას *d̄bar*, *‘ēlōhīm* („უფლის სიტყვა“). ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს სინტაქსური კონსტრუქცია ამჟღავნებს სემიტური აზროვნების

¹ ნიშანი ' აღნიშნავს ალფს, ანუ გლოტალურ ოკლუზივს, რომელიც ბერძნულის ბლაგვ მახვილს შეესაბამება.

თავისებურებებს? ეს მეტად გაბედული მტკიცება იქნებოდა, რადგან ძვ. ფრანგულშიც იყო ანალოგიური კონსტრუქციები: მაგ. le cor Rolland („როლანის საყვირი“), Les quatre fils Aymon („ეიმონის ოთხი ძე“) და ა.შ. რომანულში ეს მოვლენა როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური თვალსაზრისით შემთხვევითია: ეგი თავს მოახვიეს ენას. რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ წინარესემიტურ ენაში მოვლენა გამონეველი იყო ანალოგიური შემთხვევითობით? ამრიგად, სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც სემიტური ენების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, საშუალებას არ გვაძლევს რაიმე გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ სემიტური აზროვნების შესახებ.

სხვა მაგალითი: ინდოევროპული წინარეენა არ იცნობდა რთულ სიტყვებს, რომლის პირველი ელემენტიც ზმნური იყო. თუ ასეთი სიტყვები გვხვდება გერმანულში (იხ. Bethaus „სამლოცველო სახლი“, Springbrunnen „შადრევანი“ და ა.შ.), ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარკვეულ მომენტში გერმანელებმა წინაპრებისგან მიღებული აზროვნების წესი შეიცვალეს. როგორც დავინახეთ, ეს ინოვაცია გამონეველია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ უარყოფითი შემთხვევითობით, ა-ს ამოვარდნით betahūs-იდან (გვ. 148). ყველაფერი გაუცნობიერებლად მოხდა ბგერათა ცვალებადობის სფეროში და აზროვნება იძულებული გახდა შედგომოდა იმ ერთადერთ გზას, რომელსაც მას ნიშანთა მატერიალური მდგომარეობა უხსნის. მთელი რიგი დაკვირვებები გვარწმუნებს ამაში. ამა თუ იმ ენობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიურ თვისებებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ ისეთი ფაქტისათვის, როგორცაა ხმოვნის ამოვარდნა ან მახვილის შეცვლა თუ სხვა ანალოგიური მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ნიშნისა და ცნების მიმართება ენის ნებისმიერ ფორმაში. ინტერესმოკლებული არაა განისაზღვროს (როგორც ისტორიულად ცნობილ, ასევე რეკონსტრუირებულ) ენათა გრამატიკული ტიპი და დაჯგუფდეს ისინი აზრის გამოსახატავად გამოყენებული ხერხების მიხედვით. მაგრამ, ამ განსაზღვრებებიდან და კლასიფიკაციებიდან ლინგვისტური სფეროს მიღმა სარწმუნოს ვერაფერს დავასკვნით.

თავი V

ენათა ოჯახები და ენობრივი ტიპები¹

ჩვენ დავინახეთ, რომ ენა უშუალოდ მოლაპარაკე ინდივიდთა აზროვნებას არ ექვემდებარება. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ამ პრინციპის ერთ-ერთ შედეგს: ენათა არც ერთი ოჯახი ერთხელ და სამუდამოდ არ ეკუთვნის რომელსამე ენობრივ ტიპს.

გარკვევა, რომელ ტიპს ეკუთვნის ენათა ჯგუფი, ნიშნავს ენათა ევოლუციის დავიწყებას, გულისხმობს, რომ ამ ევოლუციაში რაღაც სტაბილურობის ელემენტიცაა. რა უფლება გვაქვს ზღვარი დავუდოთ განვითარებას, რომლისთვისაც საზღვრები არ არსებობს.

მართლაც, როცა ლაპარაკობენ ენობრივი ჯგუფის დამახასიათებელ თვისებებზე, ძირითადად გულისხმობენ მისი წინარეენის თვისებებს და ამ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელი არაა, რადგან საქმე ეხება გარკვეულ ენასა და გარკვეულ ეპოქას. მაგრამ, როგორც კი დავუშვებთ მუდმივი თვისებების არსებობას, რომლებიც დროსა და სივრცეში უცვლელია, ევოლუციური ლინგვისტიკის ძირითად პრინციპებს ვეჯახებით. არც ერთი თვისება არაა მუდმივი. იგი მხოლოდ შემთხვევით შეიძლება შემოინახოს.

ავიღოთ მაგალითად, ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ცნობილია იმ ენის დამახასიათებელი თვისებები, საიდანაც ამ ოჯახს დაედო სათავე: ძალზე მარტივია ბგერათა სისტემა, არ არსებობს თანხმოვანთა რთული ჯგუფები, ორმაგი თანხმოვნები; ღარიბი ვოკალიზმი, რომელსაც აქვს მეტად რეგულარული, თავისი ბუნებით გრამატიკული მონაცვლეობის სისტემა (გვ. 164, 227). მახვილი, რომელიც შეიძლება სიტყვის ნებისმიერ მარცვალზე მოდიოდეს და ამიტომ გრამატიკული შეპირისპირების ხაზგასასმელად გამოიყენებოდეს; რაოდენობრივი რიტმი, რომელიც, მხოლოდ გრძელ-მოკლე მარცვლების შეპირისპირებას ემყარება; რთული და წარმოებული სიტყვების შექმნის ფართო შესაძლებლობა; სახელისა და ზმნის განვითარებული ფლექსია; ცალკეული სიტყვის ავტონომია წინადადებაში, რომელიც იცვლება ფლექსიის საშუალებით და თავად მოიცავს ყველა თავის განმსაზღვრელს, ამის შედეგად კი — კონსტრუქციის დიდი თავისუფლება, დეტერმინატიული ან მიმართებითი მნიშვნელობის მქონე დამხმარე გრამატიკული სიტყვების (ზმნისწინები, წინდებულები და ა.შ.) სიმცირე.

აშკარაა, რომ არც ერთი ამ თვისებათაგანი ერთნაირად არ დამკვიდრებულია სხვადასხვა ინდოევროპულ ენაში. მრავალი მათგანი (მაგ. რაოდენობითი რიტმის როლი და მახვილი) არც ერთ ენაში არ გვხვდება. ზოგმა თვისებამ ინდოევროპულის პირველადი სახე იმდენად იცვალა, რომ სრულიად განსხვავ-

¹ თუმცა ეს თავი რეტროსპექტულ ლინგვისტიკას არ შეეხება, აქ ვურთავთ, რადგან იგი მთელი ნაშრომის დასკვნად გამოდგება (გამომცემლები).

ვებულ ლინგვისტურ ტიპს მოგვაგონებს. მაგ. ინგლისური, სომხური, ირლანდიური და ა.შ.

უფრო სამართლიანი იქნებოდა გველაპარაკნა გარკვეულ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც ერთი ოჯახის ენებისთვის მეტ-ნაკლებად საერთოა. მაგ. ფლექსიის მექანიზმის თანდათანობითი შესუსტება, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, საერთო ინდოევროპული ენებისთვის, თუმცა ამ მხრივაც მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: სლავურმა ფლექსია გაცილებით უკეთ შემოინახა, ინგლისურში კი თითქმის აღარ არსებობს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრდა ელემენტების მეტ-ნაკლებად სტაბილური რიგი წინადადებაში, აზრის გამოხატვის სინთეზურ საშუალებათა შეცვლა ანალიტიკური მეთოდებით: ბრუნვის ნიშნების გადმოცემა წინდებულებით (გვ. 187), ზმნური ფორმების წარმოება დამხმარე ზმნებით და ა.შ.

როგორც დავინახეთ, ენამ შეიძლება პროტოტიპის თვისება არ შემოინახოს. ასევე სამართლიანია სანინალმდეგოც — არც თუ იშვიათად, ენათა ოჯახის ყველა წევრისთვის საერთო თვისება მათ ამოსავალ ენას არ გააჩნდა. მაგ. ხმოვანთა ჰარმონია (ე.ი. სიტყვის სუფიქსების ყველა ხმოვნის გარკვეული ასიმილაცია ფუძის უკანასკნელ ხმოვანთან). ეს მოვლენა გვხვდება ურალურ-ალათაურ ენებში, ევროპისა და აზიის მრავალ ენაში, ფინეთიდან დაწყებული მანჯურიაამდე. იგი გამოწვეული უნდა იყოს ენათა შემდგომი განვითარებით, არ უნდა იყოს თავდაპირველი ხასიათის საერთო თვისება და მას ენათა საერთო წარმომავლობის დასამტკიცებლად ვერ გამოვიყენებთ; არც ავლუტინაციური ხასიათის დამოწმება შეგვიძლია. დასაბუთებულია ისიც, რომ ჩინური მუდამ ერთმარცვლოვანი ენა არ ყოფილა.

სემიტური ენების რეკონსტრუირებულ წინარესემიტურთან შედარებისას ერთი შეხედვით, გვაოცებს მათი ზოგი თვისების მდგრადობა. ეს ოჯახი ყველა სხვა ოჯახზე მეტად ტოვებს მთელი ოჯახისთვის დამახასიათებელი უცვლელი და მუდმივი მთლიანობის შთაბეჭდილებას. ეს გამოჟღავნდა იმ თვისებებში, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ინდოევროპული ოჯახისთვის დამახასიათებელ თვისებებს: თითქმის არ გვხვდება რთული სიტყვები, შეზღუდულია დერივაცია, ნაკლებად განვითარებულია ფლექსია (პროტოსემიტურში მაინც უფრო განვითარებულია, ვიდრე მისგან ამოსულ ენებში), ამიტომ, სიტყვათა რიგი მყარია. ყველაზე აღსანიშნავი თვისება ეხება ფუძის შედგენილობას (გვ. 192), იგი მუდამ მოიცავს სამ თანხმოვანს (q-ṯ-l „მოკლა“), რომელიც შენახულია სიტყვის ყველა ფორმაში მოცემული ენის ფარგლებში (მდრ. ებრ. qātal „მოკლა“, qāṯl „მან (ქალმა) მოკლა“, qṯl „მოკლა“, „მოკალი შენ (კაცო), qīl „მოკალი შენ (ქალი)“ და ა.შ.), აგრეთვე სხვა ენებშიც (მდრ. არაბ. qatala „მან მოკლა“, qatila „ის მოკლულია“ და ა.შ.) — სხვანაირად რომ ვთქვათ, თანხმოვნები გამოხატავენ სიტყვათა „კონკრეტულ აზრს“, მათ ლექსიკურ ღირებულებებს, ხოლო მონაცვლე ხმოვნები ცალკეული სუფიქსებისა და პრეფიქსების საშუალებით მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავენ (მაგ. ებრ. qātal „მან მოკლა“, qṯl „მოკლა“, სუფიქსით qṯal-ū „მათ მოკლეს“, პრეფიქსით ji-qṯl „ის მოკლავს“, სუფიქსითა და პრეფიქსით ji-qṯl-ū „ისინი მოკლავენ“ და ა.შ.).

მიუხედავად ამ ფაქტებისა, ჩვენ ჩვენსავე პრინციპებზე ვრჩებით: არ არსებობს უცვლელი თვისებები. უცვლელია შემთხვევითობის ბრალია. თუ რაიმე თვისება დიდხანს შემორჩება, იგი შესაძლოა დროთა განმავლობაში მაინც გაქრეს. სემიტურთან დაკავშირებით აღვნიშნავდით, რომ სამი თანხმოვნის კანონი არც თუ ისე დამახასიათებელია ამ ოჯახისთვის, რადგან ანალოგიური მოვლენები სხვა ოჯახებშიც გვხვდება. ინდოევროპულში ფუძეთა კონსონანტიზმი მკაცრ წესებს ემყარება. მაგ. e-ს შემდეგ არასოდეს გვხვდება ისეთი ბგერები, როგორებიცაა i, u, r, l, m, n. *serl-ის მსგავსი ფუძე ამ ენაში დაუშვებელია და ა.შ. კიდევ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იგივე გავიმეოროთ ხმოვანთა რიგზე სემიტურ ენებში. რაღაც მსგავსი, ოღონდ ნაკლებად განვითარებული მოვლენა შეიმჩნევა ინდოევროპულ ენებშიც. ებრაულის ოპოზიციები dabar („სიტყვა“) dbār-īm („სიტყვები“), dibrē—hem („მათი სიტყვები“) მოგვაგონებენ გერმ. Gast („სტუმარი“): Gäste („სტუმრები“), fließen („დინება“): floss („დენა“) და ა.შ. ორსავე შემთხვევაში გრამატიკული ხერხის გენეზისი ერთია. საქმე ეხება ბრმა ევოლუციით გამოწვეულ წმინდა ფონეტიკურ მოდიფიკაციებს. მათგან მიღებული მონაცვლეობები დააფიქსირა გონებამ, გრამატიკული ღირებულებები მიანიჭა მათ და გაავრცელა მათი გამოყენება იმ მოდელების ანალოგიით, რომლებიც ფონეტიკური განვითარების შემთხვევითი მოქმედებით შეიქმნა. რაც შეეხება სემიტური ენების სამი თანხმოვნის უცვლელიობას, იგი შეფარდებითია და არაფერი აბსოლუტური არა აქვს. ამაში აპრიორულად შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ. ამას ფაქტებიც ადასტურებენ. მაგ. ძვ. ებრაულში სიტყვა 'anāš-īm-ის („ხალხი“) ფუძეში წარმოდგენილია სამი თანხმოვანი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მისი მხ. რ. 'āš კი მხოლოდ ორს შეიცავს. ეს გამოიწვია ძველი ფონეტიკური ფორმის შეკვეცამ. კიდევაც რომ ვაღიაროთ ეს მოჩვენებითი უცვლელიობა, შეიძლება კი, მასში დავინახოთ რაღაც, ფუძეებისთვის დამახასიათებელი? არა! სემიტურმა ენებმა ნაკლებად განიცადეს ფონეტიკური ცვლილებები, რის გამოც თანხმოვნები მათში უკეთ შემოინახა, ვიდრე სხვა ენებში. ამრიგად, ყოველივე ეს წმინდა ფონეტიკური ევოლუციის შედეგია და არა უცვლელი ხასიათის გრამატიკული მოვლენა. ფუძის უცვლელიობის მტკიცება იგივეა, რომ ვამტკიცოთ, ფუძეს არასოდეს განუცდია ფონეტიკური ცვლილებებიო. თუმცა, ვერ იტყვი, რომ ცვლილება არასოდეს მოხდება. ყველაფერი, რაც დრომ მოიტანა, შეიძლება ისევე დრომ შეცვალოს ან მოსპოს.

აღიარებულია, რომ შლაიხერი ძალას ატანდა სინამდვილეს და ენებს განიხილავდა როგორც რაღაც ორგანულს, რომელიც თავად შეიცავდა საკუთარი განვითარების კანონებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ენაში არის რაღაც ორგანული სხვა გაგებით, რომ რასის ან ეთნიკური ჯგუფის „გენია“ ენას გარკვეული მიმართულებით წარმართავს.

ჩვენი მეცნიერების მომიჯნავე სფეროებში გაკეთებული ექსპურსებიდან გამომდინარეობს უარყოფითი ხასიათის, მაგრამ საინტერესო პრინციპი, რადგან იგი ეთანხმება ჩვენი კურსის ძირითად იდეას — ენათმეცნიერების ერთადერთი და ჭეშმარიტი საგანი ენაა, განხილული თავისთავად და თავისთვის.

1354
610



၉၈၈၅၆၇